საქართველოს მთავრობის კომენტარები არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის ანგარიშზე

„ხელისუფლების ორწლიანი მმართველობის შეფასება 2012 წლის ოქტომბერი - 2014 წლის დეკემბერი“

მაისი 2015

არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის მიერ მომზადებული ანგარიშის „„ხელისუფლების ორწლიანი მმართველობის შეფასება 2012 წლის ოქტომბერი - 2014 წლის დეკემბერი“ შემუშავების პროცესში საქართველოს მთავრობის შესაბამის უწყებებს შესაძლებლობა მიეცათ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის წერილობითი სახით მიეწოდებინათ საკუთარი შეფასებები, ანგარიშში გამოთქმულ კრიტიკულ მოსაზრებებთან დაკავშირებით.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით გაიმართა თემატური შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციების და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებს შორის. შეხვედრაზე მხარეებმა გაცვალეს საკუთარი მოსაზრებები ანგარიშში გაჟღერებულ საკითხებთან დაკავშირებით. საქართველოს მთავრობა დადებითად აფასებს სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთობის ამგვარ ფორმას და იმედს გამოთქვამს, რომ თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

საქართველოს მთავრობა არ ეთანხმება ანგარიშში გამოთქმულ მთელ რიგ მოსაზრებებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში აკნინებს ან არასრულად ასახავს 2012 წლის შემდეგ, ახალი ხელისუფლების მიერ გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯებს და სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარე რეფორმირების აქტიურ პროცესს. ვფიქრობთ, რომ ცალკეულ შემთხვევებში გამოთქმული მოსაზრებები არ არის სათანადოდ დასაბუთებული და არ ტოვებს ობიექტური რეალობის აღქმის შესაძლებლობას.

მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს, ანგარიშში გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებების პასუხად სახელმწიფო უწყებების მიერ მომზადებულ კომენტარებს, რომლებიც ასახავს უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში განხორციელებულ პოზიტიურ ცვლილებებს და ქმნის ახალი ხელისუფლების საქმიანობის შეფასების ობიექტურ სურათს.

სარჩევი

1.სახელმწიფოს მართვის სისტემა 2

2. სამართალდამცავი სისტემის შეფასება 18

3. სასამართლო სისტემა 31

4. სასჯელაღსრულების სისტემის შეფასება 41

5. საარჩევნო რეფორმა 43

6. ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა 45

7. რელიგიის თავისუფლების მდგომარეობა 45

8. ლგბტ ჯგუფი 61

9. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა 62

10. გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსები და ენერგეტიკა 83

- გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსები 83
- ენერგეტიკა 99

11. საგარეო პოლიტიკა 108

12. საინვესტიციო გარემო 132

13. ეკონომიკა 139

- სოფლის მეურნეობა 153

14. ღია მმართველობა 155

15. მედიაგარემო 159

16. ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში 161

17. შრომის უფლება 170

18. საცხოვრისის უფლება: სოციალურად დაუცველ უსახლკარო პირთა უფლებრივი მდგომარეობა 175

19. დევნილთა მდგომარეობა 175

20. მიგრაცია 178

21. კულტურული მემკვიდრეობა 184

სახელმწიფოს მართვის სისტემა

1.2. საქართველოს პარლამენტი

1.2.2 პრობლემები/გამოწვევები

„ბოლო პერიოდის განმავლობაში ერთ-ერთ უარყოფით ტენდენციად სხვადასხვა პროგრესული კანონპროექტების გადავადება შეძლება დასახელდეს. ამ მხრივ აღსანიშნავია მოწმის დაკითხვის წესის,ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის სრულად ამოქმედების, საკასო აპარატების დანერგვის და სხვაინიციატივების გადავადება. ხშირ შემთხვევაში გადავადების პროცესი შესაბამისი დასაბუთების გარეშეხდებოდა. “

კომენტარი: ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტთან დაკავშირებით არსებობს უამრავი ხარვეზი, რომელთა აღმოფხვრის გარეშე ამ ინსტიტუტის სრულად ამოქმედება არ იქნებოდა მართებული. კერძოდ, აუცილებელია დაზუსტდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის ნაწილები, რომლებიც შეეხება ნაფიც მსაჯულთა შემთხვევით შერჩევას, მათი ვერდიქტის დასაბუთებას და, რაც მთავარია, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობას. ამ მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა. იუსტიციის სამინისტროს ხელთ აქვს საკუთარი კვლევის შედეგები, აგრეთვე, ევროპის საბჭოს ექსპერტების მიერ მომზადებული კვლევა, რომელთა ანალიზის საფუძველზე მიმდინარე წელს მომზადდება ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.

1.3 აღმასრულებელი ხელისუფლება

1.3.1 პოზიტიურიცვლილებები

“აღსანიშნავია საქართველოს მთავრობის მიერ 2013 წელს მიღებული დადგენილება ინფორმაციისპროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების გამჭვირვალე საქმიანობის მიმართულებით.“

კომენტარი: არაფერია ნათქვამი იმ სამუშაოს შესახებ, რომელიც ჩატარდა უკვე იუსტიციის სამინისტროს მიერ, სამოქალაქო სექტორთან აქტიური თანამშრომლობით, ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონპროექტის მომზადების მხრივ:
იუსტიციის სამინისტრო, სამოქალაქო სექტორთან, განსაკუთრებით „ფონდ ღია საზოგადოება - საქართველოსთან“ და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან“ აქტიური თანამშრომლობით, წელიწადზე მეტია მუშაობს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონპროექტზე, რომელმაც თავი უნდა მოუყაროს სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში, მათ შორის, ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში არსებულ პრინციპებსა და ნორმებს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ და მოიყვანოს ისინი შესაბამისობაში თანამედროვე მოთხოვნებთან. ახალი კანონმდებლობის მთავარი ღირსება იქნება ინფორმაციის თავისუფლების სფეროში მონიტორინგისა და კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს შექმნა, რომელიც მეთვალყურეობას გაუწევს საჯარო დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულების შესრულებას. ამ მიზნით ჩატარდა კვლევები, მოეწყო კონფერენციები და მრგვალი მაგიდები, მათ შორის ამ სფეროს აღიარებული შოტლანდიელი ექსპერტის, კევინ დანიონის მონაწილეობით. ასევე, 2014 წლის აგვისტოში მოეწყო სასწავლო ვიზიტი მექსიკაში. კანონპროექტზე მუშაობა მიმდინარე წლის განმავლობაში დასრულდება, რის შემდეგაც იგი წარედგინება საქართველოს მთავრობას და პარლამენტს.

1.3.2 **იუსტიციის სამინისტრო**

„მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ პროკურატურის რეფორმის მზადყოფნა დააფიქსირა,ცნობილი არ არის რა მიმართულებით წარიმართება პროცესი. სამწუხაროა, რომ ორი წლისგანმავლობაში არ დაგეგმილა და განხორციელებულა პროკურატურის სიღმისეული რეფორმა.პროკურატურის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები კვლავაც რჩება.“ (გვ. 6).

„მთავრობამ რაც შეიძლება სწრაფად უნდა განახორციელოს შსს-სა და პროკურატურისმასშტაბური რეფორმა, რომელიც, პირველ რიგში, ამ ორი ინსტიტუტის დამოუკიდებლობასა დაპოლიტიკურ ნეიტრალურობას, ასევე მათ ანგარიშვალდებულებას და გამჭვირვალე საქმიანობასუზრუნველყოფს.“ (გვ. 7).

„არჩევნების შემდგომ პერიოდში არსებითად შეიცვალა ურთიერთობა პროკურატურასა და სასამართლო სისტემას შორის, რამაც გააჩინა მოლოდინი, რომ მათ შორის არსებული ლოიალობა გარდაიქმნებოდაკანონზე დაფუძნებულ ურთიერთობაში და სასამართლო

შეასრულებდა რეალური მაკონტროლებლის როლს. თუმცა, აღნიშნული გარდაქმნა პროკურატურის სისტემაში მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ცვლილებებით არ ყოფილა განპირობებული.“ (გვ. 8).

„2014 წლის ბოლოს პრემიერ-მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადების შემდეგ, სისხლის სამართლისუწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში გაიმართა სხდომა პროკურატურის რეფორმის კონცეფციის შემუშავებისა და შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მოსამზადებელი სამუშაობის დაგეგმვის მიზნით.“ (გვ. 9).

„ხელისუფლებამ პროკურატურის ინიცირებული რეფორმის ფარგლებში უნდა უზრუნველყოსინსტიტუციური გარანტიების შექმნა პროკურატურის სისტემის დამოუკიდებლობისთვის პოლიტიკური გავლენებისაგან, ამისათვის, აუცილებელია:

- მთავარი პროკურორის არჩევის წესის საფუძვლიანი ცვლილება. რეფორმირებულ მოდელშიმთავარი პროკურორის ნეიტრალური შერჩევისა და ნომინირების უფლება პრეზიდენტს უნდაგადაეცეს, არჩევა კი პარლამენტმა უნდა განახორციელოს”. (გვ. 10).“

კომენტარი: შეფასებაში არაფერია ნათქვამი ბოლოდროინდელი მნიშვნელოვანი ნაბიჯების შესახებ, რომლებიც გადაიდგა პროკურატურის რეფორმის კუთხით. მათ გარეშე შეფასება არ იქნება სრული:

2015 წლის 8 აპრილს გაიმართა სიხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საბჭოს სხდომა, რომელზეც საბჭოს სამდივნომ - იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკურმა დეპარტამენტმა წარმოადგინა ფართომასშტაბიანი კვლევა პროკურატურის ინსტიტუციური მოწყობის მოდელების თაობაზე ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ კვლევის საფუძველზე შემუშავდა და საბჭოს სხდომას ასევე წარედგინა პროკურატურის ინსტიტუციური მოწყობის ახალი რეფორმული მოდელი, რომლის ძირითადი პრინციპები შემდეგია:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროში იქმნება საპროკურორო საბჭო.
2. საპროკურორო საბჭოში შედიან იუსტიციის მინისტრი, მთავარი პროკურორის მოადგილე, პროკურორთა კონფერენციის მიერ არჩეული სამი პროკურორი, პარლამენტის ორი კომიტეტის თავმჯდომარე და პარლამენტის მიერ არჩეული ორი წევრი სამოქალაქო საზოგადოებიდან.
3. იუსტიციის მინისტრის და სხვა ex officio წევრების გარდა, რომლებიც საბჭოს წევრებად ითვლებიან თავიანთი უფლებამოსილების ამოწურვამდე, საპროკურორო საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.

4. საპროკურორო საბჭოს უფლებამოსილებაა:
    - თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს მთავარი პროკურორის კანდიდატურის დამტკიცება, რომელსაც საბოლოო ჯამში კენჭს უყრის პარლამენტი;
    - მთავარი პროკურორის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობისას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მის მიერ მოწვეული საგანგებო (ad hoc) პროკურორის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე, საქართველოს მთავარი პროკურორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ წინადადების წარდგენა, რასაც საბოლოო ჯამში კენჭს უყრის პარლამენტი;
    - საქართველოს მთავარი პროკურორისა და მისი მოადგილეების წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება;
    - ექვს თვეში ერთხელ საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიშის მოსმენა;
    - სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციების განხორციელება.
5. საპროკურორო საბჭო საპროკურორო უფლებამოსილების განხორციელების პროცესში არ ერევა.

ეს მოდელი, რომელმაც შეიძლება განიცადოს გარკვეული ცვლილებები, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების მიერ მოწოდებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, საფუძვლად დაედება კანონპროექტს, რომელიც ვენეციის კომისიის ან/და ეუთოს ექსპერტების მხრიდან შესწავლის შემდეგ, მიმდინარე წლის ბოლომდე იქნება მიღებული პარლამენტის მიერ.

ამ პრინციპების შესაბამისად მომზადებულ ცვლილებებს ექნებათ სწორედ ის შედეგი, რაზეც საუბრობენ შეფასების ავტორები - რომ „ხელისუფლებამ პროკურატურის ინიცირებული რეფორმის ფარგლებში უნდა უზრუნველყოსინსტიტუციური გარანტიების შექმნა პროკურატურის სისტემის დამოუკიდებლობისთვის პოლიტიკურიგავლენებისაგან.”

მაგრამ რაც შეეხება მოთხოვნას, რომ ეს მიზანი აუცილებლად უნდა იქნეს მიღწეული მთავარი პროკურორის კანდიდატურის შერჩევისა და ნომინირების უფლებამოსილების პრეზიდენტისთვის გადაცემის გზით, შევნიშნავთ, რომ ასეთი ზომის მიღება შეუძლებელია სათანადო საკონსტიტუციო ცვლილების მიღების გარეშე. გარდა ამისა, შეფასების ავტორების მოსაზრება მთავარი პროკურორის დანიშვნის წესის შესახებ მათი კერძო მოსაზრებაა, რომელსაც დასაბუთებაც აკლია და ვერც ერთადერთ სწორ ვარიანტად იქნება მიჩნეული.

„გამოიკვეთა არაფორმალური მმართველობა, როდესაც არაუფლებამოსილი პირები ჩართულები არიან კონკრეტული სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტაში, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების გამართულ ფუნქციონირებაზე. მათ შორის იწვევდა ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან კონკრეტული ინსტიტუტის იგნორირებას.“

კომენტარი: საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია ქვეყანაში მმართველობის ჯანსაღი, კონსტიტუციის შესაბამისი მოდელის დამკვიდრება. ხელისუფლების ყველა შტო ახორციელებს თავის უფლებამოსილებას და არ ხდება ფუნქციების აღრევა სხვადასხვა შტოს შორის. მთავრობისთვის მიუღებელია, ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე, არაფორმალურ მმართველობაზე აპელირება. საქართველოს დღეს მართავს ინსტიტუტები და არა კონკრეტული პიროვნებები, რასაც დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდა ადგილი ჩვენს ქვეყანაში.
არაფორმალური მმართველობის არსებობის არგუმენტად მოყვანილია ერთ-ერთი საზოგადოებრივი აზრის კვლევის რესპონდენტების მოსაზრება, რაც არ შეიძლება იქნას გამოყენებული არაფორმალური მმართველობის არსებობის და ანგარიშის ავტორის სხვა მოსაზრებების დადასტურებად.

„დროთა განმავლობაში გამოიკვეთა, რომ ხელისუფლება მთავარ აქცენტებს სამართალდამცავი უწყებებს გაძლიერებაზე აკეთებსდა ქვეყნის სიძლიერეს ძალოვნების სიძლიერესთან აიგივებს“.

კომენტარი:არც ხელისუფლების ქმედებები და არც პრემიერ-მინისტრის მიერ გამოთქმული მოსაზრებები არ იძლევა ზემოთაღნიშნულის მტკიცების საფუძველს.

აღმასრულებელი ხელისუფლება

"მთავრობამ ვერ შეძლო მნიშვნელოვანი წინსვლის უზრუნველყოფა საჯარო სამსახურის რეფორმის მხრივ."

კომენტარი: საჯარო სამსახურის რეფორმა წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს. რეფორმის განხორციელების მიზნით, საქართველოს მთავრობამ 2013-2014 წლების განმავლობაში არაერთი ნაბიჯი გადადგა. კერძოდ, შეიქმნა საჯარო სამსახურის რეფორმის საკოორდინაციო საბჭო, რომელიც დაკომპლექტდა 15 წარმომადგენლით სამინისტროებიდან და პარლამენტიდან და, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი. ინიციატივის შედეგად შემუშავდა და 2014 წლის 19 ნოემბრის N627 საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფცია. საჯარო სამსახურის რეფორმის მიზანია:

- პოლიტიკისაგან თავისუფალი, ღია და ეფექტური საჯარო სამსახურის ჩამოყალიბება;
- საჯარო სამსახური, რომელსაც საფუძვლად დაედება თანმიმდევრული და მკაფიო სამართლებრივი ჩარჩო;
- კარიერულ წინსვლაზე დაფუძნებული პროფესიული საჯარო მოხელის ინსტიტუტი;
- საჯარო მოხელისათვის მუდმივი განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საშუალების მიცემა;
- სამართლიანი ანაზღაურებისა და კლასიფიკაციის სისტემის შექმნა;
- ევროპულ და ევრო–ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე მორიგი ნაბიჯების გადადგმა.

ამასთანავე, „სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციის იმპლემენტაციის ხელშეწყობის მიზნით, 2015 წელს განსახორციელებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვალის №198 განკარგულებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმა წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს, რომელშიც გაწერილია საჯარო სამსახურის რეფორმის განხორციელებისათვის ბიუროს მიზნები, ამოცანები, დროში გაწერილი აქტივობები და შესრულების ინდიკატორები (დანართი 1). საჯარო სამსახურის რეფორმის იმპლემენტაციის მიზნით 2014 წლის განმავლობაში დაიგეგმა და უკვე განხორციელდა რიგი ინიციატივები, კერძოდ:

- შეიქმნა საჯარო სამსახურის ახალ კანონზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი, შემუშავდა ახალი კანონის სტრუქტურა და კანონპროექტის რამდენიმე თავი ადგილობრივი და ევროკავშირის ექსპერტების მონაწილეობით. მიმდინარე წლის მაისის თვის ბოლოს მზად იქნება ახალი კანონის პროექტის სრული რედაქცია, ვინაიდან უკვე შემუშავდა

ახალი კანონის სტრუქტურა და ხუთი თავი, ადგილობრივი და ევროკავშირის - SIGMA (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ტექნიკური დახმარების სამსახურის) ექსპერტების მონაწილეობით. ჩატარდა ხუთი სამუშაო შეხვედრა და მოეწყო ორი საჯარო განხილვა, ცენტრალური საჯარო უწყებების იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურების თანამშრომლებთან. კანონის პროექტის დასრულებისთანავე, იგეგმება 6 საჯარო განხილვის ორგანიზება სხვადასხვა ფოკუს ჯგუფებთან, მათ შორის სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენელთა ჩართულობით. ახალი კანონის პროექტის წერის პროცესში იხილება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა პროფესიული საჯარო მოხელისა და პოლიტიკური გავლენისაგან თავისუფალი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბება, ერთიანი კლასიფიკაციისა და ანაზღაურების სისტემის შემუშავება და სხვ.

- საჯარო სამსახურში ანაზღაურების გამჭვირვალე სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, 2014 წლის მაისში, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, შემუშავდა საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესი, რომელიც დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის №449დადგენილებით და განისაზღვრა საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულპირებზე გასაცემი პრემიის ოდენობა, მისი გაცემის წესიდა პირობები. გარდა ამისა, დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად, სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს დაევალა, საჯარო დაწესებულების ანაზღაურების სისტემებისა და დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა სამუშაოს შეფასების სისტემების შესახებ, საჯარო დაწესებულებების მიერ გამოგზავნილი ინფორმაციის ანალიზი/განზოგადება 2015 წლის 1 იანვრამდე და შედეგად, საქართველოს მთავრობისათვის ერთიანი ანაზღაურების სისტემისა და სამუშაოს შეფასების შესახებ შესაბამისი წინადადებების წარდგენა. დადგენილებით განსაზღვრული ვალდებულება შესრულდა და ბიურომ, USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით, ჩაატარა შესაბამისი კვლევა, რის საფუძველზეც შემუშავდა საჯარო სამსახურისათვის შესრულებული სამუშაოს შეფასების შესაფერისი მოდელი. შემუშავებული ხედვა წარედგინა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას (დანართი 2).
- შემუშავდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების ახალი წესი, რომელიც დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივლისის №412 დადგენილებით. ახალმა დადგენილებამ განსაზღვრა კონკურსების ჩატარების უფრო მოქნილი და გამჭვირვალე სისტემა, სავალდებულო გახადა დამოუკიდებელი ექსპერტის მონაწილეობა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის კონკურსის ჩატარებისას ტესტირების ეტაპი.

აღნიშნული, ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესის ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის ხარისხის გაზრდას.საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციის თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო ვალდებულია კოორდინაცია გაუწიოს საჯარო სამსახურში ეთიკის კოდექსის შემუშავებისა და მისი პრაქტიკაში დანერგვის პროცესს. აღნიშნულთან დაკავშირებით უკვე შეიქმნა სახელმძღვანელო, მომზადდა კურიკულუმი ტრენინგისთვის, ჩატარდა პილოტური ტრენინგები ცენტალური საჯარო უწყებების ადამიანური რესურსებისა და შიდა მონიტორინგის წარმომადგენლების მონაწილეობით. უახლოეს პერიოდში იგეგმება ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფის ფორმირება, ეთიკის კოდექსის შემუშავების მიზნით.

- საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი სისტემის არსებობისა და საჯარო სექტორში დასაქმებულთა შესახებ ზუსტი მონაცემების შეგროვების მიზნით, საჯარო სამსახურის ბიურო, სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან ერთად, მუშაობს ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაზე და მის დანერგვის საკითხებზე. ამ ეტაპზე სისტემა უკვე დაინერგა 44 საბიუჯეტო დაწესებულებაში და მიმდინარეობს ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემის დანერგვის მიზნით აუცილებელი მონაცემთა გაცვლის ელექტრონული პროგრამის განვითარებაზე მუშაობა.

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია საჯარო ადმინისტრირების გაუმჯობესების მიზნით, ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და მთავრობის პროგრამაში განსაზღვრული ვალდებულებების თანახმად, ამუშავებს საჯარო მმართველობის რეფორმის სტრატეგიას ევროკავშირისა და OECD/SIGMA-ს დამხარებით. სტრატეგია მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია, ანგარიშვალდებულება და ღიაობა, ადამიანური რესურსები, სახელმწიფო სერვისები, საჯარო ფინანსების მართვა, ადგილობრივი თვითმმართველობა. საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული საჯარო მმართველობის სტრატეგია გადაგზავნილია ევრკომისიაში საბოლოო შეფასებისათვის, რომლის შემდგომაც მოხდება საქართველოში სტრატეგიის დამტკიცება და განხორციელება.

,,მართალია მთავრობამ, ორ წელზე მეტი ხელისუფლებაში ყოფნის შემდეგ, დააფიქსირა მზად ყოფნა დაიწყოს შსს რეფორმა, მაინც ამ ეტაპისთვის არ არის ცნობილი კონკრეტულად რის შეცვლას აპირებს ხელისუფლება შსს-ში.“

კომენტარი: შინაგან საქმეთა სამინისტროსახალი ხელმძღვანელობის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა სამინისტროს დეპოლიტიზება, რაც დემოკრატიული სისტემის საფუძველია და

პოლიტიზებული ძალოვანი სტრუქტურების ნაცვლად, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სამართალდამცავი სტრუქტურების შექმნას ითვალისწინებს;

2012 წლის ნოემბრიდან, სამინისტრო ჩამოყალიბდა, როგორც საზოგადოებაზე ორიენტირებული ორგანიზაცია, რომლის ძირითადი მიზანია მოქალაქეთა უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვა. პოლიცია აღარ ახორციელებს პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედებას. იგი თავის საქმიანობას წარმართავს კანონის, დემოკრატიული სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დაცვით;

პოლიციის ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის გარანტია, პირველ რიგში, მოცემულია საქართველოს კანონმდებლობაში, რომელიც კრძალავს პოლიციის თანამშრომელთა პოლიტიკური პარტიის წევრობას, პოლიტიკურ საქმიანობას, აგიტაციას, პროპაგანდასა თუ სხვაგვარ მხარდაჭერას რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის მიმართ. აღნიშნული კანონის მოთხოვნები წინა ხელისუფლების პირობებში არ სრულდებოდა შსს-ს მიერ; შსს-ს სისტემის თითოეულ თანამშრომლამდე ამ შეზღუდვებისა და აკრძალვების დაყვანის მიზნით გამოიცა შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 12 სექტემბრის N 713 ბრძანება „არჩევნების პერიოდში შსს–ს მოსამსახურეთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“;

შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპოლიტიზებისა და გაუმჯობესებული ფუნქციონირებისთვის, 2012 წლის ნოემბრიდან უწყებაში მნიშვნელოვანი რესტრუქტურიზაცია განხორციელდა. გაუქმდა კონსტიტუციური უსაფრთხოებისა (კუდ-ი) და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტები (სოდ-ი);

სწორედ კუდ–ი წარმოადგენდა მმართველი გუნდის მიერ ოპონენტების მიზანმიმართული შევიწროებისა და დევნის მთავარ საშუალებას. მასში აღრეული იყო პოლიციისა და უშიშროების ფუნქციები, მას არ გააჩნდა საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების მექანიზმები (შესაბამისი დებულება) და წარმოადგენდა სრულიად უკონტროლო სტრუქტურას.

შეიქმნა ანტიკორუფციული და სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოები;

ანტიკორუფციული სააგენტო ახორციელებს საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის გამოვლენას, სამოხელეო და კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას;

სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტო უზრუნველყოფს ქვეყნის საფრთხეების პროგნოზირებას, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის გამოვლენასა და აღკვეთას, კონსტიტუციური სისტემის და ხელისუფლების არაკონსტიტუციური, ძალადობრივი გზით შეცვლისაგან დაცვას;
სოდ–ი ახდენდა კრიმინალური პოლიციის ფუნქციების დუბლირებას. სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის გაუქმების შემდეგ, ამ ფუნქციებს ასრულებს ახლადშექმნილი ცენტრალური

კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ოპერატიულ–სამძებრო და საგამოძიებო საქმიანობას;

განხორციელებული რესტრუქტურიზაციის შედეგად სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციებში ერთმანეთისგან გაიმიჯნა პოლიციისა და უშიშროების აღრეული ფუნქციები.

აღსანიშნავია შსს–ს მიერ განხორციელებული არაერთი რეფორმა, განსაკუთრებით საკანონმდებლო საქმიანობის კუთხით.

- 2012 წლისბოლოს, შსს-ში პირველად შემუშავდა სამინისტროს სისტემის განვითარების სტრატეგია. დოკუმენტში ხაზგასმულია სამინისტროს წინაშე არსებული გამოწვევები, პრიორიტეტები და გასატარებელი ღონისძიებები. 2014 წლის თებერვალში, შსს–მ საზოგადოებას წარუდგინა 2014 წლის განვითარების სტრატეგია;
- შსს-ს მიერ შემუშავდა „პოლიციისშესახებ“ ახალიკანონის პროექტი, რომელიც პარლამენტმა 04.10.2013 მიიღო. ახალი კანონის ნოვაციებს წარმოადგენს: 1) პოლიციის პრევენციული და სამართალდარღვევაზე რეაგირების ფუნქციების ერთმანეთისგან გამიჯვნა; 2) მკაფიო და ცალსახა ტერმინთა განმარტება; 3) პოლიციის საქმიანობის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა; 4) პოლიციური ღონისძიებების ამომწურავი ჩამოთვლა. ახალმა კანონმა გაითვალისწინა მოწინავე ევროპული ქვეყნების საპოლიციო სამართლის გამოცდილება და შემოიღო პრევენციული ღონისძიებების ცნება. პრევენციული საპოლიციო ღონისძიებები სწორი მენეჯმენტის პირობებში უზრუნველყოფს სამართალდარღვევათა თავიდან აცილებას და საზოგადოებრივი წესრიგის ეფექტიან დაცვას.

ახალი კანონის მიღების შედეგად პოლიცია კანონით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას უფლებამოსილია სამართალდარღვევათა თავიდან აცილების მიზნით განახორციელოს პირისგამოკითხვა; პირისიდენტიფიკაცია; ზედაპირული შემოწმება და დათვალიერება; სპეციალური საპოლიციოკონტროლი; ადგილის დატოვები სმოთხოვნა და კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვა; პირის ან სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების ან ნივთის ფაქტობრივი ფლობის შეზღუდვა და ა.შ.

მართლწესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად ახალი კანონის ამოქმედება საგულისხმო აღმოჩნდა მრავალი ასპექტით. კერძოდ, სპეციალური საპოლიციო კონტროლის შედეგად გამოვლენილი იქნა ცივი იარაღის, პნევმატური იარაღის, ცეცხლსასროლი იარაღის ტარების, ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენის, ქონების დაზიანების ფაქტები, წვრილმანი ხულიგნობის არაერთი შემთხვევა. მთლიანობაში ქვეყნის მასშტაბით სულ გამოვლინდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 1829 შემთხვევა, სისხლის სამართლის დანაშაულის 45 შემთხვევა. აღნიშნული საკითხების კონტროლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სხვა უფრო მძიმე დანაშაულების თავიდან აცილების მიზნით.

- შსს-ს მიერ შემუშავებული „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ კანონპროექტი (მიღებულ იქნა (04.10.2013)), რომელმაც ეროვნულ დონეზე სამართალდაცვით სფეროში არსებული საერთაშორისო თანამშრომლობის წესები და პროცედურები დაარეგულირა; აღნიშნულის შედეგად საქართველოს მიერ სავალდებულოდ აღიარებული კონვენციების დებულებები სრულად აისახა საქართველოს კანონმდებლობაში. კანონის მიღების შემდეგ დაინიშნა 5 პოლიციის ატაშე და 1 ატაშეს მოადგილე შემდეგ ქვეყნებში: ავსტრია, ბელორუსი, თურქეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი.
- „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოსკანონისპროექტი, რომელიც მიღების შედეგად (20.11.2013) პოლიციის აკადემია - საპოლიციო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებად ჩამოყალიბდა; შსს აკადემიაში შეიქმნა საპოლიციო რეგულირების სამართლის სამაგისტრო პროგრამა, რომელმაც 2014 წლის სექტემბერში გაიარა ავტორიზაცია და აკრედიტაცია. 2014 წლის შემოდგომის სემესტრში სამაგისტრო პროგრამაზე მიღებული იქნა სტუდენტთა პირველი ნაკადი.
- შსს-ს მიერ მომზადებული„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონის პროექტი (პარლამენტმა მიიღო (27.11.2013)), რომლის შედეგად სქესობრივი დანაშაულების მიმართ სანქციები გაიზარდა; ცვლილებამდე სქესობრივი დანაშაულების მიმართ სისხლის სამართლის კოდექსი ზედმეტად ლიბერალურ სანქციებს ადგენდა.
- შსს-ს მიერ მომზადებული„ საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი (პარლამენტმამიიღო (24.12.2013)), რომლის შედეგადაც საქართველოს კანონმდებლობაში აისახა საგზაო მოძრაობის სფეროს მარეგლამენტირებელი „საგზაო მოძრაობის შესახებ“ და „საგზაო ნიშნებისა და სიგნალების შესახებ“ ვენის კონვენციები; გარდა ამისა, გაზიარებულ იქნა მთელი რიგი ქვეყნების გამოცდილება. თემატურად დაჯგუფდა ნორმები და განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შემდეგი საკითხების მოწესრიგებას: 1) განისაზღვრა გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ახალი რეგულაციები; 2) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით, ევროდირექტივის მოთხოვნების გათვალისწინებით შემოღებულ იქნა მართვის მოწმობის მოქმედების ვადები; 3) დადგინდა ბავშვთა უსაფრთხოდ გადაყვანის ნორმები, აგრეთვე საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უფლება–მოვალეობები, საგზაო მოძრაობის წესები და საგზაო ნიშნები; 4) სათანადო ყურადღება დაეთმო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებებს და საგზაო მოძრაობაში მათი მონაწილეობის რეგულაციას.

აღნიშნული ნორმების დარღვევისთვის კი პასუხისმგებლობა დაწესდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით. მოცემული ცვლილებების განსაკუთრებულ პოზიტიურ შედეგს ხაზს უსვამს ქვემოთ მოცემული სტატისტიკა. ერთი მხრივ, მკაცრი ადმინისტრირების შედეგად გაიზარდა საგზაო მოძრაობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების რაოდენობა, თუმცა, აღნიშნულის შედეგად შემცირდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სატრანსპორტო დანაშაულები და ორჯერ იკლო ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობამ.

შსს-მ საქართველოსადმინისტრაციულსამართალდარღვევათაკოდექსში შესატანი არაერთი ცვლილება შეიმუშავა, რომელიც სხვადასხვა დროს მიღებული იქნა პარლამენტის მიერ (27.11.2013; 11.12.2013; 02.05.2014);

სამინისტროს ჰქონდა ახალი ხედვა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის და სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების რეგულაციასთან დაკავშირებით. საგზაო მოძრაობის ეფექტიანად მოწესრიგებისა და სამართალდარღვევათა პრევენციისთვის აუცილებელი იყო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი მთელი რიგი ნორმების ცალკეულ შემთხვევებში შემსუბუქება და ცალკეულ შემთხვევებში – პირიქით გამკაცრება.

გამკაცრდა შემდეგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები:

- ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალების მართვა - 200 ლარი ნაცვლად მართვის უფლების 6 თვის ვადით შეჩერებისა;
- მანქანის გადაცემა ნასვამ პირზე - 1000 ლარი ნაცვლად 500-ისა;
- მანქანის გადაცემა არასრულწლოვანზე ან ვისაც არ აქვს მართვის უფლება ან შეჩერებული აქვს - 700 ლარი ნაცვლად 200 ლარისა;
- ალკოჰოლური სასმელების სტადიონებზე, სკვერებში, პარკებში, ყველა სახის საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში სმა - 150 ლარი ნაცვლად შრომის ანაზღაურების ორი მინიმალური ოდენობისა;
- მშობლების ან მისი შემცველი პირების მიერ არასრულწლოვანის აღზრდისა და სწავლების მოვალეობათა შეუსრულებლობისთვის - 100-დან 300 ლარამდე ნაცვლად გაფრთხილების ან 200 ლარამდე ჯარიმისა;
- არასრულწლოვნის დათრობა - 300 ლარი ნაცვლად შრომის ანაზღაურების ორი მინიმალური ოდენობისა;

განისაზღვრა ახალი სამართალდარღვევები:

- მანქანის გადაცემა ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული თრობის მდგომარეობაში მყოფ პირზე - სანქცია: ჯარიმა 1000 ლარი;
- ალკოჰოლური სასმელის არასრულწლოვანზე მიყიდვა - სანქცია: ჯარიმა 500 ლარი;
- გზაზე მარეგულირებლის მოთხოვნის შეუსრულებლობა - სანქცია: 50 ლარი ჯარიმა;
- სატრანსპორტო საშუალებით ბავშვთა გადაყვანის უსაფრთხოების წესების დარღვევა - სანქცია: 40 ლარი ჯარიმა;
- ცივი იარაღის ტარება - სანქცია: 200 ლარი ჯარიმა.

თითოეული ზემოაღნიშნული სამართალდარღვევის რეგულაცია მნიშვნელოვანია სხვა უფრო დიდი სამართლებრივი სიკეთეების დასაცავად. ალკოჰოლისა და ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება, ცივი იარაღის ტარება ქუჩის ძალადობის ერთ-ერთ ძირითად მაპროვოცირებელ გარემოებას წარმოადგენს, რისი გაუკონტროლება არაერთ შემთხვევაში ფატალური შედეგით სრულდება. აღნიშნული სამართალდარღვევების მკაცრი ადმინისტრირება ხელს უწყობს საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებას. (2014 წელს გამოვლინდა სატრანსპორტო საშუალების ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მართვის, ან სატრანსპორტო საშუალების მართვისას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ალკოჰოლური სიმთვრალის დასადგენად შემოწმებისათვის თავის არიდების 14957 შემთხვევა, მართვის უფლების არმქონე პირების მიერ სატრანსპორტო საშუალების მართვისთვის და ასეთი პირისთვის ავტომანქანის სამართავად გადაცემის 12907 შემთხვევა; დამუქებული მინებით ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მოძრაობა - 6603 შემთხვევა;)

შემსუბუქდა პასუხისმგებლობა შემდეგი სამართალდარღვევებისთვის:

- უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთა - 50 ლარი ნაცვლად 100 ლარისა;
- რეგისტრაციის დადგენილი წესის გარეშე მართვა - 250 ლარი ნაცვლად 300-სა;
- საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება- 250 ლარი ნაცვლად 300-სა;
- სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ - 50 ლარი ნაცვლად 100 ლარისა;
- სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის ან აღსრულების პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება - ნაცვლად 2000 ლარისა განისაზღვრა ჯარიმა 250 ლარიდან 2000 ლარამდე ან ადმინისტრაციული პატიმრობა 15 დღემდე ვადით.

დაინერგა საურავის დაკისრების ახალი მექანიზმი. ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებდა საკმაოდ მკაცრ და შეუსაბამოდ მაღალი ოდენობის საურავს. განხორციელებული ცვლილებებით განისაზღვრა ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში საურავის ადეკვატური ოდენობა, კერძოდ კი, თუ პირი არ გადაიხდის კანონით დადგენილ 30 დღეში მასზე დაკისრებულ საჯარიმო თანხას, მას საურავი დაეკისრება ჯარიმის ორმაგი ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 500 ლარისა.
ცვლილებამდე არსებული საურავების დაკისრების სისტემა:

ჯარიმა	**საურავი**
10	150

20	150
40	150
50	150
100	500
150	500
200	500
250	500
300	500
500	500
700	500
1000	500
1500	500

ცვლილებების შემდეგ ამოქმედებული სისტემა:

ჯარიმა	**საურავი**
10	20
20	40
40	80
50	100
100	200
150	300
200	400
250	500
300	500
500	500
700	500
1000	500
1500	500

შსს-მ სხვა დაინტერესებულ უწყებებთან ერთად შეიმუშავა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის პროექტი და მისგან გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც პარლამენტმა მიიღო (05.03.2014). აღნიშნული კანონი განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დაურეგულირებელი იმიგრაციული პროცესების მოსაწესრიგებლად; ახლებურად განისაზღვრა უცხოელთა საქართველოში შემოსვლის, გასვლის, ვიზისა და ბინადრობის ნებართვის სახეები, ასევე ქვეყანაში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელების ქვეყნიდან გაძევებისა და ნებაყოფლობით დაბრუნების საკითხები.

საქართველოს პარლამენტმა (05.03.2014) მიიღო შსს-ს მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს ,,ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" და ,,ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონებში ცვლილებების შეტანას. აღნიშნული მიზნად ისახავს ავადმოხმარებადი ნივთიერებების ლეგალური ბრუნვიდან გადინების პრევენციას, პასუხისმგებლობის გამკაცრებას კოდეინის შემცველი კომბინირებული პრეპარატების რეცეპტის გარეშე რეალიზაციისთვის; ცვლილებების შედეგად გათვალისწინებული იქნა კოდეინის შემცველი კომბინირებული პრეპარატების მიმართ დოზის გრადაციების გაუქმება; ამ პრეპარატების რეცეპტის გარეშე რეალიზაციისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესება, როგორც აფთიაქისთვის, ისე აფთიაქის პერსონალისთვის; სააფთიაქო და ფარმაცევტულისაქმიანობისუფლების ჩამორთმევა; საჭიროების შემთხვევაში, შს და ჯანდაცვის მინისტრების ერთობლივი გადაწყვეტილებით ავადმოხმარებადი ნივთიერებების იმპორტის კვოტების განსაზღვრა.

პარლამენტმამიიღო (04.04.2014)შსს-სმიერმომზადებული „სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი, რითაც განხორციელდა ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულებრივი ქმედებების სრული ინკრიმინირება; საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად სსკ-ში მოცემული ცნებები და რეგულაციები სრულად ასახავს ტერორიზმთან ბრძოლის თანამედროვე ტენდენციებსა და ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტებს.

მნიშვნელოვანიაშსს-სმიერმომზადებული „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი, რომლის მიღების (16.04.2014) შედეგად განისაზღვრა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები, მათი ქიმიური კლასები და მოხდა კრიმინალიზება;

შსს-მ შეიმუშავა სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტი, რომლის მიღების შედეგად (02.05.2014) სისხლის სამართლის კოდექსში პირად ცხოვრებაში ჩარევასთან დაკავშირებულ დანაშაულებზე სანქციები გამკაცრდა; აღნიშნული ცვლილების შემდეგ გამოვლინდა პირად ცხოვრებაში უკანონო ჩარევის 5 ფაქტი.

პარლამენტმამიიღო (29.05.2014)შსს-სმიერმომზადებული "სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაშისაგანგებო სიტუაციების ეფექტიანი და ერთიანი მართვის უზრუნველყოფას; კანონის თანახმად საგანგებო სიტუაციების ეფექტიანი და ერთიანი მართვის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდება საგანგებო სიტუაციების მართვის ან/და სახანძრო-სამაშველო დანაყოფების ლიკვიდაცია და მათ ნაცვლად შინაგან სამინისტროს სისტემის ფარგლებში სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო შეიქმნება.

შსს-ის შეიმუშავა სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებები, რომელის მიღების შედეგად 126[1] მუხლის პირველი და მეორე ნაწილით განსაზღვრულ დანაშაულს სასჯელის ზომად დაემატა თავისუფლების აღკვეთა. სასჯელის სახით „თავისუფლების აღკვეთის“ შემოღება საშუალებას აძლევს უფლებამოსილ პირს, ქმედების შემადგენლობის არსებობის შემთხვევაში, ბრალდებულის მიმართ გამოიყენოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული დაკავების ღონისძიება.

შსს–მ შეიმუშავა ახალი კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს ცვლილებების შეტანას სისხლის სამართლის კოდექსის ტერორიზმის თავში და ასევე სხვა თავებში. კანონპროექტს საფუძვლად უდევს მიდგომა, რომელიც აერთიანებს ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა (Countering violent extremism) და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებებს. შესაბამისად, პროექტის მიღების შედეგად, რომელიც დღეის მდგომარეობით უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში განიხილება, სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელდება შემდეგი ცვლილებები: მოხდება ძალადობრივი ქმედებებისკენ მოწოდებისა და უკანონო ფორმირების საქმიანობასთან დაკავშირებული ქმედებების, ისევე როგორც ჯიჰადის მიზნით უცხო სახელმწიფოში გამგზავრებისა და გამგზავრების მცდელობის კრიმინალიზაცია. ამასთანავე, აღსანიშნავია ტერორისტული საქმიანობისთვის გადაბირებისა და ტერორიზმის მხარდაჭერისთვის პასუხისმგებლობის დაწესება.

შსს–სა და იუსტიციის სამინისტროს მიერ ერთობლივად მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი ინიცირებულია პარალმენტში. ცვლილებების პაკეტი ეხება „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონსა და მისგან გამომდინარე სხვა კანონებში იარაღის გაფორმებასთან დაკავშირებით შეზღუდვების დაწესებას.

შსს-მ შეიმუშავა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც მზადდება პარლამენტში წარსადგენად. კანონპროექტი მიზნად ისახავს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის „კიბერდანაშაულთან ბრძოლის შესახებ" ევროპულ კონვენციასთან, სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას; აღნიშნული კანონპროექტის შედეგად სამართალდამცავ ორგანოებს მიეცემათ შესაძლებლობა კომპიუტერულ სისტემაში არსებული ციფრული მტკიცებულებები ამოიღონ კომპიუტერული სისტემის ფიზიკური ამოღების გარეშე.

შსს რეფორმა გრძელდება. 2015 წლის 17 თებერვლის მთავრობის N60 დადგენილებით შეიქმნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების უწყებათშორისი კომისია, რომლის ფუნქციებს განეკუთვნება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების მიმართულებით შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება და საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენა;საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება და საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა;საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს

შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების პროცესში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია.

კომისიის ორგანიზაციულ-ტექნიკურ და ინფორმაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი. კომისიის შემადგენლობაში შედიან აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოსა და პარლამენტის სხვადასხვა კომიტეტის წარმომადგენლები.

რეფორმა არ გულისხმობს პოლიციური და უსაფრთხოების სექტორის მექანიკურ გაყოფას. შესწავლილი იქნა არაერთი ქვეყნის უსაფრთხოებისა და შიდა მართლწესრიგის დამცავი სექტორის ინსტიტუციური ჩარჩო. რეფორმის წარმართვა წარმატებული უცხოური პრაქტიკის შესაბამისად იგეგმება.

„სამინისტროების უმეტესობას არ გააჩნია გრძელვადიანი ხედვა კონკრეტული მიმართულების განვითარებასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით ეს ეკონომიკურ მიმართულებას ეხება.“

კომენტარი: საქართველოს მთავრობამ პირველად შეიმუშავა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია: „საქართველო 2020“. ასევე პირველად მოხდა ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიის შემუშავება და მიღება საქართველოს პარლამენტის მიერ. 2013 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა შვიდი რეგიონის განვითარების სტრატეგიები 2013-2020წწდა 3 წლიანი სამოქმედო გეგმები; რეგიონული განვითარების პროგრამა 2014-2017წწ.; საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020წწ., საქართველოს ჯანდაცვის სისტემის განვითარების კონცეფცია 2014-2017წწ., განათლებისა და მეცნიერების სისტემოსგან ვითარების ძირიტადიმიმართულებები 2012-2025წწ,პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია 2014-2019წწ., ახალგაზრდობის დას პორტის პოლიტიკის სტრატეგიები 2015-2020წწ. და სხვა.

შსს-მ გამოაქვეყნა შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის განვითარების სტრატეგია, რომელიც არის სამინისტროს მიერ შემუშავებული პირველი სტრატეგიული დოკუმენტი. 2013 წლამდე შსს-ს სისტემაში საქმიანობა ერთიანი სტრატეგიის გარეშე ხორციელდებოდა, 2013 წლის სტრატეგია წარმოადგენდა ამ მიმართულებით გადადგმულ პირველ ნაბიჯს. შსს-ს ყველა უწყებას გააჩნია სტრატეგიიდან გამომდინარე ცალკეული სამოქმედო გეგმა, რომელიც შედგენილია ყველა სათანადო კრიტერიუმის დაცვით. შსს-მ საზოგადოებას ასევე წარუდგინა 2014 წლის განვითარების სტრატეგია. ამჯერად მიმდინარეობს მუშაობა შსს-ს გრძელვადიანი

განვითარების სტრატეგიაზე, სამინისტროში დაწყებულია პროცესები აღნიშნული დოკუმენტის შესამუშავებლად.

2. სამართალდამცავი სისტემის შეფასება

1.2.2 შინაგან საქმეთა სამინისტრო

"პოლიციის შესახებ ახალი კანონიმის წინამორბედზე უმჯობესია, თუმცა ზოგიერთ პოზიტიურ ჩანაწერთან ერთად ითვალისწინებს პოლიციელების მიერ ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების, საპოლიციო ღონისძიებების მარეგულირებელ ცალკეულ ზოგად და ბუნდოვან დებულებებს"

კომენტარი:„პოლიციის შესახებ“ 1993 წლის კანონი, რომელიც წარმოადგენდა „მილიციის შესახებ“ საბჭოთა კანონის გადმონაშთს, არ პასუხობდა სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს მოთხოვნებსა და სტანდარტებს. ძველი კანონი საერთოდ უგულვებელყოფდა პოლიციის პრევენციულ ფუნქციებს. მოცემული არ იყო პრევენციული ღონისძიებების განხორციელების წესი, პირობები და ძირითადი პრინციპები. შესაბამისად, პოლიცია პრევენციულ ფუნქციებს საზოგადოებრივი მართლწესრიგის დაცვის პროცესში საკანონმდებლო საფუძვლის გარეშე ახორციელებდა. საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული კანონის უზენაესობისა და კანონისმიერი დათქმის პრინციპების თანახმად კი ადამიანის უფლებების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის საფუძველზე. ამიტომ ახალი კანონის მიღების შედეგად მოხდა არა პოლიციის ფუნქციების გაზრდა, არამედ სწორედ პოლიციის პრევენციული ღონისძიებების სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა და კონსტიტუციური პრინციპების მოთხოვნების გათვალისწინება. ამასთან, კანონში ექსპლიციტურად და ამომწურავად გაიწერა პოლიციის პრევენციული ღონისძიებები. პრევენციული ღონისძიებების ამომწურავი ჩამოთვლა ასევე ხაზს უსვამს სამართლის განსზღვრულობის პრინციპის დაცვას.

გარდა პრევენციული ფუნქციების რეგლამენტირებისა, "პოლიციის შესახებ" ახალი კანონის ერთ-ერთ მთავარ ღირსებას წარმოადგენს ბუნდოვანი ტერმინების განმარტება, რომელიც აღნიშნულის გარეშე მრავალგვარი ინტერპრეტირების საშუალებას იძლეოდა. ტერმინთა განმარტება ემსახურებოდა ორ ძირითად მიზანს: ერთი მხრივ, მოქალაქის დაცვა პოლიციელის თვითნებობისა თუ სუბიექტური შეხედულებებისგან, მეორე მხრივ, პოლიციელის დაცულობაზე ზრუნვა, პოლიციელმაც ასევე უნდა იცოდეს რა სამართლებრივი შედეგი შეიძლება მოყვეს მის ქმედებას; ამიტომ გაუგებარია, ანგარიშში მითითებული ტერმინთა

ბუნდოვანების პრობლემა, განსაკუთრებით, ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების კონტექსტში.

ახალმა კანონმა იძულების ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებული რეგულაციები მნიშველოვნად დახვეწა და აღნიშნული საკითხი შესაბამისობაში მოიყვანა საერთაშორისო სტანდარტებთან და რეკომენდაციებთან. "პოლიციის იძულების ღონისძიებების თავი მთლიანად მომზადდა **გაეროს გენერალური ასამბლეის 1990 წლის რეზოლუციის „ძირითადი პრინციპები სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ“ მოთხოვნების გათვალისწინებით.** აქედან გამომდინარე, კანონით დადგენილია მთელი რიგი მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია პოლიციის მიერ იძულების ღონისძიებების გამოყენებასთან. ასევე, კანონში დამატებით აღინიშნა, რომ პოლიციელს ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლება ეძლევა მხოლოდ სპეციალური მომზადების გავლის შემდეგ, რაც მოქალაქეთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების უფრო მეტად დაცულობის გარანტიას წარმოადგენს. ეს უკანასკნელი აწესებს უფრო მაღალ სტანდარტს, ვიდრე აღნიშნული რეზოლუცია, რომელიც სპეციალური მომზადების ვალდებულებას მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებაზე აწესებს. სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ კურსების გავლას არ ითავლისწინებდა ძველი კანონი.

ახალ კანონში გათვალისწინებულია ასევე ზემოაღნიშნული რეზოლუციით რეგლამენტირებული თანაზომიერების პრინციპის ცალკეული კომპონენტები, რომელიც პოლიციელს ავალდებულებს, იძულების ღონისძიების გამოყენებისას ყოველ კონკრეტულ შემთხვევას მიუდგეს ინდივიდუალურად და გაითვალისწინოს მისი თავისებურებები. ამასთან, გათვალისწინებულია ასევე საერთაშორისო სტანდარტი იძულების ღონისძიებების გამოყენებით მინიმალური ზიანის მიყენებასთან მიმართებით. რეზოლუციის მსგავსად, კანონი ითვალისწინებს პოლიციელის მიერ იძულების ღონისძიებების გამოყენების შედეგად დაზარალებული პირის მიმართ სამედიცინო დახმარების დაუყოვნებლივ აღმოჩენის ვალდებულებასაც.

"პოლიციის შესახებ" ახალი კანონით იძულებითი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებული ძირითადი სიახლეები: ა) სპეციალური საშუალებების სახეობებს ემატება – „შესაბოჭი ბადე“, რომელიც გამოიყენება განვითარებული ქვეყნების საპოლიციო სამსახურების მიერ. გაეროს რეზოლუცია შეიცავს მოთხოვნას, რომ სახელმწიფოებმა უზრუნველყონ პოლიციელების განკარგულებაში არსებული სპეციალური საშუალებების მრავალფეროვნება, რათა მაქსიმალურად იქნეს დაცული თანაზომიერების პრინციპი და ძალის გამოყენებისას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ხელოვნურად არ შეიქმნას ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების აუცილებლობა; **ბ)** ჩნდება ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების 2 სახე: პასიური და აქტიური. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა ახალი მიდგომები: ძველი კანონით ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებად ითვლებოდა მხოლოდ გამიზნული გასროლა და რეგულაციის მიღმა რჩებოდა ისეთი შემთხვევები, როდესაც პოლიციელი ფაქტობრივად იყენებდა ცეცხლსასროლ იარაღს,

მაგალითად: იღებდა ან უმიზნებდა იარაღს, იარაღის ძალით მოითხოვდა დანებებას, მაგრამ ამას თან არ სდევდა გასროლა. ახალ კანონში ცეცხლსასროლი იარაღის ასეთ გამოყენებას ეწოდა **„პასიური“**, ხოლო გამიზნულ გასროლას – **„აქტიური“**; **გ)** ძველ კანონში გაფრთხილებით იარაღის გამოყენების ერთ–ერთი საფუძველია – დაკავებულის გაქცევის შემთხვევა. ახალ კანონში კი შევიწროვდა ეს საფუძველი და შესაძლებელია იარაღის გამოყენება მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის დაკავებული პირის მიმართ, ამასთანავე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პოლიციელისათვის ეს ფაქტი წინასწარ იქნება ცნობილი; **დ)** გაფრთხილების გარეშე იარაღის გამოყენების საფუძვლებში იქნა გადატანილი ცეცხლსასროლი იარაღის წართმევის აღკვეთა, რაც განპირობებულია თავად ამ ქმედების საფრთხის სიმძიმიდან გამომდინარე; **ე)** კანონში ზუსტად განისაზღვრა ცეცხლსასროლი იარაღის გაფრთხილების ტექსტი, რაც სრულად შეესაბამება ევროპული ქვეყნების გამოცდილებას; **ვ)** პოლიციელს აეკრძალა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება მოძრავი სატრანსპორტო საშუალებიდან მოძრავი სატრანსპორტო საშუალების მიმართულებით; **ზ)** ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების საფუძვლებს დაემატა ერთი შემთხვევა, კერძოდ, დასაშვებია იარაღის გამოყენება სასიკვდილოდ დაზიანებული ან დასნებოვნებული ცხოველის მიმართ.
როგორც ვხედავთ, ახალმა კანონმა არათუ გაზარდა, პირიქით, არაერთ შემთხვევაში შეავიწროვა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შემთხვევები.

“რეიდების დროს დაფიქსირდა ცალკეული უფლებადარღვევის ფაქტები; ასევე, პოლიციელთა მხრიდან ადგილი ჰქონდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მოტივით მოქალაქეთა დაკავების რამოდენიმე ფაქტს; თუმცა, არცერთ აღნიშნულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული პოლიციის არგუმენტები და არ დადასტურდა მოქალაქის მხრიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი.”

კომენტარი: სპეციალური საპოლიციო კონტროლის შედეგად გამოვლენილი იქნა ცივი იარაღის, პნევმატური იარაღის, ცეცხლსასროლი იარაღის ტარების, ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენის, ქონების დაზიანების ფაქტები, წვრილმანი ხულიგნობის არაერთი შემთხვევა. 2014 წლის მანძილზე მთლიანობაში ქვეყნის მასშტაბით სულ გამოვლინდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 1829 შემთხვევა, სისხლის სამართლის დანაშაულის 45 შემთხვევა. თითოეული ზემოაღნიშნული სამართალდარღვევის რეგულაცია მნიშვნელოვანია სხვა უფრო დიდი სამართლებრივი სიკეთეების დასაცავად. ალკოჰოლისა და ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება, ცივი იარაღის ტარება ქუჩის ძალადობის ერთ-ერთ ძირითად მაპროვოცირებელ გარემოებას წარმოადგენს, რისი უკონტროლობა

არაერთ შემთხვევაში ფატალური შედეგით სრულდება. აღნიშნული სამართალდარღვევების მკაცრი ადმინისტრირება ხელს უწყობს საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებას. აღსანიშნავია, რომ სასამართლო კონტროლის თვალსაზრისით სამართალდარღვევათა მცირე ნაწილი გასაჩივრდა სასამართლოში, ამიტომ რთულია იმ პოზიციის გაზიარება, რომ სპეციალური საპოლიციო კონტროლის ღონისძიებების შედეგად სასამართლო ხელისუფლებამ არ დაადასტურა სამართალდარღვევის ფაქტები.

ასევე აღსანიშნავია, რომ საგზაო მოძრაობის მკაცრი ადმინისტრირების შედეგად გაიზარდა საგზაო მოძრაობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების რაოდენობა, თუმცა, აღნიშნულის შედეგად შემცირდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სატრანსპორტო დანაშაულები და ორჯერ იკლო ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობამ.

	ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა
2012	588 664
2013	1 233 752
2014	970 587

	<u>სისხლის სამართლის კოდექსის 276–ე მუხლით გათვალისწინებული</u> დანაშაული (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა)
2012	5359
2013	5510
2014	4282

	ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობა
2012	605
2013	514

2014	356

„შსს-სთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო მშვიდობიანი შეკრებების მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვა“

კომენტარი: სამართალდამცავი ორგანოების დეპოლიტიზებისა და მიუკერძოებლობის ერთ-ერთ მაჩვენებელს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ პოლიცია იცავს საზოგადოების ნებისმიერი ჯგუფის, მათ შორის, პოლიტიკური ოპოზიციის, მიერ ჩატარებულ შეკრება-მანიფესტაციას. არაერთ შემთხვევაში სწორედ პოლიციის აქტიური ღონისძიებების შედეგად გახდა შესაძლებელი ლეტალური შედეგის თავიდან აცილება, როდესაც შეკრებაში მონაწილე პირები სხვა, მოწინააღმდეგე აქციაში/დემონსტრაციაში მონაწილეთაგან თავდასხმის მსხვერპლნი იყვნენ.

1.2.1 პროკურატურა

კომენტარი: მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის კუთხით. 2013 და 2014 წლებში წინა წლებთან შედარებით გაიზარდა განრიდებულ არასრულწლოვანთა რიცხვი და შემცირდა არასრულწლოვნებში პატიმრობის მაჩვენებელი.

2014 წელს პროკურტაურის ყველა სტრუქტურულ დანაყოფში განისაზღვრა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პროკურორი, რაც წლების განმავლობაში არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მოთხოვნას წარმოადგენდა.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის №216 ბრძანებაში „განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისთვი სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე“. კერძოდ, ბრძანებასრულ შესაბამისობაში მოვიდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან, განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გავრცელება შესაძლებელი გახდა იმ არასრულწლოვნების მიმართაც, რომლებმაც ჩაიდინეს მძიმე კატეგორიის დანაშაული. ამასთან, პროცესში მონაწილე მხარეებისთვის (პროკურორის, მედიატორის, სოციალური მუშაკისთვის) განისაზღვრა განრიდების ეტაპების კონკრეტული ვადები, რაც გამორიცხავს არასრულწლოვანის მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის გაჭიანურებას.

სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო და გამამტყუნებელი განაჩენი დადგა წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ჩამდენი არაერთი პირის, ასევე საჯარო მოხელეების და მასთან გათანაბრებულები პირების მიმართ.

2013-2014 წლებში გაიზარდა პროკურატურის სისტემაში შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების მაჩვენებელი. სახალხო დამცველის აპარატთან ინტენსიური თანამშრომლობის შედეგად დროული რეაგირება მოხდა სახალხო დამცველისგან შემოსულ არაერთ რეკომენდაციაზე, გაიზარდა სახალხო დამცველისგან შემოსულ წერილებზე გამოძიების დაწყების მაჩვენებელი.

2014 წელს ახალი კვალიფიციური კადრების შერჩევის მიზნით განახორციელა სტაჟირების კონკურსი. ჩატარდა 3 ეტაპიანიშერჩევადაშემოტანილი 1702 განაცხადიდანშეირჩასაუკეთესო 57 კონკურსანტი. აღნიშნულმა კანდიდატებმა გაიარეს ერთ თვიანი ინტენსიურიმ ომზადების კურსი, რომელიც ყველა პრიორიტეტულ თემატიკასთან ერთად მოიცავდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საკითხების სწავლებას. მათი ძირითადი ნაწილი ამ დროისთვის საქართველოს პროკურატურის სხვადასხვა ტერიტორიულ ორგანოშია გადანაწილებული და გადის სტაჟირებას.

2015 წლის თებერვალში შეიქმნა სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი, რომელსაც წინ უძღოდა 2012 წლის ოქტომბრიდან პროკურატურის სისტემაში შემოსული ათასობით საჩივარ-განცხადების დეტალური, მოცულობითი ანალიზი.

დეპარტამენტი ცემა-წამების, ქონების უკანონოდ ჩამორთმევის და მოხელეთა მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულების ფაქტებს გამოიძიებენ.

II. სისხლის სამართლის მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო პროცესი

2.2. არჩევნების შემდგომი ვითარება და გატარებული რეფორმები

კომენტარი: განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სატელეფონო საუბრებისა და ჩაწერის ფარული საგამოძიებო მოქმედებების, ასევე უფლებამოსილი ორგანოს მიერ კოპირებულ მონაცემთა ბანკებში განხორციელებულ აქტივობებზე ზედამხედველობის ეფექტიანი სისტემის დანერგვის მიზნით პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი განისაზღვრა საგამოძიებო ორგანოების მაკონტროლებელ გარე უწყებად. კონტროლის მექანიზმი ხორციელდება ფარულის საგამოძიებო მოქმედებების განხორცილების ორ ეტაპიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით. აღნიშნული სისტემა გამორიცხავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ელექტრონული თანხმობის გარეშე უფლებამოსილი ორგანოს მიერ ობიექტის აქტივაციის შესახებ ბრძანების დამოუკიდებლად

ინიცირების შესაძლებლობას. შესაბამისად, კანონმდებლობა მთლიანად იზიარებს ევროსაბჭოს ექსპერტების მიერ რეკომენდებულ "ორი გასაღების სისტემა"–ს.
საგამოძიებო ორგანოების მოქმედების კანონიერების გადამოწმების შესაძლებლობას იძლევა კანონის ის დანაწესი, რომლის თანახმადაც სამართალდამცავი ორგანოს მიერ მოთხოვნილი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის ან მისი ჩატარების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის განჩინების ერთი ეგზემპლარი, აგრეთვე სამართალდამცავი ორგანოს მიერ სასამართლოს ნებართვის გარეშე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ მოსამართლის განჩინების ერთი ეგზემპლარი, განჩინების გამოტანიდან 24 საათში გადაეცემა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს.
გარდა ამისა, "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონის 35-ე მუხლის თანახმად პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს აქვს ზოგადი კომპეტენცია შეამოწმოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტი, როგორც საჯარო, ისე კერძო დაწესებულებებში. საგამოძიებო ორგანოების შემოწმებისას, იგი უფლებამოსილია შემოწმების განხორციელებისას გამოითხოვოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და დანაშაულის გამოძიების ამსახველი ნებისმიერი სახის მასალა, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნება და აუცილებელია შემოწმების განსახორციელებლად; ინსპექტორი უფლებამოსილია გაეცნოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და დანაშაულის გამოძიების ამსახველ ნებისმიერ მასალას, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნება, მიუხედავად მათი შინაარსისა და შენახვის ფორმისა. ყოველივე ზემოაღნიშნული, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს საშუალებას აძლევს განახორციელოს ეფექტიანი და ქმედითი კონტროლი.
ცვლილებების შემუშავების პროცესშიც და შემდგომ, დაფიქსირდა მოსაზრება, რომ მიზანშეწონილია ე. წ. „გასაღების“ შსს–ს სისტემიდან გასვლა და მისი პროვაიდერი კომპანიებისთვის გადაცემა. აღსანიშნავია, რომ პროვაიდერი კომპანიებისათვის ე.წ. „გასაღების“ გადაცემით მაქსიმალურად გართულდება პროვაიდერი კომპანიის საქმიანობის კონტროლი. „გასაღების“ ფლობის შემთხვევაში, მობილურ ოპერატორებს მარტივად შეუძლიათ გაიგონ კომუნიკაციის შინაარსიც. ამის დამადასტურებელი ფაქტები მრავლად არსებობს იმ ქვეყნებში, სადაც სატელეფონო მიყურადებას ახორციელებენ კომუნიკაციის სუბიექტები. მაგალითად, საბერძნეთში ერთ-ერთი მობილური კომპანია დაჯარიმდა 76 მლნ. ევროთი პრემიერ-მინისტრის, ცნობილი პოლიტიკოსების, სამხედროების, ჟურნალისტების, ბიზნესმენებისა და სხვა პირთა მოსმენების გამო. საქართველო არის ოკუპირებული ქვეყანა და მობილური ოპერატორები უცხო ქვეყნის რეზიდენტებია. ასეთი ვითარება პირდაპირ გავლენას იქონიებს უცხოეთის სადაზვერვო ორგანიზაციების შესაძლებლობების გაზრდაზე და ამის პროპორციულად, საქართველოს კონტრდაზვერვითი შესაძლებლობების შესუსტებაზე. სიტუაციას ართულებს ის ფაქტი, რომ ოპერატორები არ იღებენ პასუხისმგებლობას ინფორმაციის პოტენციურ გაჟონვასთან დაკავშირებით. გასაღების ოპერატორებისთვის

გადაცემით, სამართალდამცავი ორგანოები ვერ უზრუნველყოფენ სახელმწიფოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე საიდუმლო ინფორმაციის დაცვას.
საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინების თვალსაზრისით, არსებობს არაერთი ქვეყანა(ხორვატია, უნგრეთი, პოლონეთი, ისრაელი და სხვ.), სადაც ასეთი ფუნქციასახელმწიფოს სამართალდამცავ ორგანოებს გააჩნია.უფრო მეტიც, აღნიშნულ სფეროში ახალი მიდგომები შეიმუშავა საფრანგეთმა, რომელიც 2015 წლიდან იწყებს სრულიად ახალ და არსებითად განსხვავებულ მოდელზე გადასვლას, რაც გულისხმობს ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებას უშუალოდ სამართალდამცავი ორგანოების მიერ მობილური ოპერატორების მონაწილეობის გარეშე. ამ შემთხვევაში ქვეყნები ითვალისწინებენ საკუთარი სახელმწიფოების სპეციფიკას და მათ წინაშე მდგარ გამოწვევებს. აღნიშნული საკითხებზე მსჯელობისას, საქართველოც უნდა გამოვიდეს სახელმწიფოს სპეციფიკურობიდან და არსებული საფრთხეებიდან.
ასევე არსებობდა ალტერნატიული მოსაზრება, რომ მიზანშეწონილია „გასაღების“ სასამართლოსთვის გადაცემა:
აღსანიშნავია, რომ მიყურადების ფუნქციის სასამართლოსთვის გადაცემა ინსტიტუციურად არასწორია. ხელისუფლების დანაწილების პრინციპის გათვალისწინებით, სასამართლო არ წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს.
სსსკ-ის 143[1] მუხლის თანახმად, ფარული მიყურადება ფარული საგამოძიებო ღონისძიებების სახეს წარმოადგენს. ნებისმიერ სახელმწიფოში საგამოძიებო მოქმედებებს აღმასრულებელი ხელისუფლება ახორციელებს.
საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სასამართლო არის ორგანო, რომელიც თავად იძლევა ნებართვას ფარული საგამოძიებო ღონისძიების განხორციელების კუთხით. შესაბამისად, სასამართლო ხელისუფლების როლს წარმოადგენს ფარული საგამოძიებო მოქმედებების შეფასება და კონტროლი. ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოც მის როლად მოიაზრებს - კონტროლის ფუნქციას.
აქედან გამომდინარე, ყველაზე ოპტიმალურ მოდელს წარმოადგენდა ორეტაპიან ელექტრონულ სისტემაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ჩართვა.

1.2. არჩევნების შემდგომი ვითარება და გატარებული რეფორმები

„არჩევნების შემდგომ პერიოდში განსაკუთრებით საყურადღებო იყო სისხლის სამართლისკანონმდებლობისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული რეგულაციებისრეფორმის პროცესი. შეიძლება ითქვას, რომ ახალი

ხელისუფლების პირობებში მნიშვნელოვანი რეფორმა განხორციელდა რიგი მიმართულებებით, მათ შორის:

- გაუქმდა სასჯელთა უპირობო შეკრებითობის პრინციპი;
- საპროცესო შეთანხმების მარეგულირებელი კანონმდებლობა გაუმჯობესდა;
- დაცვის მხარეს მიენიჭა ჩხრეკა/ამოღების განხორციელების უფლება, თუმცა ჩამოერთვა
საგამონაკლისო წესით მტკიცებულებების წარდგენის უფლება;
- აღსანიშნავია ხელისუფლების ინიციატივა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სისტემისძირეული რეფორმის ინიცირების თაობაზე, რაც ითვალისწინებს ფუნდამენტური რეფორმის განხორციელებას, იმისათვის, რომ ამ პროცესში ადამიანის უფლებათა ძირითადი სტანდარტებიიყოს დაცული. აღნიშნული რეფორმა ჯერ განხორციელების პროცესშია, თუმცა სპეციალურისამთავრობო კომისიის ხედვა რეფორმის მიმართულებასთან დაკავშირებით, მათ შორის,სისხლისსამართლებრივი ბუნების მქონე გადაცდომების სისხლის სამართალში გადატანისსაკითხი მისასალმებელია;
- პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს დაზარალებულის (დაზარალებულის, უფლებამონაცვლის) ცალკეული უფლებების გაზრდა სისხლის სამართლის პროცესში, მათ შორის, დაზარალებულად არ ცნობის შემთხვევაში, გადაწყვეტილების გასაჩივრრება ზემდგომპროკურორთან/სასამართლოში, დაზარალებულს უფლება გაეცნოს სისხლის სამართლის საქმეს.“ (გ. 12).“

კომენტარი:შეფასებაში არაფერია ნათქვამი იმ ხანგრძლივ და ნაყოფიერ პროცესზე, რომელიც თითქმის ორი წელია მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვის კუთხით. კერძოდ, მომზადდა კანონპროექტი, რომელიც გვთავაზობს კოდექსის ზოგადი და კერძო ნაწილების მუხლების დაახლოებით ნახევრის ახალ რედაქციას (ჯამში 200-ზე მეტი მუხლი განიცდის ცვლილებას).

პროექტზე აქტიურად მუშაობდნენ იუსტიციის სამინისტროს, მთავარი პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, აგრეთვე ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები, მათ შორის, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ჯგუფი მოსამართლე რენატე ვინტერის ხელმძღვანელობით, მოსამართლე აგნეშკა მილარტი, ინგლისის სასექსის უნივერსიტეტის პროფესორი რიჩარდ ვოგლერი, კრაკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ვლოდიმირუ ვრუბელი, სისხლის სამართლის სფეროს აღიარებული ქართველი ექსპერტები მინდია უგრეხელიძე, ოთარ გამყრელიძე, მერაბ ტურავა, ნინო გვენეტაძე, მზია ლეკვეიშვილი და სხვები. მოეწყო არაერთი კონფერენცია და მრგვალი მაგიდა, აგრეთვე, სასწავლო ტური

პოლონეთში. პროექტი არაერთხელ იქნა განხილული სამოქალაქო საზოგადოებასთან შეხვედრების დროს.

პროექტი დამტკიცებულ იქნა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს 2014 წლის 11 მარტის სხდომაზე და გადაიგზავნა საერთაშორისო ექსპერტიზაზე. ევროპის საბჭოს ექსპერტთა დასკვა სულ ახლახანს გამოეგზავნა იუსტიციის სამინისტროს და იგი ძალზე პოზიტიურ შეფასებებს გვთავაზობს კანონპროექტის ძირითადი პრინციპების მიმართ. განსაკუთრებით ხაზგასმულია და დადებითად არის შეფასებული კანონპროექტის მისწრაფება უფრო ჰუმანური და ლიბერალური სისხლის სამართლის კანონმდებლობის დამკვიდრების მხრივ. პროექტზე მუშაობა უახლოეს მომავალში დასრულდება და იგი საქართველოს პარლამენტს საშემოდგომო სესიაზე წარედგინება.

შეფასებაში ასევე არაფერია ნათქვამი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თაობაზე:

საქართველოში განხორციელებული და მიმდინარე სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის მნიშვნელოვანი ნაწილია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შემუშავება, რომელიც მოამზადა იუსტიციის სამინისტრომ, დაამტკიცა მთავრობამ და ამჟამად განიხილება საქართველოს პარლამენტის მიერ.

კანონპროექტის მომზადებაგანაპირობა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვანთა მონაწილეობის მარეგულირებელი ნორმების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის საჭიროებამ, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დასაცავად საკმარისი საკანონმდებლო გარანტიების არარსებობამ, არასრულწლოვნის განსაკუთრებულ ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობასთან შეუსაბამო სამართლებრივმა სისტემამ, რომელიც არ არის ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსზე, იუსტიციის სამინისტროსთან ერთად, აქტიურად მუშაობდნენ ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ჯგუფი მოსამართლე რენატე ვინტერის ხელმძღვანელობით, გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლები, ასევე, ქართველი ექსპერტები, მათ შორის ნინო გვენეტაძე.

არასრულწლოვნების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულების აუცილებლობა აღიარებულ იქნა ჯერ კიდევ 1924 წელს, ბავშვის უფლებების შესახებ ჟენევის დეკლარაციით,

არასრულწლოვნების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულების საკითხს ეხება მრავალი მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელთა დებულებებსაც დაეყრდნო წინამდებარე კოდექსი, მათ შორის: ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს გენერალური ასამბლეის დეკლარაცია (1959), ბავშვის უფლებათა კონვენცია (1989) და მისი დამატებითი ოქმი (2000), არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები (პეკინის წესები) (1985), არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის მართლმსაჯულების სახელმძღვანელო პრინციპები (2005), თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების დაცვის გაეროს წესები (ჰავანას წესები) (1990), არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების პრევენციის გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები (ერ-რიადის წესები) (1990), სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობისგან ბავშვთა დაცვის კონვენცია (ლანზაროტეს კონვენცია) (2007), ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპები (2010), არასრულწლოვანი დამნაშავეების მიმართ გამოსაყენებელი სანქციების ან ზომების შესახებ ევროპული წესები (ევროპული წესები) (2008), სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წესდებები და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები. გარდა ამისა,გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შემუშავებული აქვს ორი მოდელური კანონი - „მართლმსაჯულება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების საქმეებზე“ (არასრულწლოვნების მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონი) და „სისხლის სამართლის მართლმსაჯულება არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის მონაწილეობით“ (არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის მოდელური კანონი) - იმ მიზნით, რომ დაეხმაროს წევრ სახელმწიფოებს საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღებაში.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ითვალისწინებს ყველა პრინციპს, რომლებსაც ეყრდნობა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები. კერძოდ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ძირითადი პრინციპებია:

- არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა;
- ყველაზე მსუბუქი საშუალებისა დაალტერნატიული ზომების პირველი რიგში გათვალისწინების ვალდებულება;

- პატიმრობა და თავისუფლების აღკვეთა გამოიყენება როგორც უკიდურესი ზომა;
- არადისკრიმინაციულობა;
- არასრულწლოვნის ჰარმონიული განვითარების უფლება;
- ნასამართლობა გაქარწყლებულად ითვლება სასჯელის მოხდისთანავე, ხოლო პირობითი მსჯავრის შემთხვევაში - გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე;
- მოსამართლის, პროკურორის, ადვოკატის, გამომძიებლის, პოლიციელის, სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის და ყველა სხვა პროფესიონალის სპეციალიზაციის მოთხოვნა;
- ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის საფუძველზე;
- ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულების დროს პირველ რიგში განიხილება განრიდების საკითხი. წინასასამართლო სხდომამდე განრიდების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი. განრიდება ასევე შეიძლება იქნეს გამოყენებული წინასასამართლო სხდომის შემდეგ, შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლო საქმეს უბრუნებს პროკურორს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად;
- არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოში;
- მთელი რიგი შეღავათები სრულწლოვანებთან შედარებით (ბრალდებულად ყოფნა - 6 თვე; პატიმრობა - 40 დღე; სხვა).
- არასაპატიმრო სასჯელის სახეებს შორის გათვალისწინებულია შინაპატიმრობა; უვადო თავისუფლების აღკვეთა არასრულწლოვნის მიმართ არ გამოიყენება;
- მოსამართლე უფლებამოსილია დანიშნოს კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე ნაკლები ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი თუ არასრულწლოვანი წარსულში არ ყოფილა ნასამართლევი და სახეზეა შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა.
- საპატიმრო და სარეაბილიტაციო დაწესებულებაში ერთმანეთისგან განცალკევებით უნდა მოთავსდნენ: ბრალდებული და მსჯავრდებული არასრულწლოვნები; მდედრობითი და მამრობითი სქესის არასრულწლოვნები.

- არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მათი განთავსება უნდა მოხდეს ასაკობრივი ჯგუფის, დანაშაულის სიმძიმის, ფიზიკური და გონებრივი განვითარების, აგრეთვე, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, სხვა მახასიათებლების მიხედვით.

2.3 რეკომენდაციები

„სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის პროცესში კანონმდებელმა გაითვალისწინოს ნარკოპოლიტიკის ჰუმანიზაციის საკითხიც და უარი თქვას არათანაზომიერსანქციებზე, რომელიც დღეს მოქმედებს. ამასთან, სასურველია, ნარკოტიკული საშუალებისმოხმარება არ დაექვემდებაროს თავისუფლების აღკვეთის სასჯელს და არ იყოს დაკავშირებული ნასამართლობასთან."

კომენტარი:მთავრობამ უკვე დაამტკიცა და საქართველოს პარლამენტს უკვე წარედგინა განსახილველად ცვლილება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლში, რომლითაც ერთმანეთისგან გაიმიჯნება, ერთი მხრივ, ნარკოტიკული საშუალების წარმოება, დამზადება, შეძენა, შენახვა, გადატანა, გადაზიდვა და, მეორე მხრივ, მისი გასაღება. შესაბამისად, განსხვავებული იქნება სანქციებიც.

„სასამართლოების მხრიდან მხოლოდ აუცილებლობის შემთვევაში უნდა მოხდეს აღკვეთის ღონისძიებების შეფარდება და ამასთან, აქტიურად უნდა იქნეს გამოყენებული გირაოსა დაპატიმრობის ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიებები." (გვ. 13).

კომენტარი: მთავრობამ უკვე დაამტკიცა და საქართველოს პარლამენტს უკვე წარედგინა განსახილველად ცვლილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომლის თანახმად იცვლება აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების რეჟიმი. მოსამართლეს ექნება ვალდებულება დაასაბუთოს, კონკრეტულ მტკიცებულებებზე მითითებით, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინება; მტკიცების ტვირთი ყველა შემთხვევაში ექნება პროკურატურას; ხოლო, სასამართლო ვალდებული იქნება პერიოდულად, ორ თვეში ერთხელ, თავისი ინიციატივით, გადასინჯოს აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის აუცილებლობის საკითხი.

3. სასამართლოსისტემა

3.2 არჩევნებისშემდგომივითარებადაგატარებულირეფორმები

„აღნიშნულ პოზიტიურ ცვლილებებთან ერთად, მიუხედავად, ვენეციის კომისიის და ადგილობრივიექსპერტების უარყოფითი შეფასებისა, კონსტიტუციაში 2010 წელს მიღებული ცვლილებამოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით გამწესების შესახებ, განმტკიცდა ორგანულ კანონში მიღებულდამატებითი ცვლილებებით და შესაბამისად - 2014 წლიდან ეს ინსტიტუტი პრაქტიკაშიც ამოქმედდა.“

„სასამართლოს დამოუკიდებლობის ინსტიტუციური გარანტიების შესაქმნელად მნიშვნელოვანია:

- გაუქმდეს მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით, 3 წლით, დანიშვნის შესაძლებლობა;
- გაუმჯობესდეს მოსამართლეთა თავდაპირველი შერჩევისა და დანიშვნის საკითხი. საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს ნათლად ფორმულირებული და გამართულიკრიტერიუმები, კანდიდათა პროფესიონალიზმისა და კეთილსინდისიერების ინსტრუმენტები; ასევე, საკანონმდებლო დონეზე გაიწეროს აღნიშნულ პროცესში საბჭოს მიერდასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების ვალდებულება;
- განხორციელდეს მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სისტემის რეფორმა. დისციპლინური წარმოება უნდა დაეფუძნოს განჭვრეტად საფუძვლებს, პროცედურა კი უნდა უზრუნველყოფდესსაქმის სამართლიანი განხილვის შესაძლებლობას. ასევე არსებითად უნდა გადაიხედოსმოსამართლეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სისტემა, როგორც მატერიალურიასევე პროცესუალური თვალსაზრისით;
- შეიცვალოს საქმის განაწილების წესი და ამ პროცესში შეიზღუდოს თავმჯდომარისუფლებამოსილება;
- დადგინდეს სასამართლოს თავმჯდომარეთა არჩევითობის პრინციპი და გაჯანსაღდესთავმჯდომარის უფლებამოსილებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა;
- ნათლად გაიმიჯნოს უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფუნქციები,ასევე გადაიხედოს უზენაესი სასამართლოს წევრთა და თავმჯდომარის თანამდებობაზეგამწესების პროცედურული ნორმები პროცესის გამჭვირვალობისა და გადაწყვეტილების დასაბუთებულობის ხარისხის გაზრდის მიზნით;

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის სავალდებულო გახდეს გადაწყვეტილებების დასაბუთება;
- დაიხვეწოს საბჭოს საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა, მაგ. განისაზღვროსინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი ნორმები, სხდომის მომზადების, დღის წესრიგის შედგენასთან დაკავშირებული საკითხები და სხვ.
- გაძლიერდეს მოსამართლეთა განგრძობადი პროფესიული მომზადების სისტემა იუსტიციისუმაღლეს სკოლაში გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის ხარისხისა ზრდისა და ადამიანისუფლებებზე დაფუძნებული მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბებისთვის."

კომენტარი:საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აგრძელებს აქტიურ საქმიანობას სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად და მართლმსაჯულების სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის ასამაღლებად.

როგორც სწორედ არის აღნიშნული შეფასების ავტორების მიერ, რეფორმა რამდენიმე ეტაპად ხორციელდება. ჩვენ არ შევუდგებით რეფორმის პირველ ეტაპზე განხორციელებული ინსტიტუციური და საპროცესო ხასიათის ცვლილებების აღწერას, რადგან ისინი კარგად არის ცნობილი შეფასების ავტორებისათვის.

რეფორმისმეორე ეტაპი დაეთმო 2014 წელს არჩეული პრეზიდენტის მეირ ფიცის დადების შემდეგ ამოქმედებულ კონსტიტუციურ ცვლილებას, რომელმაც შემოიღო **მოსამართლის უვადო განწესების პრინციპი.** ამასთანავე, ორგანულმა კანონმა, კონსტიტუციით განსაზღვრული შესაძლებლობის შესაბამისად, დაადგინა მოსამართლის განწესება 3 წლის ვადით (ე.წ. „გამოსაცდელი ვადა"). აქვე აღინიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო განახორციელებს 3 წლიანი ვადის განმავლობაში მოსამართლის საქმიანობის შეფასებას და შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე იმსჯელებს და მიიღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, გაამწესოს თუ არა აღნიშნული მოსამართლე თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. აქედან გამომდინარე, საჭირო გახდა თანამდებობაზე სამი წლის ვადით დანიშნული მოსამართლის საქმიანობის შეფასების ისეთი კრიტერიუმებისა და პროცედურის ჩამოყალიბება, რომელიც დაადგენდა შეფასების პროცესის ობიექტურად, კეთილსინდისიერად და მიუკერძოებლად წარმართვის ვალდებულებას და, ამავე დროს, გაითვალისწინებდა შეფასების პროცესში მოსამართლის ინტერესების დაცვის

სამართლებრივ გარანტიებს. ამასთან, ეს პროცესი ჰარმონიზებული უნდა ყოფილიყო განვითარებული ქვეყნების გამოცდილებასთან. საბოლოოდ, უნდა შექმნილიყო მოსამართლეთა შეფასების ობიექტური და გამჭვირვალე მექანიზმი, რომელიც სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ უზრუნველყოფს მოსამართლის თანამდებობაზე ისეთი პროფესიონალის განწესებას, რომელმაც დაამტკიცა, რომ არის კვალიფიციური, კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელი და ხანგრძლივი ვადით იმსახურებს მოსამართლის მანტიას.

მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის, გამოსაცდელი ვადის და შეფასების საკითხებზე სასაუბროდ 2014 წლის თებერვლის ბოლოს, იუსტიციის სამინისტროს მასპინძლობით, საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებმა, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებმა, ქვეყანაში აკრედიტებულმა მისიებმა. კონფერენციის მონაწილეებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს გერმანელმა, ბრიტანელმა, ავსტრიელმა, ამერიკელმა და პოლონელმა მოსამართლეებმა. მოწვეულ სტუმრებს შორის იყო ხორვატიის საკონსტიტუციო სასამართლოს წევრიც, რომელიც კონფერენციაზე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თხოვნით, ვენეციის კომისიამ მოავლინა. კონფერენციის მიზანი იყო ევროპელი და ამერიკელი მოსამართლეების გამოცდილებისა და რჩევების საფუძველზე მოსამართლეთა შეფასების ისეთი ეფექტური სისტემის შემუშავება, რომელიც, ერთი მხრივ, სრულ შესაბამისობაში იქნებოდა საერთაშორისო სტანდარტებთან, ხოლო, მეორე მხრივ, ყველაზე უკეთ მოერგებოდა ქართულ რეალობას და ჩვენი საზოგადოების მოთხოვნებს.

კანონპროექტის შემუშავების პროცესში შესწავლილ იქნა აშშ-ის, გერმანიის, ავსტრიის, პოლონეთისა და დიდი ბრიტანეთის გამოცდილებაც. განხილული მასალების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მოსამართლეთა შეფასება უნდა ეფუძნებოდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებულ, სამართლიან, ამომწურავ და მოსამართლისათვის წინასწარ ცნობილ კრიტერიუმებსა და პროცედურებს, ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოსამართლის მიერ

შეფასების შედეგების თაობაზე საკუთარი მოსაზრების გამოხატვისა და თანამდებობაზე უვადოდ გამწესების თაობაზე უარყოფითი გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა.

მოსამართლეთა შეფასება დაეყრდნობა ორ ძირითად კრიტერიუმს - კეთილსინდისიერებას და კომპეტენტურობას, რომლებიც,თავისმხრივ, მოიცავენ ცალკეულ მახასიათებლებს. კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების შეფასება, მათი შინაარსობრივი დატვრითვიდან გამომდინარე, სხვადასხვა პრინციპს ეფუძნება. შეფასებას ყოველ წელს, ერთმანეთის პარალელურად, ახორციელებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთი მოსამართლე და ერთი არამოსამართლე წევრი. შეფასების პროცესში მათ შეუზლიათ გაატაროს საჭირო ღონისძიებები კანონით გათვალისწინებული კრიტერიუმებით მოსამართლის შესაფასებლად - დაესწრონ სასამართლო სხდომებს, ასევე პირადად შეხვდნენ მოსამართლეს ან სხვა პირებს და დაუსვან კითხვები კონკრეტულ საკითხებთა ნდაკავშირებული ინფორმაციის მოსაპოვებლად. შეფასების განმახორციელებელი პირები შეფასების პროცესში შეისწავლიან შესაფასებელი მოსამართლის მიერ განხილულ საქმეებს და გამოტანილ გადაწყვეტილებებს.

კომპეტენტურობის კრიტერიუმის შეფასება ხორციელდება ქულათა სისტემის მეშვეობით. რაც შეეხება კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, მისი შეფასების შედეგად, მიიღება ერთ-ერთი შემდეგი დასკვნა: მოსამართლე არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, მოსამართლე აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს ან მოსამართლე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

შეფასების შედეგების ანალიზისა და მოსამართლესთან გასაუბრების საფუძველზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭო მსჯელობს და სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ით იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, გაამწესოს თუ არა აღნიშნული მოსამართლე თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

პირი უფლებამოსილია გაასაჩივროს მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესებაზე უარის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება, რისთვისაც საქართველოს უზენაეს სასამართლოში იქმნება საჩივრის განმხილველი უფლებამოსილი ერთეული - საკვალიფიკაციო პალატა. საკვალიფიკაციო პალატის გამოვლენილი დარღვევა მხოლოდ

მაშინ შეიძლება გახდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ასეთმა დარღვევამ იმოქმედა საბოლოო შედეგზე და გამოიწვია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ არსებითად არასწორი გადაწყვეტილების მიღება.

საკვალიფიკაციო პალატის მიერ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო, საკვალიფიკაციო პალატის გადაწყვეტილების გათვალისწინებით, ხელახლა მსჯელობს მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების საკითხზე და იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების ან უვადოდ გამწესებაზე უარის შესახებ.

საქართველოს პარლამენტმა საკანონმდებლო პაკეტი 2014 წლის 1 აგვისტოს მიიღო, რითაც დასრულდა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მეორე ეტაპი.

მართლმსაჯულების სისტემისრეფორმის მესამე ეტაპზე უფრო მეტი აქცენტი კეთდება თითოეული მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიებსა და სასამართლოს საქმიანობაში მის ჩართულობაზე. გარდა ამისა:

- საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრება მოსამართლეობის **კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები და მათი მახასიათებლები.** საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეთა შერჩევისას დაეყრდნობა ორ ძირითად კრიტერიუმს - კეთილსინდისიერებას და კომპეტენტურობას. დგინდება მოსამართლეობის კანდიდატის თაობაზე სანდო ინფორმაციის მოძიების წესი, ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევები და მოსამართლის თანამდებობაზე განწესებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების **გასაჩივრების შესაძლებლობა;**

- მოსამართლეობის ყველა კანდიდატი **თანამდებობაზე განწესდება კონკურსის წესით.** მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად თანაბარ პირობებში მოექცევიან იუსტიციის მსმენელები და ის პირები, რომლებიც გათავისუფლებულნი არიან იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლისაგან;

- მოწესრიგდება იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენლების მისაღები კონკურსის პროცედურა და ამ პროცესში ერთმანეთისაგან **გაიმიჯნება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის კომპეტენცია,** დაწესდება კონკურსის ობიექტურად და თანასწორად წარმართვისა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება; უზრუნველყოფილი იქნება იუსტიციის უმაღლესი სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობა და შეიქმნება დამოუკიდებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობა;

- უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდება მოსამართლის **საქმიანობაში ჩაურევლობის გარანტიები**. კანონში მიეთითება, რომ არავის აქვს უფლება მიუთითოს მოსამართლეს, თუ როგორი გადაწყვეტილება მიიღოს კონკრეტულ საქმეზე;

- სასამართლოს **თავმჯდომარეებს და თავმჯდომარეების მოადგილეებს თავად აირჩევენ** შესაბამისი რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები;

- რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების **თავმჯდომარეებსშეეზღუდებათ ადმინისტრაციული ფუნქციები.** ისინი მხოლოდ ზედამხედველობას გაუწევენ სასამართლოს აპარატის მუშაობას. სასამართლოს აპარატის უშუალო ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას განახორციელებს სასამართლოს მენეჯერი;

- შემოღებული იქნება **საქმეთა ავტომატური განაწილების პრინციპი.**რაიონულ (საქალაქო) დასააპელაციოსასამართლოებში მოსამართლეთა შორის საქმეები განაწილდება ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით. ახალი წესის თანახმად, მხოლოდ ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხებისას იქნება დასაშვები საქმეების ელექტრონული სისტემის გარეშე განაწილება, თუმცა, ამ შემთხვევაშიც კანონით დადგენილი წესისა და პირობების დაცვით;

- **მოწესრიგდება მოსამართლეთა მივლინების პროცედურა.** მივლინება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მოსამართლის თანხმობითნ და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დასაბუთებულიგადაწყვეტილებით. მოსამართლის თანხმობის გარეშე მივლინება ტერიტორიულად ახლომდებარე სასამართლოდან დასაშვები იქნება მხოლოდ აუცილებლობისშემთხვევაში, თუამასმოითხოვსმართლმსაჯულებისინტერესები და თუ კანონით დადგენილი წესით (რეზერვში მყოფი მოსამართლეები, მოსამართლეები საკუთარი თანხმობის საფუძველზე) ვერ მოხდა მოსამართლის შერჩევა, რისთვისაც ასევე სავალდებულოა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დასაბუთებულიგადაწყვეტილების არსებობა;

- დაიხვეწება **დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურები.** თავმჯდომარე აღარ იქნება უფლებამოსილი აღძრას მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნა. ამ ფუნქციას შეითავსებს მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭო;

- გაიზრდება **იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობის ხარისხი.**საბჭო ვალდებული იქნება საბჭოს ვებგვერდზე განათავსოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, საბჭოს შემადგენლობის ცვლილებასთან ან მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია, აგრეთვე ინფორმაცია მოსამართლის ვაკანტურითანამდებობისდასაკავებლადგამოცხადებულიკონკურსისა და მისი შედეგებისშესახებ. ამასთან, საბჭო ვალდებული იქნება საბჭოს სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ 2 დღით ადრე უზრუნველყოს სხდომისთარიღისა და დღისწესრიგის თაობაზე ინფორმაციისვებგვერდზეგანთავსება;

- გაფართოვდება **საკასაციო სასამართლოში საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმები,** მათ შორის, იმ კუთხით, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დასაშვებად ცნოს საჩივარი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, თუ იგი წინააღმდეგობაშია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან. ამასთან, სისხლის სამართლის საქმეზე საკასაციო საჩივარი დასაშვები იქნება ნებისმერი შემთხვევაში, თუ საქმე ეხება არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენას.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მართლმსაჯულების რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიას გაეგზავნა, რომელმაც დადებითად შეაფასა მიმდინარე რეფორმის ძირითადი პრინციპები. ვენეციის კომისიის მიერ მომზადებულ დასკვნაში ასახული რეკომენდაციებისა და მოსაზრებების დიდი ნაწილი გაზიარებულ იქნა იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებულ პაკეტში.

გადამუშავებული საკანონმდებლო პაკეტი საქართველოს მთავრობამ 2015 წლის 31 მარტის სხდომაზე დაამტკიცა.

იძულებით გადაადგილებული პირები - დევნილები

1. 2014 წლის 30 ოქტომბერის საქართველოს მთავრობის განკარგულების *#1944* მიხედვით დამტკიცდა „*იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის თაობაზე პროექტი*“. აღნიშნული პროექტის[1]**პირველ ეტაპზე** განხორციელდა დევნილთა მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ დევნილთა ჩასახლების (კოლექტიური ცენტრების) იდენტიფიკაცია (აღნიშნული სამუშაოების დროს მოხდა შემდეგი ობიექტების იდენტიფიცირება და დაჯგუფება - 1. ობიექტები, რომლებიც რეგისტრირებულია სახელმწიფო საკუთრებაში; 2. ობიექტები, რომლებიც საერთოდ არ არის რეგისტრირებული; 3. დაბოლოს, ობიექტები, რომლებიც რეგისტრირებულია კერძო საკუთრებაში), ხოლო **მეორე ეტაპზე** კი პრივატიზაციის პროცესის უშუალო დანერგვა/განხორციელება.

2. სამინისტროში მოქმედ ცხელ ხაზსასევე დაემატა პრივატიზების პროექტთან დაკავშირებით სპეციალური განყოფილება. აღნიშნული განყოფილება უზრუნველყოფს ბენეფიციარების მიერ დასმულ კითხვებზე ამომწურავი პასუხების გაცემას.

[1]პროექტი ხორციელდება 2 (ორ) ეტაპად

ამას გარდა, საჩივრის არსებობის შემთხვევაში, დევნილს შესაძლებლობა აქვს დაუკავშირდეს სამინისტროსა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ერთობლივი პროექტის ფარგლებში მოქმედ საჩივრების ცხელი ხაზის ოპერატორებს და მიაწოდოს ინფორმაცია მისთვის პრობლემურ საკითხზე. ოპერატორები მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში უზრუნველყოფენ საჩივრის დარეგისტრირებას, სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისგან ინფორმაციის მიღებასა და მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით დევნილის ყველა ეტაპზე ინფორმირებას. საბოლოო ეტაპზე, იდენტიფიცირებული სირთულეების ანალიზის საფუძველზე დგება ანალიტკური ანგარიში და შესაბამისი რეკომენდაციები კანონმდებლობასა თუ პრაქტიკაში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით წარედგინება სამინისტროს მენეჯერულ რგოლს.

3. ამას გარდა, 2014 წელს საქართველოს ოკუპირებლი ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის ბრძანების #500 საფუძველზე ჩამოყალიბდა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანია 2009-2012 წლებში პრივატიზაციის პროცესში დაშვებული ხარვეზების გასწორება.

აღნიშნულ ჯგუფში ერთიანედებიან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საქართველოს ოკუპირებლი ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.

4. ასევე განსახლების მიმართულებით აღსანიშნავია სამინისტროს მიერ ადგილობრივ და უცხოელ სამშენებლო კომპანიებთან თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც იძულებით გადაადგილებული პირები გრძელვადიანი განსახლებით იქნებიან უზრუნველყოფილნი, ძირითადად მათი განსახლება საქართველოს 8 ქალაქში მოხდება.

5. ცვლილებები შევიდა განსახლების გრძელვადიანი გადაწყვეტის სახელმძღვანელო პრინციპებში, კრიტერიუმებსა და პროცედურებში, კერძოდ - 1. დაზუსტდა განცხადების წარდგენის ვადები; 2. განცხადების წარმოდგენიდან 15 დღის ვადაში დევნილს შესაძლებლობა აქვს წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია, რომლის

საფუძველზეც შესაძლებელია მინიჭებულ ქულებში მოდიფიცირების შეტანა; 3. შშმ პირებისა და მოწყვლადი კატეგორიის იძულებით გადაადგილებული პირების საჭიროებებიდან გამომდინარე მოხდა სპეციალური მექანიზმების იდენტიფიცირება; 4. დაბოლოს, დევნილები, რომლებიც ცხოვრობენ ნათესავის ბინაში (1), რომლებიც ცხოვრობენ ქირით (2), ასევე ომში დაღუპულთა ოჯახებს (3) და სამხედრო ჯილდოების მქონე პირებს (4) დამატებითი ქულები ემატებათ.

6. აქვე აღსანიშნავია სოფილად სახლის შეძენის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც 115 აპლიკანტს სამინისტრომ შეუძინა სოფლად სახლი საკარმიდამო ნაკვეთით.

7. ამას გარდა, აღნიშვნის ღირსია ის, რომ სამინისტროს დევნილთა საარსებო წყაროების ხელმისაწვდომობის შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, სამინისტრომ შექმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი (შემდგომში „*სსიპ*“) „*დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო*“.

სსიპ-ი შეიქმნა 2014 წლის 13 თებერვლის საქართველოს მთავრობის დადგენილებით #144. სსიპ-ი 2013 წლის 7 აგვისტოს მინისტრის ბრძანებით #317 ხელმძღვანელობს. ამ უკანასკნელის მიზანიაიძულებითგადაადგილებულპირთა – დევნილთასოციალურ-ეკონომიკურინტეგრაცია, დასაქმების, მომსახურების, ინფრასტრუქტურისადასაცხოვრებელიპირობებისგაუმჯობესება.

„სამინისტრო, როგორც წესი, არ ახდენდა საცხოვრებლით დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ წერილობითი გადაწყვეტილების დროულ გაგზავნას ადრესატ დევნილ ოჯახებთან“.

კომენტარი: აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ხსენებული პრაქტიკის არსებობა გამოწვეულია შესაბამისი კომისიის შეკრების სიხშირითა და შემოსული განცხადებების რაოდენობით. შესაბამისად, სირთულეებთან არის დაკავშირებული ყველა აპლიკანტისათვის ათასობით წერილობით შეტყობინების გაგზავნა. ამის საკომპენსაციოდ, სამინისტრო კომისიის შეხვედრის შესაბამისი ოქმის გაფორმებისთანავე, განხილულ განცხადებებზე პასუხებს (როგორც დადებითს, ასევე უარყოფითს) საკუთარი ვებ-გვერდის საშუალებით აქვეყნებს.აქვე აღსანიშნავია, რომ დევნილის მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში, მას ეგზავნება დასაბუთებული უარი.

სამინისტროს აინტერესებს ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ანგარიშში მოცემული პასაჟის ზუსტი მნიშვნელობა და კონკრეტული მაგალითები - „დადებითადუნდაშეფასდესდევნილთასაცხოვრებლითდაკმაყოფილებასთანდაკავშირებითგადადგმულიკონკრეტულინაბიჯები, თუმცა,სხვადასხვამიმართულებითარსებულიხარვეზებიაღნიშნულპროცესსაფერხებსდაუარყოფითადაისახებადევნილთაუფლებრივმდგომარეობაზე“.

რეკომენდაციები

„არსებული გამოცდილების გაანალიზების საფუძველზე გადაიხედოს საცხოვრებელი ფართების განაწილების კრიტერიუმები და ქულათა სისტემა“ – 2014 წელს სამჯერ გადაიხედა საცხოვრებელი ფართების განაწილების კრიტერიუმები და ქულათა სისტემა.“

კომენტარი:აღნიშნული პროცესი განგრძობადია და განახლებადი. ის მუდმივად მიმდინარეობს. ამ პროცესში აქტიურად არიან ჩართული ადგილობრივი არასამთავრობო და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

„სამინისტრომ შეასრულოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები წერილობითი გადაწყვეტილებების ადრესატ დევნილებთან გაგზავნის და გასაჩივრების მექანიზმების განმარტებასთან დაკავშირებით“.

კომენტარი:სამინისტრო ამ მიმართულებით არსებულ რეკომენდაციებს პროგრამული უზრუნველყოფით განახორციელებს, კერძოდ, დევნილს შესაძლებლობა აქვს შეამოწმოს სამინისტროს ვებ-გვერდზე სპეციალურ ოფციაში პირადი ნომრის მითითებით სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ამას გარდა, ადრესატისათვის შესაძლებელი იქნება მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნა. აღნიშნულ პროგრამულ უზრუნვეყოფას ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტი განახორციელებს.

4. სასჯელაღსრულების სისტემის შეფასება

„2013 წლიდან სასჯელაღსრულების სისტემაში მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა. გატარებული რეფორმების შედეგად, პატიმართა წამება სისტემურ პრობლემას აღარ

წარმოადგენს.[2] თუმცა, 2013-2014 წლებში დაფიქსირდა მსჯავრდებულთა მიმართ არასათანადო მოპყრობის ცალკეული ფაქტები.[3]„

კომენტარი: აღნიშნულ ფაქტებზე განხორციელდა შესაბამისი რეაგირება. კერძოდ, სასჯელაღსრულებისადაპრობაციისსამინისტროსსაგამოძიებოდეპარტამენტშიპატიმართამიმა რთარასათანადომოპყრობისფაქტებზე, 2012 წლიდანდღემდეგამოძიებადაიწყო 33 სისხლისსამართლისსაქმეზე. აღნიშნული საქმეები, შემდგომიგამოძიებისმიზნით, ქვემდებარეობისსაკითხისგადასაწყვეტად, გადაიგზავნასაქართველოსმთავარპროკურატურაში.

„2013 წლის იანვარში განხორციელებულმა ფართომასშტაბიანმა ამნისტიამ, შეწყალების, მსჯავრებულთა ვადამდე ადრე გათავისუფლების მექანიზმების აქტიურმა გამოყენებამ დიდწილად მოხსნა გადატვირთულობის პრობლემა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. საქვეუწყებო დაწესებულება - სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სასჯელაღსრულების სამინისტროსთან ინტეგრირება და სრული დაქვემდებარება მნიშვნელოვან რეფორმას წარმოადგენს. ამასთანავე, პენიტენციურ სისტემაში გატარდა მნიშვნელოვანი რეფორმები პატიმართა ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის კუთხით, მაგრამ ამ მიმართულებით პრობლემები ბოლომდე არ არის აღმოფხვრილი.“

კომენტარი:პატიმრობის კოდექსში განხორციელდა ცვლილებები, რომლის მიხედვითაც გაუმჯობესდა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საყოფაცხოვრებო პირობები, კერძოდ გაიზარდა საცხოვრებელი ფართის ოდენობა ბრალდებულებისათვის 3^2 მეტრამდე, ხოლო მსჯავრდებულებისათვის 4^2 მეტრამდე, ასევე გაიზარდა მსჯავრდებულთა ხანმოკლე, ხანგრძლივი პაემნების და სატელეფონო საუბრების ოდენობა. ცვლილების თანახმად განისაზღვრა მსჯავრდებულთა საშიშროების რისკებად დაყოფისა და შესაბამის დაწესებულებებში განთავსების შესაძლებლობა. დეტალურად გაიწერა აუდიო-ვიდეო და სხვა ტექნიკური საშულებებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების წესი და პირობები.

„რეფორმების მიუხედავად, ასევე, პრობლემა დრჩება მსჯავრდებულთა არასათანადო მოპყრობის შესახებ ათასობით საჩივარზე გამოძიების არაეფექტურობა. დღემდე არ არსებობს მსჯავრდებულთა საჩივრების განხილვის ეფექტური მექანიზმი, ხოლო სისტემის შიგნით მომხდარ დანაშაულებსა და გადაცდომებზე გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული მოკვლევები უმეტესწილად არაობიექტური და არაეფექტურია.“

---

[2]საქართველოსსახალხოდამცველისანგარიში, საქართველოშიადამიანისუფლებათადათავისუფლებათადაცვისმდგომარეობისშესახებ, თბილისი, 2013, 5

[3]ადამიანისუფლებათაცენტრისანგარიში – მსჯავრდებულთაუფლებებიდამათიდაცვისმექანიზმები, თბილისი, 2014, 26–28

კომენტარი:იგეგმება გენერალური ინსპექციის რეფორმა და მისი ჩამოყალიბება ერთიან ეფექტურ შიდა მონიტორინგის მექანიზმად, რომლის უმთავრესი ფუნქცია შესაძლო სამსახურეობრივი გადაცდომების პრევენციაიქნება.ეს მნიშვნელოვნად შეუწყობსხელს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის სისტემაში აღნიშნული პრობლემის გადაჭრას.აქვე დეტალურად განვმარტავთ, თუ 2012 წლის პირველ ოქტომბრამდე მხოლოდ 27 დისციპლინარული სასჯელი იქნა გამოყენებული (მხოლოდ 2 პირი განთავისუფლდა), 2013-14 წლებში 384 მდე პირის მიმართ იქნა გამოყენებული დისციპლინარული სასჯელი (115 პირი გათავისუფლდა). 2013 წელს შექმნა2013 წელს შექმნა პირველი პრეცედენტი, როდესაც სისტემის მოქმედი თანამშრომლები მიეცნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში იმ პირობებში, როდესაც ამგვარ ფაქტებს მანამდე ადგილი არ ჰქონია.

5. საარჩევნო რეფორმა

"ფოტოსურათების შედარების გზით სიებში არსებული გაორებების აღმოფხვრამ, რაც შედეგებიდან გამომდინარე არ წარმოადგენდა დიდი მასშტაბის პრობლემას[4] ვერ უზრუნველყო სიებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა."

კომენტარი: 2014 წლის თვითმართველობის არჩევნებისათვის საარჩევნო კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა გამოიღო ორი მნიშვნელოვანი შედეგი, ერთი შემოწმებული იქნა საარჩევნო სიაში არსებული პიროვნებების ფოტოსურათები გაორებული მონაცემების აღმოსაჩენად და ზოგადად საარჩევნო სიაში ამომრჩეველთა რეკვიზიტებს დაემატა ფოტოსურათი, რაც იყო ძალიან წინგადადგმული ნაბიჯი საარჩევნო პროცესის გამჭირვალედ წარმართვის მიმართულებით.
პირველი აქტივობის მიზანი იყო რომ შეუძლებელი ყოფილიყო ერთი და იგივე ადამიანს ორჯერ მიეცა ხმა, ხოლო მეორე აქტივობის - საარჩევნო უბანზე ყოფილიყო გაყალბებული დოკუმენტების წარდგენის ფაქტის დაფიქსირების ეფექტური შესაძლებლობა.

,, მიგვაჩნია, რომ საარჩევნო სიების სრულყოფის მიღწევის ერთადერთ გზას წარმოადგენს სიის შედგენა ამომრჩეველთა ბიომეტრულ მონაცემებზე დაყრდნობით;

[4] http://sda.gov.ge/ka-GE/news-view/newsid=3122&callerModID=18166

საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლის ინტერესების გათვალისწინებით, უნდა მოხდეს ხმის მიცემის ალტერნატიული საშუალებების შესახებ განხილვის დაწყება;“

კომენტარი: ბიომეტრული მონაცემებზე დაყრდნობით სიის შედგენისას, სიაში მოხვდებიან მხოლოდ ის ამომრჩეველი ვისაც აქვს უკვე გაცემული ბიომეტრული დოკუმენტი ასევე ვინც გაივლის არჩევნებამდე ბიომეტრულ რეგისატრაციას, არჩევნები პერიოდისთვის მხოლოდ 1 100 000 მდე ადამიანი ფლობდა ბიომეტრულ დოკუმენტს და საჭირო იყო 2 000 000 მდე ამომრჩევლის რეგისტრაცია, ამ მდგომარეობიდან გამომდინარე არსებობდა რეალური შანსი იმმისა, რომ ვერ მოხერხებულიყო ყველა ამომრჩევლის მოცემულ ვადებში რეგისტრაცია ეს კი გამოიწვევდა მოქალაქეტა საარჩევნო უფლების შეზღუდვას. ამ ეტაპირათვის უკვე 1 750 000 ადამიანი ფლობს ბიომეტრიულ დოკუმენტს და იუსტიციის სამინისტროს ძალისხმევით ეს მაჩვენებელი დინამიურად იზრდება.

6. ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა

6.1.2 დაგეგმილი და განხორციელებული ცვლილებები

„ საქართველოს დედაქალაქში, უბნების დონეზე უნდა ჩამოყალიბებულიყო წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, რომელთაც უნდა ჰქონოდათ საკუთარი უფლებამოსილებები და ბიუჯეტი. მიღებული ორგანული კანონი უკვე აღარ ითვალისწინებს ასეთი ინსტიტუტის შექმნას.“

კომენტარი: საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების პროექტი, (მოქალაქეთა მონაწილეობის ნაწილში) არ ითვალისწინებს, საქართველოს დედაქალაქში, უბნების დონეზე წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ჩამოყალიბებას.

თვითმმართველობის კოდექსის 152-ე მუხლი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტების ტერიტორიული ოპტიმიზაციის პროცესის გაგრძელებას.

„ეკონომიკური საფუძვლები. სამთავრობო სტრატეგიის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობების საკუთარი შემოსულობები უნდა გაზრდილიყო ზიარი გადასახადების შემოღებით - საშემოსავლო გადასახადის ნაწილის ადგილზე დატოვებით. „

კომენტარი: 2014 წელს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა საბიუჯეტო კოდექსში ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს 2016 წლის1 იანვრიდან საშემოსავლო გადასახადის ზოგიერთი სახის მიმართვას თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში, ნაცვლად სახელმწიფო ბიუჯეტისა.

შემდგომი ფისკალური დეცენტრალიზაცია მიზანშეწონილია განხორციელდეს თვითმმართველი ერთეულებისათვის კომპეტენციების გაზრდის პარალელურად, ხოლო უფლებამოსილებების შემდგომი დელეგირება თავისმხრივ უნდა განხორციელდეს მუნიციპალიტეტების შესაძლებლობის გაძლიერების პარალელურად (ასევე არსებული ეკონომიკური პარამეტრების და ფისკალური რესურსის გათვალისწინებით)

,,უნდა დაწყებულიყო სახელმწიფოს ხელში არსებული ქონების დიდი ნაწილის თვითმმართველობებისათვის გადაცემის პროცესი. იმის გათვალისწინებით, რომ ფისკალური დეცენტრალიზაციის გარეშე თვითმმართველობის დამოუკიდებლობა და ეფექტურობა შეუძლებელია, "თვითმმართველობის კოდექსის" გარდამავალი დებულებები, ვადების მითითებით, მთავრობას ავალდებულებდა, დაეწყო მუნიციპალიტეტებისათვის ქონების გადაცემის მომზადების პროცესი, რისი ნიშნებიც ჯერ კიდევ არ ჩანს. ამასთან, არასამთავრობო ორგანიზაციების წარდგენილი არაერთი წინადადებისა და რეკომენდაციის მიუხედავად, მმართველი პოლიტიკური ძალა, ამ დრომდე, თავს იკავებს ზიარი საშემოსავლო გადასახადის შესახებ დისკუსიის დაწყებისგანაც კი. „

კომენტარი: საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში შესული ცვლილებების შესაბამისად, საშემოსავლო გადასახადის ნაწილი (ა) საშემოსავლო გადასახადი მეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან;
ბ) არარეზიდენტი პირების საშემოსავლო გადასახადი (ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან);
გ) საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტიდან;
დ) საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირისათვის ქონების ჩუქებიდან;
ე) საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების მემკვიდრეობით მიღებიდან;
ვ) საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან) 2016 წლის პირველი იანვრიდან ჩაირიცხება ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 107-ე მუხლი, განსაზღრავს მუნიციპალიტეტისთვის მიკუთვნებული ქონების ნუსხას.

7. რელიგიისთავისუფლებისმდგომარეობა

საჯარო სკოლებში ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმისა და დისკრიმინაციის პრაქტიკების არსებობა წლების განმავლობაში განათლების სისტემის სერიოზულ გამოწვევად რჩება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ეფექტურად არ პასუხობს აღნიშნულ პრობლემას და არც შესაბამისი სტრატეგია და პოლიტიკის დოკუმენტი გააჩნია.

კომენტარი:საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების სისტემის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს ზოგადიგანათლებისმაღალიხარისხისთანაბარიხელმისაწვდომობისუზრუნველყოფა წარმოადგენსყველაბავშვისთვისათვისგანურჩევლადასაკის, რელიგიურიაღმსარებლობის, საცხოვრებელიადგილის, ეთნიკურიწარმომავლობისადასოციალურიმდგომარეობისა, რაც, რა თქმა უნდა, ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმისა და რელიგიური დისკრიმინაციისაგან თავისუფალ საგანმანათლებლო სივრცეს მოიაზრებს.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონმა შექმნა საჯაროს კოლებში სეკულარული და ტოლერანტული გარემოსდაცვის მნიშვნელოვანი სამართლებრივი გარანტიები. მასში გათვალისწინებულიქნა მთელი რიგი პრინციპები, რომლებიც გამოიყენება სკოლების ყოველდღიურ ცხოვრებაში, ინერგება სასწავლო პროცესში, სხვა აქტივობებში. ამასთან, სამინისტრო მოქმედებს საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის ფარგლებში. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, რომლებიც ამკვიდრებენ მოსწავლის აღზრდას ტოლერანტ და კანონმორჩილ მოქალაქედ.

ძალადობის წინააღმდეგ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კომპლექსურ მუშაობას ახორციელებს შემდეგი მიმართულებით: **ა) მოსწავლეთა და მასწავლებელთა ცნობიერების**

ამაღლება ბ) რელიგიური და სხვა ტიპის ძალადობის იდენტიფიცირება გ) ძალადობის ფაქტების გამოვლენა და რეაგირება

ა) ცნობიერების ამაღლება

მნიშვნელოვანია, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვის სავალდებულო დოკუმენტში - ეროვნულ სასწავლო გეგმაში - გათვალისწინებულია საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლება, რომელიც ხელს უწყობს მოზარდის თავისუფალ პიროვნებად და პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქედ ჩამოყალიბებას. სწორედ, საზოგადოებრივი მეცნიერებების შესწავლისას ხდება იმ ცოდნის მიღება, რომელიც ეხმარება მოსწავლეს ადამიანის უფლებების დაცვასა და პიროვნების პატივისცემაში, საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შენარჩუნებაში. ეს საგნობრივი ჯგუფი მიზნად ისახავს მოსწავლეებს გააცნობიერებინოს საკუთარი პასუხისმგებლობები და უფლებები დემოკრატიული საზოგადოებისა და კანონის უზენაესობის წინაშე; გააცნოს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ჩარჩოები, ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები და საშუალებები საქართველოში.

საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების მიზანია ინფორმირებული, აქტიური მოქალაქის აღზრდა და ჰუმანურ ადამიანად ჩამოყალიბება.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი საგნები: ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება. სწავლების სამივე საფეხურზე მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით ზემოაღნიშნული საგნები სათანადოდ ფარავენ შემდეგ საკითხებს: ადამიანის სიცოცხლის, ღირსებისა და უფლებების პატივისცემა; თანაგრძნობა და მზრუნველობა; მშვიდობიანი თანაცხოვრება; პრინციპულობა და მოქალაქეობრივი სიმამაცე; კონფლიქტების არაძალადობრივი გზებით მოგვარება; თანასწორობა; ტოლერანტობა; სამართლიანობა და კანონის პატივისცემა და სხვა.

საზოგადოებრივი ჯგუფის საგნებიდან აღსანიშნავია სამოქალაქო განათლება, რომელიც ცალკე საგნად ისწავლება IX-X კლასებში (XI-XII კლასებში არის არჩევითი საგნები), მისი ელემენტები ასევე ინტეგრირებულია ჩვენი საქართველოს (V-VI კლასები) და ისტორიის (VII-VIII კლასები) საგნებში. სამოქალაქო განათლების დანიშნულებაა, დაეხმაროს მოსწავლეს: საქართველოს, როგორც მრავალფეროვანი ქვეყნის გაცნობიერებაში; საკუთარი თავის საქართველოს მოქალაქედ გააზრებაში; მოქალაქეობით განპირობებული უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების დაცვა/შესრულებისთვის კონკრეტული ქმედებების

განხორციელებაში; სამოქალაქო საზოგადოებისთვის საკუთარი და სხვისი უფლებების დაცვის მნიშვნელობის გააზრებასა და განხორციელებაში და ა.შ.

ისტორიის საგნობრივ პროგრამაში ცალკე მიმართულების სახე აქვს კულტურასა და რელიგიას. რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს სხვადასხვა რელიგიების ისტორიის, მათი განვითარებისა და კულტურული ასპექტების სწავლება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ეროვნულ სასწავლო გეგმაში ერთ-ერთი პრიორიტეტული გამჭოლი მიმართულება არის სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია. ეს გულისხმობს, მოსწავლეებთან ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებაზე მუშაობას და განვითარებას, რომელიც აუცილებელია სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისთვის: კონსტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მშვიდობიანი გზით მოგვარება, შემწყნარებლობა, სხვისი უფლებების პატივისცემა, დემოკრატიული პრინციპების აღიარება და სხვა.

გარდა სავალდებულო განათლებისა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არაფორმალური განათლების ფარგლებში დამატებით ახორციელებს პროგრამებს, რომლებიც მიმართულია მოსწავლეთა შორის ტოლერანტული და ურთიერთშემწყნარებლური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაზე:

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტი ახორციელებს მულტიკულტურული საზაფხულო სკოლის პროგრამას ეთნიკური უმცირესობებისა და სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელთათვის.

პროექტის ფარგლებში საზაფხულო სკოლაში ჩართულ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს უტარდებათ ქართულის ენის შემსწავლი ტრენინგები, ინტერაქტიული სასწავლო კურსები და სხვა პროგრამები.

„სოციალური ინკლუზიის“ პროგრამის ფარგლებში, ტოლერანტობისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით საქართველოში მცხოვრები ბოშებისა და რეპატრირებული მესხებისათვის ხორციელდება საგანმანათლებლო აქტივობები.

2013 წლიდან ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვის მონიტორინგს.

2013-2014 წლებში ჩატარდა მონიტორინგი დაწყებით საფეხურზე თბილისსა და რეგიონის 37 საჯარო სკოლაში, VI კლასის ყველა საგანში, რაც გულისხმობდა გაკვეთილზე დაკვირვებას, მასწავლებლების ინტერვიუირებას და შემაჯამებელი დავალებების ანალიზს.

საგაკვეთილო დაკვირვებისთვის შერჩეული ოთხი კრიტერიუმიდან ერთ-ერთი იყო „პოზიტიური გარემო“, რაც გულისხმობს იმის დადგენას, თუ:

- რამდენად ზრუნავს მასწავლებელი კონსტრუქციული გარემოს შექმნაზე, რომელშიც თითოეული მოსწავლე დაცულად იგრძნობს თავს;
- რამდენად აძლევს მასწავლებელი ყველა მოსწავლეს საშუალებას თავისუფლად გამოხატოს აზრი;
- რამდენად არის დაცული სწავლაზე და მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფის აუცილებელი პირობა - სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის დაცვა, რაც მოსწავლეთა ინდივიდუალური ბუნების მრავალფეროვნების, მათი ფსიქო-ემოციური თავისებურებების გათვალისწინებას და თითოეულისთვის განვითარების თანაბარი პირობების უზრუნველყოფას გულისხმობს;
- რამდენად სცემს მასწავლებელი პატივს კულტურულ მრავალფეროვნებას, იცავს განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობისა და რელიგიური აღმსარებლობის მქონე მოსწავლეთა უფლებებს.

მონიტორინგმა გვიჩვენა, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი 15.8% არ არის დაცული, 39.4%-ის შემთხვევაში ნაწილობრივ არის დაცული, ხოლო დაკვირვებათა 39.6% გვიჩვენებს, რომ აღნიშნული პრინციპი სრულად არის დაცული.

მონიტორინგი გრძელდება 2014-2015 წლებში საბაზო საფეხურზე (IX კლასის ყველა საგანში).

ბ) ძალადობის იდენტიფიცირება

რელიგიური და სხვა სახის ძალადობის იდენტიფიცირების მიზნით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში გამოყოფილია პასუხისმგებელი პირები, რომელთაც ძალადობის იდენტიფიცირებისათვის საჭირო უნარების გამომუშავების მიზნით უტარდებათ შესაბამისი ტრენინგები.

გ) ძალადობის ფაქტის გამოვლენა და რეაგირება

რელიგიური და სხვა ძალადობის შემთხვევების გამოვლენისა და რეაგირების მიზნით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სისტემატურ მონიტორინგს. სკოლის მხრიდან რაიმე ტიპის გადაცდომის გამოვლენის შემთხვევაში, მონიტორინგის ჯგუფი სკოლას ადგილზე აძლევს რეკომენდაციას ან/და მიმართავს სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს დარღვევაზე შემდგომი რეაგირების მიზნით.

„სამინისტრო არ უზრუნველყოფს პროაქტიული მონიტორინგის მექანიზმების გამოყენებას პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათზე რეაგირების მიზნით“

კომენტარი:ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის შემთხვევების გამოვლენისა და მათზე დროული და ეფექტური რეაგირების მიზნით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლების სისტემატურ მონიტორინგს ახორციელებს. მონიტორინგი სამ დონეზე წარმოებს: 2012 წლის ბოლოს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტში შეიქმნა მონიტორინგისა და კოორდინაციის სამმართველო, რომლის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას სწორედ სკოლების მონიტორინგი წარმოადგენს. 2013 წლიდან სკოლების მონიტორინგის ფუნქცია დაეკისრათ აგრეთვე საგანმანათლებლო რესურსცენტრებს. გარდა ამისა საკუთრივ სკოლის დირექცია ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო სკოლაში რელიგიური დისკრიმინაციისაგან თავისუფალი გარემო და მანდატურთან ერთად ამ მიზნით სისტემატურად აკონტროლოს მდგომარეობა სკოლაში. მანდატურები ყოველდღიურად აწარმოებენ სკოლაში აღმოჩენილი დარღვევების აღრიცხვას და ინფორმაციას აწვდიან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სკოლის დირექციას. სკოლის მხრიდან რაიმე ტიპის გადაცდომის დაფიქსირების შემთხვევაში, მონიტორინგის ჯგუფი სკოლას ადგილზე აძლევს რეკომენდაციას ან/და მიმართავს სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტს დარღვევაზე შემდგომი რეაგირების მიზნით. განხორციელებული მონიტორინგის შედეგად საქართველოში არსებული 2085 სკოლიდან სულ გამოვლენილ იქნა რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის, რელიგიური შეუწყნარებლობისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის დარღვევის 6 ფაქტი: კერძოდ, 2013 წელს - 4 შემთხვევა

(აქედან 3 შემთხვევაში შედეგად სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ სკოლებს მიეცათ წერილობითი გაფრთხილება და დაევალათ აღმოფხვრის ღონისძიებების გატარების შედეგების ანგარიშგება. 1 შემთხვევაში კი - სკოლას მიეცა წერილობითი მითითება გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით ღონისძიებების გატარებისა და ანგარიშგების შესახებ, 2014 წელს - 2 შემთხვევა (სკოლებს მიეცათ წერილობითი გაფრთხილება და დაევალათ აღმოფხვრის ღონისძიებების გატარების შედეგების ანგარიშგება). ამ სკოლებში ასეთი შინაარსის კანონშეუსაბამო ფაქტები აღმოიფხვრა და შემდგომში აღარ დაფიქსირებულა. 2012 და 2015 წლებში საჯარო სკოლებში აღნიშნული ფაქტები არ დაფიქსირებულა.

თერჯოლაში იეჰოვას მოწმეთა მიმართ მიმდინარე სიძულვილით მოტივირებულ შეკრებებში სკოლის ადმინისტაციისა და მოსწავლეების ორგანიზებული მონაწილეობის ფაქტი

კომენტარი: კანონმდებლობით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტმა შეისწავლა აღნიშნული საკითხი. კანონმდებლობით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში, შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული იქნა შესაბამისი ღონისძიებები. კერძოდ, მითითებულ საკითხთა შესწავლისა და გამოკვლევის მიზნით, ახსნა-განმარტებები ჩამოერთვათ საკითხებთან დაკავშირებულ პირებს (ქალაქ თერჯოლის №2 საჯარო სკოლის დირექტორს, მანდატურებს, თანამშრომლებს, პედაგოგებს და მოსწავლეებს). მათი განმარტებებითა და სკოლაში დამონტაჟებული ვიდეოთვალის მეშვეობით დაფიქსირებული ჩანაწერებით, სკოლის საქმიანობაში კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები არ გამოვლინდა. რაც შეეხება სკოლის ტერიტორიის გარეთ არასასკოლო დროს შეკრებაში მონაწილეობას, აღნიშნული საკითხის განხილვა სცილდება შიდა აუდიტის დეპარტამენტის კომპეტენციას.

განსაკუთრებით პრობლემურია საგანმანათლებლო ინსტიტუციებში განცდილი ჩაგვრა. საგანმანათლებლო სისტემა ბრმაა ლგბტ მოსწავლეებისა და სტუდენტების მიმართ ინკლუზიური მიდგომის საჭიროებისა და ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის არსებობის საჭიროების მიმართ.

კომენტარი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობისაგან თავისუფალი გარემოს შექმნა წარმოადგენს, რაც თავისთავად გულისხმობს ნებისმიერი სახის ძალადობის წინააღმდეგ შეურიგებელ და სისტემურ ბრძოლას.

სკოლებში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვან რგოლს მანდატურის სამსახური წარმოადგენს, რომელიც რეფორმის შედეგად მთლიანად მოსწავლეთა ზრუნვასა და ძალადობის პრევენციაზეა ორიენტირებული. რაც გულისხმობს ძალადობის შემთხვევების შესწავლას, პრევენციას და პრობლემაზე სწრაფად და ადექვატურად რეაგირებას. 2014 წლიდან მანდატურის სამსახურს უსაფრთხოების დაცვის ფუნქციასთან ერთად დაემატათ ძალადობის ფაქტების პირველადი იდენტიფიკაციის ვალდებულება.

2014 წელს საქართველოს ყველა მოქმედმა მანდატურმა (1069 პირი) გაიარა გადამზადება ბავშვთა ძალადობის გამოვლენის თემაზე. მანდატურთა მიერ რისკის მქონე მოზარდთა ადრეული, სწრაფი გამოვლენისა და შემდგომი რეაგირების პროცესების ეფექტურობის გაზრდის მიზნით განხორციელდა ,,მანდატურთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი საპილოტე პროგრამა,, 2014 წლის სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით გაიზარდა საპილოტე სკოლების რაოდენობა. "ბავშვთა მიმართ ძალადობა და უგულებელყოფის“ საკითხეზე 2014 წელს გადამზადდენ მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური ცენტრის (სამმართველო) სპეციალისტები. 2015 წლიდან იგეგმება ტრენინგების ჩატარება ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტებთან - პედაგოგებთან, მანდატურებთან და ბავშვთა საგანმანათლებლო და სააღმზრდელო სისტემაში მომუშავე პირებთან. კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები მანდატურებთან ძალადობის გამოვლენისა და ადექვატური რეაგირების საკითხებზე პერმანენტულ ხასიათს ატარებს. მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის (სამმართველოს) ყველა ფსიქოლოგს და სოციალურ მუშაკს, ასევე რეგიონული ფსიქოლოგიური ცენტრების ფსიქოლოგებმა 2014 წელს გაიარეს ტრენერთა ტრენინგი თემაზე: „ბავშვზე ძალადობის ამოცნობის და რეაგირების უნარების განვითარება. ტარდება სხვადასხვა სოციალური ღონისძიებები.

ამჟამად უკვე მოქმედებს სსიპ საგანმანათლებლო მანდატურის სამსახურთან არსებული 6 ფსიქოლოგიური ცენტრი (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ფოთი, თელავი, გორი). 2015 წლიდან იგეგმება ანალოგიური ცენტრების გახსნა რუსთავსა და ზუგდიდში. 2015 წლიდან დაფიქსირდა 384 ბენეფიციარი, რომელთაც ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი ფსიქო-სოციალურ მომსახურებას უწევს, მათ შორის, იმ არასრულწლოვნებს (ბავშვებს), რომლებიც არიან ძალადობის, მათ შორის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი. ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი - 2015 წლის მარტის თვიდან ჩართულია პროექტში („ბავშვთა მიმართ ძალადობა, გადამისამართების პროცედურები ბავშვის დაცვის საჭიროების შემთხვევებში“), აღნიშნული პროექტის მიხედვით, სამსახურის ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები განახორციელებენ სამიზნე ჯგუფისთვის ბავშვზე ძალადობის ამოცნობის, მათზე რეაგირების და პრევენციის სწავლებას.

2014 წელს მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ორგანიზაცია“ ადამიანები გაჭირვებაში“ მიერ ჩატარდა 2 დღიანი ტრენინგების ციკლი მოქალაქეობის სწავლება დოკუმენტური ფილმებით“. 16-დან 3 ფილმი შეეხებოდა ძალადობას“ ბულინგი, გენდერული ძალადობა და ბავშვთა იძულებითი შრომა. ტრენინგ კურსი გაიარა 480-,მა მასწავლებელმა. ძალადობის შესახებ ზოგადად, ასევე ოჯახური ძალადობისა და გენდერული განათლების, სკოლაში მსხვერპლის იდენტიფიკაციის პროცესთან დაკავშირებულ რისკებისა და კონფლიქტების მართვის საკითხები ინტეგრირებული იყო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებულ სკოლის მართვის ტრენინგ მოდულშიც, რომელიც საქართველოს სკოლების დიდ უმრავლესობას ჩაუტარდა.

მშობელთა ცნობიერების ამაღლება - მიმართულება მოიცავს სადამრიგებლო საათის ფარგლებშისკოლის მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლების (მშობელი/მეურვე/მზრუნველი) სისტემატიურ ინფორმირებას და კომუნიკაციას მოსწავლეთა მოსწრების და საჭიროებების, ასაკობრივი თავისებურებების და შესაბამისი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო აქტივობების შესახებ. სადამრიგებლო საათი მოიცავს საუბრებს მშობლებთან მათი როლის მნიშვნელობის ხაზგასასმელად ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: ბავშვთა შორის ძალადობა, ჯანსაღიცხოვრებისწესი, მავნეჩვევებითან ბრძოლა. მშობელთა ცნობიერების ამაღლების კუთხით დამატებით იწყება ახალი საგანმანათლებლო პროგრამა „მშობელთა ჩართულობა“, რომელიც ორიენტირებულია მშობელთა ცნობიერების ამაღლებაზე და მიმართულია ბავშვთა შორის ძალადობის წინააღმდეგ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ თავისი სამოქმედო გეგმის ფარგლებში შეიმუშავა რეფერირების მექანიზმი, რომელიც ამ დრომდე არ არსებობდა. ამჟამად რეფერირების მექანიზმი მზადაა დასამტკიცებლად. ძალადობის მსხვერპლი მოსწავლის/მასწავლებლის იდენტიფიკაციისა და შემდგომი რეაგირების მიზნით, განისაზღვრა პასუხისმგებელი პირი. იმ შემთხვევაში, თუ სკოლას არ ემსახურება მანდატური, პასუხისმგებელია რეფერირებაზე სკოლის დირექტორი/მოადგილე,რომელთაც, ფსიქოლოგიური გადამზადების კურსის ფარგლებში ჩაუტარდებათ ტრენინგები ძალადობის იდენტიფიცირების უნარების გამომუშავების მიზნით.

მზადდება ცვლილებებისა და დამატებების პროექტი „ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივ N 152/ნ – N 496 – N 45/ნ (31. 05.2010) ბრძანებაში, ბრძანებით გათვალისწინებული აქტივობების საჭიროებებზე ეფექტური მორგებისა და რეაგირების მექანიზმების დახვეწის მიზნით.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ გადამუშავდაუსაფრთხო სკოლის კონცეფცია. დასამტკიცებლადმომზადდაძალადობისგანთავისუფალისკოლისპოლიტიკის ჩარჩოდოკუმენტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ხორციელდება ძალადობის პრევენციის ხელშემწყობის მიზნით არაერთი პროექტს ახორციელებს.

2014-2015 სასწავლო წელს, განხორციელდა „განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდების წახალისების“ პროგრამა, რომლის „სასკოლო კონკურსების ქვეპროგრამის“ ფარგლებში საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეებისათვის მოეწყო შემდეგი კონკურსები:

- ვიდეორგოლების კონკურსი „ნაბიჯი თანადგომისკენ“
- ესეებისკონკურსი „ნაბიჯი თანადგომისკენ“
- ბლოგების კონკურსი „ჩვენ ვიცავთ თანატოლების უფლებებს“

წლის ბოლოს ჩატარდა შემაჯამებელი კონფერენცია ძალადობის თემაზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა. კონფერენციის მიზანი იყო მოსწავლეებში ცნობიერების ამაღლება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ძალადობა, დისკრიმინაცია და მათი პრევენცია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს მთავარ პროკურატურას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, რომლის მიზანია არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია, საჯარო სკოლის მოსწავლეებში სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბება და ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა, 2014 წელს განხორციელდა პროექტი „იმიტირებული გამოძიება“ საჯარო სკოლაში;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერებს სამინისტროს ერთობლივი პროექტის, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული სოციალური კამპანიის - **„არა ძალადობას!“** - ფარგლებში საქართველოს მასშტაბით ჩატარდა შეხვედრები სხვადასხვა საჯარო და კერძო სკოლაში, ასევე უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში. პროექტი ითვალისწინებდა ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართულ საინფორმაციო შეხვედრებს სტუდენტებსა და მოსწავლეებთან.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს დაფინანსებით PH International-ის მიერ 2008 წლიდან ხორციელდება „სამართლებრივი განათლების პროგრამა საქართველოში“, რომელიც მოქმედი პრევენციული პროგრამებიდან ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან პროგრამას წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და PH International-ის შორის თანამშრომლობის მიზანია, ხელი შეუწყოს სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას მოზრდებში.

„ხელისუფლების ტრანზიციის შემდეგ რელიგიის თავისუფლების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა სერიოზულად გაუარესდა და ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემად იქცა.“

კომენტარი:2014 წლის ანგარიშში, რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით, „ჰიუმან რაითს ვოჩს“ რელიგიის თავისუფლების თემაზე საქართველოს მისამართით შენიშვნები არ გამოუთქვამს. მიგვაჩნია, რომ რელიგიის თავისუფლების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა რეალურად გაუმჯობესდა. სწორედ ამ ტიპის ინციდენტების პრვენციისათვის და მათ აღმოსაფხვრელად შეიქმნა 2014 წლის თებერვალში რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, რომელიც აქტიურად მონაწილეობს ნებისმიერი რელიგიური თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული ინციდენტის აღმოფხვრაში.

„უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, რელიგიური ძალადობის არაერთი შემთხვევა გამოვლინდა (ნიგვზიანი, წინწყარო, სამთაწყარო, ხანუქას დღესასწაული თბილისში, ჭელა, თერჯოლა, ქობულეთი, მოხე), რომელსაც ხელისუფლებამ სათანადოდ არ უპასუხა და საკუთარი უმოქმედობითა და ზოგიერთ შემთხვევაში დისკრიმინაციული მიდგომით შეუწყნარებლობის წახალისებას შეუწყო ხელი.“

„ხელისუფლების ტრანზიციის შემდეგ, მხოლოდ ქართველი მუსლიმი თემის წინააღმდეგ 6 რელიგიური ძალადობის სერიოზული შემთხვევა გამოვლინდა. თუმცა, რელიგიური ძალადობის არც ერთ შემთხვევასთან დაკავშირებით სახელმწიფოს პოლიტიკა არ იყო ეფექტური. შინაგან საქმეთა სამინისტრომ არ მოახდინა რელიგიური ძალადობის კონკრეტულ შემთხვევებზე დროული და ეფექტური რეაგირება და ძირითადად პასიური დამკვირვებლის როლით შემოიფარგლებოდა. სამართალდამცავმა ორგანოებმა ასევე არ უზრუნველყვეს ეფექტური გამოძიების ჩატარება განსახილველ ფაქტებზე.“

„რელიგიური შეუწყნარებლობისა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის არაეფექტურ პოლიტიკასთან ერთად, შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკა დემონსტრაციულად რეპრესიულია რელიგიური უმცირესობების მიმართ.“

კომენტარი: რაც შეეხება კონკრეტულ ინციდენტებს: იმის მიუხედავად, რომ ჩამოთვლილი ინციდენტების ძირითადი ნაწილი რელიგიის სააგენტოს შექმნამდე მოხდა, ისინი უკვე ამოწურულია. ჩვენ შევისწავლეთ ყველა მათგანი და პრევენციული მიზნებისთვის გავითვალისწინებთ მათ. რაც შეეხება კონკრეტულ ფაქტებს:

თერჯოლა – თერჯოლაში ინციდენტი რელიგიური შეუწყნარებლობის ნიშნით არ მომხდარა, თავად იეჰოვას მოწმეები სააგენტოსთან შეხვედრებისას აღნიშნავენ, რომ მათ რელიგიური გამოხატვის თავისუფლების პრობლემა არ აქვთ, მოქმედებს სამლოცველო, ხოლო მშენებარე სახლი, მათი თქმით, საცხოვრებელია და რელიგიის თავისუფლებასთან არავითარი კავშირი არ აქვს, ხოლო მშენებარე სახლის მშენებლობის ნებართვის შეჩერების საფუძველი გახდა მეზობლად მდებარე სახლზე გაჩენილი ბზარები, რაც მეზობლის (კახაბერ მაკარიძე) საჩივრის საფუძველი გახდა.

ქობულეთი – სააგენტოს თანამშრომლები იყვნენ ქობულეთში, ადგილზე გაეცნენ და ჩაერთნენ ინციდენტის მოგვარებაში. რამდენადაც ცნობილია, ინციდენტის ინიციატორები არ არიან რაიმე ორგანიზებული რელიგიური ჯგუფის წევრები, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს იყო ადგილობრივი მოსახლეობის ცალკეული წარმომადგენლების ქმედება, რასაც სათანადო

რეაგირება მოჰყვა სახელმწიფოს მხრიდან, კერძოდ, მათ სასამართლომ შესაბამისი სასჯელი დააკისრა.

შეუძლებელია ეს ინციდენტი განვიხილოთ სახელმწიფოს არასწორი რელიგიური პოლიტიკის კონტექსტში, იმდენად, რამდენადაც თავად სახელმწიფომ, იგივე დანიშნულებით მედრესეს ფუნქციონირებისათვის თავად შეიძინა და გადასცა მუსლიმთა თემს შენობა ქ. ბათუმში.

მოხე სახელმწიფოში მიმდინარე პროცესები ოპერატიულ რეაგირებას მოითხოვს. მით უფრო რელიგიური, რომელიც ნებისმიერ სოციალურ ორგანიზმში მგრძნობიარე თემაა და მით უფრო, მრავალრელიგიურ სახელმწიფოში. გარკვეული ინციდენტებისაგან არც საანგარიშო პერიოდი აღმოჩნდა დაცული (**იმის მიუხედავად, რომ წლევანდელ ანგარიშში რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით, „ჰიუმან რაითს ვოჩს“ რელიგიის თავისუფლების თემაზე საქართველოს მიმართ შენიშვნები არ გამოუთქვამს).** ასეთი იყო ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში კლუბის სტატუსით რიცხული შენობის კონფესიური კუთვნილების გამო მუსლიმ და მართლმადიდებელ ქრისტიან თემთა შორის მომხდარი დაპირისპირება. ამ თემასთან დაკავშირებით, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინიციატივით, შეიქმნა „ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში მდებარე კლუბის სტატუსით რიცხულ შენობასთან დაკავშირებით არსებული გარემოებების შემსწავლელი კომისია“. კომისიის მიზანია, ადიგენის რაიონის სოფელ მოხეში 2014 წლის 22 ოქტომბერს შექმნილი დაპირისპირების განმუხტვა და გამომწვევი პრობლემის მოგვარება. ვითარების ქვაკუთხედს წარმოადგენს ადიგენის მუნიციპალიტეტის ბალანსზე, ძირითადი-განუსხვისებელი ქონების სახით, კლუბის სტატუსით რიცხული შენობა და მისი ისტორიულ-კონფესიური წარმომავლობა.

შეიქმნა პრობლემური საკითხების გადაჭრის განსხვავებული მიდგომა და ფორმატი. გაჩნდა პრეცენდენტი, როცა დავის გადაწყვეტის საფუძველშივე ითქვა უარი პროცედურების ფორმალურ შერჩევაზე. მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივ ჭრილში შენობის საკუთრება სადავო არ არის, კანონის სულისკვეთებიდან და არა მისი მშრალი გაგებიდან გამომდინარე, მრავალფეროვან გარემოში ტოლერანტული თანაცხოვრების უზრუნველყოფის მიზნით, დიალოგი მიმდინარეობს პრობლემის არსისა და გამომწვევი მიზეზების გათვალისწინებით. ფაქტიური, და არა ფორმალური მიდგომა კარგად ჩანს კომისიის დებულებაში, რომელიც მორგებული და ადაპტირებულია არსებულ გარემოებებთან.

სადავო საკითხის დარეგულირების პროცესში, დაპირისპირებული მხარეების წარმომადგენლებიც (კომისიის წევრები) ურთიერთშეთანხმების გზით შეირჩა, რამაც,

საბოლოოდ, პროცესი კონსტრუქციული ურთიერთობის რეჟიმში გადაიყვანა. კომისიაში წარმოდგენილია ურთიერთობის მონაწილე ყველა მხარე (სულ 5) და შედგება 12 წევრისგან:

1. მუსლიმი თემი, როგორც შენობის ისტორიულ-კონფესიურ მფლობელობაზე ერთ-ერთი დაინტერესებული მხარე - 4 წევრით;
2. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია (საქართველოს საპატრიარქო), ასევე, შენობის ისტორიულ-კონფესიურ მფლობელობაზე დაინტერესებული მხარე - 3 წევრით;
3. სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაცია და ადიგენის მუნიციპალიტეტი, როგორც შენობის რეალური მესაკუთრე და მისი შემდგომი სტატუსისა და ფუნქციის გადაწყვეტილებაზე უფლებამოსილი მხარე - 2 წევრით;
4. სსიპ - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, როგორც ისტორიულ-კულტურული ძეგლების ავთენტურობისა და წარმომავლობის დამდგენი კომპეტენტური ორგანო - 2 წევრით;
5. სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, როგორც კომისიის შექმნის ინიციატორი და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის დავის გადაწყვეტაში შუამავლის ფუნქციის შემსრულებელი - 1 წევრით.

კომისია გადაწყვეტილებას იღებს კონსენსუსის გზით. გადაწყვეტილების მიღების წესიც ერთგვარი გაგრძელებაა იმ სულისკვეთებისა, რომ კენჭისყრით, უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილება მეორე მხარისთვის მიუღებელი არ იყოს და შედეგი დადგეს არა პოზიციათა ჭიდილის, არამედ გამოსავლის ერთობლივი ძიებისა და ურთიერთშეთანხმების ფონზე. საბოლოოდ, დავის განხილვის პროცესი, პირობითად, შეიძლება შეფასდეს, როგორც მხარეთა შეთანხმებით შექმნილი სათათბირო ჯგუფი, სადაც, ასევე კონსენსუსის წესით, ხდება შესაბამისი ექსპერტების შერჩევა/მოწვევა. მოხეს კომისია არა მარტო ერთი პრობლემის მოგვარებას ემსახურება, არამედ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს რელიგიათა შორის დიალოგის, ურთიერთთანამშრომლობისა და დაახლოების საქმეში.

2014 წლის 2 დეკემბერს გაიმართა სამუშაო ჯგუფის სხდომა, რომელიც დაეთმო კომისიის შემადგენლობისა და უფლებამოსილების განსაზღვრას. ხოლო 2014 წლის 27 დეკემბერს გაიმართა კომისიის პირველი სხდომა, სადაც დამტკიდა კომისიის დებულება და დაზუსტდა კომისიის შემადგენლობა.

რელიგიური შეუწყნარებლობის ზრდასა და ხელისუფლების არაეფექტურ პოლიტიკაზე მიუთითებს, იეჰოვას მოწმეთა მიმართ რელიგიური სიძულვილით მოტივირებული სამართალდარღვევის პრაქტიკის ანალიზიც. იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაციის ინფორმაციით, 2013 წელს, მათი თემის წევრების მიმართ ძალადობის 53 შემთხვევა გამოვლინდა, 2014 წლის მიმდინარე პერიოდში კი, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 64-ს მიაღწია. წინა წლების შედეგებთან არსებული პრაქტიკის შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ იეჰოვას მოწმეთა მიმართ გამოვლენილი ძალადობის მასშტაბი რადიკალურად არის გაზრდილი და მან უფრო მეტად კოლექტიური და საჯარო ხასიათი შეიძინა. ცხადია, აღნიშნული პრაქტიკა დაუსჯელობის პრობლემასთან არის დაკავშირებული.

კომენტარი: რაც შეეხება იეჰოვას მოწმეთა მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, მსგავსი სტატისტიკა არც მედიაში და არ სააგენტშო შემოსულ საჩივრებში არ დაფიქსირებულა.

რელიგიის თავისუფლების კუთხით არსებულ გამოწვევებს სახელმწიფომ პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარების ქვეშ რელიგიის საკითხებში სახელმწიფო სააგენტოს დაფუძნებით უპასუხა, რომელსაც რელიგიასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის ექსკლუზიური კომპეტენცია გადაეცა. მსგავსი სახელმწიფო უწყების არსებობა როგორც წესი პოსტ-საბჭოთა პოლიტიკური სისტემებისთვის არის დამახასიათებელი და სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური ორგანიზაციების კონტროლის რისკს შეიცავს.

კომენტარი: აღნიშნული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს. რელიგიასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის ექსკლუზიური კომპეტენციის მქონე სახელმწიფო ინსტიტუციები არის შემდეგ ქვეყნებში: საფრანგეთი, იტალია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და სხვა.

,,ამ დრომდე სააგენტოს საქმიანობა ძირითადად მიმართულა სახელმწიფოს მიერ 4 რელიგიური დენომინაციისთვის გამოყოფილი თანხის განაწილებისა და კონტროლის ფორმების შემუშავებისა და სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციებისთვის ფინანსური და მატერიალური სიკეთეების გადაცემისკენ, ამისთვის სპეციალურად შექმნილი კომისიის გზით, რაც ცხადია, სახელმწიფოს მიერ რელიგიურ ორგანიზაციებზე კონტროლის მოპოვების რისკებს წარმოშობს

რელიგიური ძალადობის არც ერთ გამოვლენილ აქტუალურ შემთხვევას (თერჯოლა, ქობულეთი, მოხე) სააგენტომ ეფექტურად არ უპასუხა. სააგენტოს მანდატი ბუნდოვანია და ის სხვა სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციებთან დუბლირების რისკს შეიცავს. აღსანიშნავია, რომ სააგენტოს არ გააჩნია რელიგიურ ორგანიზაციებთან კომუნიკაციის დემოკრატიული და

საჯარო ფორუმები, რის გამოც აღნიშნული ინსტიტუციის ლეგიტიმურობა შეიმუშავოს პოლიტიკა რელიგიებთან დაკავშირებულ საკითხებზე დაბალია.“

კომენტარი: 4 კონფესიისთვის დაფინანსების გადაცემა მოხდა ხელშეკრულებით, დადგენილების საფუძველზე. ხელშეკრულება საჯაროა, ხელშეკრულებაში გაწერილი თანხის მიზნობრიობა სრულიად აშკარაა და არ შეიცავს ბუნდოვან ჩანაწერებს, რაც კონტროლის რისკებს გამორიცხავს.

რაც შეეხება სხვა რელიგიურ ორგანიზაციათა ფინანსურ და ქონებრივ დახმარებას: სააგენტო გასცემს მხოლოდ რეკომენდაციას კომისიური წესით და თავად რელიგიური ორგანიზაციის განცხადების საფუძველზე, რაც ასევე გამორიცხავს კონტროლის რისკებს.

სააგენტოს საქმიანობა რასაკვირველია, არაა მიმართული თანხების კონტროლისკენ: სააგენტო ეწევა სავარაუდო რელიგიური დაპირისპირების პრევენციას, აუცილებლობის შემთხვევაში ქმნის კონკრეტულ კომისიებს, ატარებს კონკრეტულ პროექტებს საზოგადოებაში რელიგიური შემწყნარებლობის გასაღრმავებლად.

რელიგიურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შეიქმნა მთელ ჩვენს რეგიონში უნიკალური ინტერრელიგიური კალენდარი, გაიხსნა ტოლერანტობის სკვერი, სადაც ხელი მოეწერა ყველა რელიგიური ორგანიზაციის ერთობლივ განცხადებას ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ. შეიქმნა მრჩეველთა საზოგადოებრივი საბჭო, რომლის წევრებად მოვიაზრეთ რეფერენტულ ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც მუშაობენ რელიგიურ თემებზე.

რაც შეეხება საჯაროობას: რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო აბსოლუტურად ღიაა ნებისმიერი რელიგიური ორგანიზაციის მიმართ. არცერთი გადაწყვეტილება არ მიღებულა კონფესიებთან აქტიური თანამშრომლობისა და განხილვის გარეშე. გარდა ამისა, მიდის ინტენსიური ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საელჩოებთან, რომლებიც გვიზიარებენ საერთაშორისო გამოცდილებას. ამის აშკარა დასტური იყო სააგენტოს წლიური ანგარიშისა და რელიგიის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიის პრეზენტაცია, სადაც აშშ, ისრაელის, თურქეთის, ირანის და სხვ. ელჩებმა და დიპლომატებმა მაღალი შეფასება მისცეს სააგენტოს საქმიანობას ამ კუთხით.

„რელიგიის თავისუფლების დაცვის მიმართულებით ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმით (2014-2015) გათვალისწინებული ვალდებულებები არ პასუხობს ამ კუთხით არსებულ მწვავე სოციალურ საჭიროებებს“

კომენტარი: რელიგიის თავისუფლების დაცვის მიმართულებით ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმა - ყველა იმ საკითხში, სადაც პასუხისმგებლად მითითებულია სააგენტო, მას გააჩნია ლეგიტიმური და ცხადად გაწერილი კომპეტენცია.

„რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების პოლიტიკა მართლმადიდებელი ეკლესიის პრეფერენციისა და აბსოლუტური პრივილეგირების მიდგომას ეფუძნება."

კომენტარი: მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არც იურიდიულად და არც მორალურად არ გახლავთ საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე, საქართველოს დამოუკიდებელმა სახელმწიფომ იგრძნო მორალური პასუხისმგებლობა იმ კონფესიათა წინაშე, რომლებიც საქართველოში ეწეოდნენ საქმიანობას.

„2014 წლის 27 იანვარს, საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული, ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე, რომელმაც დაადგინა ისლამური, იუდეური, რომაულ-კათოლიკური და სომხური სამოციქულო აღმსარებლობის მქონე რელიგიური გაერთიანებებისთვის მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების წესი. აღნიშნული დადგენილება დისკრიმინაციულია, რადგან ის არ მოიცავს იმ რელიგიურ გაერთიანებებს, რომლებსაც საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს ასევე მიადგათ ზიანი."

კომენტარი: „საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესის" დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის N117 დადგენილებით, სახელმწიფომ გამოხატა კეთილი ნება, საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის ნაწილობრივ და სიმბოლურად აენაზღაურებინა საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანი. მთავრობამ გამოხატა პოლიტიკური ნება, საქართველოში საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებულ ისლამურ, იუდეურ, რომაულ-კათოლიკურ და სომხურ სამოციქულო აღმსარებლობის მქონე რელიგიური გაერთიანებებისთვის გაეცა ნაწილობრივი და სიმბოლური ანაზღაურება იმ მატერიალური და მორალური ზიანისათვის, რომელიც მათ საბჭოთა რეჟიმის დროს მიადგათ. რელიგიურ გაერთიანებებთან გავლილი კონსულტაციებისა და ფაქტობრივი გარემოებების (მრევლის რაოდენობა, სასულიერო პირების რაოდენობა და საკულტო შენობა-ნაგებობების რაოდენობა) შესწავლის შემდეგ, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოში გაიმართა

სამუშაო სხდომა, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხის განაწილების თაობაზე. 2015 წლისთვის კი აღნიშნული მიზნებისთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში დაფინანსება გაიზარდა.

„დადგენილებით გათვალისწინებულ 4 დენომინაციასთან სახელმწიფოს მიერ გაფორმებული ხელშეკრულების ანალიზი აჩვენებს, რომ სახელმწიფო პირდაპირ განუსაზღვრავს ორგანიზაციების ფულის ხარჯვის მიზნობრიობას, სთხოვს დეტალური ხარჯთაღრიცხვის, შუალედური და საბოლოო ანგარიშების წარმოდგენას და მათ აუდიტორიულ შემოწმებას ახდენს, რაც რელიგიური გაერთიანებების საქმიანობაში სახელმწიფოს უხეში ინტერვენციაა.“

კომენტარი: 4 კონფესიისთვის დაფინანსების გადაცემა მოხდა ხელშეკრულებით, დადგენილების საფუძველზე. ხელშეკრულება საჯაროა, ხელშეკრულებაში გაწერილი თანხის მიზნობრიობა სრულიად აშკარაა და არ შეიცავს ბუნდოვან ჩანაწერებს, რაც კონტროლის რისკებს გამორიცხავს.

რაც შეეხება სხვა რელიგიურ ორგანიზაციათა ფინანსურ და ქონებრივ დახმარებას: სააგენტო გასცემს მხოლოდ რეკომენდაციას კომისიური წესით და თავად რელიგიური ორგანიზაციის განცხადების საფუძველზე, რაც ასევე გამორიცხავს კონტროლის რისკებს.

8. ლგბტ ჯგუფი

რელიგიური ძალადობა- ჰომოფობია

კკომენტარი: მოცემულ შემთხვევაში ძირითადად საუბარია ისევ 2012-2013 წლებში რელიგიური ნიშნით ჩადენილ ძალადობებზე (ნიგვზიანი, წინწყარო, სამთაწყარო, ხანუქას დღესასწაული თბილისში, ჭელა, თერჯოლა, ქობულეთი, მოხე) - აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, კერძოდ სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიშის შესრულების ფორმატში, შესაბამისი ინფორმაცია წარედგინა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს, სადაც საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში დეტალური ანგარიში მომზადდა რელიგიური ნიშნით ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტში ასევე მითითებულია თითოეულ ფაქტთან დაკავშირებით შსს-ს მიერ გატარებული ზომები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ფაქტობრივად სამინისტროს რელიგიურ ნიადაგზე ჩადენილი არც ერთი დანაშაული რეაგირების გარეშე არ დაუტოვებია.

„პოლიცია სრულიად მოუმზადებელი შეხვდა კონტ-აქციას და ფაქტობრივად გზა გაუხსნა მოძალადეებს აქციის დასარბევად.“

კომენტარი: 2013 წლის 17 მაისს, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ დაგეგმილ აქციაზე - თანაზომიერებისა და პროპორციულობის პრინციპის დაცვით პოლიციამ გაატარა ყველა საჭირო ღონისძიება, რათა აღნიშნული აქცია არ დასრულებულიყო ლეტალური შედეგით. პოლიციის აქტივობის შედეგად სისხლის სამართლის პასუხისგებაში (მუხლი 161) მიეცა 5 პირი, ხოლო ადმინისტრაციული პასუხისგებაში (მუხლი 166) – 4 პირი.

„პოლიცია უმოქმედობას იჩენს ყველაზე მოწყვლადი ქვე-ჯგუფების, მათ შორს ტრანსგენდერი და კომერციული სექს-მუშაკების უფლებების დარღვეების მიმართ და ხშირად თავადაც იყენებს ჰომოფობიურ ენას.“

კომენტარი: საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით პროსტიტუცია წარმოადგენს ადმინისტრაცულ სამართალდარღვევას, ხოლო პროსტიტუციაში ჩაბმა, პროსტიტუციისთვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემა წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს. შესაბამისად, პოლიციას აქვს ვალდებულება აღკვეთოს უკანონო ქმედებები, მათ შორის, ზემოთ ჩამოთვლილი სამართალდარღვევები. თუ პოლიციის მიერ საკუთარი მოვალეობების შესრულების პროცესში გამოიკვეთა მოქალაქისადმი შეურაცხმყოფელი მოპყრობა, ამასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებობს რეაგირების ეფექტიანი სისტემა. შსს-ში მოქმედებს გენინსპექციის ცხელი ხაზი, ასევე ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მიმართოს განცხადებით პოლიციის არასათანადო რეაგირებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, ამ კუთხით შემოსულ ყველა განცხადებას მიეცა შესაბამისი რეაგირება.

9. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა

1. **არსებული მდგომარეობა**

განხორციელებული ცვლილებები (**დამატებითი ინფორმაცია**)

საქართველოს პარლამენტმა 2013 წლის 26 დეკემბერს მოახდინა გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირება. შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოს 2014 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, კონვენციის იმპლემენტაციის ორგანოდ განისაზღვრა ზემოხსენებული საბჭო, ხოლო საკოორდინაციო მექანიზმად აღნიშნულ საჭოს სამდივნო.

კონვენციის იმპლენტაციის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 იანვრის N76 განკარგულებით დამტკიცებულ იქნა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმა“, რომელშიც ასახულია შშმ პირების შეფასების სოციალურ მოდელზე გადასვლის, ცნობიერების ამაღლების, დისკრიმინაციის აღმოფხვრის, ფიზიკური გარემოს, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, დასაქმების, აბილიტაცია/რებილიტაციის ხელმისაწვდომობის და სხვა საკითხები.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია სხვადასხვა უწყებათა კონკრეტული საპასუხისმგებლო ღონისძიებები. ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაციები საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა მინიდინარეობის შესახებ:

1. **შეზღუდული შესაძლებლობის შეფასებისა და სტატუსის მინიჭების სისტემის რეფორმირება და სოციალურ მოდელზე ეტაპობრივი გადასვლის პროცესის გაგრძელება** (**თავი** I. პუნქტები 2.1; 2.2; 2.3. ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მე-20 თავის 20.1.2.)

შშმ პირთა შეფასების სოციალურ მოდელზე გადასვლის მიზნით, შესწავლილი იქნა სხვადასხვა ევროპული ქვეყნის გამოცდილება, მომზადდა რამდენიმე ქვეყნაში მოქმედი სისტემების შედარებითი ანალიზი
და რეკომენდაცია საქართველოსთვის მისაღები მოდელის შესახებ. ამჟამად დონორ ორგანიზაციებთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა საქართველოსთვის მისაღები ოპტიმალურ მოდელის საბოლოო ფორმირებასა და პილოტირებასთან დაკავშირებით. ახლო მომავალში დაგეგმილია სამუშაო ჯგუფის შექმნა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, რომელიც მოამზადებს კონკრეტულ წინადადებებს შეფასების სისტემის შეცვლასთან დაკავშირებით.

2. შშმ პირთათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სტრატეგიების, გეგმების, პროგრამებისა და ღონისძიებების შემუშავებისას შშმ პირთა ან/და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მონაწილეობის უზრუნველყოფა. (3.1. 20.1.3.)

შშმ პირთა მიმართ სამოქმედო გეგმებისა და პროგრამების შემუშავებისას უზრუნველყოფილია ყველა დაინტერესებული ორგანიზაციისა და შშმ პირის

მონაწილეობა. აღნიშნულის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი და გადაწყვეტილებების მიმღებ მთავარ ორგანოში - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოში, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, რიგი სამინისტროების ხელმძღვანელი პირებთან, საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისადა სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარესთან და მისი მოადგილესთან ერთად წარმოდგენილი არიან შშმ პირთა უფლებათა დამცველი 10 სხვადასხვა მიმართულების არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი. კონკრეტულად ჯანდაცვის სამინისტროში კი სისტემატიურად (პრაქტიკულად ყოველდღიურად) იმართება შეხვედრები ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციასთან, მომსახურების მიმწოდებელთან თუ ფიზიკურ პირთან, რომლებიც მუშაობენ ან აწუხებთ შშმ პირებთან დაკავშირებული საკითხები. ხშირ შემთხვევებში მათი მონაწილეობით იქმნება სამუშაო ჯგუფები. ამჟამად მოქმედებს 4 ასეთი თემატური სამუშაო ჯგუფი.

3. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მოთხოვნებთან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა.(4.1. 20.1.4.)

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის შესაბამისად სამუშაო ჯგუფის ფორმატში არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით შემუშავებულია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტი. რომელიც შეიცავს მრავალ მნიშვნელოვან სიახლეს, რომელიც შესაბამისობაშია გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციასთან. ამასთან, ცალკეული მუხლები ზოგადი ხასიათისაა და საჭიროებს დაკონკრეტებას. ასევე, კანონპროექტის დებულებები მოიცავს სხვადასხვა უწყებების კონკრეტულ ვალდებულებებს და გადამკვეთ ასპექტებს, რომელთა შესახებ შეთანხმებული პოზიციის ჩამოსაყალიბებლად აუცილებლად მიგვაჩნია შესაბამის სახელმწიფო უწყებებს შორის სამუშაო რეჟიმში ერთობლივი განხილვების ჩატარება, რისთვისაც სამინისტრო გამოხატავდა მზადყოფნას.

გარდა ამისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი ფსიქიური დაავადებების გამო შშმ პირების ქმედუნარიანობის შეზღუდვის არსებული საკანონმდებლო რეგულაციები, შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის გადაწყვეტილებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული იქნა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რითაც ქმედუნარიანობის არსებული ნორმები შესაბამისობაში იქნა

მოყვანილი როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასტან, ასევე, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მოთხოვნეთან.
ამჟამად სამინისტრო აქტიურად მუშაობს საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე დამატებითი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

4. შშმ პირთა დამხმარე საშუალებებითა და ტრენინგით ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად. (1.1) **შშმ პირთა დამოუკიდებელი გადაადგილებისა და კომუნიკაციის ხელშეწყობა** (20.4.1.)

სამინისტრო ყოველწლიურად ახორციელებს სახელმწიფო პროგრამებს, რომლის მიზანია საქართველოში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ა)სავარძელ-ეტლებით უზრუნველყოფასა და შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობას;
ბ)საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფას;
გ) სმენის აპარატებით უზრუნველყოფას;
დ) კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფას;
ე)ყავარჯნებით, ხელჯოხ-ყავარჯნებით, უსინათლოთა ხელჯოხებით და გადასაადგილებელი ჩარჩოებით უზრუნველყოფას.

გარდა ამისა, ამავე პროგრამის ფარგლებში საქართველოს რვა რეგიონში ხორციელდება ყრუ და სმენადაქვეითებული პირების სურდოთარჯიმნის მომსახურებით უზრუნველყოფა.

შესაბამისი პროგრამები იგეგმება დამხმარე საშუალებების საჭიროების მქონე პირთა რაოდენობებისა და არსებული მოთხოვნების მაქსიმალურად გათვალისწინებით, რის გამოც კარგად ჩანს სახელმწიფოს მიერ შშმ პირთა დამხმარე საშუალებების დაფინანსების ზრდის ტენდენცია, რაც შესაბამისად იწვევს როგორც დამხმარე საშუალებების რაოდენობის ზრდას, ასევე, მათი ხარისხისა და ტექნიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, ასევე სამიზნე ჯგუფისა და კომპონენტით განსაზღვრული მოსარგებლეების რიცხობრივ ზრდას.
2014 წლისა და 2015 წლის 3 თვის განმავლობაში დამხმარე საშუალებების ბენეფიციარებზე გაცემის სტსტისტიკური მონაცემები არის შემდეგი:

	დამხმარე საშუალება	2014 წ.	2015 წ. I კვარტალი
1	მექანიკური სავარძელ-ეტლი	409	58

2	ელექტრო სავარძელ-ეტლი	110	3
3	საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით	998	89
3	სმენის აპარატები	1341	264
4	კოხლეარული ინპლანტი	26	16
5	ხელჯოხ-ყავარჯენი, ყავარჯენი, უსინათლოთა ხელჯოხი გადასაადგილებელი ჩარჩო	162	41

5. **აბილიტაცია და რეაბილიტაცია (VIII. თავი) (20.8.)**

1.1 აბილიტაციისა და რეაბილიტაციის მომსახურების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა - აბილიტაციისა და რეაბილიტაციის არსებული სერვისებისა და პროგრამების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაიზარდა მომსახურების გეოგრაფული არეალი. გასულ წლებში მომსახურება ხორციელდებოდა თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში. 2014 წლიდან მოსახურება ხორციელდება თბილისის 5 დაწესებულებაში, ასევე ქუთაისში, ბათუმში, თელავსა და გორში.

1.2 აბილიტაციისა და რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის. ბენეფიციართა ოჯახების მხრიდან თანადაფინანსების წილი 2014 წლის აპრილის თვიდან შემცირდა 25%-დან 10%-მდე, ხოლონოემბრიდან სრულად გაუქმდა. დაფინანსებული კურსების მაქსიმალური რაო დენობა თითეულ ბენეფიციარზე ნაცვლად 5-ისა, განისაზღვრა 7-ით. ამასთან, 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იქნა ბიუჯეტის გაზრდა 300 000 ლარით.

6. ადრეული განვითარება

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა, რომლის ამოცანაა განვითარების შეფერხების რისკის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ადრეული გამოვლენა და სათანადო პრევენციული ინტერვენციები. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს განეკუთვნება გონებრივი განვითარების შეფერხების (მათ შორის, დაუნის სინდრომი, ცერებრული დამბლა, აუტიზმი და სხვა) მქონე 0-7 წლამდე ასაკის თვეში 495 ბავშვი (2014წ-430 ბავშვი).

დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით მომზადებულია ადრეული ჩარევის

მომსახურების განვითარების კონცეფცია და სტრატეგია, რომლის განხორციელებასთან დაკავშირებით მუშაობა მიმდინარეობს სამუშაო ჯგუფში.

7. სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებები

შშმ პირთათვის გათვალისწინებული მომსახურებები იგეგმება და ხორციელდება სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ დადასტურებული და გამოვლენილი საჭიროებებისა და არსებული პრიორიტეტების გათვალისწინებით.

2014 წელს სამინისტროს სოციალური დაცვის დეპატამენტში შეიქმნა მონიტორინგის სამმართველო, რომელიც ახორციელებს მომსახურებების არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას და რეკომენდაციების შემუშავებას მიმწოდებლებისათვის.

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის" 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად სათემო ორგანიზაციების ბენეფიციართა რაოდენობა 160-დან გაიზარდა 180 პირამდე.

2013 წლის სექტემბრიდან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებისთვის სოციალური პაკეტის ოდენობა 100-დან გაიზარდა 150 ლარამდე, მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთათვის კი 70 ლარიდან 100 ლარამდე;

გაიზარდა სოციალური მომსახურებების (დღის ცენტრები, სათემო ორგანიზაციები, ადრეული განვითარების მომსახურებები) დაფინანსება და მოცულობა. საქართველოს მასშტაბით უფრო მეტ შშმ პირს მიეწოდება უფრო ხარისხიანი, საჭიროების შესაბამისი მომსახურებები;

ქვეპროგრამა	2013 წლის ბიუჯეტი	2014 წლის ბიუჯეტი	2015 წლის ბიუჯეტი
ბავშვთა რეაბილიტაციის	1 241 000	1 424 530	1 651 600
ადრეული განვითარების	232 500	438 000	832 800
სათემო ორგანიზაციების	686 600	836 000	1 044 300
დღის ცენტრების	2 838 200	3 084 000	3 235 900

მცირე საოჯახო სახლები	2 263 300	2 283 000	2 178 700
მინდობით აღზრდა	5 681 400	5 682 000	6 201 200
მიუსაფარ ,,ქუჩის ბავშვების“ პროგრამა	304 000	530 000	730 100

შშმ პირთა მომსახურებების განხორციელების მიზნით რამდენიმე ორგანიზაციას სახელმწიფომ უზურფრუქტით გადასცა უძრავი ქონება;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოს 2014 წლის 27 ოქტომბრის სხდომაზე საქართველოს პრემიერ მინისტრის და საბჭოს წევრი მინისტრების მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დღის ცენტრების, ადრეული განვითარებისა და ბავშვთა რეაბილიტაციის მომსახურებებში თანადაფინანსების გაუქმების შესახებ. შესაბამისად, აღნიშნული მომსახურებების მიღება თანადაფინანსების გარეშე უკვე 2014 წელსვე იქნა შესაძლებელი, რისთვისაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ საკუთარი საბიუჯეტო რესურსის ფარგლებში გამოყო წლიურად 312 000 ლარი.

(20. 7.) <u>ჯანმრთელობის დაცვა</u>

<u>(20.7.1.) ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებული დისკრიმინაციის გარეშე</u>

ქვეყნის მასშტაბით შშმ პირებისათვის უზრუნველყოფილია ჯანმრთელობის დაცვის არსებულ სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა. ამისთვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გათვალისწინებულია განსაკუთრებული მიდგომები, მათი უსაფრთხო გადაადგილების კუთხით, რაც ასახულია შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტებში. როგორც სტაციონარული დაწესებულების სანებართვო პირობები მოიცავს მოთხოვნებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უსაფრთხო გადაადგილების კუთხით, ასევე შშმ პირთა უსაფრთხო გადაადგილების პირობები გათვალისწინებულია ამბულატორიული სერვისის მიწოდებისას. („სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ და „მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის

დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილებები, „სამედიცინო ჩარევების კლასიფიკაციის განსაზღვრისა და პირველადი ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება).

(20.7.2.) შეზღუდული შესაძლებლობით განპირობებული ჯანმრთელობის მდგომარეობათა მართვის გაუმჯობესება

შშმ პირები, ისევე როგორც საქართველოს სხვა მოქალაქეები ჩართულნი არიან ჯანმრთელობის დაცვის ნებისმიერ სახელმწიფო პროგრამაში. კერძოდ:

ინფექციური დაავადებების მართვა;
ტუბერკულოზის მართვა;
აივ-ინფექცია/შიდსი;
დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა;
ნარკომანია;
ფსიქიკური ჯანმრთელობა;
დიაბეტის მართვა;
ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება;
დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია;
ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა;
იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა;
სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება;
სოფლის ექიმი;
იმუნიზაცია;
ეპიდზედამხედველობის პროგრამა;
უსაფრთხო სისხლი;
პროფესიულ დაავადებათა პრევენცია;

რაც შეეხება იმ მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, რომლებიც არ იფარება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, აღნიშნული განიხილება ,,რეფერალური მომსახურების” ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით შექმნილი კომისიის მიერ.

ზემოაღნიშნულის გარდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 2 დეკემბრის №650 დადგენილებით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში განსაზღვრულია მთელი რიგი დაავადებებისა და მდგომარეობების ადრეული დიაგნოსტიკა, სკრინინგი და მკურნალობა, რომელთა ადექვატური მეთვალყურეობისა და მკურნალობის არარსებობა ზრდის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განვითარების რისკს.

სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც მოიცავს ხსენებულ პრობლემატიკას, არის შემდეგი:

- დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი, რომლის კომპონენტებია: კიბოს სკრინინგისკომპონენტი; ბავშვთა ასაკის განვითარების შეფერხება, დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი, მათ შორის: 0-იდან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა განვითარების შეფერხების სკრინინგი - მაღალი რისკის და დღენაკლულ ბავშვთა გლობალური განვითარების შეფასება სპეციალური კითხვარების და სკრინინგტესტების გამოყენებით, განვითარების და ქცევის პრობლემების მქონე პაციენტთა ადრეული იდენტიფიკაცია და სკოლისათვის მზადყოფნის შეფასება. ასევე ითვალისწინებს ჯანდაცვის პირველადი რგოლიდან გამოგზავნილ და თვითდინებით მისულ 0-6 წლამდე ასაკის ბავშვთა განვითარების შეფასებას, ჩაღრმავებულ კვლევას და მშობლის კონსულტაციას ბავშვის განვითარების ხელშეწყობის, მოვლის, კვების საკითხების შესახებ, ხოლო სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის – სკოლისათვის მზადყოფნის შეფასებას, დღენაკლული ბავშვებისათვის – ორჯერად სკრინინგს განვითარების შეფერხების შესახებ; ბავშვთა ასაკის მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენცია - 1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენცია, ადრეული დიაგნოსტიკა და გონებრივი ჩამორჩენილობის პროფილაქტიკა მოიცავს ბავშვის მსხვილი და ნატიფი მოტორიკის, ექსპრესიული და რეცეპტული მეტყველების, კომუნიკაციის, შემეცნებითი უნარების, თვითმომსახურების სფეროების შეფასებას, ბავშვის ფსიქიკური განვითარების ასაკობრივ ნორმასთან შესაბამისობის დადგენას, დიაგნოსტირებულ ბავშვებში ინტერვენციისა და განვითარების ინდივიდუალური გეგმების შემუშავებას.

- ეპილეფსიის დიაგნოსტიკა და ზედამხედველობა, რაც მოიცავს ეპილეფსიის რეესტრის წარმოებას, ეპილეფსიის პირველად დიაგნოსტიკასა და დიაგნოზის დადასტურების მიზნით პაციენტის ჩაღრმავებულ კვლევებს;
- ფსიქიკური ჯანმრთელობა;
- დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა; აღნიშნული პროგრამის კომპონენტებიდან საყურადღებოა: გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენა, ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგი ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე, აგრეთვე ახალშობილთა სმენის სკრინინგი.
- დიაბეტის მართვა;
- დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია;
- იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა.

<u>(20.7.3.) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზანმიმართულობის, სტრუქტურისა და მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება</u>

ყოველწლიურად საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები მთელი რიგი დაავადებებისა და მდგომარეობების ადრეული დიაგნოსტიკის, სკრინინგისა და მკურნალობის გარდა, ასევე, მოიცავს იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას. აღნიშნული დაავადებები უმეტეს შემთხვევაში იწვევს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განვითარებას. ხსენებული პროგრამა ითვალისწინებს ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა როგორც ამბულატორიულ, ისე სტაციონარულ მკურნალობას და მედიკამენტებით უზრუნველყოფას; მუკოვისციდოზით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიულ და სტაციონარულ მკურნალობას, მუკოვისციდოზით დაავადებულთა (ყველა ასაკი) სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფას; ფენილკეტონურიით დაავადებულ ყველა ასაკის პაციენტთა ამბულატორიულ და სტაციონარულ მკურნალობას და სამკურნალო საკვები დანამატებით უზრუნველყოფას; მემკვიდრული ჰიპოგამაგლობულინემიით (ბრუტონის დაავადება) დაავადებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიულ და სტაციონარულ მკურნალობას და სპეციფიკური მედიკამენ-ტებით უზრუნველყოფას; ზრდის ჰორმონის დეფიციტისა და ტერნერის სინდრომის მქონე ბავშვთა და მოზარდთა ზრდის ჰორმონით უზრუნველყოფას; იუვენილური რევმატოიდული ართრიტით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ბიოლოგიური პრეპარატებით უზრუნველყოფას; დიდი თალასემიით დაავადებულთა რკინის შემბოჭავი პრეპარატებითუზრუნველყოფას.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემის გაუმჯობესებაზე“ (20.7.4), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (20.7.1. პუნქტი), დამატებით გაცნობებთ, შშმ ბავშვები და მკვეთრად გამოხატული შშმ პირები 2014 წლის სექტემბრიდან სრულად არიან ინტეგრირებულნი 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებულ „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში“.

(20.7.4.) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემის გაუმჯობესება

რაც შეეხება სახელმწიფო დაზღვევის პროგრამაში შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინებას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები და მკვეთრად გამოხატული შშმ პირები 2014 წლის 1 სექტემბრამდე სარგებლობდნენ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მაისის №165 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო სადაზღევევო პროგრამით, ხოლო 1 სექტემბრიდან სრულად (იგივე პირობებით) მოხდა მათი ინტეგრირება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებულ „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფოპროგრამაში“.

აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარებისთვის ზემოაღნიშნული სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს ქვემოთ ჩამოთვლილი სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას:
ა) ამბულატორიული მომსახურება (გეგმური ამბულატორიული მომსახურების მიღება შესაძლებელია მხოლოდ პირველადად ოჯახის ან სოფლის ან უბნის ექიმთან მიმართვის საფუძველზე):
ა.ა) ოჯახის ან სოფლის ან უბნის ექიმის და ექთნის მიერ მიწოდებული ამბულატორიული მომსახურება, მათ შორის, პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული ვაქცინაციით უზრუნველყოფა (მხოლოდ აცრა-ვიზიტი), ჯანმრთელობის მდგომარეობისა და რისკ-ფაქტორების შეფასება, პრევენციული ღონისძიებები, დაავადებათა დიაგნოსტიკა და მართვა, პალიატიური მზრუნველობა, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მომსახურება ბინაზე (კომპეტენციის ფარგლებში);
ა.ბ) ექიმ-სპეციალისტების მიერ მიწოდებული ამბულატორიული მომსახურება ოჯახის ან სოფლის ან უბნის ექიმის დანიშნულებით;
ა.გ) ექიმის დანიშნულებით ამბულატორიულ დონეზე ნებისმიერი სახის ინსტრუმენტული გამოკვლევები: ელექტროკარდიოგრაფიული, ექოსკოპიური და რენტგენოლოგიური გამოკვლევები (რენტგენოსკოპია, რენტგენოგრაფია, მამოგრაფია და კომპიუტერული ტომოგრაფია) – კომპიუტერული ტომოგრაფია ითვალისწინებს ასანაზღაურებელი თანხის 20%-ის თანაგადახდას მოსარგებლის მხრიდან, გარდა საპენსიო ასაკის პირებისა, რომელთათვისაც თანაგადახდა შეადგენს 10%-ს;
ა.დ) ექიმის დანიშნულებით ამბულატორიულ დონეზე კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევები: სისხლის საერთო ანალიზი, შარდის საერთო ანალიზი, გლუკოზა პერიფერიულ სისხლში, კრეატინინი, ჰემოგლობინი, ქოლესტერინი სისხლში, შრატში ლიპიდების განსაზღვრა, განავლის ანალიზი ფარულ სისხლდენაზე;
ა.ე) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (შშმპ) სოციალური ექსპერტიზისათვის, კერძოდ, შშმპ-ის სტატუსის მისანიჭებლად საჭირო გამოკვლევები, გარდა მაგნიტურ-ბირთვულ-რეზონანსული გამოკვლევებისა;
ა.ვ) ამბულატორიულ დონეზე ყველა სახის სამედიცინო ცნობების, დასკვნებისა და რეცეპტების გაცემა (მათ შორის, ინკურაბელური პაციენტებისათვის ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტების რეცეპტების გაცემა) (გარდა სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებული ფორმა NIV-100/ა, სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში ავტომობილის მართვის მოწმობისა და იარაღის შენახვის/ტარების უფლების მისაღებად წარსადგენი ცნობებისა);
ა.ზ) გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება (მათ შორის, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში შესყიდული სპეციფიკური შრატებითა და ვაქცინებით მომსახურების უზრუნველყოფა).
ბ)სტაციონარული მომსახურება:

ბ.ა) გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება, მათ შორის, ინფექციურ დაავადებებთან და ინკურაბელური პაციენტების პალიატიურ მზრუნველობასთან დაკავშირებული ჰოსპიტალიზაცია, გართულებულ ორსულობასთან, მშობიარობასა და ლოგინობის ხანასთან დაკავშირებული ჰოსპიტალიზაცია, ითვალისწინებს ასანაზღაურებელი თანხის 20%-ის თანაგადახდას მოსარგებლის მხრიდან, გარდა საპენსიო ასაკის პირებისა, რომელთათვისაც თანაგადახდა შეადგენს 10%-ს. თანაგადახდას არ ითვალისწინებს კრიტიკული მდგომარეობები და შშმ ბავშვებისათვის ინკურაბელურ პალიატიურ მზრუნველობასთან დაკავშირებულიჰოსპიტალიზაცია;

ბ.ბ) გეგმური ქირურგიული ოპერაციები (მათ შორის, დღის სტაციონარი), ასევე გეგმურ ქირურგიულ ჰოსპიტალიზაციასთან დაკავშირებული წინასაოპერაციო, ოპერაციის მსვლელობისას განხორციელებული და პოსტოპერაციული პერიოდის ყველა ტიპის ლაბორატორიული, ინსტრუმენტული გამოკვლევები - წლიური ლიმიტი 15 000 ლარი. ითვალისწინებს 20%-იან თანაგადახდას მოსარგებლის მხრიდან, გარდა საპენსიო ასაკის პირებისა, რომელთათვისაც თანაგადახდა შეადგენს 10%-ს. თანაგადახდას არ ითვალისწინებს შშმ ბავშვებისათვის კარდიოქირურგიული და ონკოლოგიური ოპერაციები და მათთან დაკავშირებული გამოკვლევები;

ბ.გ) ონკოლოგიურ პაციენტთა მკურნალობა და დიაგნოსტიკა, კერძოდ, ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია და სხივური თერაპია, აგრეთვე ამ პროცედურებთან დაკავშირებული გამოკვლევები და მედიკამენტები – წლიური ლიმიტი 15 000 ლარი. ითვალისწინებს 20%-იან თანაგადახდას მოსარგებლის მხრიდან, გარდა საპენსიო ასაკის პირებისა, რომელთათვისაც თანაგადახდა შეადგენს 10%-ს, ხოლო შშმ ბავშვებისთვის მომსახურების ხარჯები ანაზღაურდება სრულად;

ბ.დ) მშობიარობა (საკეისრო კვეთის ჩათვლით) – ლიმიტი 500 ლარი. ითვალისწინებს ასანაზღაურებელი თანხის 20%-ის თანაგადახდას მოსარგებლის მხრიდან;

გ) ამბულატორიული სამკურნალო საშუალებები მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და შშმ ბავშვებისათვის ანაზღაურდება სამკურნალო საშუალებათა დამტკიცებული ნუსხის მიხედვით (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის N53/ნ ბრძანება). ანაზღაურება ხდება წლიური ლიმიტის 100 ლარის ფარგლებში, 50%-ის თანაგადახდით მოსარგებლის მხრიდან.

<u>(20.7.2.) შეზღუდული შესაძლებლობით განპირობებული ჯანმრთელობის მდგომარეობათა მართვის გაუმჯობესება</u>

შშმ პირები, ისევე როგორც საქართველოს სხვა მოქალაქეები ჩართულნი არიან ჯანმრთელობის დაცვის ნებისმიერ სახელმწიფო პროგრამაში. კერძოდ:

ინფექციური დაავადებების მართვა;

ტუბერკულოზის მართვა;
აივ-ინფექცია/შიდსი;
დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა;
ნარკომანია;
ფსიქიკური ჯანმრთელობა;
დიაბეტის მართვა;
ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება;
დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია;
ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა;
იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა;
სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება;
სოფლის ექიმი;
იმუნიზაცია;
ეპიდზედამხედველობის პროგრამა;
უსაფრთხო სისხლი;
პროფესიულ დაავადებათა პრევენცია;

რაც შეეხება იმ მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, რომლებიც არ იფარება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, აღნიშნული განიხილება ,,რეფერალური მომსახურების" ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით შექმნილი კომისიის მიერ.
ზემოაღნიშნულის გარდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 2 დეკემბრის №650 დადგენილებით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში განსაზღვრულია მთელი რიგი დაავადებებისა და მდგომარეობების ადრეული დიაგნოსტიკა, სკრინინგი და მკურნალობა, რომელთა ადექვატური მეთვალყურეობისა და მკურნალობის არარსებობა ზრდის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განვითარების რისკს.

სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც მოიცავს ხსენებულ პრობლემატიკას, არის შემდეგი:

- დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი, რომლის კომპონენტებია: კიბოს სკრინინგისკომპონენტი; ბავშვთა ასაკის განვითარების შეფერხება, დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი, მათ შორის: 0-იდან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა განვითარების შეფერხების სკრინინგი - მაღალი რისკის და დღენაკლულ ბავშვთა გლობალური განვითარების შეფასება სპეციალური კითხვარების და სკრინინგტესტების გამოყენებით, განვითარების და ქცევის პრობლემების მქონე პაციენტთა ადრეული

იდენტიფიკაცია და სკოლისათვის მზადყოფნის შეფასება. ასევე ითვალისწინებს ჯანდაცვის პირველადი რგოლიდან გამოგზავნილ და თვითდინებით მისულ 0-6 წლამდე ასაკის ბავშვთა განვითარების შეფასებას, ჩაღრმავებულ კვლევას და მშობლის კონსულტაციას ბავშვის განვითარების ხელშეწყობის, მოვლის, კვების საკითხების შესახებ, ხოლო სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის – სკოლისათვის მზადყოფნის შეფასებას, დღენაკლული ბავშვებისათვის – ორჯერად სკრინინგს განვითარების შეფერხების შესახებ; ბავშვთა ასაკის მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენცია - 1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენცია, ადრეული დიაგნოსტიკა და გონებრივი ჩამორჩენილობის პროფილაქტიკა მოიცავს ბავშვის მსხვილი და ნატიფი მოტორიკის, ექსპრესიული და რეცეპტული მეტყველების, კომუნიკაციის, შემეცნებითი უნარების, თვითმომსახურების სფეროების შეფასებას, ბავშვის ფსიქიკური განვითარების ასაკობრივ ნორმასთან შესაბამისობის დადგენას, დიაგნოსტირებულ ბავშვებში ინტერვენციისა და განვითარების ინდივიდუალური გეგმების შემუშავებას.

- ეპილეფსიის დიაგნოსტიკა და ზედამხედველობა, რაც მოიცავს ეპილეფსიის რეესტრის წარმოებას, ეპილეფსიის პირველად დიაგნოსტიკასა და დიაგნოზის დადასტურების მიზნით პაციენტის ჩაღრმავებულ კვლევებს;
- ფსიქიკური ჯანმრთელობა;
- დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა; აღნიშნული პროგრამის კომპონენტებიდან საყურადღებოა: გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენა, ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგი ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე, აგრეთვე ახალშობილთა სმენის სკრინინგი.
- დიაბეტის მართვა;
- დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია;
- იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა.

<u>(20.7.3.) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზანმიმართულობის, სტრუქტურისა და მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება</u>

ყოველწლიურად საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები მთელი რიგი დაავადებებისა და მდგომარეობების ადრეული დიაგნოსტიკის, სკრინინგისა და მკურნალობის გარდა, ასევე, მოიცავს იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას

დაქვემდებარებულ პაციენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას. აღნიშნული დაავადებები უმეტეს შემთხვევაში იწვევს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განვითარებას. ხსენებული პროგრამა ითვალისწინებს ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა როგორც ამბულატორიულ, ისე სტაციონარულ მკურნალობას და მედიკამენტებით უზრუნველყოფას; მუკოვისციდოზით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიულ და სტაციონარულ მკურნალობას, მუკოვისციდოზით დაავადებულთა (ყველა ასაკი) სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფას; ფენილკეტონურიით დაავადებულ ყველა ასაკის პაციენტთა ამბულატორიულ და სტაციონარულ მკურნალობას და სამკურნალო საკვები დანამატებით უზრუნველყოფას; მემკვიდრული ჰიპოგამაგლობულინემიით (ბრუტონის დაავადება) დაავადებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიულ და სტაციონარულ მკურნალობას და სპეციფიკური მედიკამენ-ტებით უზრუნველყოფას; ზრდის ჰორმონის დეფიციტისა და ტერნერის სინდრომის მქონე ბავშვთა და მოზარდთა ზრდის ჰორმონით უზრუნველყოფას; იუვენილური რევმატოიდული ართრიტით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ბიოლოგიური პრეპარატებით უზრუნველყოფას; დიდი თალასემიით დაავადებულთა რკინის შემბოჭავი პრეპარატებითუზრუნველყოფას.
„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემის გაუმჯობესებაზე“ (20.7.4), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (20.7.1. პუნქტი), დამატებით გაცნობებთ, შშმ ბავშვები და მკვეთრად გამოხატული შშმ პირები 2014 წლის სექტემბრიდან სრულად არიან ინტეგრირებულნი 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებულ „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში“.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარდგენით 2014 წლის 6 იანვარს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ტექნიკური რეგლამენტი შეზღუდული საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ტექნიკური რეგლამენტიდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება რელიგიის თა (საქართველოს მთავრობის დადგენილება №41 2014 წლის 6 იანვარი). ტექნიკური რეგლამენტი ავალდებულებს ახალი მშენებოლების ნებართვის გაცემის სტადიაზე საპროექტო დოკუმენტაციაში გათვალისწინებული იყოს შშმ პირთა სივრცითი მოწყობის შესაბამისი ასპექტები. ასევე საზოგადოებრივი შენობების რეკონსტრუქცია-მოდერნიზააციის გზით შშმ პირებისთვის შესაბამისი ადაპტირებული გარემოს შექმნას.

კომენტარები:

,,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამები არ ეფუძნება ერთიან სტატისტიკურ მონაცემებს“

კომენტარი: ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დაგეგმვა ემყარება როგორც რუტინულ ეპიდემიოლოგიურ და სტატისტიკურ მონაცემებს, ისე საჭიროებებზე დაფუძნებულ კვლევებს და სახელმწიფო პროგრამების შესრულების ანგარიშებს. სსიპ „საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ ყოველწლიურად მზადდება სტატისტიკური ცნობარი "ჯანმრთელობის დაცვა", რომელიც წარმოადგენს ყოველწლიურ გამოცემას. ცნობარში ასახულია ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის და ჯანდაცვის რესურსების ამსახველი ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლები. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ყოველკვარტლურად ახდენს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ანგარიშის მომზადებას. ასევე, ყოველწლირად ხორციელდება პროგრამების საშუალოვადიანი (4 წლიანი) დაგეგმვა.საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დანერგვასთან ერთად ამოქმედდა ერთიანი საინფორმაციო სისტემა „ელექტორნული ჯანდაცვა", რომელიც საშუალებას აძლევს სამედიცინო დაწესებულებებს ელექტორნულად აწარმოონ როგორც შეტყობინება პროგრამების ფარგლებში განხორციელებული თოთოეული შემთხვევის შესახებ, ასევე ანგარიშგება და სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდება

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში შშმ პირები უზრუნველყოფილი არიან გეგმიური და გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებით, გადაუდებელი სტაციონარული მომსახურებით, გეგმიური ქირურგიული ოპერაციებით, ქიმიო, სხივური და ჰორმონოთერაპიით და მშობიარობის სერვისებით. მათ ასევე შეუძლიათ ვერტიკალური პროგრამებით განსაზღვრული მომსახურებების მიღება.

,,ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირთა მხარდაჭერის საშუალებას კვლავ წარმოადგენენ სტაციონარული ფსიქიატრიული დაწესებულებები, რაც ეწინააღმდეგება კონვენციის მიდგომებს."

კომენტარი: ქვეყანაში მოქმედებს ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს

- ფსიქიატრიული ამბულატორიული მომსახურებას (მოიცავს ოჯახის ექიმის/უბნის ექიმის ან ფსიქიატრიული სტაციონარული დაწესებულების მიმართვით გადაგზავნილი, აღრიცხვაზე აყვანილი და თვითდინებით მისული პაციენტების მომსახურებას);
- ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციას, რომელიც გულისხმობს ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა გამოჯანმრთელების, სოციალური ადაპტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას და დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის საჭირო ბაზისურ უნარ-ჩვევათა აღდგენა/შესწავლას;

- ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესებას (ითვალისწინებს დღის სტაციონარის პირობებში იმ 18 წლამდე ასაკის პაციენტების მდგომარეობის შესწავლას/დიაგნოსტიკას, რომელთაც აღენიშნებათ ფსიქიკური მდგომარეობის და ქცევის ცვლილება, სოციალური ფუნქციონირების გაუარესება და დეზადაპტაცია);
- ფსიქიატრიული კრიზისულ ინტერვენციას მოზრდილთათვის (18 წლის და მეტი ასაკის) (ინტენსიური ამბულატორიულ დახმარება კრიზისული მდგომარეობების დროს (კრიზისული დღის საწოლები); გადაუდებელ ამბულატორიული კონსულტაციები კრიზისული ინტერვენციის ცენტრში; შინმოვლის კრიზისული მობილური ჯგუფის მიერ კრიზისული ინტერვენციის განხორციელება პაციენტის საცხოვრებელ ადგილზე და, საჭიროების შემთხვევაში, მის გადაყვანას კრიზისული ინტერვენციის ცენტრში);
- ბავშვთა და მოზრდილთა ფსიქიატრიულ სტაციონარულ მომსახურებას

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის N762 დადგენილებით დამტკიცდა ,,ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის და 2015-2020 წლის სამოქმედო გეგმა“. გეგმა ითვალისწინებს ხანგრძლივი დაყოვნების ფსიქიატრიული საავადმყოფოების მოდელიდან სათემო სერვისებზე და თემზე დაფუძნებული ურთიერთ-დაკავშირებული სამსახურების ქსელის გამოყენებაზე გადასვლას, რაც მოიცავს: მოკლევადიან სტაციონირებას, ამბულატორიულ ზრუნვას ზოგადი პროფილის საავადმყოფოში, პირველად და სხვა არა-სპეციალიზირებულ ჯანდაცვას, სრულყოფილ ფჯ ცენტრებს, დღის ცენტრებს, იმ ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანთა ხელშეწყობას, ვინც ოჯახებში ცხოვრობს, და "დაცულ" საცხოვრებლებს.

შშმ ბავშვები ჩართულები არიან სხვადასხვა ალტერნატიული სერვისებით: 36 რეინტეგრაციის შემთხვევა, 161 შშმ ბავშვი გადაყვანილია მინდობით აღზრდაში, 12 მცირე საოჯახო ტიპის სახლში, ამჟამად მიმდინარეობს კონსულტაციები შშმ ბავშვთათვის სპეციალიზებული მცირე საოჯახო ტიპის სახლის ორგანიზების თაობაზე.

შშმ ბავშვებისთვის 2015 წლიდან იწყება რამდენიმე პროგრამა, კერძოდ, ABA თერაპიის დაფინანსება აუტისტური სეპექტრის დარღვევის მქონე ბავშვებისთის, შინ მოვლის პროგრამა მძმე და ღრმა გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ბავშვებისთვის.

,,უმაღლესი და პროფესიული განათლების მარეგულირებელი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ინკლუზიური განათლების საკითხს, ზოგადი განათლების სისტემა კი მეინსტრიმული სკოლების პარალელურად კვლავ ძალაში ტოვებს სპეციალიზებული სკოლების არსებობას;“

კომენტარი: 2013 წლის დეკემბრის თვეში, საქართველოს პარლამენტმა მოახდინა „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის“ კონვენციის რატიფიცირება, რასაც წინ უსწრებდა „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის“ შემუშავება. მუშაობის პროცესში გამოიკვეთა ოთხი ძირითადი მიმართულება:

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების სამართლებრივი ჩარჩოს განსაზღვრა;
2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა და სტუდენტთა განათლების დაფინანსების ადექვატური სისტემის დანერგვა;
3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა უწყვეტი და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურებზე;
4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება;

2014 წელს მომზადდა კანონი „ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა განათლების შესახებ“, რომელშიც აისახა ინკლუზიური განათლების მხარდაჭერისთვის ყველა საჭირო ვალდებულება.

ინკლუზიური განათლების განხორციელების პროცესის სამართლებრივი ბაზის სრულყოფის მიზნით ცვლილებები შევიდა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში.

დასრულდა მუშაობა დოკუმენტზე “საჯარო სკოლებში ინკლუზიური პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი“, რომელიც დაარეგულირებს საჯარო სკოლებში ინკლუზიური განათლების დანერგვისა და განხორციელების პროცესს. აღნიშნულ დოკუმენტში განისაზღვრა საჯარო სკოლის ადმინისტრაციის, მასწავლებელის, სპეციალური მასწავლებელის, მშობლის ვალდებულებები და პასუხისმგებლობები.

2013-2015 წლის განმავლობაში განხორციელდა ინტენსიური მუშაობა კანონპროექტზე პროფესიული განათლების შესახებ. სფეროში ჩართულ სპეციალისტებთან ერთად ჩამოაყალიბდა შესაბამისი ჩანაწერები (დებულებები), რომლის საფუძველზე კანონი პროფესიული განათლების შესახებ და პროფესიული განათლების სისტემა გახდება ინკლუზიური და უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიული განათლების მისაწვდომობას, მოქნილი, ინდივიდზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენებას და სამართლიან რეგულირებას.

მიმზადდა „ეროვნული სასწავლო გეგმის“ მე-5 თავის „ინკლუზიური განათლება“ ცვლილებების პაკეტი, რომელთა ასახვაც მოხდება ზემოაღნიშნულ დოკუმენტში.

2013 წლის სექტემბრიდან ,,ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 იანვრის N9 დადგენილებაში შევიდა ცვლილება და იმ სკოლებს, რომლებსაც ჰყავთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად განესაზღვრათ დამატებითი დაფინანსება:

- 1-დან 6 სსსმ მოსწავლის ჩათვლით სკოლას ყავს -1 სპეციალისტი;
- 7-დან 13 სსსმ მოსწავლის ჩათვლით სკოლას ყავს -2 სპეციალისტი;
- 14 დან 23 სსსმ მოსწავლის ჩათვლით სკოლას ყავს -3 სპეციალისტი;
- 23-ზე მეტი სსსმ მოსწავლე - 4 სპეციალისტი.

მოცემულ ეტაპზე სახელმწიფო სოციალური პროგრამის ფარგლებში ახორციელებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში სწავლის საფასურის დაფინანსებას საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 აგვისტოს #501 და #504 დადგენილებების შესაბამისად.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბაზაზე არსებობს მულტიდისციპლინური გუნდი, რომელიც ახორციელებს პირების შეფასებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადგენის მიზნით და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის განათლების საუკეთესო ფორმის შერჩევას. გუნდის შემადგენლობაში შედიან ფსიქოლოგები, ოკუპაციური თერაპევტები, სპეციალური მასწავლებლები. მულტიდისციპლინური გუნდის ფუნქციას წარმოადგენს თბილისისა და რეგიონის მასშტაბით არსებული ყველა სკოლისთვის, სკოლა-პანსიონებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის კვალიფიციური დახმარების გაწევა ინკლუზიური განათლების განვითარების პროცესში.

ინკლუზიური განათლების განვითარების მიზნით 2013 სასწავლო წელიდან დაიწყო დამატებითი სერვისების განვითარება აუტისტური სპექტრის მქონე და სენსორული (სმენა) პრობლემების მქონე დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის ინტეგრირებული კლასების სახით. ქ. თბილისში 3 ქ. თელავში 1 ინტეგრირებული კლასი ფუნქციონირებს აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლეებისთვის, ასევე ერთი ინტეგრირებული კლასი მუშაობს სმენადაქვეითებული

ასევე, 2013 წლიდან დღემდე ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ კლინიკაში ხორციელდება საგანმანათლებლო სერვისის მიწოდება.

კლინიკაში ხანგრძლივი მკურნალობის დროს ბავშვებს საშუალება ეძლევათ კლინიკაშივე ისარგებლონ საგანმანათლებლო სერვისით.

2013-2014 სასწავლო წელს სსიპ - ქალაქ თბილისის №202 საჯარო სკოლის სენსორული დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის (მხედველობადაქვეითებული და უსინათლო მოსწავლეები) მოხდა ყველა საგნის სახელმძღვანელოს ბრაილის შრიფტით დაბეჭდვა. 2014-2015 სასწავლო წლისთვის VI –XII კლასებისთვის ბრაილის შრიფტით დაიბეჭდა ქართულის, მათემატიკისა და ინგლისურის სახელმძღვანელოები. პარალელურად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მუშაობს უსინათლო მოსწავლეების განათლების სტრატეგიაზე.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების იდენტიფიცირების, შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებისა და ინტერპრეტირების უფლების მისაღებად 2014 და 2015 წლებში ჩატარდა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგი მულტიდისციპლინური გუნდის წევრებისათვის.

დაიბეჭდა სკოლის მასწავლებლებისათვის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული გზამკვლევი - „მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლება“ (უსინათლო მასწავლებლებისთვის ბრაილით და ჩვეულებრივი შრიფტით).

სკოლის მასწავლებლებისათვის დაიბეჭდა გზამკვლევი - „ინდივიდუალური სასწავლო გეგმა“, რომელიც დაეხმარება მასწავლებლებს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცესში.

2014 წელს შეიქმნა საინფორმაციო ვებ-გვერდი ინკლუზიური განათლების შესახებ - inclusion.ge

ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს მიერ მხარდაჭერილი პროექტის - „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“ ფარგლებში მოხდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტების (Universal Design of Building Construction. Part N1 Working Buildings and Buildings Open to the Public) გამოყენების უფლების მიღება. შემდგომ, აღნიშნული დოკუმენტი ითარგმნა ქართულ ენაზე და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო დოკუმენტზე დაყრდნობით უზრუნველყოფს პროექტის ფარგლებში შერჩეული ხუთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შენობა-ნაგებობის დაპროექტებას უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინებით.

2014 წელს ილიას უნივერსტეტში გაიხსნა სპეციალური მასწავლებლის სამაგისტრო პროგრამა.

მოცემულ ეტაპზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მიმდინარეობს კონსულტაციები სპეციალური მასწავლებლის საბაკალავრო პროგრამის დანერგვასთან დაკავშირებით.

იმის გამო, რომ საუნივერსტეტო დონეზე ჯერ-ჯერობით არ არსებობს სპეციალური მასწავლების საბაკალავრო პროგრამა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრში ორი თვის განმავლობაში ხდება სპეციალური მასწავლებელების მომზადება ან არსებულის კვალიფიკაციის ამაღლება. ცენტრში ასევე მუშაობს საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც ინკლუზიური განათლების დანერგვის და განვითარების პროცესში საჯარო სკოლებს საჭიროების შემთხვევაში უწევს რეკომენდაციებს.

ევროკავშირის მხარდაჭერით არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით მიმდინარეობს მუშაობა ინკლუზიური განათლების მონიტორინგის მოდელის შესამუშავებლად, რაც საშუალებას მოგვცეს განხორციელდეს ინკლუზიური განათლების მიმდინარეობის ხარისხის შეფასება.

განათლების სისტემაში ფუნქციონირებს 9 სკოლა-პანსიონი. აქედან 4 არის მძიმე ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის, სამი სენსორული დარღვევის, ერთი ქცევით და ემოციური აშლილობის მქონე მოსწავლეებისთვის და ერთი ნიშიერი მოსწავლეებისთვის.

2013 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პროფესიული განათლების სისტემის რეფორმის კვალდაკვალ განსაზღვრა პროფესიული განათლების დაფინანსების წესი და პირობები და შეიმუშავა შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტი - ,,პროფესიული განათლების დაფინანსების წესი და პირობები'', სადაც მნიშვნელოვანი ცვლილება შეეხო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიული განათლების დაფინანსების წესსა და პირობებს. კერძოდ, მათთვის განისაზღვრა სწავლის სრული ვაუჩერული დაფინანსება.

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს საშტატო განრიგით აქვთ განსაზღვრული ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტების შტატი, აღნიშნული სპეციალისტების რეკომენდაციების საფუძველზე ხორციელდება სასწავლო გარემოს ორგანიზება და სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელება. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის, რომლებსაც სურვილი აქვთ სწავლა განაგრძონ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დანერგა პროფესიული ტესტირების ალტერნატიული მექანიზმი. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ირიცხებიან პროფესიული აქტივობის

პრაქტიკული მოცდის გზით, რომლის დროსაც ზუსტდება პირის შესაბამისობა სასწავლო პროგრამის მოთხოვნებთან.

საქართველოს კონტექსტში ჟესტური ენის განვითარების მეთოდოლოგიის საკითხი დეტალურად დამუშავდა ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს წარმომადგენლებთან, რომელთაც აღნიშნული მიმართულებით მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება გააჩნიათ.

2014 დეკემბერი - 2015 წლის მიმდინარე პერიოდში ქართული ჟესტური ენის განვითარებაზე პასუხისმგებელმა ორგანიზაციამ - საქართველოს ყრუთა კავშირმა (ორგანიზაციის მრავალწლიანი მომსახურება შესყიდული იყო ტენდერის გზით), უზრუნველყო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, კერძოდ:

ქართული SignWiki–ს პოპულარიზაცია და გავრცელება ყრუთა საზოგადოებაში.

ქართული ჟესტების შეგროვება და ვებ-გვერდზე ატვირთვა.

2014 წლის მდგომარეობით პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულია 203 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი.

იანვარი-მარტის პერიოდში საქართველოს ყრუთა კავშირმა პროექტის ადმინისტრაციასთან ერთად განსაზღვრული ათი პროფესიული მიმართულების ფარგლებში (სტილისტი, კომპიუტერული გრაფიკა, მზარეული, დურგალი, ინფორმაციული ტექნოლოგი, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი, მეფილე-მომპირკეთებელი, ინტერნეტ-ტექნოლოგი, ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი, სავალი ნაწილის ტექნიკოსი) უზრუნველყო ჟესტების შეგროვება და საიტზე ატვირთვა. საქართველოს ყრუთა კავშირმა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში უზრუნველყო 1200-ზე მეტი ჟესტის შეგროვება ყრუ პირთა მონაწილეობით და ვებ-გვერდზე ატვირთვა.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა დასაქმების მხარდასაჭერად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გააააქტიურა უწყებათაშორისი თანამშრომლობა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და სოციალური დაცვის სააგენტოსთან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა დასაქმების ერთიანი ხედვის შემუშავების და პილოტირების მიზნით.

2015 წლის აპრილში ჩატარდა ინკლუზიური განათლების მეორე საერთაშორისო კონფერენცია „შექმენი შესაძლებლობები“, სადაც განხილული იქნა ხარისხიანი პროფესიული განათლებისა და დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის საკითხები ადგილობრივ და საერთაშორისო ანალიზის საფუძველზე.

2015 წელს დაგეგმილია „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის რევიზია და მისი „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა“ კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით კანონში ცვლილებების პაკეტის მომზადება.

„საქართველოს მთავრობის საქართველოს პარლამენტში მიმდინარეობს ქმედუუნარობის მოქმედი მოდელის ცვლილების კონცეფციასა და საკანონმდებლო პაკეტზე მუშაობა.“

კომენტარი: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი ფსიქიური დაავადებების გამო შშმ პირების ქმედუნარიანობის შეზღუდვის არსებული საკანონმდებლო რეგულაციები, შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის გადაწყვეტილებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული იქნა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რითაც ქმედუნარიანობის არსებული ნორმები შესაბამისობაში იქნა მოყვანილი როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასტან, ასევე, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მოთხოვნებთან.
ამჟამად სამინისტრო აქტიურად მუშაობს საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე დამატებითი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

10. გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსები და ენერგეტიკა

,,ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, პირველი რიგის განსახორციელებელ ღონისძიებებში სახელდებოდა ევროგაერთიანების მოთხოვნების შესაბამისი გარემოსდაცვითი სტანდარტებისა და ნორმატიული ბაზის შემუშავება“

კომენტარი: საკანონმდებლო ჰარმონიზაციის პროცესი შეთანხმების ხელმოწერამდე დაიწყო: 2015 წლიდან ძალაში შევიდა ასოცირების შესახებ შეთანხმების ვალდებულებების გათვალისწინებით შემუშავებულია ნარჩენების მართვის კოდექსი და კანონი „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“, რომლებიც სრულ თანხვედრაშია ევროკავშირის ასოცირებით ნაკისრ ვალდებულებებთან.
წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის სისტემის დანერგვისათვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნის მიზნით, დაიწყო „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ კანონპროექტის მომზადება, რომელიც დაფუძნებულია წყლის რესურსების სააუზო მართვის ევროპულ პრინციპებზე, მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებულ და საერთაშორისოდ აღიარებულ თანამედროვე მოთხოვნებზე;მიმდინარეობს მუშაობა შემდეგი საკანონმდებლო აქტების შემუშავებაზე:
ასოცირების შეთანხმების მოთხოვნათა შესაბამისად, მიმდინარეობს კანონპროექტის „სახეობებისა და ჰაბიტატების“ შესახებ მომზადება;

ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების უკეთ რეგულირებისა და ქვეყნის მიერ მონრეალის ოქმით ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მიზნით დაინერგა ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების იმპორტ/ექსპორტის და კვოტირების სანებართვო სისტემა; შემუშავებულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემის შესახებ კანონპროექტის პირველადი სამუშაო ვერსია შესაბამისი ევროკავშირის დირექტივების გათვალისწინებით (2015)

მიმდინარეობს მუშაობა სევესო III დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად კანონმდებლობის ანალიზის შემუშავებაზე (2015-2016);

შემუშავებულია ნარჩენების იმპორტის, ექსპროტისა და ტრანზიტის შესახებ კანონპროექტის სამუშაო ვერსია, რომელიც პარლამენტს წარედგინება 2015 წლის საგაზაფხულო სესიაზე;

მომზადდა „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ კანონპროექტი, რომლის საფუძველზე 2015 წლის 1 ივლისიდან დაინერგება სამაცივრო და ჰაერის კონდიცირების ტექნიკოსთა სავალდებულო სერტიფიცირების სისტემა; მიმდინარეობს ტყის კოდექსის შემუშავება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტში შეიქმნა ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის სამმართველო, რომლის უშუალო ფუნქციასაც წარმოადგენს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა. აღნიშნული მიმართულებით სამმართველომ უკვე დაიწყო აქტიური მუშაობა და უცხოელ ექსპერტებთან ერთად მომზადდა გზამკვლევი (road map), რომელშიც გაწერილია შესამუშავებელი კანონპროექტების სია და მათი მიღების ვადები. ზემოთაღნშნული ნორმატიული აქტების გარდა, დაწყებულია მუშაობა სხვა კანონპროექტებზე მუშაობაც.

,,გარემოზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასების, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისა და გარემოს მდგომარეობის მონიტორინგის თანამედროვე პრინციპებზე აგებული სისტემის შექმნა“

კომენტარი: საქართველოში არსებული გარემოზე ზემოქმედების სანებართვო სისტემის გაუმჯობესებისა და მისი ევროსტანდარტებთან დაახლოების მიზნით, ევროკავშირის დაფინანსებით, მოხდა შესაბამისი კანონმდებლობის ანალიზი და გამოვლინდა არსებული ხარვეზები. 2014 წლის შემოდგომიდან საერთაშორისო (UNECE) და ადგილობრივი ექსპერტების მონაწილეობით, დაიწყო ახალი კანონპროექტის მომზადება. კანონპროექტის მიზანია გარემოზე ზემოქმედების შეფასების არსებული ნორმების ჰარმონიზება ასოცირების შეთანხმების, ასოცირების დღის წესრიგისა და ესპოს კონვენციის (კონვენცია ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ) მოთხოვნებთან, ასევე სრულიად ახალი მექანიზმის - გარემოზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასების - ინიცირება და

დანერგვა. გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და სტრატეგიული გარემოს დაცვითი კანონპროექტის სამუშაო ვერსია შემუშავებულია, ხოლო საჯარო განხილვა დაგეგმილია 2015 წლის მაისში.

„დაცული ტერიტორიების (განსაკუთრებით ახლადშექმნილი) სრულყოფილი საბიუჯეტო დაფინანსება არ ხდება."

კომენტარი: „დაცული ტერიტორიების დაარსებიდან შექმნის პროცესში ეტაპობრივად მიმდინარეობს მინიმალური და კრიტიკული საოპერაციო მიზნებისთვის დაფინანსების გამოყოფა, როგორიცაა მაგალითისთვის დამატებითი შტატების გამოყოფა, რეინჯერთა მხრიდან დაცული ტერიტორიების პატრულირებისთვის საწვავის ლიმიტების დაწესება და ა.შ. ყოველი მომდევნო საფინანსო წლის ბიუჯეტის პროექტის ფორმირებისას დაცული ტერიტორიების სააგენტო ითვალისწინებს ხარჯებს რომელიც აუცილებელია ახლად შექმნილი ადმინისტრაციების მინიმალური ფუნქციონირებისთვის"

„მიუხედავად ზემოაღწერილი მიღწევებისა, ამ ეტაპზე „ქართული ოცნების" საარჩევნო პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ შეუსრულებელია. ამასთან, სამწუხაროდ, ახალმა ხელისუფლებამ პოლიტიკური და სამართლებრივი კუთხით არ შეაფასა წინამორბედის დაშვებული გადაცდომები. ეს კი, საფუძველი გახდა იმისა, რომ თანდათან „ქართულმა ოცნებამ" დაიწყო „ნაციონალური მოძრაობის" მსგავსი შეცდომების დაშვება.ახალმა ხელისუფლებამ არ გაწია ძალისხმევა ხელისუფლების გამჭვირვალობის, საზოგადოების მონაწილეობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველმყოფი პროცედურების ჩამოსაყალიბებლად (მაშინ, როდესაც სწორედ დემოკრატიული პროცედურების არარსებობის გამო აკრიტიკებდა ის თავის წინამორბედს)."

კომენტარი: უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლის შემდგომ არსებითად შეიცვალა მდგომარეობა საზოგადოების ჩართულობის თვალსაზრისით, კერძოდ, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით არცერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არ მიუღია საჯარო განხილვის გარეშე და ამ შემთხვევაში ორჰუსის კონვენციას იყენებს პირდაპირი სამართლის წყაროდ. საჯარო განხილვისათვის ოპერატიულად და საწყის ეტაპზევე ქვეყნდება ამ სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების პროექტები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი მაქსიმალურად სრულყოფილი სახით შემუშავება, სამინისტრო პერიოდულად აქვეყნებს გარემოსდაცვით სფეროში განსახორციელებელი პროექტების, პროგრამების, ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას და მოუწოდებს საზოგადოებას აქტიურად მიიღოს მონაწილეობა მათ განხილვაში (წარმოადგინოს წინადადებები/მოსაზრებები, შენიშვნები).

კანონმდებლობით დადგენილ გარკვეულ საქმიანობებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, სამინისტროს მიერ ოპერატიულად ხდება საჯარო განხილვისათვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების გამოქვეყნება, საზოგადოების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და წინადადებების მიღება და განხილვა. აგრეთვე დაინტერესებულ პირს მომართვის შესაბამისად, ეძლევა შესაძლებლობა საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენით მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ლიცენზირება/ნებართვას დაქვემდებარებულ საქმიანობებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სამინისტროს მიერ უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული მოქმედებები მიმართულია ორჰუსის კონვენციით დადგენილი – გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის საშუალებების რეალიზების უზრუნველსაყოფად და ამ მიმართულებით მუშაობა აქტიურად გრძელდება.

აღსანიშნავია, რომ გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) ფინანასური მხარდაჭერით 2013 წელს დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ახალი კანონპროექტის შემუშავება. კანონპროექტით მოხდება გზშ-ს დაქვემდებარებული საქმიანობების ჩამონათვალის სრულყოფა, რომლითაც დაიხვეწება გზშ-ის თითოეულ ეტაპზე საზოგადოების ჩართულობის მექანიზმები, რაც განაპირობებს ინვესტორსა და მოსახლეობას შორის სწორ კომუნიკაციას; უზრუნველყოფილი იქნება გზშ-ის პროცედურების მაქსიმალური გამჭვირვალობა; როგორ უკვე აღნიშნა (წინა კომენტარში), კანონპროექტის პირველადი ვერსიის საჯარო განხილვა დაგეგმილია 2015 წლის მაისსში, ხოლო საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში წარსადგენად კანონპროექტი სავარაუდოდ მზად იქნება 2015 წლის ბოლოსთვის.

დამატებით აღსანიშნავია, რომ 2014 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) სპეციალური ჯილდო გადაეცა. IDFI-ს სიგელი გადაეცა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100%-იანი მაჩვენებლის მქონე დაწესებულებებს. პროექტის მსვლელობისას წარმოებული სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა ის უწყება, რომელმაც ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 2014 წელს ყველაზე მეტად გააუმჯობესა. 2014 წელს ამუშავებული ცხელი ხაზიც, ასევე, ხელსუწყობს საზოგადოების ინფორმირებას. გარდა ამისა სამინისტრო, როგორც აღნიშნა ორგანიზებას უწევს მისაღები ნორმატიული აქტებისა და გარემოსდაცვით სფეროში ცალკეული გეგმების საჯარო განხილვას, მაგალითად, 2013-2015 წლებში მოეწყო ოთხი დაცული ტერიტორიის (ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები, აჯამეთის აღკვეთილი, მტირალას ეროვნული პარკი, იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები) მენეჯმენტის

გეგმის საჯარო განხილვა ხოლო სხვადასხვა კანონპროექტთან მიმართებით, მათ შორის ,,გარემოზე „ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის და „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის პროექტებთან დაკავშირებით, ჩატარდა ათამდე საჯარო განხილვა.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და გარემოსდაცვით ინფორმციაზე მაქსიმალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. ამ მიმართულებით სამინისტრო გეგმავს და ახორციელებს სამიზნე ჯგუფებზე გათვლილ ღონისძიებებს. საზოგადოების ფართო ფენებისთვის, მათ შორის, სკოლის მოსწავლეებისთვის, სტუდენტებისთვის და ადგილობრივი მოსახლეობისათვის, რეგულარულად იმართება შეხვედრები, კონფერენციები, ბრიფინგები, ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები, ტარდება საგანმანათლებლო ლექცია-სემინარები, ეწყობა გამწვანებისა და დასუფთავების აქციები, ეკოტურები, ეკობანაკები და მედიატურები, მზადდება დოკუმენტური ფილმები და საინფორმაციო-სარეკლამო რგოლები. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით გამოიცემა და ვრცელდება საინფორმაციო და საგანმანათლებლო ბროშურები, მზადდება დოკუმენტური ფილმები.

ასევე, საყურადღებოა გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და გარემოს საკითხებზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა. „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მოქალაქეს აქვს უფლება, მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია თავისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ და მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვის სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი აქიტიურად მუშაობს, გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე, რაც თავისმხრივ გაზრდის საზოგადოების ინტერესს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით და შესაბამისად მათ ჩართულობას ამ ტიპის საკითხების გადაწყვეტისას.

გარემოსდაცვითი განათლებისა და ცნობიერების ამაღლების, გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების აქტიურად ჩართვის მიზნით, 2013 წლის მაისში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) ,,გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი”. ცენტრის მიზანია, ხელი შეუწყოს: გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას; გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას; ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობას; ფორმალური და არაფორმალური (ნონ-ფორმალ და

ინფორმალ) გარემოსდაცვითი განათლებას; საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას; და კვალიფიციური კადრების მომზადება/გადამზადებას და შესაძლებლობების გაძლიერებას შესაბამისი ტრენინგების და სერტიფიცირებული პროგრამების და განხორციელების გზით. ცენტრის მიერ 2014 წლის განმავლობაში გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის, პროფესიული კადრების გადამზადებისა და მათი შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით განხორცილდა ტრენინგები და სემინარები საჭიროებების მიხედვით შესაბამის სფეროებში, კერძოდ: ა) „ინსპექტირების პროეცედურების და პრაქტიკული ასპექტების ზოგადი კურსი“, ბ) „ტყის მცველების შესაძლებლობების შესაძლებლობების გაძლიერების ზოგადი კურსი“, გ) „ახალგაზრდა სპეციალისტთა ტყის ტაქსაციაში გადამზადება“, დ) სასწავლო ტური სატყეო მიმართულებით სხვადასხვა უწყებებისა და უნივერსიტეტების წარმომადგენლებისთვის და სხვა.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, მომზადდა ,,გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისათვის: საქართველოს ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2012-2014 წლებისათვის”, რაც, შესაბამისობაშია გაერთიანებული ერების ევროპის ეკონომიკური კომისიის „განათლება მდგრადი განვითარებისთვის” სტრატეგიასთან, სამოქმედო გეგმასთან და “განათლება მდგრადი განვითარებისთვის დეკადის” ხედვასა და მიზნებთან. გარემოსდაცვითი განათლების დებულებები, რომელიც აღწერილია ამ დოკუმენტში, ქმნის საფუძველს მდგრადი განვითარებისთვის განათლების კონცეფციის უფრო ფართო მიდგომების დასანერგად.

ამჟამად, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ დაწყებული აქვს გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისთვის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განახლების პროცესი. ასევე, საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, 2016 წლის ეროვნული სასწავლო გეგმებისა და კურიკულუმების შემუშავების პროცესში დაგეგმილია გარემოსდაცვითი კომპონენტის გაუმჯობესება.

რაც შეეხება, სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს, მისი საქმიანობა გულსიხმობს, ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური პროცესებისა და მოვლენების მონიტორინგს, აგრეთვე გარემოს დაბინძურების შესახებ, შესაბამისი გაფრთხილებების მომზადებასა და გავრცელებას., რაც საწინდარია ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის თვალსაზრისით. ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია შემდეგი საქმიანობა:

სამიზნე აუზში დღეისათვის დამონტაჟებულია 5 მეტეოროლოგიური სადგური, 20 მეტეოროლოგიური საგუშაგო, 10 ჰიდროლოგიური საგუშაგო; ინკლინომეტრიული ხელსაწყოები (მეწყერების დინამიკის მონიტორინგისათვის) და ჰიდრავლიკური მოდელი (რომელიც დამუშავების პროცესშია) გააუმჯობესებს მონიტორინგისა და პროგნოზირების შესაძლებლობებს. შედეგად ადამიანური მსხვერპლისა და ზარალის შემცირება პრევენციული სამუშაოების ჩატარების ხარჯზე, გაიზრდება მოსახლეობის ინფორმირებულობის ხარისხი.

- **ადრეული შეტყობინების სისტემის დანერგვა**, **ამალი-დევდორაკის ხეობაში, ასევე მდ. დურუჯსა და კაბალზე და 3 უკიდურეასად დაძაბულ უბანზე,** რაც გულისხმობს წყალდიდობის საწინააღმდეგო ადრეული გაფრთხილების სისტემის მონტაჟის უზრუნველყოფას, ზარალის შემცირებასა და სწრაფ რეაგირებას შესაბამისი უწყების მხრიდან. პროექტი გულისხმობს მდ. დევდორაკის ხეობაში ადრეული გაფრთხილების სისტემის დაინსტალირებას; ასევე იგეგმება საქართველოს ტერიტორიის 3 უბანზე ადრეული გაფრთხილების სისტემის მოწყობა (გეომონიტორინგული აპარატურის დამონტაჟება); პარალელურად იგეგმება, მდინარე დურუჯსა და კაბალზე ადრეული გაფრთხილების სიტემის მონტაჟი (წყალმოვარდნების პროგნოზირებისათვის);
  აღნიშნული პროექტების შედეგად მოხდება მოსახლეობის ინფორმირება მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ (კლდე-ზვავ-ქვათაცვენა, ღვარცოფი, მეწყერი, წყალმოვარდნები, წყალდიდობები); შემცირდება ადამიანთა მსხვერპლი და ეკონომიკური ზარალი.

- **აგრომეტეოროლოგიური მომსახურეობის დანერგვა სამ მუნიციპალიტეტში**: ზუგდიდი (სიმინდი, ციტრუსი, თხილი, ჩაი); დედოფლისწყარო (საშემოდგომო ხორბალი, მზესუმზირა, ვაზი); ბოლნისი (საშემოდგომო ხორბალი, ვაზი, ბოსტნეულ-ბაღჩეული, სიმინდი) . აღნიშნული მომსახურება გულისხმობს: სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული სახელმწიფო და კერძო სექტორისთვის სპეციალიზებული აგრომეტეოროლოგიური ინფორმაციის და შესაბამისი აგროტექნიკური სამუშაოების ჩატარების შესახებ რეკომენდაციების მიწოდებას; გაფრთხილებების მიწოდებას სოფლის მეურნეობისთვის მოსალოდნელი არახელსაყრელი ჰიდრომეტეოროლოგიური პირობების შესახებ.
  სამი მუნიციპალიტეტის აგრომეტეოროლოგიური მომსახურეობით უზრუნველყოფის, შედეგად მოხდება გვალვის, სეტყვის და ძლიერი ქარის მიერ სოფლის მეურნეობაზე მიყენებული ზარალის შემცირება.

  მიმდნარეობს პროექტის საბოლოო დაზუსტება სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.

- ***თოვლსაზვავე მომსახურეობის დანერგვა გუდაური-კობის მონაკვეთზე გულისხმობს*** გუდაური-კობის მონაკვეთზე თოვლის ზვავებზე დაკვირვებას (ავტომატური თოვლსაზვავე სადგურის შეძენა/დაინსტალირებას). აღნიშნული სადგურის დაინსტალირება საშუალებას მოგვცემს უარყოფითი შედეგების პრევენცია მოვახდინოთ გზის სხვადასხვა მონაკვეთების ჩაკეტვა/გახსნის დარეგულირებით. (ავტმატურ რეჯიმში შემოსული ინფორმაციის დამუშავება ხდება სააგენტოს სპეციალისტების მიერ და მიიღება პროგნოზი. წინსწრების ვადა დამოკიდებულია მეტეო პროგნოზზე (თოვლის, წვიმის, სეტყვის და ა.შ.)).
  შედეგად, მოხდება სტიქიური მოვლენებით გამოწვეული უარყოფითი მოვლენების თავიდან აცილება/შერბილება (ადამიანური მსხვერპლი, ეკონომიკური ზარალი); აღნიშნული სადგური გულისხმობს სეზონურად, ზამთრის პერიოდში ზვავების/მეწყერის პრევენციას, გუდაური კობის მონაკვეთზე.

გაფართოვდა ჰიდრომეტეოროლოგიურ პარამეტრებზე დაკვირვების ქსელი. მდ.რიონის აუზში დამონტაჟდა და გაიმართა 5 ავტომატური მეტეოროლოგიური სადგური და 7 ავტომატური მეტეოროლოგიური საგუშაგო;

გაიზარდა წყლის და ნიადაგის მონიტორინგის პუნქტები: ზედაპირულ წყალზე - 21 წერტილით, ნიადაგზე - 85 წერტილით. აგრეთვე დაიწყო მიწისქვეშა წყლების ხარისხის კონტროლი 2 ჭაბურღილზე;

2014 წელს ამოქმედდა საზღვაო ბიომრავალფეროვნების სადამკვირვებლო სადგური იხტიოლოგიური მონიტორინგისთვის;

2014 წელს დაიწყო ზღვის კონტაქტური წყალსატევების (ენგური, ჭოროხი, რიონი, მალთაყვა/პალიასტომი, სუფსა, ხობი) ჰიდრობილოგიური და იხტიოლოგიური მონიტორინგი;

შავი ზღვის სანაპიროზე მიმდინარეობს ნაპირის მორფოდინამიკური პროცესების მონიტორინგი;

იაპონელ ექსპერტებთან ერთად ქ. ბათუმის სანაპიროზე შეირჩა ადგილი, სადაც დამონტაჟდება ავტომატური სპეციალიზირებული საზღვაო ჰიდრომეტეოროლოგიური სადგური, რაც შექმნის შესაძლებლობას დროულად იქნას პროგნოზირებული შავი ზღვის სანაპიროზე მოსალოდნელი შტორმული პროცესები;

შეძენილი და დამონტაჟებულ იქნა თანამედროვე მოწყობილობა (პლაზმურ-ემისიური სპექტროფოტომეტრი ICP-OES), რომელიც საშუალებას იძლევა წყლის, ჰაერისა და ნიადაგის სინჯებში მაღალი სიზუსტით განისაზღვროს მძიმე ლითონების შემცველობა;

დანერგილ იქნა თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტები წყალში მავნე ინგრედიენტების განსაზღვრის მიზნით;

დარიალის ხეობაში, მეტეოროლოგიური პირობების გაუარესების შესახებ წინასწარი გაფრთხილების ეფექტური სისტემის შექმნის მიზნით, დამონტაჟდა ავტომატური მეტეოროლოგიური სადგური. აგრეთვე, ადრეული შეტყობინების მიზნით, ამალის ხეობაში მიმდინარე ჰიდრომეტეოროლოგიურ და გეოლოგიურ პროცესებზე დაწესდა 24სთ-იანი ვიზუალური მონიტორინგი;

შეიქმნა ჰაერის ხარისხის კომპიუტერული მოდელი (ADMS-Urban) ქ. თბილისისთვის, რაც ჰაერის ხარისხის ზოგადი შეფასებისთვის ხელსაყრელ (იაფ) საშუალებას წარმოადგენს და ძალზედ მნიშვნელოვანია ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელის სამომავლო გაფართოების სწორად დაგეგმვისთვის;

დაიწყო ქ. თბილისში არსებული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის 3 არაავტომატური სადგურის თანამედროვე ავტომატური გამზომი ხელსაწყოებით აღჭურვის პროცესი (NOx, SO2, O3, PM10 და PM2,5), რაც იმას ნიშნავს, რომ 2015 წლის ბოლოს ქ. თბილისის ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელი იქნება სრულად ავტომატიზირებული (4 სადგური) და ხელმისაწვდომი გახდება თბილისის ჰაერის ხარისხის შესახებ სრულყოფილი და უტყუარი ინფორმაცია;

ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემის განვითარების სწორად დაგეგმვის მიზნით, საქართველოს 7 ქალაქის (თბილისი, ბათუმი, ფოთი, ქუთაისი, რუსთავი, ზესტაფონი, ჭიათურა) 63 წერტილში ჰაერის ხარისხის შესაფასებლად განხორციელდა ერთჯერადი ინდიკატორული გაზომვები, შედეგების საფუძველზე მომზადდა საინფორმაციო რუკა და განთავსდა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

„პრემიერ-მინისტრი და ეკონომიკური პროფილის სამინისტროები ზეწოლას ახდენენ გარემოსდაცვით უწყებაზე სხვადასხვა პროექტთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას, რითაც არღვევენ ისედაც არასრულყოფილ კანონმდებლობას და აჭარბებენ საკუთარ უფლებამოსილებას.“

კომენტარი: აღნიშნული არ შეესაბამება სინამდვილეს, პირიქით შეიძლება ითქვას, რომ სამთავრობო სტრუქტურებს ძალიან კარგად აქვთ გააზრებული ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთი ძირითადი ვალდებულება - გარემოს დაცვის მიმართულებით აქტიური თანამშრომლობა სამინისტროსთან. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ის, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ჯერ-ჯერობით არ არსებობს ამა თუ იმ მიმართულების სტრატეგიული

შეფასების საკანონმდებლო ვალდებულება, საქართველოს ენერგეტიკისა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ერთობლივი ინიციატივით დაიწყო ქვემოთმოცემულ პროექტზე მუშაობა. პროექტი - „ელექტროენერგეტიკის სექტორის განვითარების სცენარების სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება“, მიზნად ისახავს ქვეყნის ენერგოსექტორის სტრატეგიული განვითარების სცენარების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებაში მთავრობის დახმარებას. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ პროექტის ფარგლებში, გადაწყვეტილების მიღების ადრეულ ეტაპზე იგეგმება დაინტერესებული მხარეებისა და საზოგადოების მონაწილება. აღნიშნული პროექტი ხორციელდება მსოფლიო ბანკისა (WB) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) ფინანსური მხარდაჭერით.

ამასთან ერთად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის გარემოსდაცვითი რეგულაციების შემუშავების და განხილვის კუთხით. გარემოსდაცვითი რეგულაციების შემუშავებისას გასათვალისწინებელია ახალ რეგულაციბთან შესაბამისობის კუთხით კერძო სექტორისთვის გარდამავალი პერიოდის მიცემის შესაძლებლობა. ამას ასევე, ითვალისწინებს ასოცირების ხელშეკრულების ნაწილი. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით, საქართველოს აქვს რეგულაციებთან დაახლოების გარკვეული პერიოდი.

,,გარემოზე ზემოქმედების შეფასებასთან (გზშ), წიაღისეულთან და წყალთან დაკავშირებული კანონმდებლობა და პრაქტიკა მკვეთრად ეწინააღმდეგება ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებითა და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებულ ვალდებულებებს; საფრთხეს უქმნის ადამიანების ჯანმრთელობას და კეთილდღეობას, ბუნებრივ გარემოსა და კულტურული მემკვირდეობას.“

კომენტარი: საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისიწინებულია მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი მიმართულებებით კონკრეტული ქმედებების განხორციელება, რაც რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. სწორედ ამიტომ, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ევროკავშირის ხელშეწყობით განხორციელებული პროექტის ფარგლებში მომზადდა ქმედებებზე ორიენტირებული საგზაო რუკა (Roadmap), რომელშიც ნათლად არის განსაზღვრული ასოცირების შესახებ შეთანხმების გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო უახლოეს წლებში განსახორციელებელი ქმედებები და რეფორმები. ეროვნული გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ევროპულ ნორმებთან ჰარმონზაციის გეგმის ჩათვლით. საგზაო რუკა, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, მომზადებულია, იგი შედგება 9 მიმართულებისგან და

მოიცავს ასოცირების დღის წესრიგის, ასოცირების შეთანხმების გარემოსდაცვითი თავების და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმების ყველა გარემოსდაცვით ვალდებულებას. ევროკავშირის ხელშეწყობით განხორციელებული პროექტის ფარგლებში მომზადდა ქმედებებზე ორიენტირებული საგზაო რუკა (Roadmap), რომელშიც ნათლად არის განსაზღვრული ასოცირების შესახებ შეთანხმების გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო უახლოეს წლებში განსახორციელებელი ქმედებები და რეფორმები. ეროვნული გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ევროპულ ნორმებთან ჰარმონზაციის გეგმის ჩათვლით. საგზაო რუკა, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, მომზადებულია, იგი შედგება 9 მიმართულებისგან და მოიცავს ასოცირების დღის წესრიგის.

,,არასრულყოფილი გზშ სისტემა ზრდის ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულებას და ართულებს ინვესტიციების მოზიდვას, მათ შორის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დაფინანსების შესაძლებლობებს. სივრცული დაგეგმვისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების კანონმდებლობის არარსებობა ხელს უშლის სხვადასხვა სექტორის (ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, ბუნების დაცვა) ჰარმონიულ განვითარებას, აძლიერებს პროექტების კუმულატიურ ზემოქმედებას ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე."

კომენტარი: ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს გარემოზე ზემოქმედების შეფასების კანონმდებლობის ევროდირექტივებთან ჰარმონიზაციის პროცესი და ახალი ნორმები სრულ შესაბამისობაში იქნება მოქმედ საერთაშორისო სამართლებრივ საუკეთესო მიდგომებთან. კერძოდ, გარემოზე ზემოქმედების შესაფასებას დაექვემდებარება ყველა ის საქმიანობა (მასშტაბისა და კატეგორიის მიხედვით), რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს გარემოს მდგომარეობასა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამასთან, უფრო მკაფიო და ეფექტიანი გახდება გარემოზე ზემოქმედების პროცესში საზოგადოების ჩართულობის მექანიზმი, რაც უზრუნველყობს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ყველა დაინტერესებული პირის ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებას. ამასთანავე, პარალელურ რეჟიმში, დაინერგება სრულიად ახალი კანონმდებლობა, რომელიც სტრატეგიული გარემოზე ზემოქმედების შეფასების დირექტივას იქნება დაფუძნებული. დამატებით, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებშიც აქტიურად მიმდინარეობს და ფაქტიურად არ არსებობს შემთხვევა, როდესაც პროექტი არ იქნა განხორციელებული საქართველოს კანონმდებლობის ნაკლოვანების მიზეზით.

,,შერჩევითი კანონაღსრულება (მათ შორის, სახელმწიფო ორგანოების უმოქმედობა, როდესაც სახეზეა სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი აშკარა დარღვევები), ინტერესთა კონფლიქტები და თანამდებობის პირების მხრიდან უფლებამოსილების გადამეტება, რაც

განსაკუთრებით თვალსაჩინოა წიაღისეული მრეწველობასა და ენერგეტიკულ პროექტებთან მიმართებაში. სანებართვო ან სალიცენზიო პირობების შესრულების მდგომარეობის მონიტორინგი/კონტროლი საერთოდ არ მიმდინარეობს, ან მიმდინარეობს დიდი ხარვეზებით.“

კომენტარი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შექმნის დღიდან (2013 წლის მაისი) დღემდე დეპარტამენტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა სანებართვო/სალიცენზიო პირობების შესრულების მდგომარეობის შესწავლა.

იმის გამო, რომ წლების მანძილზე სანებართვო/სალიცენზიო პირობების სისტემატიური, გეგმაზომიერი შემოწმებები არ ხორციელდებოდა, 2013-2014 წლებში სანებართვო/სალიცენზიო პირობების შესრულების გეგმიური და არაგეგმიური შემოწმებების განხორციელების შედეგად, გამოვლენილი გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობა მკვეთრად გაიზარდა.

ამასთან, შემოწმებების დაგეგმვისას დეპარტამენტის მიერ ინერგება საწარმოების შერჩევა ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინებით, როგორიცაა ობიექტის სიმძლავრე, გარემოზე მისი პოტენციური ზემოქმედების დონე, ასევე კანონმდებლობით დადგენილი ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე. უახლოეს მომავალში შემოწმების კრიტერიუმები და პრიორიტეტები კიდევ უფრო დაიხვეწება.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ რეგულირების ობიექტების შემოწმებების ჩატარებას როგორ წესი, აქვს დარღვევების თავიდან აცილების ანუ პრევენციის დანიშნულება შემოწმების შედეგებიდან გამომდინარე, უმრავლეს შემთხვევაში დგება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი, რაც იმის შედეგია, რომ დარღვევათა სიმძიმე მაღალია სწორედ იმის გამო, რომ წლების მანძილზე არ ხდებოდა რეგულირების ობიექტების შემოწმება და ხშირ შემთხვევაში სახეზეა წლების მანძილზე სისტემატიური დარღვევებით გამოწვეული გარემოსთვის მიყენებული ზიანი.

დეპარტამენტი საქმიანობას წარმართავს კანონიერების, მიუკერძოებლობის, დამოუკიდებლობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისადმი პატივისცემის, თანასწორობის, საჯაროობის, სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით. ასევე საყურადღებოა, რომ პირველად 2013 წელს დამტკიცდა ბირთვული საქმიანობის ინსპექტირების წესი და აქტიური მუშაობა გრძელდება არაავტორიზებული საქმიანობების გამოვლენისა და სალიცენზიო პირობების დარღვევების აღკვეთის თვალსაზრისით.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ელიტური კორუფციის, თუნდაც ნიშნების არსებობაზე მითითება სერიოზული ბრალდებაა ნებისმიერის სამინისტროსთვის, შესაბამისად საჭიროა მყარი და დასაბუთებული არგუმენტაცია. გამომდინარე იქიდან, რომ სამინისტროს მიმართ, ასეთი ტიპის

ეჭვები ზიანს აყენებს მის რეპუტაციას და ასახვას ჰპოვებს საზოგადოებას დამოკიდებულებაზე საჭიროა ნებისმიერი არასამთავრობო ორგანიზაცია მეტი სიფრთხილით მოეკიდოს ასეთი ბრალდებებს და მის საჯაროდ გაცხადებამდე საფუძვლიანად გამოიკვლიოს ასეთი ნიშნების რეალურად არსებობის ფაქტები. ხოლო, ასეთი ფაქტების არსებობის შემთხვევაში ვალდებულია მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს, ვინაიდან მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, დანაშაულის შეუტყობინებლობა ან/და დაფარვა წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს. ამასთან, ობიექტური გამოძიება დაადგენს იმ ბრალდების საფუძვლიანობას, რომელიც წარმოდგენილია მოცემულ ანგარიშში.

ბოლო პერიოდში „ქართული ოცნების“ მთავრობა „ნაციონალური მოძრაობის“ მსგავს საკადრო პოლიტიკას ატარებს. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი სსიპ-ების ხელმძღვანელ თანამდებობებზე კვლავ ინიშნებიან შესაბამისი განათლებისა და გამოცდილების არმქონე პირები - როგორც წესი, სხვადასხვა ძალოვანი სტრუქტურებიდან და მოქმედი მინისტრის წინა სამსახურიდან გადმოყვანილი კადრები.

კომენტარი: გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო კარგად აცნობიერებს, რომ გარემოს დაცვა არ შემოიფარგლება მხოლოდ გარემოზე ზრუნვით და ის აუცილებლად კავშირში უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასთან. გარემოს დაცვა და ეკონომიკის განვითარება სწორედ ადამიანის კეთილდღეობას ემსახურება და არ უნდა განიხილებოდეს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. სამინისტრო „მწვანე ეკონომიკის“ ხელშესაწყობად შემდეგ მიმართულებებზე მუშაობს: ეკოტურიზმი (მდგრადი ტურიზმი), ნარჩენების, ატმოსფერული ჰაერის, წყლის რესურსების მართვა; კლიმატის ცვლილების საადაპტაციო ღონისძიებები; განახლებადი ენერგია; ბიომრავალფეროვნების მართვა და ეკოსისტემები.

ვინაიდაინ "მწვანე ეკონომიკა" მდგრადი განვითარების უალტერნატივო არჩევანია, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო (რომლის ტოპ მენეჯმენტი დაკომპლექტებულია მდგრადი განვითარების ეკონომისტებით), სხვა საკვანძო უწყებებთან კოორდინაციით, აქტიურად გააგრძელებს ამ საკითხებზე მუშაობას.

რეკომენდაციებიდან:

,,გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს გადამუშავება/სრულყოფა: ეს სულ მცირე, უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების მოთხოვნებთან, ასევე ევროკავშირის 85/337/EEC დირექტივასთან;

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისა და სივრცითი დაგეგმვის კანონმდებლობისა მიღება და განხორციელების მექანიზმების დანერგვა;“

კომენტარი: ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მიერ შემუშავებულია ევროკავშირის სტანდარტებიტ გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისი გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ კანონპროექტისა პირველადი სამუშაო ვერსია, რომლის საჯარო განხილვაც იგეგმება 2015 წლის მაისში.

სამუშაო პროცესშია საქართველოს კანონის პროექტი ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შესახებ, რომელზეც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო სხვა უწყებებთან ერთად მუშაობს 2013 წლის 9 ოქტომბრის საქართველოს მთავრობის N262 დადგენილების შესაბამისად შექმნილი სამთავრობო კომისიის ფარგლებში. დოკუმენტის საბოლოო ვერსიის შემუშავება იგეგმება 2015 წლის ივნისში. ამასთან, ცენტრალურ აპარატში შეიქმნა ახალი მიმართულებების, კერძოდ, ტყის პოლიტიკის, მიწის რესურსების დაცვისა და წიაღის და ბუნებრივი და ანთროპოგენური საფრთხეების მართვის სტრუქტურული ერთეულები.

,,წყლის რესურსების მართვის კანონმდებლობის გადამუშავება მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების მოთხოვნებთან, ასევე ევროკავშირის შესაბამისი დირექტივების მიხედვით და განხორციელების მექანიზმების, მათ შორის წლის რესურსების სააუზო მართვის დანერგვა;[5]“

კომენტარი: ზემოთ აღნიშნული გზამკვლევის (ROAD MAP) თანახმად 2015 წლის ბოლოსთვით შემუშავებული იქნება წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონპროექტი. 2015 წლის სექტემბერში შემუსავდება კანონქვემდებარე აქტის პროექტი მდინარის სააუზო მართვის გეგმის განვითრების განხილვის და დამტკიცების პროცედურის შესახებ. წყლის ჩარჩო დირექტივა, რომელიც ასოცირებული ხელშეკრულების მოლაპარაკებების ერთ-ერთ დირექტივას წარმოადგენდა, ითვალისწინებს სააუზო მართვის პრინციპების დანერგვას. შემუშავების სტადიაში მყოფი წყლის რესურესბის შესახებ ახალი კანონპროექტი დაფუძნებული იქნება წყლის რესურსების სააუზო მართვის პრინციპებზე. წყლის რესურსების სააუზო მართვა მოიცავს არა მარტო რაოდენობრივი და ხარისხობრივი მდგომარეობის

[5] კანონპროექტის მიღება გადაიდო, სავარაუდოდ ეკონომიკური პროფილის სამინისტროების წინააღმდეგობის გამო. კანონპროექტის მიღების გადავადება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ გრძელდება მუშაობა ამ კანონპროექტისა და სხვა რელევანტური კანონმდებლობის კომპექსური დახვეწისა და ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზაციის თვალსაზრისით.

მონიტორინგს, არამედ წყლის რესურსების დაბინძურებისაგან თავიდან აცილებას, ეკოსისტემების შენარჩუნებას, წყალაღების რეგულირებას და ა.შ. საერთაშორისო ნორმების მიხედვით, რეკომენდაცია არის წყლის რესურსების სააუზო მართვაზე მთლიანად გადასვლა და არა მარტო რაოდენობრივი და ხარისხობრივი მდგომარეობის მონიტორინგის დანერგვა.

შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის მიზნით აშენდა ქ. ბათუმის მუნიციპალური ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა; 2015-2018 წლებში მუნიციპალური ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშნებელბა დაგეგმილია ანაკლიაში, მესტიაში, ურეკსა და ქობულეთში;

,,ტყის მდგრადი პრინციპების დანერგვა, რათა უზრუნველყოფილი იქნას ადგილობრივი მოსახლეობის რესურსებზე ხელმისაწვდომობა და ეკოსისტემის დაცვა. პირველ რიგში ეს გულისხმობს: ...დაცული ტერიტორიების ქსელის გაფართოებას“

კომენტარი:ტყის მდგრადი მართვის ეროვნული კრიტერიუმების და ინდიკატორების შესახებ კანონქვემდებარე აქტის პროექტისაქართველოს მთავრობას წარედგინება 2016 წლის დასაწაყისში. თანამედროვე ტექნოლოგიებით ჩატარებული ტყის მონიტორინგის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება უწყების ელექტრონულ პორტალზე 2016 წლიდან. 2016 წლის მარტისთვის შემუშავებულ იქნება ტყის კოდექსის პროექტი, ასევე, 2015 წლის ბოლოსთვის შემუშავებულ იქნება საქართველოს სატყეო ტერიტორიის ზონირებისა და კატეგორიზაციის შესახებ კანონპროექტი.

დაცული ტერიტორიების გაფართოვებასა და ახალი ქსელის შექმნას, რაც შეეხება:

- დაარსდა 16 ახალი ბუნების ძეგლი;
- დაარსდა ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები (ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკი, როშკის ბუნების ძეგლი და ასის აღკვეთილი) 79904,4 ჰა ტერიტორიაზე.
- ფრინველთა სახეობებისათვის სპეციალური დაცული ტერიტორიების იდენტიფიცირება და შექმნა იგეგმება, გზამკვლევის მიხედვით 2017-2018 წლებში.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ დაცული ტერიტორიების დემარკაციის პროცესი (რაც გულისხმობს საზღვრების დადგენას, კორექტირებასა და გაფართოებას) დაიწყო 2014 ში და დასრულდება 2015 წლის მაისში. ხოლო, უკვე დასრულებულია ბორჯომ-ხარაგაული, თბილისის ეროვნული პარკი, გარდაბნის აღკვეთილი, კოლხეთის ეროვნული პარკი, ქობულეთის ერ. პარკი, კაცობურის აღკვეთილი. 2014 წელს შეიქმნა 17 ახალი ბუნების ძეგლი, 1 აღკვეთილი და 1 ეროვნული პარკი. დაცული ტერიტორიების დემარკაციის შედეგად 2014-2015 წლებში შემდეგი ტერიტორიების მოსახლეობის საკუთრება გათავისუფლდა სტატუსისგან: თბილისი;გარდაბანი; მცხეთა; თიანეთი; ბორჯომი; ადიგენი; ხარაგაული; ბაღდათი; ახალციხე; ხაშური; საგარეჯო; სიღნაღი; დედოფლისწყარო; ქობულეთი; ფოთი; ლანჩხუთი; სენაკი; ხობი;ზუგდიდი; აბაშა; მარტვილი; ახმეტა. აღნიშნული პროცესი

საშუალებას იძლევა გასწორდეს დაცული ტერიტორიების საზღვრები, რათა მოიხსნას ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან არსებული გადაფარვების პრობლემა.

,,წიაღით სარგებლობის სფეროში ბოლო წლებში გატარებული ცვლილებების ეფექტურობის შეფასება და წიაღისეული რესურსების მართვის ჩარჩოს ჩამოყალიბება. მანამდე გადაუდებლად უნდა მოხდეს წიაღითსარგებლობის (დაზვერვა, მოპოვება, გამდიდრება, გადამუშავება) გარემოსდაცვითი და სოციალური დაცვის მკაცრი მოთხოვნების დაწესება და მონიტორინგი.“

კომენტარი: რაც შეეხება კანონმდებლობის შეფასებას და გატარებული ცვლილებების ეფექტურობას, ეს მუდმივი პროცესია და ამ ეტაპზე მიმდინარეობს წიღის შესახებ საქართველოს კანონისა და ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა სამინისტროს დონეზე. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ლიცენზიების სახეობების ოპტიმალური დაყოფის საკითხის განხილვა, ამასთან საბადოების რაციონალურად გამოყენების ვალდებულების გაჩენა კანონმდებლობაში (მინიმალური ასათვისებელ ოდენობების დადგენა), ძველად გაცემული და გაჩერებული საბადოების ამუშავების მექანიზმის განხილვა, რაციონალური ათვისების გეგმების შეთანხმების წესის დადგენა, წიაღის მიწის რეგისტრაციების დაწყებისათვის საჭირო საკანონმდებლო ინიციატივების განხილვა.ყველა ლიცენზიანტს, რომელსაც ენიჭება წიაღითსარგებლობის უფლება, შესაბამისი ბრძანებით ევალება გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დაცვა და მიეთითება ის საკანონმდებლო აქტები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს წიღითსარგებლობისას. ლიცენზიანტის მიერ უფლებით სარგებლობის კანონიერებას კი გეგმიური და არაგეგმიური შემოწმების საფუძველზე ამოწმებს ზედამხედველობის დეპარტამენტი.

,,ბუნებრივი რესეურების მართვასთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტების და ელიტური კორუფციის ფაქტების გამოკვლება, პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციის გააქტიურება ამ მიმართულებით.“

კომენტარი: ელიტური კორუფციის, თუნდაც ნიშნების არსებობაზე მითითება სერიოზული ბრალდებაა ნებისმიერის სამინისტროსთვის, შესაბამისად საჭიროა მყარი და დასაბუთებული არგუმენტაცია. გამომდინარე იქიდან, რომ სამინისტროს მიმართ, ასეთი ტიპის ეჭვები ზიანს აყენებს მის რეპუტაციას და ასახვას ჰპოვებს საზოგადოებას დამოკიდებულებაზე საჭიროა ნებისმიერი არასამთავრობო ორგანიზაცია მეტი სიფრთხილით მოეკიდოს ასეთი ბრალდებებს და მის საჯაროდ გაცხადებამდე საფუძვლიანად გამოიკვლიოს ასეთი ნიშნების

რეალურად არსებობის ფაქტები. ხოლო, ასეთი ფაქტების არსებობის შემთხვევაში ვალდებულია მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს, ვინაიდან მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, დანაშაულის შეუტყობინებლობა ან/და დაფარვა წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს. ამასთან, ობიექტური გამოძიება დაადგენს იმ ბრალდების საფუძვლიანობას, რომელიც წარმოდგენილია მოცემულ ანგარიშში.

ენერგეტიკა

,,ქვეყნის ენერგოსისტემის მნიშვნელოვანი ნაწილი იმყოფება რუსული სახელმწიფო კომპანიების საკუთრებაში, რაც კიდევ უფრო მეტ კითხვას აჩენს საქართველოს ყოფილი და ამჟამინდელი მთავრობების ქმედებების მიმართ.[6] "

კომენტარი: რუსული კომპანიის მფლობელობაშია 527.2 მვ ჯამური დადგმული სიმძლავრე, როდესაც საქართველოში ჯამური დადგმული სიმძლავრე 3 500 მვ-ზე მეტია.ხოლო გამომუშავებული ელ.ენერგიის მხოლოდ 20-22%-ის დისტრიბუციას ეწევა ნაწილობრივ რუსული კომპანიის მფლობელობაში არსებული სადისტრიბიციო კომპანია.ქვეყანაში არსებული გენერაციის ობიექტების უმრავლესობა პრივატიზებულია და მათი ნაწილი იმყოფება როგორც რუსული, ასევე ქართული და სხვა უცხოური კომპანიების მფლობელობაში, თუმცა გენერაციის ყველა ობიექტი ოპერირებს საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით, ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ საქართველოს კანონისა და ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების შესაბამისად და მათ საქმიანობას ასევე არეგულირებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია. ასევე რეგულირდება ელ.ენერგიის დისტრიბუციის საქმიანობაც. აქედან გამომდინარე, არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, თუ რომელ ქვეყანაში დაფუძნებული კომპანია ფლობს გენერაციის ამა, თუ იმ ობიექტს.

,,ახალი სადგურების მშენებლობის შესახებ ძირითადი გადაწყვეტილების (სადგურის სიმძლავრე, დიზაინი, მდებარეობა, მშენებლობის დაწყება-დამთავრების თარიღები) მიღება გაუმჭვირვალედ, დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობის გარეშე ხდება. შედეგად, ისედაც არაეფექტური კანონმდებლობის პირობებში, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცესს აზრი ეკარგება."

კომენტარი: აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის N214 დადგენილებით დამტკიცებულია ინტერესთა გამოხატვის წესი (ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ). ინტერესთა

[6] რამდენიმე საბაზო თბო და ჰიდროელექტროსადგური, თელასი, „საქრუსენერგო". წყარო: esco.ge; energy.gov.ge

გამოხატვის წესი ადგენს სამინისტროს მიერ ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების, დაინტერესებული პირების მიერ განცხადების წარდგენის, გამარჯვებულის გამოვლენის და მემორანდუმის დადების წესს და პირობებს. შესაბამისად, დადგენილების დებულებებს, მათი შინაარსიდან და დასარეგულირებელი საკითხების სპეციფიკიდან გამომდინარე არავითარი ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ არც გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მნიშვნელობაზე და შესაბამისად, არც გარემოზე. ელექტროსადგურის პოტენციური ელექტროსადგურების ნუსხაში შეტანა იმთავითვე არ გულისხმობს აღნიშნული ელექტროსადგურის მითითებული განთავსების ადგილზე და პარამეტრებით მშენებლობას. გასათვალისწინებელია, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება შეუძლებელია პოტენციური ელექტროსადგურის სავარაუდო განთავსების ადგილის, ტექნიკური პარამეტრების და სხვა მინიმალური ინფორმაციის დადგენამდე.

იმის მიუხედავად, რომ აღნიშნული წესი, მისი მიზნებიდან გამომდინარე, არ არეგულირებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადების და მის მთავრობისთვის წარდგენის საკითხებს, ინვესტორს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეკისრება აღნიშნული ვალდებულება გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესასრულებლად. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ელექტროსადგურის მშენებლობის ნებართვის გაცემის ერთ-ერთ აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესაბამისი დასკვანა, ადვილად დავრწმუნდენით, რომ საქართველოს კანონმდებლობა არა მხოლოდ ითვალისწინებს მოსახლეობის ჩართულობას გარემოსთან დაკავშირებული საკითხების განხილვის პროცესში, არამედ შესაბამისი პროცედურების დაუცველობას პირდაპირ სამართლებრივ შედეგს უკავშირებს.

„ენერგეტიკული პროექტების განხორციელება ხდება დასახლებების ტერიტორიებზე, მაშინ როცა საქართველოს კანონმდებლობა ადექვატურად არ ასახავს ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად გამოწვეული იძულებითი განსახლებისა და კომპენსაციების საკითხს.“

კომენტარი: რაც შეეხება, განსახლების პროცედურებს, გეთანხმებით, რომ ამ კუთხით სამართლებრივი ბაზა საქართველოში მწირია, თუმცა ასეთი პროექტების განხორციელების შემთხვევაში, რომლებიც მოითხოვენ მოსახლეობის განსახლებას, მთავრობა ხელმძღვანელობს საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილი წესებით. აღნიშნულის თაობაზე დათქმა კომპანიასა და მთავრობას შორის კეთდება ურთიერთგაგების მემორანდუმში და იგი სავალდებულო შესასრულებელია, როგორც მთავრობისთვის, ასევე ინვესტორი კომპანიისათვის. მაგალითისთვის, ხუდონის პროექტის განმახორციელებელი კომპანია ვალდებულია განსახლების პროცესსში იხელმძღვანელოს მსოფლიო ბანკის 4.12 პოლიტიკის შესაბამისად.

„მაქსიმალური სარგებლის მისაღებად, მდინარეთა ენერგეტიკული პოტენციალი გადამეტებულად არის შეფასებებული, გარემოსდაცვითი და სოციალური საფრთხეების

უგულებელყოფის ხარჯზე. შეფასებისათვის გამოყენებული მეთოდოლოგია ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს და შესაბამისად, საქართველოსა და ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებას, ასევე უგულებელყოფს ეროვნულ გარემოსდაცვით კანონმდებლობას[7]. ამ შეფასებებს ეყრდნობა ენერგეტიკის სამინისტროს შეთავაზებები ინვესტორებისათვის.[8]"

კომენტარი: საქართველოს ჰიდროენერგეტიკას და შესაბამისად, ჰიდროენერგეტიკის პოტენციალის შეფასებას დიდი ისტორია და ტრადიცია გააჩნია და ჰიდროპოტენციალი ფასდება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებში და არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის მიერ წამოყენებულ მოთხოვნებსა და დირექტივებს. ამასთანავე, პერიოდულად ხდება შეფასების მეთოდოლოგიის დახვეწა და ამის მაგალითს წარმოადგენს „წყლის რესურსებისა და მდინარეების ენერგეტიკული პოტენციალის შეფასების ელექტრონული სისტემის დანერგვის" პროექტი, რომელსაც საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან და ნორვეგიის მთავრობასთან ერთად ახორციელებს. პროექტი საქართველოს ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის შესაფასებლად ითვალისწინებს GIS-ის სისტემის დანერგვას, რაც საშუალებას მოგვცემს, დაითვალოს და აღირიცხოს წყლის რესურსებისა და მდინარეების ენერგეტიკული პოტენციალი, გამოიკვეთოს ასათვისებელი ჰიდროპოტენციალი, დამუშავდეს წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები და შემუშავდეს ახალი საინვესტიციო პაკეტები. ინფორმაცია განთავსედბა სპეციალურ ვებ-გვერდზე, ელექტრონულ რუკაზე დატანილი მონაცემების სახით. 2014 წლის განმავლობაში შესრულდა სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოში" არსებული ყველა ჰიდროლოგიური მონაცემის ციფრულ ფორმატში გადაყვანა. დაიწყო შესაბამისი ვებ-გვერდისათვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის მომზადება და პერსონალის გადამზადება. პროექტი 2016 წლის ბოლოსათვის დასრულდება და ვებ-გვერდი ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისათვის.პროექტის შედეგად დაზუსტდება საქართველოს მდინარეებისა და წყლების პოტენციალი.

„სხვადასხვა დონორი თუ საერთაშორისო ორგანიზაცია ორმაგ სტანდარტს მიმართავს საქართველოსთან მიმართებაში. მაგალითად, ისლანდიური Landsvirkjun Power, რომელიც ევროპაში ცდილობს დაიცვას მაღალი სოციალური და გარემოსდავითი პასუხისმგებლობის მქონე კომპანიის იმიჯი, საქართველოში ჩართულია ყაზბეგისა და მაჭახელას ეროვნული პარკების ტერიტორიეზე ჰესების მშენებლობის პროექტებში.[9] ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა საქართველოში პროექტების დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებები მიიღო საკუთარი პოლიტიკების უხეში დარღვევით.[10] ორმაგ სტანტდარტებზე მიუთითებს ის

[7] NBSAP 2014-2020; TEEB Scoping Study for Georgia, 2013

[8] პოტენციური პროექტები და ინვესტორებთან უკვე დადებული მემორანდუმები www.energy.gov.ge

[9] http://www.lvpower.com/

[10] ჰიდროელექტროსადგური მდინარე ფარავანზე, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტის ზემოქმედების კვლევა, 2013 www.greenalt.org

ფაქტიც, რომ ზემოხსენებული მდინარეთა პოტენციალის არასრულფასოვანი შეფასებები განხორციელებულია სხვადასხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის მონაწილეობით[11]. "

კომენტარი: პროექტის განმახორციელებელ კომპანიებს და მათ დამფინანსებელ მხარეებს შორის ურთიერთობები (მათ შორის ხელშეკრულებები თუ სხვა ნებისმიერი პირობები) არ და ვერ იქნება საქართველოს მთავრობის, სამინისტროს ან ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულების განხილვის საგანი. აღნიშნული წარმოადგენს 2 დამოუკიდებელ სუბიექტს შორის სამართალურთიერთობის პროცესს, რაში ჩარევაც შეუძლებელი და რათქმაუნდა მიზანშეუწონელია. დამფინანსებელ მხარეს უნდა ჰქონდეს უფლება თავისი შეხედულებისამებრ შეარჩიოს დასაფინანსსებელი ობიექტი და ასევე კომპანიებს უნდა ქონდეთ სრული უფლება, თავისი გადაწყვეტილებისამებრ შეარჩიონ საფინანსო ინსტიტუტები.

„ენერგეტიკის სექტორისათვის კვლავინდებურად დამახასიათებელია ელიტური კორუფციის ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა ინტერესთა კონფლიქტები, კონკრეტული ჯგუფების ინტერესების წარმოჩენა „სახელმწიფო/გადაუდებელ აუცილებლობად", კომპანიების მიმართ კანონიდან გამონაკლისების დაშვება და კანონადარღვევაზე თვალის დახუჭვის პრაქტიკა.[12]"
კომენტარი:

კომენტარი: აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ეს არის კონკრეტული ორგანიზაციების კონკრეტული მოსაზრებები და შესაბამისი ფაქტების არსებობის შემთხვევაში, მათ შეუძლიათ მიმართონ სამართალდამცავ ორგანოებს. ამჟამად მოკლებული ვართ შესაძლებლობას, ექსპერტიზა ჩავუტაროთ „მწვანე ალტერნატივის" ანგარიშებს.

,,საქართველოს მთავრობა არ დგამს ეფექტურ ნაბიჯებს მდგრადი ენერგოსისტემისათვის ისეთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიმართულებების მხარდასაჭერად, როგორიცაა გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრაცია (რის გარეშეც იზრდება არსებული და დაგეგმილი ელექტროსადგურების ნეგატიური გარე ეფექტი (externalities) და ამავდროულად მცირდება მათი პროდუქტიულობა და სიცოცხლისუნარიანობა), განახლებადი ენერგიის წყაროები და ენერგოეფექტურობის სქემები, ენერგოსისტემის დივერსიფიკაცია, კონკურენტუნარიანი სისტემების განვითარება მომხმარებელისთვის ენერგიის ხელმისაწვდომ ფასად მიწოდების მიზნით."

კომენტარი: საქართველოს მთავრობა მუშაობს გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრაციაზე. ამ მიმართულებით საქართველოში, ენერგეტიკის სამინისტროში სუფთა ენერგიებისა (მწვანე ენერგია) და ენერგოეფექტურობის ხელშეწყობის მიზნით მიმდინარეობს შემდეგი პროექტები:

---

[11] ენერგეტიკის სამინისტრო, პერსპექტიული პროექტები:
http://energy.gov.ge/investor.php?id_pages=19&lang=geo

[12] ენერგოპროექტები და კორუფცია საქართველოში, 2013 www.greenalt.org

1. **ენერგოეფექტურობისა სამოქმედო გეგმა საქართველოსთვის**

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ტექნიკური მხარდაჭერით 2015 წლის გაზაფხულიდან იწყებს საქართველოს ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმის შემუშავებას. აღნიშნული გეგმის შემუშავება სავალდებულოა ევროკავშირისა და ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების წევრი ქვეყნებისათვის ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2006/32/EC დირექტივის (ენერგიის საბოლოო მოხმარების ეფექტიანობისა და ენერგომომსახურების შესახებ) მიხედვით. აღნიშნული გეგმა გულისხმობს ქვეყნის მასშტაბით ენერგოდაზოგვის პოტენციალის შეფასებას ენერგეტიკის, შენობების, ტრანსპორტისა და მომსახურების სექტორებისათვის, მის ანალიზსა და შესაბამისად რეკომენდაციების ჩამოყალიბებას. გეგმის შემუშავებაში ჩართული იქნებიან ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები.

2. **მერების შეთანხმება**

2014 წლიდან საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო წარმოადგენს ევროკავშირის ინიციატივის „მერების შეთანხმების“ ეროვნულ კოორდინატორს საქართველოში.

„მერების შეთანხმება“ არის ევროპის კომისიის ინიციატივა, რომელიც ხელმომწერ ქალაქებს ავალდებულებს განავითარონ ადგილობრივი მდგრადი ენერგეტიკული და კლიმატური ცვლილების საწინააღმდეგოდ მიმართული პოლიტიკა და შექმნან ამ პოლიტიკის განსახორციელებელი შესაბამისი ადმინისტრაციულის სტრუქტურა.

ასევე, ვალდებული არიან შეიმუშაონ მდგრადი ენერგეტიკის განვითარების სამოქმედო გეგმა (Sustainable Energy Action Plan - SEAP) და საინვესტიციო პროექტები, უზრუნველყონ მოქალაქეებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა აღნიშნული გეგმის განვითარებაში და ამ გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაში. გარდა ამისა, ხელმომწერი ქალაქები და მუნიციპალიტეტები ვალდებული არიან მოამზადონ მდგრადი ენერგეტიკის განვითარების სამოქმედო გეგმის (Sustainable Energy Action Plan - SEAP) დანერგვის პროგრესისა და მიღწეული შედეგების ამსახველი ანგარიში და წაახალისონ სხვა ქალაქები, რათა ისინიც შეუერთდნენ „მერების შეთანხმებას“. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, როგორც კოორდინატორი დახმარებას უწევს ყველა დაინტერესებულ ქალაქსა თუ მუნიციპალიტეტს, რომელთაც სურვილი აქვთ გახდნენ „მერების შეთანხმების“ წევრები. ამჟამად საქართველოს ოთხ ქალაქს: თბილისს, რუსთავს, ბათუმსა და გორს აქვთ მომზადებული თავიანთი მდგრადი ენერგეტიკის განვითარების სამოქმედო გეგმა და ხორციელდება საპილოტე პროექტები. დანარჩენები კი, ქუთაისი, ფოთი, ზუგდიდი და თელავი მუშაობენ სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებაზე. ახალციხეს კი, რომელიც ახლახან მიუერთდა „მერების შეთანხმებას“, შეთანხმების ხელმოწერიდან ეძლევა ერთი წლის ვადა, რათა ჩამოაყალიბოს და ევროსაბჭოში წარსადგენად მოამზადოს ახალციხის მდგრადი ენერგეტკის განვითარების სამოქმედო გეგმა.

3. **დაბალ ემისიებიანი სტრატეგიის განვითარება**

საქართველოს ენერგეტიკის, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და USAID -ის მხარდაჭერით მიმდინარეობს სუფთა ენერგიის პროგრამა: „დაბალემისიებიანი განვითარების სტრატეგიების შესაძლებლობათა გაძლიერება“, რომელსაც ახორციელებს „ვინროკ ინტერნეიშენალ ჯორჯია“. პროექტის ამოცანაა:

- საქართველოს მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა ინსტიტუციონალიზაციასა და კლიმატური ცვლილების ზემოქმედების შერბილების ღონისძიებათა განხორციელებაში;
- კერძო სექტორის ინვესტირების წახალისება და ხელშეწყობა ენერგოეფექტურ ღონისძიებებსა და მწვანე შენობების პოპულარიზაციაში; და
- აშშ-ის მთავრობის დაბალემისიებიანი სტრატეგიის შემუშავების ინიციატივის მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს მთავრობის შესაძლებლობათა გაძლიერება სახელმწიფო დაბალემისიებიანი სტრატეგიების შემუშავებასა და განხორციელებაში

პროექტი შედგება სამი კომპონენტისგან:

1)ენერგოეფექტური ღონისძიებები საქართველოს მუნიციპალიტეტებისთვის, რომელიც დაეხმარება 10 მუნიციპალიტეტს სათბური გაზების ემისიების გაზომვასა და შემცირებაში და კლიმატური ცვლილების შერბილების ინსტიტუციონალიზაციაში;

2) მწვანე შენობების შეფასების და სერტიფიცირების სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში მწვანე შენობების შეფასებისა და სერტიფიცირების ნებაყოფლობითი სისტემის შემუშავებას, და არსებულ ბაზარზე სერტიფიცირებული შენობებების მოთხოვნის შექმნას;

3) სამთავრობო დაბალემისიებიანი სტრატეგიის შემუშავების სამუშაო ჯგუფისათვის საკონსულტაციო დახმარების უზრუნველყოფა, რომელიც დაეხმარება საქართველოს მთავრობას კონკრეტული ღონისძიებების, პოლიტიკისა და პროგრამების ჩამოყალიბებაში და მათი განხორციელების გეგმების განსაზღვრაში დაბალემისიებიანი სტრატეგიების შემუშავების ორმხრივი ინიციატივის ფარგლებში.

4. განახლებადების ხელშეწყობა:

4.1 **„მზის ელექტროენერგიის გამომუშავების სისტემის მეშვეობით სუფთა ენერგიის დანერგვის“ პროექტი.**

საქართველოს მთავრობასა (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო) და იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის (JICA) შორის გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება. პროექტი მიზნად ისახავს სუფთა ენერგიის პოპულარიზაციას და მისი განხორციელების შედეგად, მოსალოდნელია ელექტროენერგიის მოხმარების დაზოგვა და CO_2-ის გამოყოფის ყოველწლიური შემცირება. პროექტისათვის შერჩეულია ორი ტერიტორია. საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე განსათავსებელი სისტემის საშუალო სიმძლავრე არის 310 კვტ, ხოლო წლიური გამომუშავება 329000კვ/სთ, განთავსების ტერიტორია დაახლოებით 4,100 კვ.მ. ილიას უნივერსიტეტის ტერიტორიაზე განსათავსებელი

სისტემის საშუალო სიმძლავრე არის 37კვტ, ხოლო წლიური გამომუშავებული ენერგია 32 000 კვ/სთ. განთავსების ტერიტორია დაახლოებით 420 კვ.მ.

4.2. გორის ქარის ელექტრო სადგურის პროექტი
დღესდღეობით საქართველოში, კერძოდ, გორში მიმდინარეობს 20 მეგავატის სიმძლავრის ქარის სადგურის მშენებლობა, რომელიც შესაძლებელია გაიზარდოს 100 მეგავატამდე. პროექტებს ახორციელებს სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი".

გარდა ამისა, დანიასა და საქართველოს შორის გაფორმებული შეთანხმებით გათვალიწინებულია თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში. შეთანხმების გაფორმების შემდეგ საქართველოში, ენერგეტიკის სამინისტორში შეხვედრები გაიმართა ქართულ და დანიურ მხარეს შორის. შეხვედრების დროს განისაზღვრა რომ თანამშრომლობა წარიმართება ენერგოეფექტურობის მიმართულებით. მიმდინარობს აქტიური მუშაობა პროექტების იდეის ჩამოსაყალიბებლად. 16-19 მარტს დაგეგმილია საბოლოო შეხვედრა.

„ჭიანურდება ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში (EC) გაწევრიანების პროცესის, მიუხედავად იმისა, რომ ენერგეტიკის სამინისტრო ვერ ასაბუთებს, თუ რა საფრთხეებს ხედავს ამ გაერთიანებისგან. EC წევრობაზე თავშეკავება შესაძლოა მოუთითებდეს პროდასავლური კურსის ცვლილებაზე. ეს ასევე აღნიშნავს გაჭვირვალე, სტაბილური საკანონმდებლო და მარეგულირებელი გარემოზე უარის თქმას, რომელიც უზრუნველყოფდა კვალიფიციური სტრატეგიული ინვესტორების მოზიდვას, ინვესტიციების მოცულობების გაზრდას, სატრანზიტო ფუნქციის გაზრდას, კორუფციის შესაძლებლობების აღმოფხვრას.[13]"

კომენტარი: ენერგეტიკის სამინისტრო არ ეთანხმება თქვენს ანგარიშში წარმოდგენილ მოსაზრებას „ენერგეტიკულ გაერთიანებაში" გაწევრიანების გაჭიანურიების შესახებ, რადგანაც „ასოცირების შესახებ შეთანხმებით" საქართველოს მიეცა უფლება ევროკომისიასთან გაწევრიანების თემაზე აწარმოოს მოლაპარაკებები აღნიშნული შეთანხმების ძალაში შესვლიდან 2 წლის განმავლობაში, რომლის ათვლაც 2014 წლის სექტემბრიდან დაიწყო და იწურება 2016 წლის სექტემბერში.

იქიდან გამომდინარე, რომ ენერგეტიკის სფერო არის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი დარგი, მთავრობას მიაჩნია რომ პროცესების დაჩქარებით და შესაბამისი დათქმების გააზრებისა და მიღების გარეშე შესაძლოა დაზარალდებს არათუ დარგი, არამედ ქვეყნის ეკონომიკა და პირველ რიგში საბოლოო მომხმარებელი. შესაბამისად სამინისტრო მაქსიმალურად ცდილობს გააზრებული და თანმიმდევრული ნაბიჯები გადადგას იმ ვადების დაცვით, რაც „ასოცირების შესახებ შეთანხმებით" ოფიციალურად გვაქვს მონიჭებული.

[13] მ. მარგველაშვილი, 2014, საქართველოს გაწევრიანება ენერგეტიკულ გაერთიანებაში, „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი საქართველოს ეროვნული პლატფორმის მე-3 სამუშაო ჯგუფი - ენერგეტიკული უსაფრტხოება და გარემოს დაცვა.

ცნობისათვის, ამ ეტაპზე ჩატარებულია 2 რაუნდი და მიმდინარეობს მზადება მესამე რაუნდისათვის, რომელიც აპრილის ბოლოს ბრიუსელში გაიმართება, ხოლო მასთან დაკავშირებით საკონსულტაციო ხასიათის შეხვედრა გაიმართა მარტის შუა რიცხვებში ვენაში „ენერგეტიკული გაერთიანების“ სამდივნოში. აქედან გამომდინარე სამინისტროში მუშა პროცესი აქტიურად მიმდინარეობს „ენერგეტიკული გაერთიანების“ დამაარსებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს მიერთების პროტოკოლის სრულყოფასთან დაკავშირებით.

„ელექტრო და გაზის სექტორებში მოქმედი ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანიების არსებობა, რომლებიც მოქმედებენ მთავრობასთან დადებული მემორანდუმების საფუძველზე, არჩევს კონკურენციის წესებს და ასევე ეწინააღმდეგება ევროკავშირის პრინციპებს.[14]“

კომენტარი: რაც შეეხება ელექტროენერგიისა და გაზის სფეროში მოქმედ ვერტიკალურად ინტეგრირებულ კომპანიებს და კონკურენციის დარღვევის ბრალდებას, უნდა აღინიშნოს, რომ პირველ რიგში კარგი იქნება კონკრეტულად დასახელდეს რომელ კომპანიებზეა საუბარი, რადგან თითოეულ შემთხვევა ინდივიდუალურია და შესაძლოა თავისი ობიექტური მიზეზები გააჩნდეს. ევროკავშირის პრიციპების დარღვევასთან დაკავშირებით კი გაცნობებთ, რომ ვინაიდან საქართველომ „ასოცირების შესახებ შეთანხმებას“ ახლო წარსულში მოაწერა ხელი და ენერგეტიკის სფეროში ბაზრის სტრუქტურირების შესახებ მნიშვნელოვანი დირექტივები და რეგულაციები ჯერჯერობით მოლაპარაკებების პროცესშია „ენერგეტიკული გაერთიანების“ გაწევრიანების კონტექსტში, აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ევროკავშირის პრინციპებთან დაახლოება და ამ მიზნით სექტორის რეფორმირების კონკრეტული გეგმა აღნიშნული პროცესის დასრულების შედეგად განისაზღვრება. გარდა ამისა, ენერგეტიკული სექტორი რეგულირებადი სფეროა და მარეგულირებელი ეროვნული კომისია არეგულირებს და გასცემს ლიცენზიებს ელ.ენერგიისა და გაზის სექტორის შემდეგ საქმიანობებზე (ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილების, გატარების, იმპ ორტისა და მოხმარების, სისტემის კომერციული ოპერატორის მომსახურების, აგრეთვე ბუნებ რივი გაზის ტრანსპორტირების, განაწილების, გატარების, მიწოდებისა და მოხმარების ტარიფე ბის, ასევე გარანტირებული სიმძლავრის საფასურისა და გარანტირებული სიმძლავრის წყარო ს ელექტროენერგიის წარმოების ტარიფის დადგენა და რეგულირება, გარდა ავტოგაზგასამა რთ სადგურებში რეალიზებული ბუნებრივი გაზის ტარიფებისა, საქართველოს კანონის ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის
შესახებ, საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმა რთულებების, მათ საფუძველზე მიღებული ნორმატიული ადმინისტრაციულსამართლებრივი ა ქტებისა და დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად;) ასევე რეგულირდება ქსელზე დაშვება (ქსელზე მესამე მხარის დაშვება). ამასთანავე, საქართველოს კანონით ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ განსაზღვრულია დარგის დერეგულირებისა და ნაწილობრივ დერეგულირების საკითხები. კერძოდ,

[14] მ. მარგველაშვილი, 2014, საქართველოს გაწევრიანება ენერგეტიკულ გაერთიანებაში, „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი საქართველოს ეროვნული პლატფორმის მე-3 სამუშაო ჯგუფი - ენერგეტიკული უსაფრთხოება და გარემოს დაცვა.

დერეგულირებაგულისხმობსწარმოების ლიცენზიატისათვის ტარიფის დადგენის გარეშე საქმიანობის ან მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურისათვის ლიცენზიისა და ტარიფის დადგენის გარეშე საქმიანობის უფლების მინიჭებას, აგრეთვე ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფის დადგენის გარეშე საქმიანობის, ასევე ახალი ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ან განაწილების ქსელების აშენების შემთხვევაში, შესაბამისად ტრანსპორტირების ან განაწილების ტარიფის დადგენის გარეშე საქმიანობის უფლების მინიჭებას; ხოლო ნაწილობრივ დერეგულირება
გულისხმობს
წარმოების ლიცენზიატისათვის ზღვრული ტარიფის დადგენით საქმიანობის ან მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურისათვის ლიცენზიის გარეშე და ზღვრული ტარიფის დადგენით საქმიანობის უფლების მინიჭებას, აგრეთვე ბუნებრივი გაზის მიწოდების ზღვრული ტარიფის დადგენით საქმიანობის, ასევე ახალი ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ან განაწილების ქსელების აშენების შემთხვევაში, შესაბამისად ტრანსპორტირების ან განაწილების ზღვრული ტარიფის დადგენით საქმიანობის უფლების მინიჭებას; გარდა ამისა, არსებობს კონკურენციის სააგენტო, რომლის მიზანია საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა, რომელიც ბაზარზე ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვას უზრუნველყოფს.

„წინა ხელისუფლების მსგავსად, სხვადასვა კერძო კომპანიის მიერ განხორციელებულ პროექტებს (მაგ. მოსახლეობის გაზიფიკაცია, გამრიცხველიანება, ელექტროსადგურის მშენებლობა და ა.შ.) ენერგეტიკის სამინისტრო საკუთარ საქმიანობად წარმოაჩენს. ელ.სადგურების მშენებლობის მიზნით ინვესტორთა დაინტერესება შედის საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის ინტერესებში აღნიშნული“

კომენტარი: საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას ენერგეტიკის დარგში ინვესტიციების მოზიდვა წარმოადგენს და ელ.ენერგიის გენერაციის ობიექტების მშენებლობით ინვესტორთა დაინტერესება მის ინტერესში შედის. ენერგეტიკის სამინისტროს მუშაობის შედეგად ხდება სხვადასხვა ადგილობრივი, თუ საერთაშორისო კომპანიების დაინტერესება ჰესების მშენებლობით. ასევე, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო მონიტორინგს უწევს კომპანიებთან დადებული მემორანდუმების შესრულების პროცესს. რაც შეეხება, გაზიფიცირებისა და გამრიცხველიანების პროექტებს, საქართველოს მოსახლეობისათვის ენერგიის წყაროებისადმი წვდომა ენერგეტიკის სამინისტროს ინტერესში შედის და კომპანიები სამინისტროსთან ერთად იმუშავებენ გაზიფიცირებისა თუ გამრიცხველიანების გეგმებს და განხორციელებულ სამუშაოებს მონიტორინგს ენერგეტიკის სამინისტრო უწევს.

11. საგარეო პოლიტიკა

„რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის შესვლა, თუმცა აღსანიშნავია რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში საქართველოს ექსპორტი მხოლოდ რუსეთის მიმართულებით იზრდება, რამაც შეიძლება გრძელვადიან პერსპექტივაში რუსეთზე დამოკიდებულების ზრდა გამოიწვიოს;"

კომენტარი - მცდარია იმის მტკიცება, თითქოს ბოლო ორი წლის მანძილზე საქართველოს ექსპორტი მხოლოდ რუსეთის მიმართულებით იზრდება. ამჟამად საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი ევროკავშირია (2015 წლის იანვრის მონაცემებით, ევროკავშირში ექსპორტის წილი ქვეყნის საერთო ექსპორტის 39%-ია). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ბოლო მონაცემებით, 2012-დან 2014 წლამდე ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოდან ექსპორტი გაიზარდა თითქმის 2-ჯერ. მაგალითად, 2014 წელს (წინასწარი მონაცემებით), 2012 წელთან შედარებით, საგარეო ვაჭრობის მოცულობა ევროკავშირთან გაიზარდა 75%-ით და 620,804 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (353 მლნ აშშ დოლარი 2012-ში). წინასწარი კვლევებით, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების ამოქმედება (ძალაში შევიდა 2014 წლის 1-ელ სექტემბერს) მომავალ 5 წელიწადში ევროკავშირში საქართველოს ექსპორტს კიდევ უფრო გაზრდის, დამატებით საშუალოდ 12%-ით (დაწვრილებით იხ. http://www.case-research.eu/sites/default/files/publications/CNSA_2012_445.pdf).

ექსპორტის ზრდაა დაფიქსირებული სხვა სავაჭრო პარტნირებთანაც (დაწვრილებით იხ. http://geostat.ge/?action=page&p_id=136&lang=geo)

მართალია, გაზრდილია რუსეთთან ექსპორტი 274.963 მლნ აშშ დოლარი), მაგრამ 2014 წლის მონაცემებით, ის საერთო ექსპორტის მხოლოდ 9%-ია. შედარებისათვის, ეს თითქმის ორჯერ ნაკლებია აზერბაიჯანთან ექსპორტზე (544.418 მლნ აშშ დოლარი) და დაახლოებით სომხეთში საქართველოს ექსპორტის მოცულობისაა (288.244 მლნ აშშ დოლარი).

„ბოლო ორი წლის განმავლობაში მთავარ ნეგატიურ მოვლენად შეიძლება შეფასდეს საგარეო პოლიტიკურ საკითხებზე ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ ხშირად ურთიერთგამომრიცხავი განცხადებების გაკეთება. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც საგარეო

საქმეთა მინისტრის, პრემიერ-მინისტრის, პრეზიდენტის, პარლამენტის თავჯმდომარის, საგარეო ურთიერთობების კომიტეტის თავჯმდომარის და სხვათა განცხადებები არ იყო თანხვედრაში ერთმანეთთან ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა საქართველო-რუსეთის ურთიერთობები, უკრაინასთან ურთიერთობები, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემების საჭიროება და ა.შ.“

კომენტარი: ხშირად ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენლები, შესაძლოა, სხვადასხვაგვარად აყალიბებდნენ პოზიციას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა მათი განცხადებები არასოდეს სცილდება ქვეყნის მიერ აღიარებულ საგარეოპოლიტიკურ კურსს, მის ძირითად მიმართულებებსა და პოლიტიკის ზოგად ფუძემდებლურ პრინციპებს. (იხ.http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/sagareo-urtiertobata-komiteti-147/komitetis-gancxadebebi1130/saqartvelos-parlamentis-rezolucia-saqartvelos-sagareo-politikis-dziritadi-mimartulebis-shesaxeb.page)

კარგი იქნებოდა, ავტორს ანგარიშში მოეყვანა კონკრეტული მაგალითები იმისა, თუ რა ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები გაკეთდა.

„ცალკე უნდა აღინიშნოს 2014 წლის ბოლოს საგარეო პოლიტიკური სამთავრობო გუნდის გადადგომა (საგარეო საქმეთა, თავდაცვის, ევროპული და ევრო-ატლანტიკური საკითხების სახელმწიფო მინისტრების), რამაც კითხვები გააჩინა ქვეყნის ევროპულ კურსთან დაკავშირებით ჩვენს პარტნიორებში და საზოგადოებაში.“

კომენტარი: 2014 წლის ბოლოს საგარეოპოლიტიკური გუნდის მინისტრების გადადგომა შიდაპოლიტიკური მოვლენა იყო და მას ქვეყნის კურსზე გავლენა არ მოუხდენია. თუმცა, ყოფილი მინისტრების თავდაპირველი განცხადებების გამო, რომლითაც მათ განვითარებული მოვლენები „საქართველოს ევროატლანტიკურ არჩევანზე შეტევად“ შეაფასეს, საქართველოს დასავლელ პარტნიორებში თავდაპირველად მსგავსი შეშფოთება შეინიშნებოდა.

აღსანიშნავია, რომ მთავრობამ წარმატებით გაართვა თავი ამ მცირე კრიზისს. პრემიერ-მინისტრი მეორე დღესვე შეხვდა საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს, უშუალოდ აუხსნა მოვლენები და დაარწმუნა საქართველოს დასავლური კურსის შეუქცევადობაში.

(http://www.government.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=380&info_id=45502

http://www.netgazeti.ge/GE/105/News/37982/)

წარმატებით იმუშავეს ასევე სხვა უწყებებმა და ლობისტურმა ჯგუფებმაც და მცირე დროში დასავლეთის პოლიტიკურ წრეებში შეხედულება შეიცვალა.

„ნეგატიურ მოვლენად შეიძლება იქნას მიჩნეული ის, რომ რუსეთის მხრიდან გაგრძელდა ე.წ. "მცოცავი ოკუპაცია", მოხდა საოკუპაციო ზოლის გადმოწევა და მავთულხლართების გავლება აფხაზეთისა და ცხინვალის საოკუპაციო ხაზების გასწვრივ."

კომენტარი: რუსეთის მხრიდან ე.წ. „მცოცავი ოკუპაცია" დაიწყო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ. პირველი მავთულხლართები ოკუპირებულ ტერიტორიაზე 2011 წლის აპრილ/მაისში გაიბა. ამ პროცესების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ შსს-ის ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მომზადებულ ოფიციალური პრეზენტაციაში (თანდართულია), რომელის განახლებული ვერსიები მუდმივად ეგზავნება საქართველოში მოქმედ საელჩოებსა და ამ საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებს.

„რუსეთის მიერ ცხინვალისა და აფხაზეთის მარიონეტულ რეჟიმებთან გაფორმდა უკანონო ხელშეკრულებები, რაც ცალსახად საქართველოს ევრო-ატლანტიკურ ორგანიზაციებში ინტეგრაციის შეფერხების მცდელობად და ყირიმის ანექსიის კონტექსტში უნდა იქნას განხილული. მიუხედავად ამისა, საქართველოს წარმომადგენლები ყოველთვის არ უკავშირებდნენ ერთმანეთს რუსეთის ნაბიჯებს და ჩვენი ქვეყნის ევრო-ატლანტიკურ კურსს;"

კომენტარი: მცდარია, თითქოს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ერთმანეთს არ უკავშირებენ უკრაინაში რუსეთის ქმედებებსა და საქართველოს მიმართ კრემლის მიერ წარმოებულ პოლიტიკას. ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო ფორუმზე აქტიურად ფიქსირდება ამგვარი პოზიცია მთავრობის წევრების მხრიდან ისევე, როგორც მათ პირისპირ შეხვედრებსა და საუბრებში დასავლელ კოლეგებსა და პარტნიორებთან.

(მაგალითისათვის იხ. „მიმაჩნია, რომ მსოფლიოს სათანადო ყურადღება არ მიუქცევია რუსეთსა და საქართველოს შორის 2008 წელს მომხდარი კონფლიქტისთვის. აგვისტოს მოვლენების დროს რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესებით უკრაინის კრიზისის თავიდან აცილება შეიძლებოდა“.

პრემიერ-მინისტრი მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე:

http://www.government.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=406&info_id=47233

“უკრაინაში მიმდინარე მოვლენები, მიუხედავად მისი სიმწვავისა არ შეიძლება განვიხილოთ იზოლირებულად, ეს გახვალთ რუსული სცენარის ნაწილი გაათვართოვოს მისი დომინირება რეგიონში და შექმნას ახალი ე.წ. გავლენის სფეროები. ჩვენ ყველანი ვისჯებით ჩვენი არჩევანისთვის, ჩვენი სუვერენული ევროპული და ევრო-ატლანტიკური არჩევანისთვის.“ საგარეო საქმეთა მინისტრი თამარ ბერუჩაშვილი საგარეო საქმეთა მინისტრი ატლანტიკური საბჭოს კონფერენციაზე:

http://www.mfa.gov.ge/News/%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0-%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%AD%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0-%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%96.aspx

„ნეგატიური მოვლენაა, რომ მიუხედავად იმისა, რომ 2011 წელს საქართველომ და რუსეთმა ხელი მოაწერს ორმხრივ ხელშეკრულებას საბაჟო ადმინისტრირების და ტვირთების

მონიტორინგის შესახებ, ხელშეკრულება ჯერ არ ამოქმედებულა. მთავარი მიზეზი, გარდა რუსეთის მხრიდან პროცესის გაჭიანურებისა, იყო საქართველოს ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაჭიანურება, ხშირად კოორდინაციის ნაკლებლობა და ზოგადად რუსეთთან ახალი ინსტრუმენტის გააქტიურების მიმართ უარყოფითი/ნეიტრალური დამოკიდებულება;“

კომენტარი: ამ მხრივ მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება. აღსანიშნავია, რომ გასულ პერიოდში განხორციელდა მნიშვნელოვანი აქტივობები, მათ შორის უწყებების ერთიანი კოორდინაციის გზით, რის შედეგადაც, „საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ“ შეთანხმების ამოქმედების საკითხი უკვე დასკვნით ფაზაშია შესული.

„დიპლომატიის წარუმატებლობად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ საქართველომ არ გააგრძელა რუსეთის მხრიდან მოთხოვნა, რომ ორმხრივი დიალოგის ფორმატში განხილულიყო დევნილების და იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნების საკითხი, რაც გათვალისწინებულია რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ კონვენციის დარღვევის შემთხვევაში. ამ მიმართულების ამოწურვის შემთხვევაში, საქართველოს ექნება საშუალება დაუბრუნდეს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს, რომელმაც 2011 წელს არ მიიღო წარმოებაში საქართველოს სარჩელი იმ მოტივით, რომ არ იყო ამოწურული დიალოგის შესაძლებლობა კონვენციის ფარგლებში;“

კომენტარი: 2011 წლის 1 აპრილს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაუშვებლად გამოაცხადა საქართველოს მიერ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ წარდგენილი სარჩელი ,,რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის დებულებების დარღვევასთან დაკავშირებით, ვინაიდან არ იყო დაკმაყოფილებული ამავე კონვენციის 22-ე მუხლით გათვალისწინებული

სასამართლოსათვის მიმართვის წინაპირობები. ზემოხსენებული გადაწყვეტილების შესაბამისად, 2011-2014 წლებში შედგა არაერთი კომუნიკაცია რუსეთის ფედერაციასთან, რომლებშიც არამხოლოდ დადასტურებული იყო საქართველოს განუხრელი პოზიცია მოლაპარაკების გაგრძელების თაობაზე, არამედ განხილული იყო კონვენციით გათვალისწინებული წინა სასამართლო მექანიზმების ამოწურვასთან დაკავშირებული საკითხები.

„განსაკუთრებით აღსანიშნავია უკრაინის მოვლენების ფონზე საქართველოს დიპლომატიის პასიურობა და უკრაინასთან მიმართებაში არა აქტიური როლის შეგნებულად დაკავება, რაც გამოიხატა განცხადებების დაგვიანებაში, საერთაშორისო ორგანიზაცოების ფარგლებში, განსაკუთრებით კი, ეუთოს ფარგლებში პასიურობაში, უკრაინაში მაღალი დონის ვიზიტების არ-განხორციელებასა და უკანასკნელ დროს, კიევის მიმართ ღიად განხორციელებულ დემარშებში საქართველოს ყოფილი ხელისუფლების წევრების სხვადასხვა თანამდებობებზე დანიშნვის გამო;“

კომენტარი: 2013-2014 წლებში საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის გაეროს, ეუთოსა და ევროსაბჭოს ფაგრლებში, საქართველო აქტიურად უჭერდა მხარს უკრაინას. ეუთოს ფარგლებში მაგალითად 2014 წლის მარტიდან 2015 წლის თებერვლამდე პერიოდში საქართველოს მუდმივმა წარმომადგენლობამ უკრაინის საკითხზე გააკეთა 5 განცხადება და მიუერთდა ევროკავშირის მიერ ამ თემაზე გაკეთებულ 70 განცხადებას. 2014 წლის 27 მარტს, გაერო-ს გენერალური ასამბლეის საგანგებო სხდომაზე საქართველომ მხარი დაუჭირა რეზოლუციას უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის შესახებ („Territorial Integrity of Ukraine“), ასევე თანასპონსორობა გაუწია მას და გააკეთა ცალკე მხარდამჭერი განცხადება. საქართველო აგრეთვე მიუერთდა ევროკავშირის დელეგაციის სახელით გაკეთებულ განცხადებას უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის საკითხზე.

აღსანიშნავია საქართველოს კონტრიბუცია უკრაინისადმი საერთაშორისო მისიების ხაზით. კერძოდ, 2014 წელს საქართველომ შეიტანა 50.000 აშშ დოლარი უკრაინაში ეუთო-ს

სადამკვირვებლო მისიისათვის, ამასთან, უკრაინაში ადგილნაცვალ პირთა საჭიროებებისათვის, საქართველომ გადარიცხა 25.000 აშშ დოლარი გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ხაზით. ქართველი დამკვირვებლები აქტიურად მონაწილეებენ ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის მუშაობაში უკრაინაში. გარდა ამისა, საქართველომ წარადგინა 6 კანდიდატი უკრაინაში ევროკავშირის მრჩეველთა მისიისათვის, რომელმაც მხარდაჭერა უნდა აღმოუჩინოს უკრაინას რეფორმების განხორციელების საკითხში (EU Advisory Mission for Civilian Security Reform in Ukraine). ეუთო-სთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ეწვია უკრაინას ეუთო-ს ელჩების ვიზიტის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ ეუთო-სთან საქართველოსა და უკარინის მუდმივ წარმომადგენლობები მჭიდროდ თანამშრომლობენ, ხოლო უკრაინის მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოს მუდმივ წარმომადგენელს არაერთხელ გადაუხადა მადლობა უკრაინის მხარდაჭერისათვის, მათ შორის საჯარო განცხადებებშიც. აქტიურად კეთდება უკრაინის მხარდამჭერი განცხადებები ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ფარგლებშიც.

„ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მხრიდან გამოთქმული მზარდი შენიშვნები პოლიტიკურად მოტივირებული საგამოძიებო პროცესების, არასაკმარისად დამოუკიდებელი სასამართლო სისტემისა და პოლიტიკურად მოტივირებული დაკავებების შესახებ. ცალკეული ევროპელი ლიდერების კრიტიკა საქართველოს ხელისუფლების მიმართ შერჩევით სამართალთან დაკავშირებით და პრემიერის მიერ ამ კრიტიკოსების „ნაციონალურ მოძრაობასთან“ გაიგივება. განსაკუთრებით ნეგატიური იყო იმ ავტორიტეტული პერიოდული გამოცემების კრიტიკა ხელისუფლების მხრიდან, რომლებიც წერდნენ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე;“

კომენტარი: პირველ ყოვლისა, მისასალმებელია აშშ მხრიდან საქართველოში დემოკრატიის კონსოლიდირების პროცესით მუდმივი დაინტერესება და მხარდაჭერის მზადყოფნა. მართლმსაჯულების და კანონის უზენაესობის განმტკიცება კი დემოკრატიის კონსოლიდირების ერთ-ერთი ქვაკუთხედია. ზოგადად დემოკრატიის განზომილება ჩვენს ქვეყნებს შორის

არსებულ სტრატეგიულ პარტნიორობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა და ამ მიმართულებით სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით შესაბამისი სამუშაო ჯგუფიც არის განსაზღვრული (Democracy and Governance), რომელიც დემოკრატიის და კარგი მმართველობის საკითხზე მსჯელობის ეფექტიან ფორმატს წარმოადგენს.

სახელმწიფო დეპარტამენტს და აშშ მხრიდან სხვა პარტნიორებს (როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო შტოებიდან) შეხვედრებისას მუდამ ვაწვდით ინფორმაციას მიმდინარე პროცესების შესახებ, რომ სასამართლო პროცესები ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმდინარეობს გამჭვირვალედ და კანონის უზენაესობის პრინციპების სრული დაცვით. პროკურატურის მხრიდან სამართლიანი და ობიექტური მოქმედების უზრუნველყოფისათვის, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ შექმნა International Prosecution Advisory Panel, რომელიც მაღალი რანგის ყოფილ პროკურორებს მოიცავს აშშ-დან, დიდი ბრიტანეთიდან და ისრაელიდან. აღნიშნული ჯგუფი იძლევა რჩევებს გახმაურებულ (high profile) საქმეებთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის ბოლო რეკომენდაციებიც მოუწოდებს, გაგრძელდეს ძალისხმევა წარსულში ჩადენილი გადაცდომების გამოსაძიებლად და დაუსჯელობის სინდრომის აღმოსაფხვრელად. (The prosecution of former high government officials is transparent and in full compliance with the rule of law. With the purpose of ensuring a fair and impartial manner of prosecution, the Office of the Chief Prosecutor created an comprised of top former prosecutors from the U.S, UK, and Israel to provide advice in high profile cases. It is noteworthy that the latest conclusions of the UN Human Rights Committee urge continued efforts to end impunity and pursue the investigation into past abuses).

„ნეგატიურად უნდა შეფასდეს საქართველოს ხელისუფლების მიერ ლობისტების არ გამოყენება ქვეყნის იმიჯის საზღვარგარეთ აწევაში. ბოლო ორი წლის ტენდენცია აჩვენებს, რომ ლობისტები ძირითადად დაკავებული არიან კონკრეტული პიროვნებების იმიჯის შექმნით

და არა საქართველოსთვის მნიშვნელოვანი პრობლემების (ოკუპაცია, რუსეთთან ურთიერთობები, ა.შ.) გაშუქებით;"

კომენტარი: მცდარია ანგარიშის ავტორის მოსაზრება, თითქოს ხელისუფლება არასათანადოდ იყენებს ლობისტურ ჯგუფებსა და კომპანიებს საზღვარგარეთ საქართველოს იმიჯის გასაუმჯობესებლად. ლობისტური საქმიანობის 90% სწორედ ქვეყნის პოზიტიურ იმიჯსა და საგარეო პოლიტიკის მწვავე საკითხებზე მუშაობაზე მოდის. მცირე მაგალითისათვის, მათი აქტიური დახმარებით ხორციელდება, მედიაკამპანიები ყველა დიდი საერთაშორისო ფორუმის წინ და მათი მსვლელობისას, ასევე ისეთი უმნიშვნელოვანესი მოვლენების დროს, როგორიც იყო ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა და ნატოს უელსის სამიტი.
კარგი იქნებოდა, ავტორს მოეყვანა კონკრეტული მაგალითი იმისა, თუ როდის იყვნენ დაკავებული ლობისტები კონკრეტული პირების იმიჯის შექმნით.

„პრობლემას წარმოადგენს უშიშროების საბჭოს ინსტიტუციური როლის შემცირება და საგარეო პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის კოორდინაციის ნაკლებობა. განსაკუთრებით ნათელი იყო პრეზიდენტს და საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის კოორდინაციის ნაკლებობა."

კომენტარი: უსაფრთხოების საკითხების ინსტიტუციური გაძლიერებისა და კოორდინაციის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ", რომელიც განსაზღვრავს ეროვნული უსაფრთხოების დაგეგმვის ზოგად პრინციპებს, დონეებს, მიმართულებებსა და კომპონენტებს, რომელთა მიხედვითაც უნდა შემუშავდეს ეროვნული დონის კონცეპტუალური და უწყებრივი დოკუმენტები. ასევე აღნიშნული კანონის თანახმად, მნიშნელოვანია სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს, როგორც ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის მაკოორდინირებელი უწყების კომპეტენციათა კანონის დონეზე გაწერა და ეროვნული უშიშროების საბჭოს ფუნქციებისგან გამიჯვნა.

რაც შეეხება საგარეო პოლიტიკურ საკითხებზე ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის კოორდინაციის გაძლიერებას, ამ მიზნით, 2015 წელს შეიქმნა საქართველოს საგარეო პოლიტიკის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომელიც მნიშვნელოვანი მექანიზმი იქნება ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების განხორციელების შესახებ რეკომენდაციების შემუშავებისა და საგარეო პოლიტიკაში ჩართული ყველა უწყების უკეთ კოორდინაციის თალსაზრისით. საბჭოს ფუნქციაში ასევე შედის განსაზღვროს ის თემები, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის საგარეო ასპარეზზე პოზიციონირების თვალსაზრისით. საბჭოს შემადგენლობაში შედიან შესაბამისი პროფილური მინისტრები, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისებისა საბჭოს მდივანი, მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. საბჭოს მუშაობაში ასევე მონაწილეობას ღებულობენ საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები.

„უკიდურესად ნეგატიური შედეგები მოიტანა საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრებამ და მისგან გამოწვეულმა პრობლემებმა როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, ისე საქართველოს უმცირესობებით დასახლებული რეგიონების მკვიდრებისთვის;“

კომენტარი: იმიგრაციულ პოლიტიკაში შეტანილი ცვლილებები განაპირობა მსოფლიოში აღიარებულ თანამედროვე სტანდარტებთან და მოთხოვნილებებთან კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის, იმიგრაციული პოლიტიკის მოწესრიგებისა და ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესმა, სადაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მიგრაციული პროცესების სწორი და გააზრებული მართვა, რაც სათანადო სავიზო პროცედურების მეშვეობით უნდა განხორციელდეს. აღნიშნული მიზნის მისაღწევად საქართველოს ხელისუფლება წარმატებით ახორციელებს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმას, რომელიც მოიცავს კონკრეტულ პირობებს საკანონმდებლო ჰარმონიზაციისა და რეფორმების განხორციელების თვალსაზრისით ისეთ სფეროებში როგორიცაა დოკუმენტების უსაფრთხოება, უკანონო მიგრაცია, რეადმისიის ჩათვლით, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, საგარეო ურთიერთობები და ფუნდამენტური უფლებები. ამ ეტაპზე, საქართველო აღნიშნული სამოქმედო გეგმის დასკვნით ეტაპზეა და

ევროკომისიის დადებითი შეფასებისა და ევროკავშირის შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილების შემდეგ, საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის შენგენის ზონის ქვეყნებთან შემოღებულ იქნება უვიზო რეჟიმი.

აღსანიშნავია, რომ გარკვეულ ეტაპზე ახალი საიმიგრაციო რეგულაციების დაწესებამ გარკვეული სირთულეები შექმნა უცხოეთის მოქალაქეებისა და საქართველოს უმცირესობებით დასახლებული რეგიონების მკვიდრებისთვის, თუმცა აღნიშული ხარვეზები გათვალისწინებული იქნა შესაძლებლობის ფარგლებში და შესაბამისი ცვლილებები აისახა კანონმდებლობაში.

„დამოუკიდებლად უნდა აღინიშნოს მთავრობის სხვადასხვა შტოების მხრიდან სხვადასხვა მტკივნეული რეფორმების, ან საკანონმდებლო ინიციატივების გამართლება ევროკავშირის მხრიდან არსებული მოთხოვნებით, რაც არ უწყობს ხელს საქართველოს მოსახლეობაში ევროკავშირის პოზიტიური იმიჯის ფორმირებას;“

კომენტარი: უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩათვლით, გაფორმება ისტორიული ნაბიჯია, რამაც საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები სრულიად ახალ რეალობაში მოაქცია. „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ევროკავშირთან დაახლოვების სამოქმედო გეგმაა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. შესაბამისად, ევროპული ინტეგრაცია არამარტო საგარეო, არამედ საქართველოს შიდა პოლიტიკის პრიორიტეტი გახდა. საქართველოს ხელისუფლების ამოცანაა წარმატებით განვახორციელოთ ასოცირების შეთანხმება, რათა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ახალი შესაძლებლობები მაქსიმალურად იქნეს ათვისებული და საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ მიიღოს შესაბამისი სარგებელი.

ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაცია გულისხმობს ფართო-მასშტაბიან რეფორმებს. ასოცირების შეთანხმებით საქართველო იღებს ვალდებულებას დარგობრივი პოლიტიკის ყველა სფეროში ეტაპობრივად დანერგოს

ევროპული სტანდარტები და საკანონმდებლო ბაზა დაუახლოვოს ევროკავშირის კანონმდებლობას, მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული გონივრული ვადების შესაბამისად. ეს კი საკმაოდ შრომატევადი და საპასუხისმგებლო პროცესია, რომელიც მთავრობისაგან, პოლიტიკური ძალებისაგან, საზოგადოების თითოეული წევრისგან მოითხოვს აქტიურ ჩართულობასა და ურთიერთთანადგომას. გარდა ამისა, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან პროგრესული დაახლოვება, ადმინისტრაციული და ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის განვითარება დაკავშირებულია მნიშვნელოვანი ტექნიკური, ფინანსური და ადამიანური რესურსების მობილიზაციასა და ეფექტიან ფუნქციონირებასთან. ამ პროცესში, ევროკავშირი, ასევე მისი წევრი ქვეყნები და ზოგადად, საერთაშორისო პარტნიორების და საფინანსო ინსტიტუტები სერიოზულ მხარდაჭერას უწევენ საქართველოს რეფორმების წარმატებით განხორციელების მიზნით.

აქვე, აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობა ახორციელებს ევროინტეგრაციის საკითხებზე ინფორმაციისა და კომუნიკაციის სტრატეგიას, რაც ემსახურება საქართველოს მოსახლეობაში საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის მიმდინარე პრიორიტეტებზე, ევროინტეგრაციის პროცესში განხორციელებულ რეფორმებზე და მოსალოდნელ სარგებელზე სათანადო, დეტალური ინფორმაციის გავრცელებას. ეს ძალისხმევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყანაში მზარდი ნეგატიური პროპაგანდის ფონზე, რომლის მიზანია საქართველოში ევოპული რეფორმების პროცესის შეფერხება და ქვეყნის პრო-დასავლური კურსის დისკრედიტაცია. ამ თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივ ძალისხმევას ქვეყნის ევროინტეგრაციის მიზნების წარმატების უზრუნველსაყოფად.

„აშშ-სთან მიმართებაში ნეგატივად რჩება, რომ ვერ მოხერხდა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ მაღალი დონის დიალოგის წარმოების შესახებ 2012 წლის იანვარში პრეზიდენტ ობამას მიერ გაჟღერებული გზავნილის რეალობაში გადათარგმნა. 2012 წლის შემდეგ შენელდა მაღალი დონის დიალოგის შეხვედრების ინტენსივობა და მუშაობა ამ კუთხით პასიური გახდა, რაც, სხვა მიზეზებს შორის, ასევე აშშ-ში ამ საკითხის მიმართ ინტერესის ნაკლებობითაა განპირობებული.“

კომენტარი: საქართველოსა და აშშ–ს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ხელისშემშლელი ფაქტორები საქართველოს ახალ მთავრობას მემკვიდრეობით ერგო. პროფკავშირთა ამერიკული გაერთიანების, საერთაშორისო ოპერაციების ორგანიზაციის მიერ, 2010 წლის 10 სექტემბერს, აშშ-ს სავაჭრო წარმომადგენლის ოფისში, საქართველოს წინააღმდეგ შეტანილ იქნა საჩივარი/პეტიცია, რომლის მიხედვით საქართველოს წინა ხელისუფლების მიერ მიღებული შრომის კანონმდებლობა არ შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს. პეტიციაში ხაზგასმული იყო, რომ საქართველოში არ არსებობდა შრომის ინსპექტირების ინსტიტუტი/შრომის ინსპექცია. აღნიშნული აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა;

აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოფხვრის მიზნით ჩატარდა შემდეგი სამუშაო:

საქართველოს მთავრობის მიერ 2013 წელს შრომის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებათა პაკეტის შედეგად, 2014 წლის 26-27 ივნისს აშშ–ს სავაჭრო წარმომადგენლის მისიის (US Trade Representative - USTR) წევრებმა აღნიშნეს, რომ აშშ-ს მხარეს უკვე აღარ გააჩნდა პრეტენზიები საქართველოს შრომის კოდექსის დებულებების მიმართ.

შრომის ინსპექტირების ინსტიტუტის/შრომის ინსპექციის მექანიზმის შექმნისათვის 2015 წლის საქართველოს ბიუჯეტში გამოყოფილია 1 მილიონი ლარი, ხოლო აშშ-ს შრომის დეპარტამენტმა გამოყო გრანტი 2 მლნ. აშშ დოლარი. მიმდინარეობს მუშაობა საერთაშორისო შრომის ინსპექტორატის სტანდარტების გათვალისწინებით შრომის ინსპექციის შექმნის მიზნით. ასევე მზადდება შრომის კანონმდებლობის აღსრულების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

საქართველოში დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

მიერ, სოციალურ პარტნიორებთან და სხვადასხვა უწყებებთან ერთად, შემუშავდა შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა. აღნიშნული პროგრამა დამტკიცდა 2015 წლის 5 თებერვალს საქართველოს მთავრობის N38 დადგენილებით. ამასთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეიქმნა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი (2015 წლის 2 მარტის საქართველოს მთავრობის დადგენილება N81), რომელიც მოამზადებს ნიადაგს ინსპექტირების სრულყოფილი მექანიზმის დანერგვისათვის.

აღნიშნულ სფეროებში ქართული მხარის მიერ მიღწეულ იქნა სერიოზული პროგრესი, რაც USTR-ის მისიის მიერ ძალზედ პოზიტიურად იქნა შეფასებული. შესაბამისად, საქართველოსა და აშშ–ს შორის თავისუფალი ვაჭრობის დამყარების ხელშემშლელი პრობლემა ახლო მომავალში, სავარაუდოდ, საბოლოოდ გადაიჭრება.

ამავე დროს მუშაობა ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების, მათ შორის მომავალში თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების დასადებად, განუხრელად მიმდინარეობს. რომელსაც ემსახურება ჩვენს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის ფუძემდებლური დოკუმენტის - აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის - ფარგლებში შექმნილი 4 სამუშაო ჯგუფიდან ერთ-ერთი, **ეკონომიკის, ვაჭრობისა და ენერგეტიკის სამუშაო ჯგუფი**.

ეკონომიკის, ვაჭრობის და ენერგეტიკის სამუშაო ჯგუფის ბოლო შეხვედრა გაიმართა თბილისში, 2014 წლის 30 ოქტომბერს. სხვა მიღწევებთან ერთად, სამუშაო ჯგუფის დასრულების შემდეგ გაკეთებული ერთობლივი განცხადება ხაზს უსვამს მხარეების ძალისხმევას გააგრძელონ მუშაობა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განუხრელად გაღრმავების მიმართულებით, მომავალში თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გასაფორმებლად.

მომავალში ჩვენს ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმება **მუდმივად განიხილება** აღნიშნულ სამუშაო ჯგუფში, რასაც ადასტურებს ერთობლივი განცხადებები.

ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას ემსახურებოდა, 2014 წლის 29 ოქტომბერს **საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩატარებული ვიდეო-ონფერენცია საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს და აშშ-ის სავაჭრო წარმომადგენლის ოფისს შორის**, რომელზეც განიხილეს ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურების კუთხით გადასადგმელი შემდგომი ნაბიჯები, ასევე, ექსპერტების დონეზე რეგულარული შეხვედრების ორგანიზებისთვის დღის წესრიგის შემუშავება სხვადასხვა მნიშვნელოვანი მიმართულებებით, მათ შორის, საქართველოსა და აშშ-ს შორის ვაჭრობისა და ინვესტიციების თაობაზე მაღალი დონის დიალოგის გააქტიურების მიზნით.

მიმდინარე წელს საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ კიდევ ორი ვიდეო კონფერენცია გამართა აშშ-ის სავაჭრო წარმომადგენლის ოფისთან, 15 და 22 იანვარს, ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების მოხსნისა (TBT) და საინფორმაციო (ITC) მიმართულებებზე. შეხვედრებისა და ვიდეო კონფერენციებთან ერთად, საქართველოს ეკონომიკისა მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და ვაშინგტონში საქართველოს საელჩოს მუდმივი სატელეფონო და ელ. ფოსტის საშუალებით კომუნიკაცია აქვს აშშ-ის შესაბამის უწყებებთან და აშშ-ის საელჩოსთან თბილისში.

მ.წ. 4 მაისის კვირაში იგეგმება საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ეკონომიკის, ენერგეტიკისა და ვაჭრობის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა ქ. ვაშინგტონში, ამავდროულად, ვმუშაობთ მაღალი დონის სავაჭრო და საინვესტიციო დიალოგის (HLTD) შეხვედრის გამართვაზეც აშშ სავაჭრო წარმომადგენლის ოფისთან.

ზოგადად, ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განმტკიცება, მომავალში თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების დადების პერსპექტივით, ყველა მაღალი დონის შეხვედრისას სასაუბროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ამერიკული მხარეც მუდამ აფიქსირებს მზადყოფნას, რომ აღნიშნული პროცესი გაგრძელდეს და გააქტიურდეს.

განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ თავისუფალი ვაჭრობის მოლაპარაკებები აშშ-სთან, როგორც წესი, ფრიად ხანგრძლივი პროცესია, მასში აშშ მხრიდან არაერთი უწყებაა ჩართული და ბევრ ფაქტორზე არის დამოკიდებული, მათ შორის

სხვა მიმდინარე მოლაპარაკებებზე - ამ კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია აშშ-ის მოლაპარაკებები ტრანსატლანტიკური სავაჭრო და საინვესტიციო პარტნიორობის შესახებ, რომელსაც აშშ აწარმოებს ევროკავშირთან, და ტრანსპაციფიკური თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, რომლის მონაწილეები არიან: ავსტრალია, კანადა, ჩილე, მექსიკა, ახალი ზელანდია, პერუ, ბრუნეი, იაპონია, სინგაპური, ვიეტნამი. მალაიზია.

„ტრადიციულად პრობლემურ სფეროდ რჩება უენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი. რუსეთი კვლავ უარს აცხადებს ძალის არ-გამოყენების ვალდებულების აღებაზე, ხოლო, თავის მხრივ, მოსკოვი ოფიციალურ თბილისს მსგავსი სახის შეთანხმების დადებას ცხინვალთან და სოხუმთან სთავაზობს, რაც საქართველოსთვის შეუძლებელ პირობას წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის გათვალისწინებით. უენევის მოლაპარაკებებში ბოლო ორი წლის განმავლობაში შეინიშნებოდა წნეხი საქართველოს დელეგაციაზე, რაც, განპირობებული იყო ორი ფაქტორით - (1) თანათავჯმდომარეების მიერ იმის გაცნობიერებით, რომ საქართველოს ხელისუფლებას არ აქვს პირდაპირი წვდომა და ინტერესი ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენლებთან განიხილონ უენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თემატიკა და (2) რუსეთის მხრიდან პოზიციების უკიდურესი გახისტებით. ამის ფონზე შეინიშნებოდა დაძაბულობა ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს და საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელს შორის. უენევის მოლაპარაკებების გამოწვევად რჩება ის, რომ დისკუსია ვერ უახლოვდება უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების კონკრეტულ საკითხებს და დევნილების ღირსეულად და უსაფრთხოდ დაბრუნების თემატიკას. შესაბამისად, მოლაპარაკებები რაუნდები მუდმივად ჩავარდნის საფრთხის წინაშეა, განსაკუთრებით ზაფხულის რაუნდის დროს, როდესაც ნიუ იორკში გენერალური ასამბლეა განიხილავს დევნილების რეზოლუციის მორიგ პროექტს. კვლავ გამოწვევად რჩება ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმების სრული ამოქმედება, განსაკუთრებით გალის მიმართულებით. მიუხედავად ამ გამოწვევებისა, საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ ფორმატის შენარჩუნება.“

კომენტარი: ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფარგლებში საქართველოს დელეგაცია მუდმივად იყო წნეხის ქვეშ, როგორც 2012 წლამდე ისე მას შემდეგ. საქართველოსთვის არასასურველი გარემოებების შექმნა მუდმივად ხდება რუსეთის ფედერაციისა და მის მიერ მართული საოკუპაციო რეჟიმების მონაწილეთა მხრიდან. ხარისხობრივად, წნეხის ფაქტორი ბოლო წლებში არსებითად არ შეცვლილა. იმავდროულად, საქართველოს ხელისუფლება ყველა დონეზე, მათ შორის ევროკავშირის უმაღლეს ხელძღვანელობასთან, მუდმივად ხაზს უსვამს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების პრიორიტეტულობას და განიხილავს მოლაპარაკებების თემატიკას, მათ შორის რუსეთის მიერ ძალის არგამოყენების ვალდებულების აღებისა და უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნის საკითხებს. დევნილების ღირსეულად და უსაფრთხოდ დაბრუნება ასევე წარმოადგენს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების დღის წესრიგის აქტუალურ საკითხს. საქართველოს დელეგაცია მუდმივად ხაზს უსვამს მათი დაბრუნებისა და საკუთრების უფლებების დაცვის აუცილებლობას, მიუხედავად რუსეთისა და საოკუპაციო რეჟიმების მცდელობისა, რომ საკითხზე დისკუსია საერთოდ არ შედგეს. სამწუხაროდ, რუსეთის დელეგაცია, ისევე როგორც აფხაზი და ოსი მონაწილეები, უარს აცხადებენ ამ თემაზე საუბარზე, მაგრამ ეს სიახლეს არ წარმოადგენს. ასეთივე მიდგომა ჰქონდათ მათ 2012 წლამდეც. შესაბამისად, როგორც უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების, ისე დევნილთა დაბრუნების საკითხებზე პროგრესის არარსებობა, მოლაპარაკებების სხვა მონაწილეთა წინააღმდეგობის შედეგია და არა - ქართველი მონაწილეების პასიურობის თუ ინტერესის ნაკლებობის.

ცალკე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელს, დავით დონდუასა და ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს, ჰერბერტ ზალბერს შორის ურთიერთობაში რაიმე დაძაბულობა არ შეინიშნება, მეტიც საქართველოს დელეგაცია ცდილობს მოლაპარაკებების ფარგლებში იყოს მაქსიმალურად კონსტრუქციული, რაც ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის მიერ არაერთხელ დადებითად შეფასდა ორმხრივ ფორმატში.

„ახალი საფრთხეები და გამოწვევები შექმნა რუსეთის მიერ ცხინვალის და სოხუმის საოკუპაციო რეჟიმებთან გაფორმებულმა ე.წ. „თანამშრომლობისა და სტრატეგიული პარტნიორობის“ შესახებ ხელშეკრულებებმა. ეს “ხელშეკრულებები” ნათლად აჩვენებს რუსეთის ამოცანას, რომ მოახდინოს ამ რეგიონების სრული ანექსია, მანამდე კი გამოიყენოს იქ მიმდინარე პროცესები ბერკეტად საქართველოს ხელისუფლების, კონკრეტულად კი საქართველოს მიერ არჩეული პრო-დასავლური კურსის წინააღმდეგ. საქართველოს ხელისუფლებას მოუწევს სერიოზული გრძელვადიანი ანტი-ანექსიური სტრატეგიის შემუშავება, რათა წინ აღუდგეს, და საჭიროების შემთხვევაში, რეაგირება მოახდინოს სხვა ანექსიურ ნაბიჯებზე. ჯერ-ჯერობით არ ჩანს მცდელობები ასეთი სტრატეგიის შემუშავებისა, მიუხედავად სპორადული მცდელობებისა პრეზიდენტის ადმინისტრაციის და მთავრობის მეთაურის მხრიდან, რომ მოეხდინა ძალისხმევების კოორდინაცია.“

კომენტარი: აფხაზეთთან ე.წ. „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ ხელშეკრულების“ პროექტის პირველი ვერსიის გამოქვეყნებისთანავე, რომელიც შემდგომ ე.წ. „მოკავშირეობისა და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებად“ იქცა, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ანტიანექსიური სამოქმედო გეგმა. გეგმის შესაბამისად, საქართველო საერთაშორისო თანამეგობრობას, მათ შორის ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში, მოუწოდებს დაგმონ ე.წ. „ხელშეკრულებები“ და განახორციელონ ზეწოლა რუსეთის ფედერაციაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიის მცდელობის აღსაკვეთად და საპასუხოდ.

„რუსეთიდან მომდინარე ახალი საფრთხეები კითხვის ნიშანს აჩენს აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკებების ფორმატთან დაკავშირებით. ნათელია, რომ ფორმატმა ან ამოწურა საკუთარი თავი, ან ახლოსაა ამოწურვასთან. უკანასკნელი რამდენიმე შეხვედრის დროს ამ ფორმატში ისეთი საკითხებიც იქნა განხილული, რაც არ წარმოადგენდა ამ ფორმატის დეკლარირებულ მანდატს (მაგ. 2011 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების იმპლემენტაცია). შესაბამისად, დროის გასვლასთან ერთად, ამ ფორმატის მიზანშეწონილობის საკითხიც დადგება. მნიშვნელოვანია, რომ ფორმატმა არ გააგრძელოს ფუნქციონირება

მხოლოდ "ფორმატის გულისთვის", რადგან რეალური შედეგების გარეშე ფორმატი ქმნის ილუზიას, რომ რუსეთი და საქართველო "აგვარებენ" პრობლემებს და აღარ არსებობს მათ შორის საერთაშორისო თანამეგობრობის მედიაციის საჭიროება."

კომენტარი: დიპლომატიური ურთიერთობების არქონის პირობებში, რუსეთთან პირდაპირი დიალოგის არსებობა დამატებით შესაძლებლობებს იძლევა რიგი პრაქტიკული პრობლემის გადასაწყვეტად. ამასთან, აუცილებლად გასათვალისწინებელია, რუსეთის მხრიდან ქართულ პროდუქციაზე ნაწილობრივი ან სრული ემბარგოს დაწესების შესაძლებლობა. ასეთ პირობებში, შესაძლოა, აბაშიძე-კარასინის ფორმატი ერთადერთი ასპარეზი აღმოჩნდეს, სადაც შესაძლებელი იქნება ამ და მსგავსი პრობლემატიკის განხილვა.

„საქართველოს საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან გამოწვევად დარჩება რუსეთთან მიმართებაში ახალი ბერკეტების და ინსტრუმენტების შემუშავება. ორი ბერკეტი, რომელიც შესაძლოა ამუშავებული ყოფილიყო 2012-2014 წლებში (2011 წლის მსო-ს ხელშეკრულება და ორმხრივი დიალოგი დევნილების დაბრუნების თემაზე რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ კონვენციის დარღვევის გამო), ხელისუფლებამ არ აამოქმედა, რითაც შეიძღუდა რუსეთზე გავლენის მოხდენის ბერკეტები."

კომენტარი: 2011 წელს საქართველოსა და რუსეთს შორის „საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ" გაფორმებული ხელშეკრულებამ, შესაძლოა, გარკვეული ბერკეტები შექმნას რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის საკითხში.

„ცალკე აღნიშვნის ღირსია რეგიონში, კერძოდ კი, უკრაინაში მიმდინარე მოვლენებისადმი დამოკიდებულების თემა. აქამდე შეინიშნებოდა ერთგვარი პასიურობა, რაც განპირობებული იყო (ა) საგარეო საქმეთა სამინისტროს და მთავრობის სხვა რგოლებს შორის განცხადებების და გზავნილების ნაკლები კოორდინაციით; (ბ) რუსეთთან და უკრიანის მოვლენებთან მიმართებაში ხელისუფლების ოფიციალურ პირებს და კოალიციის არაფორმალურ ლიდერს

შორის არსებულ აზრთა სხვადასხვაობებით და (გ) რუსეთის არ-გაღიზიანების პოლიტიკით. საქართველოს ინტერესებშია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა ერთ კონტექსტში განიხილავდეს დონბასის და ყირიმის მოვლენებს და ცხინვალის რეგიონის და აფხაზეთის თემატიკას, თუმცა ამის მისაღწევად აუცილებელია აქტიური დიპლომატიის წარმოება და უკრაინის მოვლენებში მოვლენების წინა ხაზზე ყოფნა.“

კომენტარი: უკრაინაში კრიზისის დაწყების მომენტიდანვე საქართველომ დაიკავა ერთმნიშვნელოვანი და აქტიური პოზიცია, რაც გამოიხატა მკაფიო მხარდამჭერ განცხადებებში უკრაინაში მიმდინარე დემოკრატიული და პროევროპული გარდაქმნებისადმი. საქართველოს პრეზიდენტმა, პრემიერ-მინისტრმა და საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთეს არაერთი განცხადება, რომლებშიც სათანადოდ არის შეფასებული რუსეთის აგრესიული ქმედებები უკრაინაში და დაფიქსირებულია მკაფიო მხარდაჭერა უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი, მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. გარდა ამისა, საქართველოს პარლამენტმა მიიღო რეზოლუციები, რომლებშიც დაგმობილია რუსეთის ქმედებები უკრაინასთან მიმართებაში და დაფიქსირებულია უკრაინის მხარდაჭერა.

პოლიტიკური მხარდაჭერის პარალელურად, საქართველოს მთავრობამ უკრაინას გაუწია მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული დახმარება. საქართველოს პრემიერ-მინისტრის დავალებით, 2014 წლის აგვისტოში უკრაინაში გაემგზავრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო. მან გამართა შეხვედრა უკრასინელ კოლეგასთან და მიიღო ინფორმაცია უკრაინის საჭიროებათა შესახებ. აღნიშნულის საფუძველზე, 2014 წლის სექტემბერში საქართველოს მთავრობამ უკრაინაში გაგზავნა ჰუმანიტარული დახმარება მედიკამენტების სახით, რომლის ღირებულებაც 1 მლნ. ლარს აღწევს. ამასთან, საქართველომ ორი კვირის მანძილზე ანკალიის ბანაკში უმასპინძლა 110 უკრაინელ ახალგაზრდას და მათ თანმხლებ 15 პირს დასვენებისა და რეაბილიტაციის მიზნით. აღნიშნული ჯგუფი დაკომპლექტთა უკრაინაში განვითარებული მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებიდან.

უკრაინასთან თანამშრომლობაში ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება გამოცდილების გაზიარებას როგორც წარმატებული რეფორმების კუთხით, ასევე ევროინტეგრაციის საკითხებში. აქტიურად ხორციელდება მაღალი დონის ორმხრივი ვიზიტები. 2014 წლის

ივნისსა და 2015 წლის თებერვალში საქართველოს პრეზიდენტი ორჯერ იმყოფებოდა უკრაინაში (უკრაინის პრეზიდენტის ინაუგურაციისა და „ღირსების მსვლელობის“ ღონისძიებათა ფარგლებში), 2014 წლის ივლისში შედგა უკრაინის იუსტიციის მინისტრის პავლო პეტრენკოსა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მაქსიმ ბურბაკის ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც ისინი გაეცნენ საქართველოში განხორციელებულ რეფორმებს. ამ თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანი იყო უკრაინის მინისტრთა კაბინეტის მინისტრის განა ონიშჩენკოს ვიზიტი საქართველოში 2015 წლის 4-8 მარტს. მან გამართა შეხვედრები სახელმწიფო მინისტრთან ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში დავით ბქარაძესთან, იუსტიციის მინისტრის მოადგილესთან მიხეილ სარჯველაძესთან, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსთან მაია ცქიტიშვილთან, საკონსუტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარესთან გიორგი პაპუაშვილთან. განა ონიშჩენკომ ასევე მოინახულა თბილისის იუსტიციის სახლი და გაეცნო მისი მუშაობის კონცეფციას. ვიზიტის ფარგლებში ყურადღება დაეთმო საქართველოს გამოცდილების გაზიარებას სახელმწიფო სტრუქტურათა რეფორმირების საკითხში.

ასევე აქტიურია თანამშრომლობა და ვიზიტების გაცვლა ორი ქვეყნის დარგობრივ სამინისტროებს შორის. კერძოდ, 2014 წელს შედგა უკრაინის აგრარული პოლიტიკისა და სურსათის მინისტრის იგორ შვაიკას ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც განხილული იქნა აგრარულ სექტორში ურთიერთთანამშრომლობის პერსპერქტივები. სოფლის მეურნეობის სფეროს საკითხებზე ასევე აქცენტი გაკეთდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დელეგაციის კიევში ვიზიტის ფარგლებში, სადაც დელეგაციამ, მინისტრის მოადგილის ნოდარ კერესელიძის ხელმძღვანელობით, მონაწილეობა მიიღო აგრო საინვესტიციო ფორუმზე (Agri İnvets Forum).

2015 წლის იანვარში გაიმართა საქართველოს ვიცე-პრემიერის, ეკონომიკისა და მდგარი განვითარების მინისტრის გიორგი კვირიკაშვილისა და ვიცე-პრემიერის, ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის ერთობლივი ვიზიტი კიევში (30-31 იანვარი), რომლის ფარგლებშიც, უკრაინის ეკონომიკისა და ენერგეტიკის მინისტრებთან შეხვედრებისას განხილული იქნა ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური და ენერგეტიკული თანამშრომლობის პერსპექტივები, მათ შორის, საქართველო-უკრაინის სამთავრობათაშორისო ეკონომიკური კომისიის მორიგი შეხვედრის 2015 წელს გამართვის საკითხი, ასევე რეფორმებთან დაკავშირებით გამოცდილების გაზიარების საკითხში თანამშრომლობის შესაძლებლობები. ევროინტეგრაციის საკითხებში საქართველო-უკრაინის თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა დავით ბაქრაძემ 2015 წლის 4 თებერვალს კიევში

ვიზიტისას, რომლის ფარგლებშიც იგი შეხვდა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრს პავლო კლიმკინს.

ძალზე აქტიურია ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის შეხვედრებისა და კონსულტაციების მექანიზმი. კერძოდ, საერთაშორისო ფორუმების ფარგლებში, პერმანენტულად იმართება ორმხრივი შეხვედრები საქართველოსა და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის.

2014 წლის ნოემბერში კიევში მინისტრის მოადგილის დავით ჯალაღანიას ვიზიტის ფარგლებში, გაიმართა პოლიტიკური კონსულტაციები მინისტრის მოადგილეების დონეზე. გარდა ამისა, დავით ჯალაღანიამ გამართა ორმხრივი შეხვედრა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან ოლენა ზერკალთან იანვრის თვეში კიევში გამართული სუამ-ის ეროვნული კოორდინატორების შეხვედრების პარალელურად. 10-11 მარტს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ უმასპინძლა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ოლენა ზერკალს, რომლის ფარგლებშიც, უკრაინის დელეგაციამ გამართა შეხვედრები საგარეო საქმეთა მინისტრთან თამარ ბერუჩაშვილთან, სახელმწიფო მინისტრთან დავით ბაქარაძესთან, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროში. ვიზიტის ფარგლებში, უკრაინის დელეგაციამ მოინახულა თბილისის იუსტიციის სახლი და გაეცნო საქართველოში განხორციელებულ რეფორმებს.

უკრაინასთან მიმდინარეობს მჭიდრო თანამშრომლობა საპარლამენტო დონეზეც. კერძოდ, 2015 წლის იანვარში კიევს ეწვია საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე, ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ დოლიძე, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ზვიად კვაჭანტირაძე და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დავით დარჩიაშვილი.

ზემოაღნიშნული მიმართულებებით გრძელდება მჭიდრო თანამშრომლობა უკრაინულ მხარესთან, მათ შორის, მაღალი დონის ვიზიტების აქტიური დინამიკის კიდევ უფრო გაღრმავების თვალსაზრისით.

„საგარეო პოლიტიკის საკითხებში უშიშროების საბჭოს ინსტიტუციური როლის შემცირების შემდეგ აშკარად შეინიშნება საგარეო პოლიტიკაში ხელისუფლების შტოებს შორის კოორდინაციის სიმცირე. პრემიერის დაქვემდებარებაში მყოფი უსაფრთხოების საბჭოს შექმნის მიუხედავად პრობლემა კვლავ აქტუალურია, რაზეც საგარეო პოლიტიკის

უწყებათშორისი საბჭოს შექმნა მიუთითებს. დიპლომატიური კორპუსი საქართველოში ხშირად აღნიშნავს, რომ მათთვის პრობლემატურია გზავნილის მიტანა პრემიერ-მინისტრამდე, და კოალიციის არაფორმალურ ლიდერამდე ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, იმის გამო, რომ დღეს არსებული გადაწყვეტილების მიღების სისტემა არ არის გამართული და ხშირია გზავნილის დაკარგვა, ან დამალვა."

კომენტარი: იმის გამო, რომ ახალი კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტის, როგორც საგარეო პოლიტიკის წარმმართველი სუბიექტის უფლებამოსილება შემცირდა, ავტომატურად შემცირდა მის დაქვემდებარებაში არსებული უშიშროების საბჭოს ინსტიტუციური როლიც. პრემიერის დაქვემდებარებაში მყოფი ახალი სტრუქტურა - უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო - ახალი კონსტიტუციის ფარგლებში მთავრობაზე დაკისრებული გაზრდილი უფლებამოსილებისა და ვალდებულების განხორციელების მიზნით შეიქმნა. მათი ფუნქციები სათანადო კანონმდებლობით არის გამიჯნული (იხილეთ წინა კომეტარი აღნიშნულ საკითხზე).

იმის მიუხედავად, რომ ამ დრომდე, სხვა მრავალ საკითხთან ერთად, საგარეო პოლიტიკის საკითხების კოორდინირება აღნიშნული საბჭოს ფარგლებში ხორციელდება, მთავრობის საგარეოპოლიტიკური აქტივობის კოორდინაცია უფრო მოქნილ მექანიზმს საჭიროებდა. სწორედ ამ მიზნით, 2015 წლის 6 იანვარს, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, შეიქმნა საგარეო პოლიტიკის უწყებათაშორისი საბჭო. აღნიშნული ორგანო არის საკონსულტაციო ჯგუფი, რომლის მუშაობა გაცილებით მოქნილი და არაფორმალიზებულია. მისი შემადგენლობა და მუშაობის ფორმა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, ამიტომ ის შესაძლოა სამომავლოდ კიდევ შეიცვალოს წარმოქმნილი პრობლემებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე.

იმის მტკიცება, რომ საქართველოში აკრეტიდებულ დიპლომატიური კორპუსი ვერ ახერხებს მათთვის პრობლემატური და მნიშვნელოვანი გზავნილების პრემიერამდე მიტანას, არამართებულია. პრემიერ-მინისტრს რეგულარულად აქვს ორმხრივი შეხვედრები სხვადასხვა ქვეყნების დიპლომატებთან, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ. პრემიერის ინიციატივით, არაერთი ლანჩი და ოფიციალური მიღება მოწყობილა მათთვის. პრემიერი ასევე აქტიურად მონაწილეობს საქართველოში მოქმედი სხვადასხვა ქვეყნების საელჩოების მიერ მოწყობილ ღონისძიებებში.
საელჩოების თანამშრომლებს ასევე მუდმივი კონტაქტი აქვთ მთავრობის ადმინისტრაციის საგარეო ურთიერთობების სამსახურის თანამშრომლებთან. შეხვედრების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია რეგულარულად ქვეყნდება მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდსა და პრემიერის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე. (იხ. www.government.geo.gov.ge;

www.facebook/GaribashviliOfficial). ნებისმიერი სახის დამატებითი ინფორმაციის მოწოდება შესაძლებელია საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში.

„ევროკავშირთან მიმართებაში სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს ევროკავშირის მხრიდან იმის აღიარება, რომ საქართველოს გააჩნია ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა. ამ ეტაპზე ამ მიმართულებით პროგრესი არ არის, თუმცა, მოსალოდნელია, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს, მოლდოვას და უკრაინის მხრიდან კოორდინირებული ქმედებების შემთხვევაში ევროკავშირის სახელმწიფოებმა მიიღონ მსგავსი გადაწყვეტილება.“

კომენტარი: საქართველოს ხელისუფლება ევროკავშირის ინსტიტუტებისა და წევრი ქვეყნების წარმომადგენლებთან ნებისმიერი დონის შეხვედრაზე მუდამ აფიქსირებს, რომ საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის გრძელვადიან მიზანს წარმოადგენს ევროკავშირში გაწევრიანება. ამისათვის, ასოცირების შეთანხმება განიხილება როგორც ამ მიმართულებით გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი. შესაბამისად, აღნიშნული ხელშეკრულების წარმატებით განხორციელება ხელისუფლების უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს, რაც საქართველოს კიდევ უფრო დააახლოებს დასახულ მიზანთან. აქვე, მხედველობაში მისაღებია ზოგადად გაფართოებასთან დაკავშირებით ევროკავშირში არსებული ტენდენციები. მიუხედავად ამისა, როგორც ევროკავშირის ინსტიტუტების, ასევე წევრი ქვეყნების მიერ ხდება საქართველოს ევროპული მისწრაფებებისა და არჩევანის აღიარება, რაც თავისთავად გულისხმობს საქართველოს, როგორც ევროპული სახელმწიფოს უფლებას, ჰქონდეს პრეტენზია ევროკავშირში გაწევრიანებაზე, ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების 49-ე მუხლის თანახმად. ასოცირებული პარტნიორების (საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის) ევროპული პერსპექტივის აღიარება საკმაოდ მგრძნობიარე საკითხია ევროკავშირისთვის და ამ მიმართულებით პროგრესი დამოკიდებულია ქვეყნების მიერ ასოცირების შეთანხმების წარმატებით განხორციელებასა და ევროპული ფასეულობების განუხრელად დაცვაზე.

12. საინვესტიციო გარემო

2. ახალი საიმიგრაციო პოლიტიკა

„ხელისუფლების კიდევ ერთი გაუმართლებელი და გახმაურებული გადაწყვეტილება იყო ახალი საიმიგრაციო წესების შემოღება. იუსტიციის სამინისტროს მომზადებული „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ ახალი კანონი 2014 წლის 1 სექტემბრიდან შევიდა ძალაში. ცვლილებებმა ამ სფეროს მარეგულირებელი ნორმები მნიშვნელოვნად გაამკაცრა. საქართველოს მთავრობამ ამ ცვლილებების აუცილებლობა, ძირითადად, ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის დიალოგის ფარგლებში არსებული ვალდებულებებით ახსნა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ შეისწავლა ეს რეგულაციები და იმ ადამიანთა მოსაზრებები, რომელთაც უშუალოდ შეეხო ეს ცვლილებები.

ორგანიზაციის დასკვნით[1], ახალი კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი ცვლილება არაგონივრულად ართულებს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ საქართველოში შემოსვლისა და ცხოვრების უფლების მოპოვების პროცედურებს, გაუმართლებელ პრობლემებს უქმნის საქართველოში სასწავლებლად ჩამოსულ სტუდენტებს, ინვესტორებს და ოჯახის გაერთიანების მიზნით საქართველოში ცხოვრების მსურველთ. განსაკუთრებით პრობლემურია შემდეგი საკითხები:

- უვიზოდ შემოსვლის უფლების მქონე ქვეყნების დაუსაბუთებელი შემცირება;
- საქართველოს საზღვარზე ვიზის აღების ხოლო ქვეყნის ტერიტორიაზე ვიზის გაგრძელების გაუქმება;
- საზღვარგარეთ დიპლომატიური წარმომადგენლობების სიმცირე;
- სავიზო განაცხადის ონლაინ შევსების შეუძლებლობა;
- ბინადრობის უფლებისა და ვიზის გაცემის არაგონივრული ვადები;
- ბინადრობის ნებართვაზე უარის თქმის საფუძვლები;
- 18.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის (საფრთხე ეროვნული უსაფრთხოებისთვის) ხშირი და დაუსაბუთებელი გამოყენება;
- ბინადრობის ნებართვაზე უარის გასაჩივრების არაეფექტური მექანიზმები.

კანონის მიღების შემდეგ არაერთმა ორგანიზაციამ და კერძო პირმა გააპროტესტა ახალი რეგულაციები, რასაც პრემიერმინისტრი ღარიბაშვილიც გამოეხმაურა. მან ბოდიში მოუხადა ყველა იმ უცხოელს, ვისაც პრობლემები შეექმნათ შეცვლილი საიმიგრაციო წესების გამო და პრობლემის მოგვარებას დაპირდა. დეკემბერში პარლამენტმა მართლაც მიიღო ცვლილებები, თუმცა ისინი პრობლემის მხოლოდ ნაწილობრივ მოგვარებას ითვალისწინებს“

კომენტარი: ბინადრობის ნებართვის განცხადების განხილვისათვის არსებობს 10, 20, 30 დღიანი განხილვის ვადები. ბინადრობის ნებართვა გაიცემა როგორც დროებითი მოქმედების ვადით ასევე მუდმივად და თავისი სტატუსით ის უცხოელს ანიჭებს ქვეყანაში ყოფნისა და ცხოვრების უფლებას, შესაბამისად მისი განხილვის პროცესი მოიცავს როგორც განცხადების და თანდართული დოკუმენტების კანონთან შესაბამიობის შემოწმებას ასევე სხვადასხვა უწყებებიდან ინფორმაციის გამოთხოვას, ასევე შესაძლებელია უცხოელის გასაუბრებაზე დაბარებაც დამატებითი ინფორმაციის მიღების კუთხით. რიგ შემთხვევებში სხვადასხვა უწყებებიდან აღნიშნული ინფორმაციის მიწოდების პროცესი შესაძლებელია დროში გაგრძელდეს, შესაბამისად კანონით დადგენილ ვადებზე ადრე განხილვის დასრულება შეუძლებელია. აქვე უნდა აღინიშნოს რომ არცერთ ევროპის ქვეყანას არ *გააჩნია ანალოგი ბინადრობის ნებართვის 30 დღეზე* ნაკლებ ვადაში განხილვისა.

1 სექტემბრიდან დღემდე ბინადრობის მთხოვნელ უცხოელთა მხოლოდ 2,4 % ეთქვა უარი (1 სექტემბრიდან დღემდე ბინადრობის 21926 განცხადებაა შემოსული, საიდანაც უარი ეთქვა 547 უცხოელს). რაც შეეხება დაუსაბუთებელ უარებს, კანონით განსაზღვრულია უარის თქმის საფუძველები და მათი გამოვლენის შემთხვევაში, მათ შორის სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ნაწილში, ხდება დასაბუთებული, უარყოფითი გადაწყვეტილების მიღება.

4. უცხოელებისათვის მიწისმ იყიდვის აკრძალვა

„მიუხედავად საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებისა, უცხოელებს კვლავ ექმნებათ პრობლემა მიწის დარეგისტრირებასთან დაკავშირებით. მაგალითად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კვლავ მიმართავენ უცხოელი ინვესტორებმა, რომელთაც აუქციონზე შეიძინეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, თუმცა საჯარო რეესტრი რამდენიმე თვის განმავლობაში არ ურეგისტრირებს განაცხადში ხარვეზის დადგენის მოტივით. ვინაიდან ეს პრობლემები საკმაოდ ხშირია, არსებული ვითარება იძლევა ეჭვის საფუძველს, რომ საჯარო რეესტრი ხელოვნურად აფერხებს უცხოელთათვის მიწის რეგისტრაციის პროცესს.“

კომენტარი: საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უცხოელი ფიზიკური პირის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შემზღუდავი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდგომ,

უცხოელებზე საკუთრების უფლების რეგისტარცია შეუზღუდავად მიმდინარეობს. დღეის მდგომარეობით მორატორიუმი როგორც ფიზიკური პირის, ისე იურიდიული პირის ნაწილში გაუქმებულია, შესაბამისად უცხოელთა საკუთრების შეზღუდვის ხელოვნური შემაფერხებელი პროცედურები არ მიმდინარეობს.

2014 წლის 22 ივლისიდან 2015 წლის 27 თებერვლის ჩათვლით უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის მოთხოვნით შემოსულია 2603 განცხადება, აქედან სარეგისტრაციო წარმოება დასრულდა 1057 განცხადებაზე.

„2012 წელი პოლიტიკურად ძალზე დაძაბული და აქტიური წელი იყო, რაც გამოწვეული იყო 1 ოქტომბერს დანიშნული საპარლამენტო არჩევნებით. ამ ვითარებამ გავლენა ინვესტიციებზე და ეკონომიკურ აქტივობაზეც იქონია: 2012 წელს მეორე ნახევარში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 432,7 მლნ აშშ დოლარი, რაც ამავე წლის პირველ ნახევართან შედარებით 46.2 მლნ აშშ დოლარით ნაკლები იყო.
,,2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მოსული ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი მიღწევა ბიზნესის სახელისუფლო წნეხისგან გათავისუფლება იყო. მნიშვნელოვან წინსვლად, ასევე, შეიძლება ჩაითვალოს კონკურენციის მარეგულირებელი ახალი კანონმდებლობის მიღება. ეს კანონი ხელისუფლების პოლიტიკური ნებისა და ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების, განსაკუთრებით კი – „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მნიშვნელოვანი მხარდაჭერის შედეგია.“

,,2013 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უმნიშვნელოდ გაიზარდა და 941.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს მხოლოდ 30.3 მლნ აშშ დოლარით აღემატება. 2014 წლის პირველი სამი კვარტლის წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 923.3 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2013 წლის იგივე პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებლზე 29%-ითმ ეტია.“

,,ინვესტიციებზე და ეკონომიკურ აქტივობაზე გავლენა, სავარაუდოდ, იქონია ბოლო პერიოდში მუდმივმა წინასაარჩევნო მდგომარეობამ (3 არჩევნებიბოლო 2 წლის განმავლობაში). ამასთან, შესაძლოა, რომ კომპანიები, რომლებიც პრივილეგირებული მდგომარეობით წინახელისუფლების დროინდელი პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე სარგებლობდნენ, ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდნენ და სავარაუდოდ შეიცვალა მათი საინვესტიციო გეგმებიც.“

„ამ მეტნაკლებად ობიექტური მიზეზებთან ერთად საინვესტიციო გარემოზე უარყოფითი გავლენა შესაძლოა ჰქონოდა ახალი ხელისუფლების მიერ შემოღებულ რიგ რეგულაციებს, რომელებიც ინვესტორებისთვის შედარებით უარყოფითი გზავნილის მატარებელი იყო. „

კომენტარი: 2014 წელს, საქართველოში 1,272.5 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა, რაც 35,1 პროცენტით აღემატება 2013 წლის, ხოლო 39,6 პროცენტით - 2012 წლის ანალოგიურ მონაცემს. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ 2014 წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციის წილმა მშპ-ში 7,7 პროცენტი შეადგინა, მაშინ, როდესაც 2013 და 2012 წლებში ეს მაჩვენებელი 5,8 პროცენტს შეადგენდა.

ასევე მნიშვნელოვანია, ახალი მთავრობის მიერ ბიზნეს გარემოს შემდგომი გაუმჯობესების და კერძოს ექტორის, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის, როგორც ზრდისა და განვითრების, ასევე, კონკურენტუნარიანობის ამაღლების და ექსპორტის ხელშეწყობის, ინოვაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების და მათი დანერგვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები. ამ მიზნით, 2014 წელს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შეიქმნა მეწარმეობის განვითარების სააგენტო (EDA) და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA).

მეწარმეობის განვითარების სააგენტოს შექმნის მიზანს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობა წარმოადგენს, ხოლო **საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს** მთავარი ფუნქციებია ინოვაციების და ცოდნის კომერციალიზაციის ხელშეწყობა, ინოვაციების და ტექნოლოგიების გამოყენების სტიმულირება, ექსპორტზე ორიენტირებული ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა, ინოვაციების და კვლევების კომერციალიზაციის და ინოვაციური მეწარმეობის, მათშორის, start-up-ების ხელშეწყობა და სხვა.

2014 წელს დაიწყო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, რომლის მიზანია საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობა და კერძო სექტორის

კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდა ფინანსებზე, უძრავ ქონებასა და ტექნიკურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის საშუალებით. „აწარმოე საქართველოში“ მოიცავს 2 მიმართულებას: ინდუსტრიული წარმოების და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-გადამუშავების ხელშეწყობას. დღეის მდგომარეობით, პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერილია 70 პროექტი, რომელთა ჯამური საინვესტიციო ღირებულება შეადგენს 120 340 354 ლარს.

ასევე მნიშვნელოვანია, ახალი ხელისუფლების მიერ რეგიონებში, განსაკუთრებით კი - ეკონომიკურად მოწყვლად რეგიონებში ეკონომიკური აქტიურობის წახალისება **მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა.** ამ მიზნით, პროგრამას „აწარმოე საქართველოში“, 2014 წლის

ოქტომბერში დაემატა ახალი კომპონენტი - მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს რეგიონებში მიკრო და მცირე სამეწარმეო აქტივობების ხელშეწყობის მიზნით ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის განხორციელებას. ამ პროექტის ბიუჯეტი შეადგენს 20 მლნ. ლარს.

<u>დამატებითი ინფორცია საინვესტიციო გარემოსთან დაკავშირებით: ეკონომიკის სამინისტრო:</u> ბოლო 2 წელიწადში, საქართველოს პოზიციები საერთაშორისო რეიტინგებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მათშორის:

- **Frazer Institute-ის „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“.** 2014 წლის შეფასებით, საქართველოს რეიტინგი 5 ადგილით გაუმჯობესდა და მე-16-ზე*(7,73-იანიქულით)*გადმოინაცვლა 152 ქვეყანას შორის. საქართველოსსარეიტინგოქულა 0.12 პუნქტითგაუმჯობესდა.

- **Heritage Foundation-ის „ეკონომიკურითავისუფლებისინდექსი“.** 2015 წლისშეფასებით, საქართველოს სარეიტინგო ქულა 0.4 პუნქტით გაუმჯობესდა წინა წელთან შედარებით და 73.0 ქულა შეადგინა. საქართველო მსოფლიოს 178 ქვეყანას შორის კვლავ 22-ე პოზიციაზეა „უმეტესად თავისუფალი“ სტატუსით, ხოლო ევროპის რეგიონში 43 ქვეყანას შორის საქართველო 1 ადგილით დაწინაურდა და მე-11 ადგილ სიკავებს.

- **მსოფლიო ბანკის „Doing Business“.** 2015 წლის შეფასებით, ბიზნესის წარმოების სიმარტივის მხრივ საქართველოს ევროპისა და ცეტრალური აზიის რეგიონში ყველაზე მაღალი ადგილი უკავია, ხოლო 189 ქვეყანას შორის მე-15 ადგილზეა.

- **მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „გლობალურიკონკურენტუნარიანობისინდექსი“.** 2014-2015წლების შეფასებით, საქართველომ პოზიცია 3 საფეხურით გაიუმჯობესა და 69-ე პოზიციაზე იმყოფება, მისი სარეიტინგო ქულა 4,22 შეადგენს (ზომიერი მაჩვენებელი).

- **საერთაშორისო გამჭირვალობის „კორუფციის აღქმის ინდექსი“.** 2014 წლის შეფასებით, საქართველოს რეიტინგი 5 ადგილით გაუმჯობესდა და 175 ქვეყანას შორის 50-ე პოზიციაზეა 52 ქულით, ხოლო პირველ ადგილზეა რეგიონის (აღმოსავლეთ ევროპა და ცენტრალური აზია) 19 ქვეყანას შორის.

- **Moody's Investors Service**-მა საქართველოს სუვერენული რეიტინგი **Ba3 სტაბილურიდან პოზიტიურამდე გააუმჯობესა (2014).**

- **Fitch-მა** დაადასტურა საქართველოს საკრედიტო რეიტინგი“BB-“, ხოლო პერსპექტივა პოზიტიურიდან სტაბილურით შეცვალა *(2015). პერსპექტივის ცვლილება ძირითადად გამოწვეული იყო ქვეყნის ეკონომიკაზე საგარეო შოკების გავლენით, ექსპორტის შემცირებით და აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის გაუარესებით.*

.

„საინვესტიციო გარემოზე უარყოფითი გავლენა უნდა ჰქონოდა ახალი ხელისუფლების მიერ შემოღებულ რიგ რეგულაციებს, რომელებიც ინვესტორებისთვის უარყოფითი გზავნილის მატარებელი იყო. პრემიერ მინისტრი ღარიბაშვილიც გამოეხმაურა. მან ბოდიში მოუხადა ყველა იმ უცხოელს, ვისაც პრობლემები შეექმნათ შეცვლილი საიმიგრაციო წესების გამო და პრობლემის მოგვარებას დაპირდა. დეკემბერში პარლამენტმა მართლაც მიიღო ცვლილებები, თუმცა ისინი პრობლემის მხოლოდ ნაწილობრივ მოგვარებას ითვალისწინებს„

კომენტარი: საყურადღებოა, რომ ახალი კანონი ითვალისწინებს ელექტრონული ვიზების გაცემას, რაც მნიშვნელოვანია ვიზების აღების გამარტივების კუთხით. ამ ეტაპზე უკვე ამოქმედდა ელექტრონული ვიზების გაცემის სისტემა. აპლიკანტი ვებ-გვერდზევე ავსებს მოთხოვნილ მონაცემებს, ელექტრონულადვე იხდის მოსაკრებელს და გადმოიწერს (ამობეჭდავს) თავის ელექტრონულ ვიზას. ელექტრონული ვიზა დაშვებულია მხოლოდ იმშემთხვევებში, როცა მგზავრობის მიზანია ტურიზმი ან ბიზნესი.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ახალი კანონი ითვალისწინებს საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის შემოღებას, რომელიც არა დროებითი, არამედ მუდმივია. ამასთან, საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის მოპოვებისთვის არ არის სავალდებულო, რომ უცხოელი ფლობდეს იმავე მიზნით გაცემულ ვიზას. მას შეუძლია მიმართოს უფლებამოსილ ორგანოს საქართველოში კანონიერად ყოფნის დამადასტურებელი ნებისმიერი დოკუმენტის საფუძველზე.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ახალი კანონის ამოქმედების (2014 წლის 1 სექტემბერი) შემდეგ, მიგრაციის სამთავრობო კომისიასთან შეიქმნა კანონის განხორციელებაზე მონიტორინგის განმახორციელებელი ჯგუფი. შესწავლილი ქნა კანონის მიერ დადგენილი ახალი რეგულაციების ამოქმედების შედეგად გამოვლენილი პრობლემები. შესაბამისად მომზადდა და სათანადო ცვლილებები შეტანილ იქნა კანონში.

ამ ეტაპზე, დამატებით მომზადებულია ცვლილებების პროექტი სავიზო რეგულაციების შემდგომი გამარტივების მიზნით, იმ სახით, რათა ერთი მხრივ სავიზო რეჟიმი ხელსაყრელი იყოს ტურიზმისა და ინვესტიციებისთვის, ხოლო მეორე მხრივ კანონი შესაბამისობაში იყოს ევროკავშირის მიდგომებთან.

დამატებითი ინფორმაცია: საყურადღებოა, რომ ახალი ხელისუფლება, აქტიურად მუშაობს შემდეგ რეფორმებზე:

საპენსი ორეფორმა: საპენსიო რეფორმა, რომელიც ითვალისწინებს პენსიის ნებაყოფლობით კერძო დაგროვებით სისტემაზე გადასვლას და პირველი სამუშაო ვერსია უკვე მომზადებულია. ახალი საპენსიო სისტემა იქნება არსებული საპენსიო სისტემის დამატებითი ოფცია, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური დაცვის გაუმჯობესებას.

კაპიტალის ბაზრის განვითარება: კაპიტალის ბაზრების განვითრება მნიშვნელოვანია ფინანსურ რესურსებზე, როგორც დაფინანსების ალტერნატიულ საშუალებებზე ხელმისაწვდომობის კუთხით. შესაბამისად მნიშვნელოვანია კაპიტალის ბაზრის რეფორმაზე დაწყებული სამუშაოები.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემა: მიმდინარეობს მუშაობა ისეთი სისტემის შემუშავებაზე, რომელიც უზრუნველყოფს ერთის მხრივ, დეპოზიტების დაზღვევას, ხოლო მეორეს მხრივ, სტიმულს მისცემს დამატებითი ფინანსური რესურსების აკუმულირებას ფინანსურ ინსტიტუტებში.

ექსპორტის დაკრედიტება: ექსპორტის განვითარების და წახალისების მიზნით მნიშვნელოვანია დამატებითი ფინანსური მხარდაჭერის შესაძლებლობების განვითარება. ამ მიზნით მიმდინარეობს მუშაობა ექსპორტი სდაკრედიტების ინსტიტუტის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, რაც ითვალისწინებს ექსპორტის დაზღვევას და ექსპორტის გარანტიები სგაცემას ექსპორტის პოტენციალის მქონე კომპანიებისთვის. ამ ინსტიტუციის შექმნა დაგეგმილია საპარტნიორო ფონდის ქოლგის ქვეშ. ამ ეტაპზე მეწარმეობის განვითრების სააგენტოს და საპარტნიორო ფონდის მიერ შერჩეულია მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი კომპანია ექსპორტის დაკრედიტების კუთხით, რომელიც დახმარებას გაუწევს საქართველოსთვის შესაფერისი მოდელის, ასევე პროდუქტების და სერვისების შემუშავების კუთხით.

RIA: მიმდინარეობს მუშაობა რეგულირების გავლენის შეფასების (**RIA**) სისტემის საქართველოსთვის მისაღები და ეფექტური მოდელის შემუშავებასა და დანერგვაზე. RIA მნიშვნელოვანია ბიზნეს გარემოს შემდგომი გაუმჯობესებისთვის, როგორც დამატებითი და არაეფექტიანი რეგულირების პრევენციის, ასევე არსებული რეგულირების სრულყოფისთვის.

5. საფოსტო მომსახურების ახალი რეგულაციები

,,ახალმა სახელმწიფო რეგულაციებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა საფოსტო მომსახურების ბაზარზეც, რომელიც შეზღუდვების დაწესებამდე მნიშვნელოვნად იზრდებობა. ამ ბაზარზე ლეგალური ბარიერები პირველად შემოღებულ იქნა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 25 იანვრის№30 ბრძანებით. ამ ბრძანების საფუძველზე საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებულ პროცედურებში არსებითი ცვლილებები განხორციელდა,

რამაც საქონლის გადაზიდვის საქმიანობით დაკავებულ მეწარმეებს სერიოზული პრობლემები შეუქმნა.

მეწარმეებმა ეჭვი გამოთქვეს, რომ აღნიშნული რეგულაციები მათი ბაზრიდან განზრახ განდევნას და ერთი კონკრეტული გადამზიდველის მონოპოლიურ მდგომარეობაში ჩაყენებას ისახავს მიზნად. ამ კომპანიაში ისინი გულისხმობდნენ „საქართველოს ფოსტას“, რომლის 100 %-იანი წილი სახელმწიფოს მფლობელობაშია.

ადგილობრივმა გადამზიდველებმა თავიანთი უფლებების დასაცავად და ფინანსთა მინისტრის ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით მიმართეს სასამართლოს. გადამზიდველების ინტერესებს სასამართლო დავის პროცესში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ იცავდა. გადამზიდველებმა აღნიშნული საქმე მოიგეს სამივე ინსტანციის სასამართლოში.

მინისტრის აღნიშნული ბრძანების მიღებას სხვა სახელმწიფო რეგულაციებიც მოყვა, რომელთა გარკვეული დებულებები ასევე ზღუდავს საფოსტო ბაზარზე კონკურენციას.“ (გვ.71)

კომენტარი: ამ ეტაპზე ფოსტის სფეროში სახელმწიფოს არ აქვს მიღებული ახალი საკანონმდებლო-ნორმატიული აქტები.

ფოსტის სფეროს რეფორმის განხორციელების პროცესში მსოფლიო საფოსტო კავშრის (UPU) და ევროკავშირის შესაბამისი აქტებთან ჰარმონიზაციის მიზნით, საჭირო სამართლებრივი აქტების მისაღებად, საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საერთაშორისო/საკონსულტაციო კომპანია KPMG-ს შორის,დადებულია ხელშეკრულება „უნივერსალური საფოსტო მომსახურების უზრუნველყოფისთვის საჭირო ხარჯების შეფასების მიზნით საფოსტო ბაზრის კვლევა“-ზე, რომელიც საორიენტაციოდ მიმდინარე წლის ივნისის თვეში დასრულდება.

აღნიშნული კვლევის შედეგები შესაბამის ასახვას ჰპოვებს ფოსტის სფეროში მომზადებული საკანონმდებლო აქტების პროექტებში, რის შემდეგაც კანონმდებლობით დადგენილი წესით განსახილველად წარდგენილი იქნება საქართველოს პარლამენტში.

13. ეკონომიკა

„2015 წელს საქართველოს მთავრობა 5-პროცენტიანი ზრდის ნაცვლად, 4 პროცენტზე მაღალ ეკონომიკურ ზრდას ელოდება. თუ პროგნოზი გამართლდა, ეს იქნება მესამე წელი, რაც საქართველოში დაგეგმილი ეკონომიკური ზრდა ვერ სრულდება. 2013 წელს, საქართველოში, რეგიონის მასშტაბით, 6-პროცენტიანი ზრდის ნაცვლად, დაფიქსირდა ყველაზე დაბალი 3,3

პროცენტი, ხოლო 2014 წელს, ნაცვლად წინასწარი მონაცემების მიხედვით მოსალოდნელი 5-პროცენტიანი ზრდისა, დაფიქსირდა 4,7 პროცენტი“

2014 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, როდესაც მიმდინარეობდა წლიური ბიუჯეტის დაგეგმვა 5%-იანი ზრდის პროგნოზით სავსებით რეალისტური იყო და ამ პროგნოზს იზიარებდა საერთაშორისო სავალუტო ფონდი. ამ პერიოდისათვის საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზი რეგიონის სხვა ქვეყნებთან მიმართებაშიც მაღალი იყო და უმეტეს შემთხვევაში აღემატებოდა ამავე პერიოდში ამ ქვეყნებთან მიმართებაში 2014 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზს. 2014 წელს საქართველოში ეკონომიკური ზრდა წინასწარი მონაცემებით 4.8%-ს შეადგენს, რაც რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებლია (აღემატება თურქმენეთი, უზბეკეთი და ტაჯიკეთი). 2014 წლის ბოლოს და 2015 წლის დასაწყისში რეგიონში განვითარებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდიან როგორც საქართველოს, ისე რეგიონის სხვა ქვეყენების მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების პროგნოზებზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მნიშვნელოვნად შეამცირა რეგიონის თითქმის ყველა ქვეყნის ზრდის პროგნოზი, მათ შორის საქართველოსთან მიმართებაში 5%-დან 2%-მდე. საქართველოს მთავრობამ ასევე განაცხადა, რომ პროგნოზირებული 5% ძნელად მისაღწევია იქნება და მოსალოდნელია მშპ-ის გაზრდა 2%-ის ფარგლებში, თუმცა აღსანიშნავია, რომ წლის პირველი კვარტლის შესრულება და მათ შორის გადასახადების გადაჭარბებით მიღების პირობებში პროგნოზების განახლებამდე მიზანშეწონილია გაგრძელდეს არსებული ვითარების ანალიზი და მიმდინარე მაჩვენებლების მონიტორინგი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის შემდეგი მისიისა და 2 კვარტლის შედეგების ანალიზით გამოიკვეთება რეალური სურათი, რომელის მიხედვითაც დაკორექტირდება ძირითადი ინდიკატორები წლის მეორე ნახევრისათვის.

IMF Outlook GDP Growth

	2015 (April 2015)	2015 (Octomber 2014)	2014 Projection	2014 Actual
CIS	**-2.6**	**1.6**	**0.8**	**1**
Russia	-3.8	0.5	0.2	0.6
Without Russia	**0.4**	**4**	**2**	**1.9**
Armenia	-1	3.5	3.2	3.4
Azerbaijan	0.6	4.3	4.5	2.8

Belarus	-2.3	1.5	0.9	1.6
Georgia*	2	5	5.0	4.7
Kazkhstan	2	4.7	4.6	4.3
Kyrgyz Republic	1.7	4.9	4.1	3.6
Moldova	-1	3.5	1.8	4.6
Tajikistan	3	6	6	6.7
Turkmenistan	9	11.5	10.1	10.3
Ukraine	-5.5	1	-6.5	-6.8
Uzbekistan	6.2	6.5	7	8.1

http://www.imf.org/external/ns/cs.aspx?id=29

კომენტარი: 2014 წელს, წინასწარი შეფასებით, მშპ-ს 4,8%-იანი ზრდა დაფიქსირდა (ნაცვლად პროგნოზირებული 5%-სა). ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა საქართველოს ძირითად სავაჭრო და საინვესტიციო პარტნიორ ქვეყნებში არსებულმა მდგომარეობამ, რაც გამოიხატა როგორც ამ ქვეყნებში ექსპორტის ზრდის, ასევე ფულადი გზავნილების შემოდინების შემცირებაში (რუსეთის ფედერაციიდან, რომელიც გზავნილების კუთხით უმნიშვნელოვანესი დონორი ქვეყნიდან შემცირებულია 11.5%-ით). ამასთან, თუ გავითვალისწინებთ რეგიონის და ჩვენს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში არსებულ მდგომარეობას, 4,8%-იანი ზრდითაც, საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით (აპრილი, 2015) საქართველო კვლავ წინ უსწრებს დსთ-ს რეგიონის ქვეყნებს, გარდა თურქმენეთისა (10,3%), უზბეკეთის (8,1%) და ტაჯიკეთის (6,7%).. საქართველოს 2014 წლის მშპ-ს ზრდის მჩვენებელი ასევე ყველაზე მაღალია ევროპის განვითარებადი ქვეყნების ჯგუფში შემავალი 12 ქვეყნის ზრდის მაჩვენებლებზე (მაგ: უნგრეთი (3,6%), პოლონეთი (3,3%), რუმინეთი (2,9%), ბულგარეთი (1,7%).

„2015 წლის თებერვლის მდგომარეობით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეროვნული ვალუტა აშშ დოლართან მიმართებაში 16 პროცენტით გაუფასურდა. ეროვნულმა ბანკმა ინფლაციური წნეხის თავიდან აცილების მიზნით, მოენტარული პოლიტიკის გამკაცრების გადაწყვეტილება მიიღო და რეფინანსირების განაკვეთი 4 პროცენტიდან 4,5 პროცენტამდე გაზარდა. ლარის კურსის რყევების შესამცირებლად, 2014 წლის ნოემბრიდან მოყოლებული 2015 წლის თებერვლის ჩათვლით, ეროვნულმა ბანკმა უცხოური ვალუტის რეზერვები 120 მლნ აშშ დოლარით შეამცირა;“

კომენტარი: განახლებული მონაცემებით: 2015 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეროვნული ვალუტა აშშ დოლართან მიმართებაში 28 პროცენტით გაუფასურდა, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 2.2 პროცენტით გამყარდა. ეროვნულმა ბანკმა ინფლაციური წნეხის თავიდან აცილების მიზნით, მონენტარული

პოლიტიკის გამკაცრების გადაწყვეტილება მიიღო და რეფინანსირების განაკვეთი 4 პროცენტიდან 4,5 პროცენტამდე გაზარდა. ლარის კურსის რყევების შესამცირებლად, 2014 წლის ნოემბრიდან მოყოლებული 2015 წლის მარტის ჩათვლით, ეროვნულმა ბანკმა უცხოური ვალუტის რეზერვები 155 მლნ აშშ დოლარით შეამცირა;

ამასთან მნიშვნელოვანია რეზერვები განხილული იქნეს არა აბსოლუტური მაჩვენებელის ჭრილში, არამედ რეზერვების იმპორტის ჯერადი. დღეისათვის საერთაშორისო რეზერვები საერთაშორისოდ აღიარებული მაჩვენებლის (3 თვის იმპორტის მოცულობა) მეტია.

„წინასწარი მონაცემებით, 2014 წელს საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 11 მილიარდ 457 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებლებზე 5 პროცენტით მეტია. 2-პროცენტიანი კლებაა ექსპორტის მაჩვენებელში, 2013 წელთან შედარებით (2 მილიარდ 861 მლნ აშშ დოლარი), ხოლო 7-პროცენტიანი მატება - იმპორტის მაჩვენებელში (8 მილიარდ 596 მლნ აშშ დოლარი). შედეგად, უარყოფითი სავაჭრო ბალანსი რეკორდულად მაღალია და 5,7 მილიარდ აშშ დოლარს აჭარბებს;“

კომენტარი: მონაცემებით: წინასწარი მონაცემებით, 2014 წელს საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 11 მილიარდ 457 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებლებზე 5 პროცენტით მეტია. 1.6-პროცენტიანი კლებაა ექსპორტის მაჩვენებელში, 2013 წელთან შედარებით (2 მილიარდ 861 მლნ აშშ დოლარი), ხოლო 7-პროცენტიანი მატება - იმპორტის მაჩვენებელში (8 მილიარდ 596 მლნ აშშ დოლარი). შედეგად, უარყოფითი სავაჭრო ბალანსი მაღალია და 5,7 მილიარდ აშშ დოლარს აჭარბებს;

ამასთან, საგარეო ვაწრობის კუთხით მნიშვნელოვანია მიმდინარე ანგარიშის მომსახურების ბალანსის მონაცემებიც. აღსანიშნავია, რომ მომსახურების ბალანსი არის დადებითი და 2014 წელს 1,341,041.4 აშშ დოლარს შეადგენს. მომსახურების ექსპორტი 1,85 პროცენტით არის გაზრდილი 2013 წლის მაჩვენებელთან შედარებით.

„2014 წელს, ფისკალური დეფიციტი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში აჭარბებდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდირებულ 3 პროცენტიან ნიშნულს და 3,7 პროცენტს გაუტოლდა;“

კომენტარი: განახლებული მონაცემებით: 2014 წელს, ფისკალური დეფიციტი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში აჭარბებდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდირებულ 3 პროცენტიან ნიშნულს და 3,7 პროცენტს გაუტოლდა;

საერთაშორისო სავალუტო ფონდს 2014 წლის ბიუჯეტთან მიმართებაში დეფიციტის 3%-ის ფარგლებში შენარჩუნების რეკომენდაცია არ ქონია და დეფიციტის საპროგნოზო მაჩვენელი შეთანხმებული იყო ფონდთან. 2014 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის ყველა პარამეტრი შეთანხმებული იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, მათ შორის დეფიციტის მაჩვენებელი 3.7%-ის ფარგლებში, 2014 წლის ფაქტიური შესრულების მიხედვით დეფიციტმა შეადგიან 2.9%, ამასთან მთავრობა მიზნად ისახავს მდგრადი ფისკალური პოლიტიკის ფარგლებში დეფიციტის დაბალ ნიშნულზე შენარჩუნებას და შედეგად 2014 წლის ფაქტიური მაჩვენებელი და 2015 წლის ბიუჯეტი გეგმა 3%-ის ფარლგებშია. ეკონომიკური ზრდის პროგნოზების შემცირების შემთხვევაში აღნიშნული გავლენას მოახდეს ფისკალურ პარამეტრებზე, თუმცა დეფიციტის განახლებული მაჩვენებელი განისაზღვრება აუცილებლად საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებით.

„2014 წლის იანვარ-ნოემბერში დაფიქსირდა რუსეთიდან შემოსული ფულადი გზავნილების 10-პროცენტიანი კლება: ჩაირიცხა 56 მილიონ 522 ათას აშშ დოლარზე ნაკლები. 2014 წელს უკრაინიდან გზავნილები, 2013 წელთან შედარებით, შემცირებულია 30 პროცენტით. გზავნილებთან დაკავშირებით განსაკუთრებული პრობლემები შეიქმნა ბოლო სამ თვეში, უფრო მეტად - დეკემბერში: ქვეყანაში შემოსულ ფულად გზავნილთა ნაკადების მოცულობამ 116.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 38.5 მლნ აშშ დოლარით, ანუ 24.9 პროცენტით, ნაკლებია 2013 წლის დეკემბრის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ქვეყნების მიხედვით, რუსეთიდან გზავნილების ნაკადი დეკემბერში შემცირებულია 43 პროცენტით, საბერძნეთიდან 11, ხოლო უკრაინიდან 67 პროცენტით;“

კომენტარი: განახლებული მონაცემებით: 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით დაფიქსირდა რუსეთიდან შემოსული ფულადი გზავნილების 11.5-პროცენტიანი კლება დაფიქსირდა, რაც 92 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. 2014 წელს, რუსეთიდან 709,2 მლნ აშშ დოლარი ჩაირიცხა. ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობა კლების ტენდენციით 2014 წლის აგვისტოდან ხასიათდება და ფაქტობრივად, კლების ტენდენცია წლის ბოლომდე გაგრძელდა. ფულადი გზავნილების მოცულობა, 2013 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, განსაკუთრებით შემცირდა ნოემბრის (16.2%-ით - $20,1 მლნ-ით) და დეკემბრის (24.9%-ით - $38,5 მლნ-ით) თვეებში.

„2014 წლის ექვსი თვის მონაცემებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების თვალსაზრისით, 2005 წლიდან მოყოლებული ყველაზე დაბალი მაჩვენებლი დაფიქსირდა - 415.8 მლნ აშშ დოლარი; მესამე კვარტალში მდგომაროება შეიცვალა და დაფიქსირდა ინვესტიციების ზრდა - შეოსულმა ინვესტიციებმა 507 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა."

<u>განახლებული მონაცემებით:</u> 2014 წელს, საქართველოში 1,272.5 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა, რაც 35,1 პროცენტით აღემატება 2013 წლის, ხოლო 39,6 პროცენტით - 2012 წლის ანალოგიურ მონაცემს. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ 2014 წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიცის წილმა მშპ-ში 7,7 პროცენტი შეადგინა, მაშინ, როდესაც 2013 და 2012 წლებში ეს მაჩვენებელი 5,8 პროცენტს შეადგენდა. 2014 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2008 წლის გლობალური ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

.

,,მიუხედავად დაწყებული რეფორმისა, საქართველოში არ არსებობს სრულყოფილი საშუალოვადიანი დანახარჯების ჩარჩო (MTEF). ამის ნაცვლად, ძირითადი მიმართულებებისა და მონაცემების დოკუმენტი (BDD) აღიქმება როგორც MTEF დოკუმენტი; "(გვ. 66)

კომენტარი: ხარჯების საშუალოვადიან დაგეგმვას საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი ითვალისწინებს, ამ მიზნით ყოველწლიურად მზადდება დოკუმენტი, რომელიც ფარავს მომავალი 4 წლის პერიოდს, დოკუმეტი შეიცავს MTEF-ის ტიპის დოკუმენტისთვის საჭირო მონაცემებს (დასტურდება PEFA-ს, OBS-ის შეფასებებით) და ამ დოკუმენტის კონკრეტული სახელი (ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი) არანაირ წინააღმდეგობას არ ქმნის მის შინაარსთან. დოკუმენტი არათუ აღიქმება, არამედ წარმოადგენს MTEF-ს საქართველოს საბიუჯეტო პროცესისათვის, დოკუმენტის შემდგომი გაუმჯობესება საჭიროა და აუცილებელია, თუმცა პარაგრაფის კონტექსტი, რომ MTEF არ გაგვაჩნია არასწორია

,,ამ ეტაპზე ქვეყანაში ორი სამთავრობო დოკუმენტია BDD (რომელთან ბიუჯეტის შესაბამისობასაც პირდაპირ ავალდებულებს საბიუჯეტო კოდექსი) და სამთავრობო სტრატეგია (საქართველო 2020). - ერთი მთავრობის ადმინისტრაციის ავტორობით, მეორე _ ფინანსთა სამინისტროს. BDD არ არის წლებში გაწერილი და უბრალოდ ზოგადი მიზნების და მიმართულებების ჩამონათვალია. პროგრამული ბიუჯეტირების ფორმატი ფორმალურ ხასიათს ატარებს". (გვ. 66)

კომენტარი: BDD დოკუმენტის მომზადება, ისევე როგორც წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტის მომზადების პროცესის კოორდინირებას ახდენს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, თუმცა ეს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის დოკუმენტს, რომელიც

მზადდება ყველა მხარჯავი დაწესებულების კოორდინირებული მუშაობით, ამასთან დოკუმენტში წარმოდგენილია ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების პროგნოზების და დაფინანსების საორიენტაციო ოდენობები საშუალოვადიანი პერიოდისათვის, კონკრეტული წლებისა და კონკრეტული პროგრამის მიხედვით.

,,ამასთან, 2014-2015 წლების ბიუჯეტები სოციალურად ორიენტირებულია, ჯანდაცვისა და სოციალურ მიმართულებებზე ბიუჯეტის დაახლოებით 30 პროცენტი იხარჯება, არაფინანსური აქტივების (კაპიტალური დანახარჯების) ზრდის მუხლით კი მთლიანი გადასახდელების 8 პროცენტია გამოყოფილი.[15] "(გვ.67)

კომენტარი: არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი ნამდვილად 8%-ია, თუმცა კაპიტალური ხასიათის პროექტებისათვის ასიგნებები ასევე გათვალისწინებული კლაიფიკაციის სხვა მუხლებითაც (სხვა ხარჯები, ფინანსური აქტივების ზრდა) და რეალურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან კაპიტალური მიმართულების გაწეული ხარჯები აჭარბებს სახელმწიფო ბიუჯეტით გაწეული მთლიანი გადასახდელების 11%-ს

,,ვერ ხერხდება სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების პროექტების განხორციელება, რისი ძირითადი მიზეზიც დიდი რაოდენობით ჩაშლილი ტენდერებია. კერძოდ 2014 წლის ათი თვის მდგომარეობით, ინფრასტრუქტურაზე წლიური გეგმის მხოლოდ 65 პროცენტი იყო ათვისებული.[16] ადმინისტრირების და მართვის კუთხით არსებულ პრობლემებზე მიუთითებს საგარეო გრძელვადიანი კრედიტების მიღების გაჭიანურება" (გვ. 67)

კომენტარი: საგარეო წყაროებიდან დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებამ 2014 წლის ბოლოსთვის შეადგინა 91.39% (საკასო ხარჯი), ხოლო ჩამორიცხვებმა 94.8% (ე.წ. დისბარსირება).

,,2013 წელს, როგორც ცნობილია, ბიუჯეტი გაირღვა 632 მილიონი ლარით,[17] 2014 წელს კი, ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, ბიუჯეტის ხარჯვითმა ნაწილმა შეადგინა 8 მილიარდ 977 მილიონი ლარი, რაც გეგმის 9 080 მილიონის 98,9%-ს შეადგენს. თანხის აუთვისებლობა 2014 წელს შეადგენს 103 მლნ ლარს.[18]" (გვ. 67)

კომენტარი: გადასახდელების საკასო შესრულება 644,3 მლნ ლარით ნაკლები იყო დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებაში

---

[15] საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (www.mof.ge) საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ; საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლები

[16] სახელმწიფო ხაზინა. ოპერატიული მონაცემები. www.treasury.gov.ge

[17] http://www.parliament.ge/uploads/other/22/22270.pdf საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში

[18] http://www.mof.ge/news/print_news.aspx?news_id=6427 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

2014 წელს ბიუჯეტის ხარჯვითმა ნაწილმა შეადგინა 9 009.8 მლნ ლარი, რაც გეგმის 9 080.0 მლნ ლარის 99.2%-ს შეადგენს; თანხის აუთვისებლობა 2014 წელს შეადგენს 70,2 მლნ ლარს და შესრულების უპრეცენდენტო მაჩვენებელია..



,,ტენდენციად იქცა საბიუჯეტო სახსრების დიდი ნაწილის წლის ბოლო კვარტალსა და თვეებში დახარჯვა. გრანტების შემოდინების შეფერხებასთნ ერთად, ეს უარყოფითი გავლენას ახდენს ეროვნულ ვალუტაზე მისი გაუფასურების თვალსაზრისით. გარდა ეროვნული ვალუტის კურსის ვარდნისა, ეს აისახება ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვების შემცირებაზეც, 2014 წლის მხოლოდ ერთ დღეში ეროვნულმა ბანკმა ლარის კურსის დასაჭერად დახარჯა 45 მილიონი აშშ დოლარი.“

კომენტარი:მე-4 კვარტალში ხარჯვის მასშტაბები ყოველთვის მეტია წინა კვარტლებთან შედარებით, 2014 წლის მე-4 კვარტალში დაიხარჯა მთლიანი გადასახდელების 31% (2011 წელს მე-4 კვარტლის გადასახდელები 33%-ს აღწევდა). ბიუჯეტის მეტი თანაბარი ხარჯვის მიღწევა სასურველია, თუმცა მსგავსი სეზონურობა საქართველოს საბიუჯეტო პროცესისათვის უცხო არ არის, ამასთან ამას გავლენა არ ქონია ფულის მასაზე. რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ, რომ კომერციულმა ბანკებმა 2014 წლის 31 დეკემბერს დამატებით 100 მლნ ლარი ისესხეს ეროვნული ბანკისგან, რაც იმის დასტურია რომ მიმოქცევაში ჭარბი ლარი არ ყოფილა და პირიქით კომერციულ ბანკებს ქონდათ მოთხოვნა ლარზე. 2015 წლის იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტურ ხარჯვას ადგილი არ ქონია და ხაზინის ანგარიშებზე განხორციელებული ოპერაციებით ფულის მასა შემცირდა 190 მლნ ლარზე მეტით.



„მომავალ წელსაც დაგეგმილია მაღალი მოცულობის საგარეო ვალის აღება, ჯამში ვალდებულებების ზრდა გათვალისწინებულია 1, 330 მლნ ლარით, რაც მთლიანი საბიუჯეტო რესურსის 13 პროცენტია. თუმცა დაგეგმილია ფისკალური დეფიციტის შემცირება მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონის გეგმიურ მაჩვენებლებთან შედარებით, რათა ფისკალური დეფიციტი არ აღემატებოდეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დაწესებულ 3 პროცენტს.“

კომენტარი: 2015 წლის ბიუჯეტის კანონით ვალდებულებების ზრდა განსაზღვრულია 1,610 მილიონი ლარით, აქედან საგარეო ვალდებულებების ზრდის ნაწილში 1,010 მლნ ლარით

„ბიუჯეტის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია აქცენტი გაკეთდეს გრძელვადიან, ზრდაზე ორიენტირებულ საბიუჯეტო ინვესტიციებზე. მაგალითისთვის, ერთჯერადი საგადასახადო შეღავათების და მზარდი სოციალური ვალდებულებების ნაცვლად, სასურველია დაფინანსდეს ისეთი მიმართულებები როგორიცაა დამატებითი ინფრასტრუქტურული ხარჯები, პროფესიული განათლების დაფინანსების ზრდა. განათლება, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, გრძელვადიანი ინვესტიციაა ქვეყნის ეკონომიური განვითარებისთვის.“

კომენტარი: 2013-2014 წლებში ბიუჯეტით განისაზღვრა მნიშვნელოვანი სოციალური მიმართლების პროგრამები, მათ შორის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა,

რამაც გაზარდა სოციალური მიმართულებით რესურსების მიმართვის მაჩვენებელი, თუმცა ასევე მაღალი რჩებოა საინვესტიციო პროექტების წილი. 2015 და შემდგომ წლებში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება სწორედ გრძელვადიანი საინვესტიციო პროექტების მიმართულების რესურსების გადანაწილებაზე

,,საბიუჯეტო ხარჯების შედეგები მოწმობს, რომ ხარჯვის სტრუქტურა წლიდან წლამდე იცვლება და ბიუჯეტი პროცენტულად უფრო მეტად ხდება დატვირთული მიმდინარე ვალდებულებებით, რაც იფარება უმეტესად გაზრდილი ვალდებულებების და არა საგადასახადო შემოსავლების ზრდის ხარჯზე.“

კომენტარი: აღსანიშნავია რომ ბიუჯეტის საოპერაციო სალდო, როგორც წინა წლებში, ისე მიმდინარე წელს დადებითია და შესაბამისად დეფიციტური დაფინანსების წყაროები მიიმართება საინვესტიციო და კაპიტალური პროექტების დაფინანსებაზე და არ ხმარდება მიმდინარე ხარჯების დაფინანსებას.

,,ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ათვისება ნელი ტემპით მიმდინარეობს წლის განმავლობაში, რეკომენდირებულია საბიუჯეტო რესურსის ხარჯვა მაქსიმალურად თანაბრად გადანაწილდეს კვარტლებისა და თვეების მიხედვით, რათა დამატებითი დარტყმა არ მიადგეს ეროვნულ ვალუტას.“

კომენტარი: მე-4 კვარტალში გადასახდელების მაღალი წილი საქართველოს საბიუჯეტო პროცესს წინა წლებშიც ახასიათებდა, მნიშვნელოვანია ხარჯვის მეტი თანაბრობის მიღწევა, თუმცა ასევე გასათვალისწინებელია, რომ სხვადასხვა პროგრამების შინაარსიდან გამომდინარე, მათი განხორციელება დამოკიდებული ბევრ ფაქტორზე, ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კლიმატური პირობები, რაც იწვევს სამუშაოთა დიდი ნაწილის მიღება-ჩაბარებას მესამე-მეოთხე კვარტალში და შესაბამისად ზრდის გადასახდელების ათვისებაში წლის მეორე ნახევრის და განსაკუთრებით ბოლო კვარტლის წილს. უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის დეკემბერში ბიუჯეტში მიღებული შემოსულობები აჭარბებდა გაწეულ გადასახდელებს და ბიუჯეტით განხორციელებულ ოპერაციებს ფულის მასაზე და ლარის კურსზე გავლენა არ ქონია, ამას ასევე მოწმობს ის ფაქტი, რომ 2014 წლის 31 დეკემბერს კომერციულმა ბანკებმა დამატებით 100.0 მლნ ლარი ისესხეს ეროვნული ბანკისგან, რაც იმის ნიშანია, რომ ჭარბი ფულის მიმოქცევაში არ იყო

,,2012 წლის სექტემბრის მდგომარეობით საქართველოს საგარეო ვალი შეადგენდა 13,11 მილიარდ აშშ დოლარს“

კომენტარი: როგორც „განხორციელებულ ცვლილებების“ ნაწილშია მითითებული ეს არის „საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი, რომელიც მოიცავს სამთავრობო სექტორს, ეროვნულ ბანკს, კომერციულ ბანკებს, სხვა სექტორებს და კომპანიათაშორის ვალებს“.

„2013-2015 წლებში ნავარაუდევია 3 მილიარდ აშშ დოლარზე მეტის საგარეო ვალდებულებების მიღება.“

კომენტარი: 2013 წელს საგარეო ვალდებულების ზრდამ შეადგინა 588 მლნ ლარი, 2014-ში 997 მლნ ლარი, ხოლო 2015-ში დაგეგმილია 1,010 მლნ ლარი.

2014 წლის მდგომარეობით სახელმწიფო მოცულობა მშპ-თან მიმართებაში შეადგენს 35.5%-ს, მათ შორის საგარეო ვალი 26.8%-ს. აღსანიშნავია, რომ 2013-2014 წლებში ხდება ვალის მნიშვნელოვანი ნაწილის მომსახურებისა და დაფარვა და სახელმწიფო საგარეო ვალის მთლიანი მოცულობა 2015 წლის 31 მარტის მდგომარეობით აშშ დოლარში შემცირებულია 2012 წლის 31 დეკემბრის მაჩვენებლთან შედარებით (3 988.5 მლნ აშშ დოლარი - (31.03.2015), 4357.1 მლნ აშშ დოლარი - (31.12.2012))



„საგარეო ვალის 94 პროცენტი უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, რაც ზრდის სავალუტო რისკს და იმის საფრთხეს, რომ გაცვლითი კურსის ფონზე აღებული ვალდებულების წნეხი შესაძლოა გაიზარდოს“.

კომენტარი: ობიექტური სურათისთვის უმჯობესია საუბარი იყოს მთლიან სახელმწიფო ვალზე, რომლის სტრუქტურაში ადგილობრივი ვალუტით აღებული ვალი თანმიმდევრულად იზრდება. რაც შეეხება ქვეყნის საგარეო ვალს (აქ კერძო სექტორის ვალიც შედის), იგი თავისი ბუნებიდან გამომდინარე ყოველთვიოს მეტწილად უცხოური ვალუტაში იქნება დენომინირებული.

„2012 წლის სექტემბრის მდგომარეობით საქართველოს საგარე სავაჭრო ბრუნვა შეადგენდა 10 მილიარდ 425 მილიონ აშშ დოლარს, საიდანაც ექსპორტი იყო 2 მილიარდ 375 მილიონი აშშ დოლარის; იმპორტი კი _დაახლოებით 8 მილიარდ აშშ დოლარის;"

კომენტარი: 2012 წელს (და არა სექტემბრის მდგომარეობით), საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 10 მილიარდ 425 მილიონ აშშ დოლარი შეადგინა, საიდანაც ექსპორტი იყო 2 მილიარდ 375 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო იმპორტი 8 მილიარდ 49 მილიონი აშშ დოლარი.

„საქართველოს ბიზნესმენებს საკმაოდ მცირე მოცულობით აქვთ ათვისებული DCFTA-ის შესაძლებლობები; აუცილებელია საზოგადოების და ბიზნეს წრეების ინფორმატიულობის დონის გაზრდა ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების და სამომავლო შესაძლებლობების მიმართულებით;"

კომენტარი: სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნესის ინფორმირების მიზნით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ტარდება **აქტიური საინფორმაციო კამპანია,** როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. შეხვედრები იმართება სამოქალაქო და კერძო სექტორის, ასევე აკადემიური წრეებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებთან. მომზადებულია სპეციალური საინფორმაციო ბუკლეტები DCFTA-ის შესახებ, რომლებიც ვრცელდება ამ შეხვედრების ფარგლებში.

გარდა ამისა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზე ინტეგრირებულია სპეციალური ვებპორტალი (იხ. ბმული http://economy.ge/ge/dcfta), რომელზეც განთავსებულია შეთანხმებასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია. დაინტერესებულ პირებს ვებპორტალის მეშვეობით შეუძლიათ გაეცნონ შეთანხმების ტექსტს

ქართულ და ინგლისურ ენებზე. პორტალზე ასევე განთავსებულია DCFTA-ის თითოეული თავის მოკლე მიმოხილვა, განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმები. ამავე პორტალის მეშვეობით ასევე ხელმისაწვდომია DCFTA-ის 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმა, სადაც დეტალურადაა გაწერილი შეთანხმების განხორციელების მიზნით მომავალი სამი წლის მანძილზე დაგეგმილი ღონისძიებები.

„ხელისუფლებამ უნდა შექმნას პროგრამები, რომლებიც მიზნად დაისახავს ადგილობრივი მწარმოებლების დახმარებას ევროკავშირის შესაბამისი რეგულაციებისა და სტანდარტიზაციის პროცედურების დაკმაყოფილებაში. იქნება ეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, კონსულტაციების ჩატარება, ფერმერების სახლებისა და ტრენინგცენტრების როლის ზრდა და ა.შ“

კომენტარი: ევროკავშირთან თანამშრომლობის შედეგად ხელი მოეწერა ევროკავშირის დახმარების პროგრამას, რომლის მთავარი მიზანია, დაეხმაროს საქართველოს მთავრობას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელებაში და ევროკავშირის ბაზარზე ინტეგრაციაში. პროგრამის მიხედვით, ყურადღება დაეთმობა კერძო სექტორის განვითარებას და მცირე და საშუალო ბიზნესის შესაძლებლობების გაძლიერებას ახალ მარეგულირებელ გარემოსთან ადაპტაციის პროცესში.

ევროკავშირის მიერ განხორციელებული დახმარების პროცესში სხვა ორგანიზაციებთან ერთად (EBRD, GIZ) ჩართული იქნება მეწარმეობის განვითარების სააგენტო, რომელიც მეწარმეებს საკონსულტაციო მომსახურებას გაუწევს DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაციის პროცესში. გარდა ამისა, ამ ეტაპზე მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ ევროკავშირის პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს გარკვეული პროდუქტების შემუშავება, რომლებსაც სააგენტო მომავალში მეწარმეებს შესთავაზებს.

„კოორდინაციის გასაუმჯობესებლად, სამთავრობო სტრუქტურაში უნდა გამოიყოს ერთი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებების კომუნიკაციაზე;“

კომენტარი: ასეთი ორგანო უკვე არსებობს - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო არის პასუხისმგებელი DCFTA-ის განხორციელების კოორდინაციაზე და შესაბამის კომუნიკაციაზე. გარდა ამისა, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის ფარგლებში შექმნილია უწყებათაშორისი ქვეკომისია მინისტრის მოადგილეებისა და უწყებათა ხელმძღვანელობის დონეზე, რომელიც პასუხისმგებელია DCFTA განხორციელების მონიტორინგზე.

„აუცილებელია ბაზრების შემდგომი დივერსიფიცირებისთვის ზრუნვა, რადგან რუსეთის ბაზარზე მზარდი დამოკიდებულება, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მყიფე და პოლიტიკურად სენსიტიური ბაზარია, შესაძლოა, ერთის მხრივ - პოლიტიკურ ბერკეტად იქნას გამოყენებული ქვეყნის მიმართ; მეორეს მხრივ კი - გადაჭარბებული დამოკიდებულების შემთხვევაში, პოლიტიკური პრობლემების არარსებობის დროსაც კი, საქართველოს ეკონომიკაზე პირდაპირ აისახება ის რისკები, რომელსაც დღეს მაგალითად რუსულ რუბლის ვარდნა ქმნის რუსული ეკონომიკისთვის; ამიტომ მნიშვნელოვანია ხელისუფლებამ გააძლიეროს ღინისძიებები ახალი საექსპორტო ბაზრების, მათ შორის ჩინეთისა და უახლოესი აზიური ქვეყნების ბაზრების ასათვისებლად;“

კომენტარი: მთავრობა აქტიურად მუშაობს საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირების საკითხებზე. DCFTA-ის ამოქმედების შემდეგ ამ მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან (EFTA) მოლაპარაკებების დაწყება თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების თაობაზე. მოლაპარაკებების პირველი რაუნდი გაიმართება 2015 წლის სექტემბერში. ასევე, ჩინეთის მხარესთან ერთად ვიწყებთ ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევას.

„ხელისუფლებამ უნდა შექმნას პროგრამები, რომლებიც მიზნად დაისახავს ადგილობრივი მწარმოებლების დახმარებას ევროკავშირის შესაბამისი რეგულაციებისა და სტანდარტიზაციის პროცედურების დაკმაყოფილებაში. იქნება ეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, კონსულტაციების ჩატარება, ფერმერების სახლებისა და ტრენინგცენტრების როლის ზრდა და ა.შ.“

კომენტრი: ამ კუთხით უკვე დაწყებულია მუშაობა. მეწარმეობის განვითრების სააგენტოს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარაოადგენს ბიზნესის DCFTA-ს მოთხოვნებთან ადაპტაპტაციის ხელშეწყობა, რომელიც განხორციელდებასხვადასხვა ფუნანსური და არაფინანსური ინსტრუმენტების საშუალებით.

სოფლის მეურნეობა

„მოხდეს სადღეისოდ არსებული ყველა ტიპის დოკუმენტაციის (როგორც ნაბეჭდი ფორმით, ასევე ელექტრონულად) ინვენტარიზაცია, რათა ნათელი წარმოდგენა მაინც შეიქმნას იმის შესახებ, თუ სად რა სტადიაზეა მიწის რეფორმა დღეს, რა დინამიკაა ამ მიმართულებით და დაახლოებით რას შეიძლება შეადგენდეს შესასრულებელი სამუშაოს მასშტაბი. მოწესრიგდეს საჯარო რეესტრის ცენტრალურ აპარატსა და ადგილობრივ განყოფილებებში შენახულ ინფორმაციებს შორის არსებული განსხვავებანი, თუ ეს არსებობს.“

კომენტარი: შეიძლება ითქვას, რომ TI-ს მიერ ზემოთ მითითებული პრობლემის მოწესრიგება უკვე დაწყებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და მნიშვნელოვანი სამუშაოც არის განხორციელებული.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 2013 წლიდან ახორციელებლს რეგისტრირებულ მონაცემთა დამუშავებასა და ელექტონულ ფორმატში გადატანას. ელექტრონულ ფორმატში გადატანის პროცესი სხვადასხვა ეტაპს მოიცავს. ეს ეტაპებია: ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურებში დაცული სარეგისტრაციო მასალის აღწერა; დოკუმენტაციის სათავო ოფისში ტრანსპორტირება; თითოეული სარეგისტრაციო ჩანაწერის, მასთან დაკავშირებით დაცული სარეგისტრაციო დოკუმენტაციის განხილვა და შესაბამისი ანალიზის საფუძველზე რეგისტრირებული უფლებების უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ერთიან ელექტრონულ პროგრამაში ასახვა/არქივირება; სარეგისტრაციო მასალის სკანირება; ელექტრონული არქივირებისა და სკანირების პროცესის დროს დოკუმენტაციაში დაცული საკადასტრო აზომვითი ნახაზების მოძიება;

სარეგისტრაციო პრაქტიკის უნიფიცირებისა და სააგენტოს ცენტრალიზაციის პროცესის დაწყების მიზნით, უკვე მზად არის სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დაბულების პროექტი. ახალი დებულების ძალაში შესვლით ნაცვლად 64 სარეგისტრაციო სამსახურისა, შეიქმნება 8 რეგიონული სამსახური რეგისტრაციის უფლებამოსილებით. ამ გზით სარეგისტრაციო პრაქტიკის ერთგვაროვნება მეტად იქნება უზრუნველყოფილი.

სააგენტოს ყოველდღიური საქმიანობაა სარეგისტრაციო სამსახურებისათვის ერთგვაროვანი მითითებების მიცემა შიდა ელექტრონულ წიგნ EUNOMIA- ზე მითითებების განთავსების გზით.

არაერთგვაროვანი პრაქტიკის პრობლემა აღმოფხვრილია. გიგზავნით შესრულებული სამუშაოს შესახებ ინფორმაციას:

<u>არქივებისა და არსებული დოკუმენტაციის აღწერა:</u>

2013 წ. - დასრულდა ტერიტორიული სამსახურებიდან სათავო ოფისში ტექნიკური აღრიცხვის არქივის ქაღალდის დოკუმენტების ტრანსპორტირება;

2013 წ. - დასრულდა აღწერა, დოკუმენტების ელექტრონულ რეესტრში მონაცემების შეტანა;

2014 წ. - **მიმდინარეობს** ქაღალდის დოკუმენტების დიგიტალიზება (44.2% დასრულებულია. სულ 21 157 არასტანდარტული ბაინდერია დიგიტალიზებულია 9 359 ბაინდერი)...

პროექტის დასრულების ვადა 2017 წელი.

2014 წ. - **მიმდინარეობს** ტერიტორიული სამსახურებიდან სათავო ოფისსა და ქუთაისის ტერიტორიულ სამსახურში ქაღალდის დოკუმენტების ტრანსპორტირება

2014 წ. - **მიმდინარეობს** აღწერა, დოკუმენტების ელექტრონულ რეესტრში მონაცემების შეტანა.

სულ 175 747 ბაინდერია, ტრანსპორტირებული და დოკუმენტების ელექტრონულ რეესტრში აღწერილია 100 375 ბაინდერი.

პროექტის დასრულების ვადა 2017 წელი.

<u>ქვემოთ მითითებული რაიონებში არსებული, ქაღალდის მატარებელზე დატანილი დოკუმენტაცია და მონაცემები სრულად არის დამუშავებული და გადატანილი ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში.</u>

ქობულეთი	ქუთაისი
გარდაბანი	წალენჯიხა
თეთრიწყარო	მესტია
გორი	ქედა
რუსთავი	ხულო
მცხეთა	შუახევი
თიანეთი	ყაზბეგი

ნაწილობრივ დაარქივებული რაიონები

ბოლნისი	ვანი	ცაგერი
დუშეთი	საჩხერე	წყალტუბო
ჭიათურა	ამბროლაური	ხონი
ტყიბული	ლენტეხი	ხარაგაული
ბაღდათი	ონი	ხობი
ჩხოროწყუ	სენაკი	

,,2012 წლიდან 2014 წლამდე სოფლის მეურნეობის წილი საქართველოს მშპ-ში 8,6 პროცენტიდან 9,4 პროცენტამდე გაიზარდა, ანუ, სულ, 0,8 პროცენტით. არსებული დანახარჯების პირობებში ასეთ ზრდა დამახარჯების ნაკლებეფექტიანობაზე მეტყველებს; ეს მეტყველებს იმაზეც, რომ არსებული პოლიტიკა, ნაწილობრივ მაინც, გადახედვას საჭიროებს"

კომენტარი: სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში 9.4%-ია, მაგრამ ეს არის მხოლოდ პირველადი წარმოების მაჩვენებელი. ყოველგვარი დამატებული ღირებულება რაც იქმნება აგრობიზნესში გადანაწილებულია სხვადასხვა სექტორებში, მაგალითად კვების მრეწველობის წილი მშპ-ში 2014 წლის 3 კვარტლის წინასწარი მონაცემებით 7,3%-ია, ეს მაჩვენებელი 2012 წელს შეადგენდა 6%-ს. მსგავსი მსჯელობა მცდარი მიდგომაა, რადგან აგროსექტორის განვითარებასთან ერთად პირველადი წარმოების წილი მშპ-ში შესაძლებელია შემცირდეს კიდეც, რადგან მათი გადანაწილება მოხდება აგრობიზნესში მონაწილე სხვადასხვა სექტორებს შორის. მთავარია გაიზარდოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება. ამასთანავე დახარჯული თანხების ეფექტიანობა გრძელვადიან პერსპექტივაზე არის გათვლილი, დარგის თავისებურებებიდან გამომდინარე.

აქვე აღსანიშნავია, რომ 2014 წლის საქსტატის მონაცემების მიხედვით, **აგრობიზნესში გამოშვებული პროდუქციის ღირებულება** 7.9 მლრდ ლარს შეადგენს. 2013 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი გაზრდილია 10 %-ით, ხოლო 2012 წელთან შედარებით - 20.9 %-ით. აგრობიზნესის მთლიანი გამოშვებიდან, **პირველადი სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვების ღირებულება** შეადგენს 3.4 მლრდ ლარს და გაზრდილია 5.2 %-ით წინა წელთან შედარებით, ხოლო 2012 წელთან შედარებით 20.3 %-იანი ზრდა ფიქსირდება. **გადამუშავებული აგროსასურსათო პროდუქციის მთლიანი გამოშვების ღირებულება** შეადგენს 4.5 მლრდ ლარს და გაზრდილია 13.8 %-ით წინა წელთან, ხოლო 21.4 %-ით - 2012 წელთან შედარებით. რაც შეეხება **აგრობიზნესში შექმნილ დამატებით ღირებულებას,** 2014 წლის საქსტატის მონაცემების მიხედვით, 4.1 მლრდ ლარს შეადგენს. 2013 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი გაზრდილია 9.7 %-ით, ხოლო 2012 წელთან შედარებით - 26.4 %-ით.

2012 წელს ხელისუფლებამ რადიკალურად შეცვალა დამოკიდებულება სოფლის მეურნეობის

განვითარებისადმი. საქართველოში სოფლის მეურნეობა გამოცხადდა პრიორიტეტულ დარგად, რამდენიმეჯერ გაიზარდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სამელიორაციო სამუშაოებს, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენასა და მის გამოყენებას, მცირემიწიანი ფერმერების დახმარების პროგრამის განხორციელებას, პირუტყვის დაავადებებთან ბრძოლის პრევენციული ღონისძიებების ჩატარებას,
თანხების გამოყოფას ისეთი ლაბორატორიების შესაძენად, რომელთა ტექნიკური აღჭურვილობაც საერთაშორისო აკრედიტაციის გავლის საშუალებას იძლევა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საერთაშორისო ბაზრების დივერსიფიკაციას.

2013-2014 წლების განმავლობაში მთავრობის ძალისხმევისა და კერძო სექტორის,ასევე, დონორი ორგანიზაციების აქტიური თანამშრომლობის შედეგად,შეინიშნება პოზიტიური ტენდენციები წარმოების ზრდის,საექსპორტო ბაზრების გაფართოებისა და სოფლის მეურნეობის სექტორში ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით. გარდა ამისა, მიმდინარეობს მთელი რიგი ინსტიტუციური რეფორმები, რომლებიც გრძელვადიან პერიოდში, დადებით გავლენას მოახდენენ სექტორის მდგრად განვითარებაზე. განხორციელდა არაერთი მასშტაბური პროექტი, რომლის შედეგადაც, ჩვენმა მეწარმეებმა, ფერმერებმა, გლეხებმა მიიღეს დახმარება როგორც ფინანსური და ტექნიკური, ასევე თანამედროვე განათლების მიღების მიმართულებით. სწორი სახელმწიფო პოლიტიკით, ჩვენი მეწარმეები, ფერმერები, გლეხები შეძლებენ უპასუხონ ახალ ეკონომიკურ გამოწვევებს, რომლის წინაშეც ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდეგ დადგა ჩვენი ქვეყანა, შეძლებენ აწარმოონ ევროპული სტანდარტის, ეკოლოგიურად სუფთა, კონკურენტუნარიანი პროდუქცია და საერთაშორისო ბაზრებზე დაიმკვიდრონ ღირსეული ადგილი.

მთავრობის მიზანია, მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით, შექმნას ისეთი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს მაღალხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, სურსათის უვნებლობის და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას და სოფლად სიღარიბის დაძლევას

,,გამოკვეთილია პროგრამების გამჭვირვალობის აშკარა ზრდის ტენდენცია თანაც პროგრამების რაოდენობრივი დაფინანსების აშკარა ზრდის ფონზე. პროგრამები აღარ ატარებს სპორადულ ხაიათს, თუმცა ცალკეული მათგანის, მაგალითად მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამის რელევანტურობა დიდად სადავოა. ეს განსაკუთრებით ნათელია, თუკი შეფასებას არა მხოლოდ წარსულ პროგრამებთან შედარების კონტექსტში გავაკეთებთ.“

კომენტარი: მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამა მთავრდება 2015 წელს. პროგრამის მიმდინარეობას ქონდა გარკვეული დადებითი შედეგები, რაც აისახა დამუშავებული მიწის ფართობების ზრდაში. საქსტატის მონაცემებით, 2012 წელთან

შედარებით 2014 წელს ნათესი მიწის ფართობები გაიზარდა - 24%-ით. პროგრამას ასევე ქონდა გარკვეული სოციალური დადებითი შედეგი.
გარდა ამისა უნდააღინიშნოს ისიც, რომ იმ დოზით რა დოზითაც სახელმწიფო ეხმარება მცირე ფერმერებს, ბაზარზე კონკურენციის დამახინჯებას ვერ გამოიწვევს.

„შეღავათიანი სესხების პროგრამა, მიუხედავად იმისა, რომ მის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა სექტორში მიმართული სახსრების მოცულობა, შესაძლოა, სერიოზულ პრობლემას წააწყდეს მდგრადობის კუთხით, მით უმეტეს მაშინ როცა შესაბამისი დაფინანსების წყაროები აღარ იარსებებს.“

კომენტარი: იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა ახალი საწარმოების გახსნის და არსებულის გაფართოების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია. სწორედ ამ მიზანს ემსახურება აღნიშნული პროგრამა, რომელიც საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობს. გარდა ამისა პროგრამის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს საბანკო სექტორსა და აგრობიზნესის წარმომადგენლებს შორის ურთიერთანამშრომლობის გაფართოება და ნდობის გამყარება, რაცას პერსპექტივაში კერძო სექტორი მთლიანად ჩაანაცვლებს და სახელმწიფო დროთა განმავლობაში აღარ განახორციელებს მსგავს ინტერვენციას.
მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამის“ მიზანია პირველადი წარმოების აგროტექნოლოგიური ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობით მცირემიწიანი ფერმერების საქმიანობის სტიმულირება მდგრად და განვითარებად ფერმერულ მეურნეობებად ჩამოსაყალიბებად.
პროგრამის მიმდინარეობას ქონდა დადებითი შედეგები, რაც აისახა დამუშავებული მიწის ფართობების ზრდაში. საქსტატის მონაცემებით, 2012 წელთან შედარებით 2014 წელს ნათესი მიწის ფართობები გაიზარდა - 24%-ით. პროგრამის განხორციელების შედეგად, მოიხნა მიწის ისეთი ფართობები, რომლებიც წლების განმავლობაში მიტოვებული და დაუმუშავებელი იყო.

სასოფლო-სამეურნეო საქონლის სახით სარგებლის მიღების შესაძლებლობამ სტიმული მისცა აგრარული საცალო ქსელების განვითარებას, როგორც გეოგრაფიული, ასევე რაოდენობრივი თვალსაზრისით. კერძოდ, მიწათმოსარგებლეებს საშუალება ჰქონდათ უშუალოდ სოფლებში შეესყიდათ სასოფლო-სამეურნეო საქონელი და არა რაიონულ ცენტრებში, რამაც შეამცირა მათი ხარჯები.
გაიზარდა ინტერესი თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებზე, კერძოდ ტექნიკის გამოყენებაზე, მაღალინტენსიურ სათესლე მასალაზე, ხარისხიან პესტიციდებსა და აგროქიმიკატებზე.

გარდა ამისა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იმ დოზით რა დოზითაც სახელმწიფო ეხმარება მცირე ფერმერებს, ბაზარზე კონკურენციის დამახინჯებას ვერ გამოიწვევს, რადგან დახმარება გამიზნულია მცირე ფერმერებისათვის, რომლებსაც ყველაზე მეტად ესაჭიროებათ მხარდაჭერა.

პროექტის განხორციელების შედეგად, ფერმერებმა დაინახეს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების სარგებელი და შესაძლებელია ითქვას, რომ ის ძირითადი მიზანი, რასაც აღნიშნული პროგრამა ისახავდა, კერძოდ მათი სტიმულირება და ჩართვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში - მიღწეულია.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების სტიმულირებისთვის სხვადასხვა პროექტები წარმატებით მიმდინარეობს, მათგან აღსანიშნავია: „შეღავათიანი აგროკრედიტი“, „გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება“, „აწარმოე საქართველოში“, “აგრო დაზღვევა“ და სხვა.

ფერმერებს და სოფლის მეურნეობაში ჩართულ მეწარმეებს საშუალება აქვთ იაფი, გრძელვადიანი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გზით, გააუმჯობესონ სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა- რეალიზაციის საწარმოო პროცესები. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში აშენდა ახალი და გადაიარაღდა არსებული საწარმოები, შეიქმნა ახალი სამუშაო ადგილები და დაიწყო ადგილობრივი პროდუქციის გადამუშავება.

პროექტებში ჩართული მეწარმეები უკვე ახდენენ საკუთარი პროდუქციის რეალიზაციას. შიდა ბაზრის გარდა, ნაწარმი გადის ექსპორტზეც, როგორც მეზობელ ქვეყნებში, ასევე ევროპაში.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებულ გრძელვადიან პროექტებს 2015 წელს ახალი პროგრამა „დანერგე მომავალი“ დაემატა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტურ გამოყენებას მრავალწლიანი კულტურების გაშენების გზით.

14. ღია მმართველობა

“2013 წლის ოქტომბრიდან სრულყოფილი პასუხების მოწოდების პროცენტული მაჩვენებელი კვლავ შემცირდა და შეადგინა 71%. მაგ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ და ფინანსთა სამინისტრომ 2014 წელს არ მოგვაწოდეს ის ინფორმაცია, რაც დეტალურად იქნა გასაჯაროებული მათ მიერვე პოლიტიკური ცვლილებების საწყის ეტაპზე, 2013 წლის დასაწყისში.”

კომენტარი: განახლდა სამინისტროს ვებგვერდი www.police.ge. მოქალაქეს მისი მეშვეობით შეუძლია მიიღოს ინფორმაცია სამსახურებისა და დეპარტამენტების შესახებ. გაეცნოს მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებსა და ღონისძიებებს.

სამინისტროში შემოსული განცხადება რეაგირების გარეშე არ რჩება. აღსანიშნავია, რომ 2014 წელს შემოსული განცხადებების 93,2 პროცენტი დაკმაყოფილდა სრულად, 0,6% - ნაწილობრივ, არ დაკმაყოფილდა მხოლოდ 5,6 %. ინფორმაციის გაცემაზე უარი

ეყრდნობოდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გამონაკლისებს საჯარო ინფორმაციის სფეროდან, მათ შორის, მესამე პირთა პერსონალური მონაცემების დაცვას.

2014 წლის აპრილში მომზადდა საჯარო ინფორმაციის ახალი ვებ-გვერდი, რომელიც შეიქმნა ცალკე დომეინზე. ვებ-გვერდი მორგებულია მთავრობის N219 დადგენილების პუნქტებს და შესაბამისად გაიწერილია მენიუებიდან ნავიგაციის პანელები. საჯარო ინფორმაცია პროაქტიულად ქვეყნდება შესაბამის ელექტრონულ რესურსზე. დაინერგა და აქტიურად მუშაობს ინფორმაციის ელექტრონულად გამოთხოვისა და მიწოდების სისტემაც.

შს მინისტრის 2014 წლის 16 ივნისის ბრძანების საფუძველზე სამინისტროს ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფში, ტერიტორიულ ორგანოში, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში განისაზღვრა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები.

შსს-ს სისტემატურად მართავს მედიაბრიფინგებს მასობრივი ინფორმაციის გავრცელების საშუალებების წარმომადგენლებისთვის და ახორციელებს პროაქტიულ კომუნიკაციას.
2013 წლის 15 აგვისტოს მთავრობის დადგენილებით, შეიქმნა უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისია, რომლის შემადგენლობაში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებიც იყვნენ ჩართული.

შსს-ს ინიციატივით არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ექსპერტები ასევე ჩართული იყვნენ მთელი რიგი კანონპროექტების შემუშავების პროცესში;

2014 წელს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ შორის ხელმოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომლის ფარგლებში განხორციელდა პროექტი „პოლიციის დაკავების დროს ეჭვმიტანილის საპროცესო უფლებები საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში: ემპირიული კვლევა და საუკეთესო პრაქტიკის ხელშეწყობა“ აღიშნულის შედეგად მოხდა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პრაქტიკოსების ყოველდღიურ საქმიანობაზე პირდაპირი დაკვირვება. ასევე, პრაქტიკული საკითხების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღების მიზნით ჩატარდა პოლიციელთა, ადვოკატთა და დაკავებულების მიზნობრივი ინტერვიუები.

ტრანსპარანტული გახდა დროებითი მოთავსების იზოლატორების (დმი) საქმიანობა. 2014 წლის მონაცემებით, მონიტორინგის მიზნით, დმი-ებში სახალხო დამცველის წარმომადგენლებისა და უცხოელი უფლებადამცველების მიერ 120-ზე მეტი ვიზიტი

განხორციელდა (2012 წლის ნოემბრიდან 2013 წლის ოქტომბრამდე 90-ზე მეტი, 2013 წლის ნოემბრიდან დღემდე 30-ზე მეტი ვიზიტი).

2015 წელს შსს-ს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებასა და ტრანსაპარანტულობას განსაკუთრებულად ხაზს უსვამს ისეთი დეპარტამენტების დებულებების გასაჯაროვება როგორიცაა: გენერალური ინსპექცია, ცენტრალური კრიმინალური პოლიცია, ანტი-კორუფციული სააგენტო;

„მნიშვნელოვანია აგრეთვე, ის გარემოებაც, რომ საქართველოს მთავრობა აქტიურად აგრძელებს მუშაობას ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) საერთაშორისო ინიციატივაში. ამა წლის სექტემბერში, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ღია მმართველობა საქართველოს რიგით მეორე, 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა, სადაც ასახულია მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების მიერ შეთავაზებული წინადადებები: პეტიციების ელექტრონული პლატფორმის შემუშავება, მიყურადების შესახებ სტატისტიკის პროაქტიული გამოქვეყნება, ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის მექანიზმის დანერგვა, ღია მონაცემების პორტალის ამოქმედება.“

კომენტარი: შეფასების ავტორები არაფერს ამბობენ იმ საერთაშორისო აღიარების თაობაზე, რომელიც საქართველომ ბოლო ხანებში მოიპოვა და რომელიც 2014 წლის აგვისტოში ღია მმართველობის პარტნიორობის წევრთა მიერ საქართველოს OGP-ის მმართველი კომიტეტის წევრად არჩევაში გამოიხატა.
გარდა ამისა, საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტზე მეტყველებს ისიც, რომ მიმდინარე წლის 3-4 ივნისს საქართველოში გაიმართება ღია მმართველობის პარტნიორობის რეგიონალური კონფერენცია.

მიწის პირველადი რეგისტრაციის საპილოტე პროექტის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია

თავი 3: „სოფლის მეურნეობა" „საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება“ მიწის პირველადი რეგისტრაციის საპილოტე პროექტის შესახებ ინფორმაციის განთავსება, მნიშვნელოვანი იქნება.

სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე მნიშნველოვანი საკითხი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პირველადი რეგისტრაციის

დასრულებაა. ამ მიზნით საქართველოში1999-2006 წლებში USAID-ს დაფინანსებით, ხოლო 2012 წელს საქართველოს მთავრობის დაფინანსებით განხორციელდა მიწის პირველადი რეგისტრაციის პროექტები, რომელთა შედეგი საკმაოდ მძიმეა და შეიძლება ითქვას, მხოლოდ ბუნდოვანებები წარმოშვა. დღეს საქართველო ამ პრობლემატიკის აღმოფხვრის წინაშე დგას.

საქართველოში მიწის ნაკვეთების მხოლოდ 20%-ია რეგისტრირებული. ყოველი რეგისტრირებული ნაკვეთი სამოქალაქო ბრუნვის პოტენციური ობიექტია, ამდენად მათი რეგისტრაცია სახელმწიფოს ერთ-ერთი გამოწვევაა.

მიწის ნაკვეთების პირველადი რეგისტრაციის დასრულების შედეგად სახელმწიფოს, ადგილობრივი თვითმმართველობისა და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საბოლოოდ განისაზღვრება, დადგინდება მათი ფართობები და ზუსტი საზღვრები. რეგისტრაციის დასრულება, მიწის სწორი მართვისა და ადმინისტრირების წინაპირობა იქნება.

მიწის პირველადი რეგისტარციების დასრულების, ხარვეზიანი რეგისტრაციების შესწორების და მათი საკადასტრო მონაცემების სრულყოფის მიზნით მსოფლიო ბანკის დაფინანსებით იწყება მიწის რეგისტრაციის საპილოტე პროექტი, რომელიც 11 საკრებულოს 12 სოფელში განხორციელდება.

საპილოტე პროექტის მიზანია სრულყოფილად გამოავლინოს მიწის რეგისტრაციის პროცესში არსებული პრობლემატიკა, რათა მისი დასრულების შემდგომ მთელი საქართველოს ტერიტორიაზე პროექტის განხორციელების ეტაპზე ყველა გამოვლენის პრობლემურ საკითხზე გადაჭრის საკანონმდებლო გზა არსებობდეს.

საპილოტე პროექტის მხარდაჭერის მიზნით USAID-ს დაფინანსებით TI-სთან მჭიდრო თანამშრომლობით მომზადდა კანონპროექტი, რომლის მიღების შემდგომ დაიწყება მიწის აგეგმვითი სამუშაოები.

პროექტის შედეგად საპილოტე რეგიონებში შეიქმნება უძრავი ქონების შესახებ სრულყოფილი უფლებრივი და საკადასტრო მონაცემები, რაც ხელს შეუწყობს უძრავი ქონების ბაზრის განვითარებას. პროექტი განაპირობებს მიწის ნაკვეთებზე უფლებათა პირველადი რეგისტრაციის პროცესის დასრულებასა და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მცდარი ან ურთიერთშეუსაბამომონაცემების კანონმდებლობითდადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა ს, რაც თავის მხრივ ყველა რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის სამოქალაქო ბრუნვაუნარიანობას უზრუნველყოფს, ხოლო უტყუარი რეგისტრირებული მონაცემები მათ მიმართ ქართველ და უცხოელ ინვესტორთა სანდოობას აამაღლებს.

საპილოტე პროექტის მიმდინარეობის ვადაა 30 თვე.

15. მედია გარემო

„შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა გაიწვიოს ე.წ. „ოდეერები" კომუნიკაციების ეროვნული კომისიიდან და საზოგადოებრივი მაუწყებლიდან. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ხელყოფენ ამ ინსტიტუტების დამოუკიდებლობას, რაც საქართველოს კანონმდებლობითაა გარანტირებული."

კომენტარი: აღნიშნული ინსტიტუტის საკითხი განიხილება შსს რეფორმის ჭრილში. შესაძლებელია მისი ტრანსფორმაცია საერთაშორისო გამოცდილებისა და ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების გათვალისწინებით.

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ანგარიშში ის მიღწევები, რაც 2012 წლის შემდეგ ახალი ხელისუფლების პირობებში მედიის მიმართულებით განხორციელდა დაკნინებულია, ხოლო ის ვითარება, რაც 2012 წლის არჩევნებამდე მედიის თავისუფლების მხრივ ქვეყანაში არსებობდა, მნიშვნელოვნად შემსუბუქებული. მაგალითად, დოკუმენტში არ არის საუბარი იმ ტოტალურ კონტროლზე, რასაც ყოფილი ხელისუფლების მხრიდან ადგილი ჰქონდა მედიის, განსაკუთრებით კი საერთო მაუწყებლობის მქონე ტელევიზიების მიმართ, რისი არაერთი დადასტურებული ფაქტიც არსებობს. ამის ნაცვლად, დოკუმენტში ვკითხულობთ,რომ თურმე ჟურნალისტური საქმიანობის ხელის შეშლა "გვხვდებოდა" და "იყო მედიასაშუალებებზე

ზეწოლის შემთხვევები.” ასევე, ანგარიშში ნახსენებია, რომ მთავარ მედიასაშუალებებს წარსულში ფლოდბნენ ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები და ეს აისახებოდა მათ სარედაქციო დამოუკიდებლობაზე. ისმის კითხვა: შესაძლებელია თუ არა, რომ მათ სარედაქციო დამოუკიდებლობაზე კვლავაც აისახოს მათი მფლობელების პოლიტიკური ინტერესები, თუ ეს მფლობელები არ შეცვლილან და დღესაც ისინი “ნაციონალურ მოძრაობას” წარმოადგენენ. ამასთან აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში ნახსენები არ არის, რომ ქვეყნაში ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები კვლავაც ფლობენ მედიასაშუალებებს, მაშინ როდესაც 2012 წლის არჩევნების შემდეგ, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა სწორედ პოლიტიკური გავლენებისგან თავის არიდების მიზნით, დახურა მისი ოჯახის წევრის მფლობელობაში მყოფი ტელევიზია, მიუხედავად იმისა, რომ ამას მისგან მოქმედი კანონმდებლობა არ ითხოვდა.

ასევე, როდესაც საუბარია ახალი მთავრობის მიღწევებზე, არსად არის ნახსენები, რომ საერთაშორისო რეიტინგებში საქართველომ მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა პოზიციები. ამას ადასტურებს „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“, „ EAP East Media Freedom Watch “-ის, „ Freedom House“-ის კვლევები და 2014 წელს გამოქვეყნებულ მედიის თავისუფლების ინდექსი. ამასთან, მედიის თავისუფლების მხრივ საქართველო პირველ ადგილს იკავებს როგორც ევრაზიის რეგიონში, ასევე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის. ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციის "რეპორტიორები საზღვრებს გარეშე" დასკვნის მიხედვით, საქართველომ ბოლო 2 წლის განმავლობაში მაჩვენებელი 31 საფეხურით გაიუმჯობესა.

რაც შეეხება მთავრობის წევრების, მათ შორის ყოფილი პრემიერ მინისტრის მხრიდან მედიის ზოგიერთი მედიასაშუალების კრიტიკას, ვფიქრობთ, რომ გამოხატვის თავისუფლება ნებისმიერი ადამიანის უფლებაა, შესაბამისად ხელისუფლების ან ყოფილი ხელისუფლების წარმოამდგენლებსაც აქვთ უფლება დაეთანხმონ ან არ დაეთანხმონ რომელიმე მედიასაშუალების ან ჟურნალისტის პოზიციას. მათი გამონათქვამების შეფასებისას კი, მთავარი და არსებითი არის ის, მოჰყვა თუ არა მათ სიტყვებს ზეწოლა ან რომელიმე მედიასაშუალების სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევა. ასეთ ფაქტს კი, ადგილი არ ჰქონია. განსხვავებით წინა წლებისგან, დღეს ვერცერთი მედია საშულება ვერ იტყვის, რომ მათზე პრემეირ-მინისტრის ან ყოფილი პრემიერის მხრიდან ხორციელდება რაიმე სახის ზეწოლა. უფრო მეტიც, მთავრობის ადმინისტრაცია ერთ-ერთ პირველ ადგილზეა საჯაროობით და ინფორმაციის დროულად გაცემის კუთხით.

და ბოლოს, გაუგებარია ანგარიშში მოყვანილი პრეტენზიები, რომელიც ტელეკომპანია “მაესტროს” უკავშირდება. “მაესტრო” არის დამოუკიდებელი ტელევიზია და მისი მფლობელების ამა თუ იმ გადაწყვეტილებაზე ხელისუფლება პასუხს ვერ აგებს. დოკუმენტში არანაირი კონკრეტული ფაქტი მოყვანილი არ არის. ჟურნალისტთა კერძო საუბრები კი,

რომელსაც არანაირი დასაბუთება ან კონკრეტული ფაქტი არ ახლავს, სერიოზულად არ შეიძლება განიხილებოდეს.

16. ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში

პოზიოტიური ცვლილებები

ზოგადი კომენტარი: ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო უზრუნველყოფს სოციალური მუსაკების რაოდენობის გაზრდას და გადამზადებას, ივლისამდე გადამზადდება 67 სოციალური მუშაკი მიმდინარეობს მუშაობა შესაბამის კანონქვემდებარე აქტებში ცვლილებების მომზადება, რათა მსხვერპლი ოჯახში დაბრუნების შემდეგ უზრუნველყოფილი იყოს სოციალური დახმარებით.

3.5. ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგია

- „სტრატეგია არ ეფუძვნება წინა პერიოდის კვლევას;
- სტრატეგია მოიცავს მხოლოდ გრძელვადიან მიზნებს;
- პროექტი ატარებს უმეტესწილად ზოგად ხასიათს, მეტ ყურადღებას უთმობს ძალადობის გამომწვევ და მასთან ბრძოლის თეორიებს და ნაკლებად არის დამყარებული პრაქტიკულ გამოცდილებასა და ნაბიჯებზე, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ძალადობის თავიდან აცილება.
- სტრატეგია ეყრდნობა არასწორ შეხედულებებს ოჯახში ძალადობის მიზეზებთან დაკავშირებით;
- სტრატეგია არ ეფუძვნება მტკიცებულებებს;
- სტრატეგიის მიხედვით, სასკოლო ცხოვრებაში გათვალისწინებულია რელიგიური ორგანიზაციების ჩართულობა, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ ხედვას და ქმნის მოსწავლეთა ინდოქტრინაციის საშიშროებას სკოლებში.
- სტრატეგიაში არ არის გამოკვეთილი სასამართლოს როლი ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, მაგ. გენდერულად სენსიტიური მართლმსაჯულების განხორციელების კუთხით.“

კომენტარი: 1) სტრატეგია წარმოადგენს ძალადობის პრობლემის პრევენციის სახელმწიფო ხედვას როგორც მოკლევადიანი ისე გრძელვადიანი მექანიზმების დანერგვის მეშვეობით, რაც შესაბამისობაშია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან. სტრატეგია არ ეხება მხოლოდ ძალზე სპეციფიკურ ოჯახში ძალადობის პრობლემას, არამედ ძალადობის სხვა შემთხვევების

მიმართაც ითვალისწინებს საყოველთაოდ აღიარებული ეფექტიანი პრევენციული მექანიზმების დანერგვას. ზოგადად, სტრატეგიის არსს და მისი ცნების განუყოფელ ელემენტს წარმოადგენს სწორედ გრძელვადიანობა (კონკრეტული მიზნების მისაღწევად გრძელვადიანი მექანიზმების დანერგვა), ისე შესაბამისი პრინციპების განსაზღვრა. ამასთან, წამყვანი ევროპული ქვეყნების გამოცდილებაც (მაგ., გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, შვეიცარია, ავსტრია) ცალსახად მიუთითებს, რომ ძალადობისგან თავისუფალი ცხოვრების წესის უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული ღონისძიებების დაყრდნობით გრძელვადიან მექანიზმებზე. სტრატეგიის ტექსტი ცალსახად გამოკვეთს, რომ ეფექტიანი შედეგი დგება მხოლოდ რეაგირების ღონისძიებების გატარებით პრევენციულ მექანიზმებთან მჭიდრო კავშირში. პრობლემის სირთულისა და მასშტაბის გამო, მხოლოდ ერთჯერადად განხორციელებული ღონისძიებები (რომლებიც, რა თქმა უნდა, ასევე აუცილებელია) ვერ იძლევა გრძელვადიან შედეგს პრობლემის პრევენციის საქმეში. დოკუმენტი თავისი პრევენციული არსისა და მიზნიდან გამომდინარე, ეფუძნება პრევენციის ზოგად კონცეფციას, რომლის თანახმად საფრთხე უნდა დაიძლიოს მისი წარმოშობის წყაროსთანავე და მაქსიმალურად შემცირდეს საფრთხის რეალიზების ალბათობა. შესაბამისად, სტრატეგიაში წარმოდგენილია ტრადიციული პრევენციული მექანიზმები პრევენციის, როგორც პირველი (საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული აქტივობები), ისე მეორე (კონკრეტული რისკჯგუფების მიმართ) და მესამე (რეაბილიტაცია–რესოციალიზაცია) დონის ღონისძიებების სახით. აღნიშნულის გარეშე, დოკუმენტის სათაური და მასში მოაზრებული პრევენციის იდეა უბრალოდ დაკარგავდა არსს.

1) არ არის მართებული მოსაზრება, თითქოს სტრატეგია მხოლოდ გრძელვადიან აქტივობებს მოიცავს, ზოგადი ხასიათისაა და არ ითვალისწინებს კონკრეტულ ღონისძიებებს. პირიქით, სტრატეგია ცალსახად ითვალისწინებს სამართალდამცავთა მხრიდან რეაგირების ინსტრუმენტების ეფექტიანობის გაუმჯობესების კონკრეტულ აქტივობებს და გამოკვეთს სამართალდამცავთა მგრძნობელობის ამაღლების აუცილებლობას ოჯახში ძალადობის კუთხით. ამასთან, უფრო მეტი კონკრეტიკის მოთხოვნა ეწინააღმდეგება თავად სტრატეგიის არსს და მის მიზანს, ვინაიდან უფრო კონკრეტულად ღონისძიებებისა და პასუხისმგებელი უწყებების გაწერა წარმოადგენს არა სტრატეგიის, არამედ სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბების სფეროს, რომელმაც ბუნებრივია, უნდა გაითვალისწინოს კონკრეტული გაზომვადი და ხარისხობრივი ინდიკატორები. შესაბამისად, სტრატეგია სისტემაში აქცევს იმ ძირითად მიმართულებებს, რომელიც მიზნის მისაღწევად იქნება განსაზღვრული და ექვემდებარება შემდგომ დაკონკრეტებას სამოქმედო გეგმის მეშვეობით. მიზანშეწონილია, უშუალოდ სტრატეგიის რედაქციის რამდენიმე მონაკვეთის მოხმობა **ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებები სამართალდამცავი და სხვა სტრუქტურების საქმიანობის** ეფექტიანობის ასამაღლებლად:

- მნიშვნელოვანია პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის მექანიზმის დახვეწა და შესრულების მონიტორინგის დანერგვა. ამ მიზნით:
- მოსახლეობაში სამართალდამცავი სტრუქტურების საქმიანობისადმი ნდობის გასაღრმავებლად, საჭიროა გაგრძელდეს პოლიციელების კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. კურსის მოდული, სამართლებრივ საკითხებთან ერთად, ორიენტირებული უნდა იყოს გენდერული ნიშნით და ბავშვის მიმართ ჩადენილი ძალადობისა და დანაშაულებისადმი სამართალდამცავთა მიდგომის შეცვლაზე;
- იქიდან გამომდინარე, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო არის ორგანო, რომელიც პირველი ახდენს რეაგირებას ოჯახში ძალადობის ფაქტზე, გადამწყვეტია, პოლიციელს გააჩნდეს რისკების შეფასებისთვის საჭირო უნარები და ინსტრუმენტები. სასურველია საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა და შეფასების მეთოდების დანერგვა. ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, შესაძლებელია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნას სხვადასხვა თემის კულტურული, ეთნიკური, რელიგიური და სოციალური თავისებურებები. ამ გზით გაადვილდება ძალადობაში მონაწილე მხარეებთან კომუნიკაციის დამყარება და რეალობის დადგენა;
- ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე ადეკვატური რეაგირების მიზნით, სასურველია სამართალდამცავთათვის ამოქმედდეს სტანდარტული სამოქმედო პროცედურები (SOP), რომელიც სავალდებულო იქნება არა მარტო პოლიციელებისათვის, აგრეთვე პროკურატურის შესაბამისი თანამშრომლებისთვის. აღნიშნული დოკუმენტის არსებობა თავიდან აგვარიდებს ორი სხვადასხვა უწყების წარმომადგენლების არაერთგვაროვან მიდგომებს ოჯახში ძალადობის დანაშაულთან დაკავშირებით.
- პოლიციელთათვის დამატებით უნდა შემუშავდეს ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების სახელმძღვანელო ინსტრუქცია, რომელშიც გათვალისწინებული იქნება არა მხოლოდ ძალადობის შემთხვევებზე პოლიციელის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების ჩატარების ტექნიკა, აგრეთვე ინციდენტში მონაწილე ძალადობის მსხვერპლისა და მოძალადის იდენტიფიკაციის, ძალადობის ფორმების დადგენის და გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო ურთიერთშეთანხმებული მტკიცებულებების მოპოვების მეთოდიკა. ამასთან ერთად, აღნიშნულ ინსტრუქციაში უნდა აისახოს ის რეკომენდაციები, რომლებიც უკავშირდება შემაკავებელი ან დამცავი ორდერებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებაზე პოლიციელის მიერ ზედამხედველობის/მონიტორინგის განხორციელებას;

ოჯახში ძალადობის პრევენციის არსებული სამართლებრივი მექანიზმების ეფექტიანობის ასამაღლებლად, მიზანშეწონილია, გამარტივდეს შემაკავებელი ორდერის სასამართლოს მიერ დამტკიცების პროცედურა. არსებული ბიუროკრატიული პროცედურების არსებობა აფერხებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლისა და მოწმეების თანამშრომლობას სამართალდამცავებთან. საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად აღნიშნული პროცედურის

გამარტივების შემთხვევაში, გადაისინჯება პოლიციელის მიერ შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენების კანონიერების შემოწმების საკითხი და მნიშვნელოვნად გაძლიერდება შიდაუწყებრივი კონტროლი მათ გამოცემასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, აღნიშნული ღონისძიებით სასამართლო ხელისუფლებას გამოუთავისუფლდება მნიშვნელოვანი რესურსი;

ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მასზე ეფექტიანი რეაგირების მონიტორინგი ორიენტირებული უნდა იყოს სამართალდამცავთა კონკრეტული ქმედების შეფასებასა და არსებული ხარვეზების გამოსწორებაზე. აგრეთვე, მნიშნელოვანია დადგეს კონკრეტული სამართალდამცავის შესაბამისი პასუხისმგებლობის საკითხი, გატარებული ღონისძიების არაადეკვატურობის, დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების თუ სხვა სამართალდარღვევის შემთხვევაში.

ასევე, მსხვერპლთა დაცვისა და რეაბილიტაციის ღონისძიებები

მნიშვნელოვანია პასუხისმგებელი უწყებების მიერ კონტროლის გაძლიერება მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებების შემდგომი ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად. დიდი მნიშვნელობა ენიჭება შემაკავებელი და დამცავი ორდერების ყველა რელევანტურ შემთხვევაში გამოცემას, შემაკავებელი/დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოძალადისგან მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის დაცვის ზომების განხორციელების მონიტორინგის სისტემის ეფექტიანობას;

აუცილებელია სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა ერთობლივად გააძლიერონ მიზანმიმართული პოლიტიკა მსხვერპლის მხარდასაჭერად. ამის მიღწევა შესაძლებელია მათთვის ძალადობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი საგანმანათლებლო კურსების, ასევე, შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი კონკურენტულიპროფესიების შესწავლის ორგანიზებით. ამგვარად ხელი შეეწყობა მსხვერპლთა დამოუკიდებლობას და ძალადობისგან თავისუფალ გარემოში ცხოვრებას;

მნიშვნელოვანია მომზადდეს ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციის კონცეფცია, რომელიც შესაბამისი სარეაბილიტაციო პროგრამების მეშვეობით უზრუნველყოფს მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ და სოციალურ– ეკონომიკურ რეაბილიტაციას;

- მნიშვნელოვანია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა რეფერალური მექანიზმის ეფექტიანობის გაზრდა. ამისათვის საჭიროა ჩართული უწყებების თანამშრომელთა (სამართალდამცველების, სკოლის მანდატურების, პედაგოგებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების, ექიმების (სოფლის ექიმების), სოციალური მუშაკებისა და მართლმსაჯულების სისტემის მოხელეთა) ერთობლივი გადამზადება;

- საჭიროა მომზადდეს საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი ოჯახში ძალადობის ფაქტებზე მოწმეთა დაკითხვისა და მათ თაობაზე მონაცემების დაცვის სპეციფიკის შესახებ (მოძალადეთა მხრიდან მათი იდენტიფიცირების თავიდან აცილების გათვალისწინებით);
- უნდა განისაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის მონაწილეობის შესაძლებლობა და ფორმები ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის საქმეში (შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების საფუძველზე). არასამთავრობო სექტორთან და ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად მნიშვნელოვანია პრევენციაზე ორიენტირებული მუნიციპალური ინიციატივების დამუშავება და მხარდაჭერა;
- უნდა განხორციელდეს, ასევე, ოჯახში არასრულწლოვანზე (ბავშვზე) ძალადობის წინააღმდეგ არსებული საკანონმდებლო ნორმების ანალიზი და მომზადდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები და განისაზღვროს პრაქტიკული ღონისძიებები ოჯახში ბავშვზე ძალადობის ფაქტების ადრეული გამოვლენის ხელშესაწყობად.

ასევე,

- ოჯახში ძალადობის გამოწვევებზე საპასუხოდ, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ოჯახური ძალადობის შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირება. სამართალდამცავებს არ აქვთ უფლება ოჯახში ძალადობის ფაქტები მიიჩნიონ ნაკლებადმნიშვნელოვნად და არ უზრუნველყონ მათი თანასწორი დაცვა. სახელმწიფო მოხელეებს კანონით განსაზღვრული ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში უნდა დაეკისროთ შესაბამისი პასუხისმგებლობა.
- იზოლაციის დაძლევის და ცნობიერების ამაღლების პარალელურად, პრევენციის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სამართალდამცავი სტრუქტურებისადმი მოქალაქეთა ნდობის და პარტნიორული ურთიერთობის გაღრმავება. აუცილებელია, რომ სამართალდამცველთადამოკიდებულება გენდერული თანასწორობის მიმართ, ასევე, ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების დროს სენსიტიური იყოს;

2) სტრატეგია ეფუძნება და ითვალისწინებს როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოში ჩატარებულ კვლევებს (გაეროს მოსახლეობისა და ქალთა ფონდის ხელშეწყობით ჩატარებული კვლევები) და გაცემულ რეკომენდაციებს, ასევე სახელმწიფო უწყებების მიერ ჩატარებულ ანალიტიკურ კვლევებსა და სტატისტიკურ მონაცემებს. სტრატეგიის ნებისმიერი კომპონენტი სრულ თანხმობაშია იმ სტანდარტებთან, რომელთა შესაბამისადაც ჩამოყალიბებულია შესაბამისი ევროპული დოკუმენტები. მაგალითისთვის, შეიძლება მოვიხსენიოთ „ევროპის საბჭოს ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ“, რომელთანაც სრულ შესაბამისობაშია ეროვნული სტრატეგიის სამოქალაქო განათლების პრევენციული მექანიზმის ნაწილი. ასევე, დამოკიდებულების პრობლემის ნაწილთან დაკავშირებით

გათვალისწინებულია როგორც კონკრეტული ქვეყნების გამოცდილება (ავსტრია, გერმანია, შვეიცარია, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კვლევები), ასევე სხვა კვლევები, რომელიც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ალკოჰოლი, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება[19], ნარკოტიკებსა და სხვადასხვა ფსიქოტროპულ საშუალებებზე დამოკიდებულება[20] და ა.შ. ძალადობის კონკრეტულ ფაქტებში გამოვლინებას უწყობს ხელს. მაგალითად, ერთ-ერთიუცხოური კვლევის[21] მიხედვით, ძალადობის 50-55% შემთხვევა სწორედ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მოხდა. ასევე, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით[22] ოჯახური ძალადობის 61% შემთხვევაში, არსებობს ნივთიერებებზე დამოკიდებულების პრობლემა, როგორც ძალადობის მაპროვოცირებელი გარემოება. დამოკიდებულების მსგავსი მიმართულებით ასახვა გვხვდება წამყვანი ევროპული სახელმწიფოების სტრატეგიულ დოკუმენტებში და, ასევე, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის კვლევებსა და საერთაშორისო დიაგნოსტიკურ სისტემაში. მედიაციის ინსტიტუტთან დაკავშირებით სტრატეგიაში წარმოდგენილი იდეები ასევე ეფუძნება წამყვანი ქვეყნების საუკეთესო გამოცდილებას (მაგ., ნორვეგია, გერმანია, ბელგია, ევროკავშირის სტანდარტები, აშშ და კანადა).

3) ევროპული ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს რომ პრევენციის იდეა უკავშირდება პრობლემის დაძლევის სამომავლო ხედვას, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ძალადობის პრევენცია სახელმწიფოს და საზოგადოებრივი ინსტიტუტების თანამონაწილეობით. სტრატეგია არსად უთითებს რელიგიური ორგანიზაციების ჩართვას სკოლის ცხოვრებაში. რელიგიური ორგანიზაციების შესაძლო ჩართულობა მითითებულია მხოლოდ ერთგან, მედიაციის ნაწილში, სადაც მედიაციის პოპულარიზებისთვის გამართულ საზოგადოებრივ შეხვედრაში შესაძლოა მონაწილეობდნენ რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებიც, კონფლიქტების მშვიდობიანი არაძალადობრივი გადაჭის იდეის მხარდასაჭერად (ვინაიდან მშვიდობა და სიყვარული წარმოადგენს ტრადიციული რელიგიური ორგანიზაციების მოღვაწეობის მთავარ იდეას). ამასთან, სტრატეგია, ბუნებრივია, არ გულისხმობს სეკულარიზმის პრინციპის საწინააღმდეგოდ სასულიერო პირთა მხრიდან პროზელიტიზმის წარმართვას, რაც მათ ისედაც ეკრძალებათ. საკითხი შეეხება მხოლოდ საზოგადოებრივ აზრზე დადებითი ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობას არაძალადობრივი ქცევის და კონფლიქტების მშვიდობიანი გზებით დარეგულირების კამპანიაში. კერძოდ, სტრატეგიის

[19]Tilman Becker *Soziale Kosten des Glueckssspiels in Deutschland, Forschungsstelle Glueckssspiel Universitaet Hohenheim* (2011), S.48.

[20]Collins, James J. and Donna L. Spencer*Linkage of Domestic Violence and Substance Abuse Services, Research in Brief, Executive Summary* (2002) U.S. Department of Justice.

[21]Bundesministerium fuer Familie, Senioren, Frauen und Jugend *Gewalt gegen Frauen in Paarbeziehungen* (2009), S. 39.

[22]Collins, James J. and Donna L. Spencer*Linkage of Domestic Violence and Substance Abuse Services, Research in Brief, Executive Summary* (2002) U.S. Department of Justice.

ტექსტი მხოლოდ მიუთითებს: „ამპროგრამის (მედიაციის პროგრამის) წარმატებისთვის მნიშვნელოვანია საზოგადოების მხარდაჭერა. საზოგადოების ერთიანობა დამატებით იქნება უზრუნველყოფილი, თუ სკოლა მოახერხებს მოსწავლეებისთვის სამაგალითო პირების (არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების, წარმატებული კურსდამთავრებულების, სხვადასხვა რელიგიის სასულიერო პირების, ცნობადი სახეების) ჩართვასსასკოლომედიაციისპროცესში". რელიგიური ორგანიზაციების სრულად გამორიცხვა ამ კამპანიიდან ძალზე ხელოვნური იქნებოდა, ვინაიდან საზოგადოების შემსწავლელი მეცნიერებები (მაგ. სოციოლოგია) რელიგიურ ორგანიზაციებს განიხილავს როგორც საზოგადოების თვითკონტროლის ერთ– ერთ მექანიზმად. ამ იდეას ეფუძნება წამყვანი ევროპული ქვეყნების მაგალითები (კერძოდ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ე.წ. ტრადიციული რელიგიური ორგანიზაციების მონაწილეობა სეკულარიზმის პრინციპის მკაცრი დაცვით). ამასთან, სწორედ სტრატეგია ითვალისწინებს ნეიტრალობის დაცვის აუცილებლობას, როდესაც ცალსახად მიუთითებს: „სამოქალაქო განათლება ზოგადად და როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგანი, დემოკრატიის პრინციპების შესაბამისად უნდა იყოს: **ცალკეული დოქტრინებისგან თავისუფალი.** სამოქალაქო განათლება ნეიტრალურად უნდა წარმოადგენდეს ღირებულებათა და იდეათა მრავალფეროვნებას საზოგადოებაში და არ უნდა ასახავდეს მხოლოდ რომელიმე ჯგუფის იდეოლოგიურ, მსოფლმხედველობრივ, რელიგიურ, პოლიტიკურ შეხედულებებს თუ რომელიმე სახელმწიფო ორგანოს მიზნებსა და ინტერესებს."

4) არასწორი და სუბიექტურია შენიშვნა ოჯახში ძალადობის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით. სტრატეგია, ცალსახად მიჯნავს ერთმანეთისგან ოჯახში ძალადობის გამომწვევ მთავარ მიზეზს და ოჯახში ძალადობის ხელშემწყობ ფაქტორებს. კერძოდ, საყოველთაოდ აღიარებული მიდგომის შესაბამისად, ოჯახში ძალადობის უმთავრესი მიზეზი არის ოჯახის ერთი წევრის (მოძალადე) მიზანი, ოჯახის მეორე წევრზე (მსხვერპლი) **მოიპოვოს ძალაუფლებისა და კონტროლის შესაძლებლობა.**ოჯახში ძალადობის ხელშემწყობი ფაქტორები კი უმთავრესად გავლენას ახდენს ძალადობის ხარისხზე და წარმოადგენს ძალადობის მაპროვოცირებელ გარემოებას. ოჯახში ძალადობის ხელშემწყობი მაპროვოცირებელი ფაქტორები შეიძლება იყოს კულტურული, ეკონომიკური, სამართლებრივი თუ პოლიტიკური ხასიათის. სტრატეგია არსად უთითებს, რომ რომელიმე ეს ფაქტორი ცალკე წარმოადგენს ძალადობის გამომწვევ მიზეზს, არამედ ისინი მხოლოდ ერთმანეთთან ან სხვა ფაქტორებთან თანხვედრაშიწარმოადგენენ ძალადობის წარმომშობ/ხელშემწყობ გარემოებებს (უმთავრეს მიზეზად კი რჩება უკვე აღნიშნული ოჯახის ერთი წევრის (მოძალადე) მიზანი, ოჯახის მეორე წევრზე (მსხვერპლი) **მოიპოვოს ძალაუფლებისა და კონტროლის შესაძლებლობა).** ძალადობის ხელშემწყობ მაპროვოცირებელ ფაქტორებად კი სტრატეგიაში მითითებულია:

- გენდერული უთანასწორობა ქალსა და კაცს შორის, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ;
- ქალის და მამაკაცის წინასწარ განსაზღვრული როლები;
- ტრადიციული წარმოდგენა ოჯახში მამაკაცის დომინანტური როლის შესახებ;
- წარმოდგენები მამაკაცის, როგორც მესაკუთრის შესახებ;
- წარმოდგენა, რომ ოჯახი არის გარე კონტროლის მიღმა არსებული კერძო სფერო;
- ნაადრევი ან/და იძულებითი ქორწინება;
- სამართალდამცველების არასენსიტიური დამოკიდებულება გენდერზე დამყარებული ძალადობრივი ფაქტების მიმართ;
- ძალადობის გაგება პრობლემის გადაჭრის მიღებულ მეთოდად. მაგ., მშობლები, შესაძლოა, ასეთ ქმედებებს აღიარებენ ბავშვის აღზრდის საუკეთესო საშუალებად;
- წარსულში (ბავშვობაში) განცდილი ძალადობა (ოჯახში თუ აღმზრდელობით დაწესებულებაში), რის გამოც შემდგომში შესაძლებელია თავადაც გახდნენ მოძალადეები;
- ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება და ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულება;
- ქალის ეკონომიკური დამოკიდებულება მამაკაცზე,რის გამოც, შესაძლოა, ქალი მაინც დარჩეს მოძალადე მამაკაცთან ერთად;
- შრომითი და ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზების არასათანადო შესაძლებლობები შრომის ბაზარზე;
- განათლების ხელმისაწვდომობის ნაკლებობა;
- მამაკაცის მიერ მეუღლის მზარდი ეკონომიკური აქტივობის და დამოუკიდებლობის საფრთხედ აღქმა;
- სამართლებრივი ცნობიერების დაბალი დონე;
- ქალთა ნაკლები წარმოდგენა პოლიტიკურ სისტემაში, ბიზნესში, სამართალდამცავ ორგანოებსა თუ სხვა სფეროებში, განსაკუთრებით, ხელმძღვანელ თანამდებობებზე. აღნიშნული იწვევს მათ იდენტიფიცირებას მხოლოდ ოჯახის ნაწილად და არა დამოუკიდებელ, საჯარო სივრცეში აქტიურ ინდივიდად.

5) სტრატეგია წარმოადგენს სამთავრობო ხედვას ძალადობის წინააღმდეგ პრევენციული ბრძოლის საქმეში. შესაბამისად, ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე სასამართლო შტოს შესახებ სტრატეგია საუბრობს, მხოლოდ მოხელეთა გადამზადებისა და საკანონმდებლო ცვლილებების კუთხით (ვინაიდან, კონსტიტუციის შესაბამისად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ სამართალსა და კანონს). კერძოდ, სწორედ სენსიტიური დამოკიდებულების უზრუნველსაყოფად,

- მნიშვნელოვანია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა რეფერალური მექანიზმის ეფექტიანობის გაზრდა. ამისათვის საჭიროა ჩართული უწყებების თანამშრომელთა

(სამართალდამცველების, სკოლის მანდატურების, პედაგოგებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების, ექიმების, სოციალური მუშაკებისა და **მართლმსაჯულების სისტემის მოხელეთა**) ერთობლივი გადამზადება;

- სასამართლოში ოჯახურ დავებზე მედიაციის წარმართვის ნაწილში „კანონმდებლობა საჭიროებს შემდგომ დაახლოებას საერთაშორისო აქტებთან ოჯახში ძალადობის კუთხით. კერძოდ, მხედველობაშია მისაღები ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროსაბჭოს კონვენცია. კონვენციის თანახმად, მხარეებს ეკრძალებათ სავალდებულო წესით დავების გადაწყვეტის ალტერნატიული გზების (მათ შორის, მედიაცია და შერიგება) გამოყენება, თუ დავა დაკავშირებულია ქალის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობასთან. შესაბამისად, თუ მხარეებს შორის არსებული ურთიერთობა საფრთხეს უქმნის ერთ-ერთი მეუღლის უსაფრთხოებას, ამ შემთხვევაში მედიაციის პროცედურა სავალდებულო ხასიათს არ უნდა ატარებდეს“;
- ოჯახში ძალადობის პრევენციის არსებული სამართლებრივი მექანიზმების ეფექტიანობის ასამაღლებლად, მიზანშეწონილია, გამარტივდეს შემაკავებელი ორდერის სასამართლოს მიერ დამტკიცების პროცედურა;
- საჭიროა მომზადდეს საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი ოჯახში ძალადობის ფაქტებზე მოწმეთა დაკითხვისა და მათ თაობაზე მონაცემების დაცვის სპეციფიკის შესახებ (მოძალადეთა მხრიდან მათი იდენტიფიცირების თავიდან აცილების გათვალისწინებით).

3.6. სერვისები/რეაბილიტაცია

ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგია განსაზღვრავს არაერთ ღონისძიებას მსხვერპლთა დაცვისა და რეაბილიტაციის მიზნით, რომელიც მიმართულია როგორც სერვისების შექმნის და მასზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების, ასევე მსხვერპლთა ეკონომიკური გაძლიერებისკენ. ამ კუთხით, გათვალისწინებულია პასუხისმგებელი უწყებების მიერ კონტროლის გაძლიერება მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებების შემდგომი ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად. სტრატეგია ითვალისწინებს ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციის კონცეფციის შექმნას, რომელიც შესაბამისი სარეაბილიტაციო პროგრამების მეშვეობით უზრუნველყოფს მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ და სოციალურ–ეკონომიკურ რეაბილიტაციას; სტრატეგია სამომავლო ღონისძიებად ასევე განსაზღვრავს ძალადობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი საგანმანათლებლო კურსების და შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი კონკურენტული პროფესიების შესწავლის ორგანიზებას, რათა ხელი შეეწყოს მსხვერპლთა დამოუკიდებლობას და ძალადობისგან თავისუფალ გარემოში

ცხოვრებას; მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის კუთხით გათვალისწინებულია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა და, ზოგადად, პასუხისმგებელი უწყებების კოორდინაციის გაუმჯობესება.

17. შრომის უფლება

„თუმცა, განხორციელებული ცვლილებების ანალიზი ავლენს საკანონმდებლო ხარვეზებს და ცვლილებებით დანერგილი ახალი მატერიული სტანდარტის არასაკმარისობას უფლების დაცვის თვალსაზრისით[23]. ასევე, უფლების რეალიზების არსებული პრაქტიკა აჩვენებს რომ, განხორციელებულმა ცვლილებებმა ვერ უზრუნველყო შრომის უფლების დარღვევის მასშტაბების და სიმძიმის მნიშვნელოვნად შემცირება და დასაქმებულთა მდგომარეობის გაუმჯობესება,[24] რამდენადაც ცვლილებებმა არ მოიცვა ნორმათა აღსრულების ეფექტური მექანიზმების დანერგვის საკითხები.“

კომენტარი: 2013 წელს საქართველოს ორგანულ კანონში ,,საქართველოს შრომის კოდექსში“ შევიდა შემდეგი ძირითადი ცვლილებები:

1. განისაზღვრა ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები, დავის შემთხვევაში ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი დაეკისრა დამსაქმებელს;
2. გაიწერა განსაზღვრული ვადით შრომითი ხელშეკრულების დადების საფუძვლები და ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადების ვალდებულება, თუ შრომითი ურთიერთობა 3 თვეზე მეტ ხანს გრძელდება;
3. გაჩნდა სრულიად ახალი თავი ,, გაერთიანების თავისუფლება'', რომლის დებულებებიც შესაბამისობაშია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 87-ე ,, ასოციაციის თავისუფლებისა და ორგანიზაციის დაცვის შესახებ'' და 98-ე ,, პროფკავშირებში გაერთიანებისა და კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების უფლების პრინციპთა გამოყენების შესახებ'' კონვეციებთან;

---

[23] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სამართლებრივი დასკვნა „საქართველოს შრომის კოდექსში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე, 19.04.2013;

[24] საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება, „მშრომელთა უფლებების კვლევა საქართველოში, სტატისტიკური გამოკვლევა, ანგარიში“; 2014; ხელმისაწდვომის ვებ-გვერდზე: https://drive.google.com/file/d/0B29JO5L_QB0MM1oxOHc1NFhCaGM/view; ბოლოს ნანახია 2015 წლის 15 იანვარს; გვ.6-15.

4. მოხდა კოლექტიური მოლაპარაკებების დებულებების განმარტება საერთაშორისო სტანდარტების თანახმად;
5. მოხდა შრომითი მედიაციის მექანიზმის დანერგვა;
6. კოდექსს დაემატა ახალი თავი ,, სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია'', სადაც გაიწერა აღნიშნული კომისიის საქმიანობის პრინციპები, ფუნქციები და უფლებამოსილებანი;
7. გაიზარდა ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების გამოყენების დღეთა რაოდენობა 477 კალენდარული დღიდან 730 კალენდარულ დღემდე, საიდანაც 126 დღის ნაცვლად ანაზღაურებადია 183 კალენდარული დღე. რაც შეეხება ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების გამოყენების დღეთა რაოდენობას, 365 კალენდარული დღე შეიცვალა 550 კალენდარული დღით, ხოლო ამ შვებულებიდან ანაზღაურებადი 70 კალენდარული დღე - 90 კალენდარული დღით;
8. გაჩნდა დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები როგორც წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში, ასევე გაერთიანების ნიშნით.

· **შემუშავდა და დამტკიცდა შემდეგი სამართლებრივი აქტები:**

1. „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმა".
2. „სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის N258 დადგენილება;
3. „კოლექტიური დავის შემათანხმებელი პროცედურებით განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 25 ნოემბერის №301 დადგენილება;
4. „სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის დარგების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 დეკემბრის №329 დადგენილება;
5. „ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საქმიანობების ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 6 დეკემბრის ბრძანება;
6. „ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურების წესის" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აგვისტოს №231/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 11 დეკემბრის №01-44/ ნ ბრძანება, რომლის

თანახმად გაიზარდა ანაზღაურებადი შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარების ოდენობა - 600-დან 1000 ლარამდე;

მომზადდა კანონპროექტები „დასაქმების შესახებ“, „შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ'', ,,შრომითი მიგრაციის შესახებ''.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ორგანიზებითა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) წარმომადგენლების მონაწილეობით შეირჩა და მომზადდა კოლექტიური შრომითი დავების მედიატორობის 8 კანდიდატი (4 ძირითადი და 4 სარეზერვო).

2013 წელს აშშ-ს შრომის დეპარტამენტმა გამოყო გრანტი პროექტისთვის ,,შრომის კანონმდებლობის დაცვის გაუმჯობესება საქართველოში'', რომელსაც ახორციელებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია საქართველოს შრომის. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით.

საქართველოში დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სოციალურ პარტნიორებთან და სხვადასხვა უწყებებთან ერთად შემუშავდა შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა.

აღნიშნული პროგრამა დამტკიცდა 2015 წლის 5 თებერვალს საქართველოს მთავრობის N38 დადგენილებით.

პროგრამა გულისხმობს საწარმოების შემოწმებას იმ მიზნით, რომ დახმარება გაეწიოს დამსაქმებლებს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნაში. პროგრამის განხორციელების საშუალებით მოხდება შრომის ბაზარზე დასაქმებულთა შრომის პირობების მიმართულებით არსებული რეალური მდგომარეობის ანალიზი და შეფასება, რომელიც მომავალში გახდება ამ კუთხით გასატარებელი ღონისძიებების გზამკვლევი.

შრომის პირობების მონიტორინგს განახორციელებენ სპეციალურად შერჩეული პირები, რომლებიც გაივლიან შესაბამის მომზადებას. ტრენინგებს გაუძღვებიან ევროპის პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სააგენტოსა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ექსპერტები.

2015 წელს დასახელებული პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 1 მილიონ ლარს და მისი განხორციელება მოხდება საქართველოს კანონით „შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმირების პროგრამისთვის“ (პროგრამული კოდი 35 05) გათვალისწინებულ ასიგნებათა ფარგლებში.

ამასთანავე, საქართველოში დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების დანერგვის, სამუშაო ადგილებზე დისკრიმინაციული შემთხვევებისა და იძულებითი შრომის პრევენციის მიზნით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
შემადგენლობაში შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის სახით (2015 წლის 2 მარტის საქართველოს მთავრობის დადგენილება N81), რომელიც მოამზადებს ნიადაგს ისნპექტირების სრულყოფილი მექანიზმის დანერგვისათვის.

დეპარტამენტის კომპეტენციებს განეკუთვნება: ორგანიზაცია-დაწესებულებებში შრომის დაცვის მიმართულებით არსებული პირობების გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შემუშავება/სრულყოფა, შრომის უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობა, სამუშაო ადგილებზე დისკრიმინაციული შემთხვევების ან იძულებითი შრომის პრევენციის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და სხვ.

საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმა (2013 წლის 2 აგვისტოს N199 მთავრობის დადგენილება) მიმდინარე წელს ითვალისწინებს საქართველოს შრომის კოდექსის დებულებების შეფასებას, რეკომენდაციების შემუშავებას, სოციალურ პარტნიორებთან განხილვას და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების პაკეტის შემუშავებას.

1.2 შრომის უსაფრთხოებისა და კონტროლის მექანიზმის არარსებობა და მისი შედეგები

„დღეს მდგომარეობით ქვეყანაში არ არსებობს ინსტიტუცია, რომელიც პასუხისმგებელია შრომის პირობებისა და უსაფრთხოების წესების დაცვის/იმპლემენტაციის მონიტორინგსა და დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი ეფექტურ ზომების მიღებაზე.“

კომენტარი: საქართველოში დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სოციალურ პარტნიორებთან და სხვადასხვა უწყებებთან ერთად შემუშავდა შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა.
აღნიშნული პროგრამა დამტკიცდა 2015 წლის 5 თებერვალს საქართველოს მთავრობის N38 დადგენილებით.

პროგრამა გულისხმობს საწარმოების შემოწმებას იმ მიზნით, რომ დახმარება გაეწიოს დამსაქმებლებს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნაში. პროგრამის განხორციელების საშუალებით მოხდება შრომის ბაზარზე დასაქმებულთა შრომის პირობების მიმართულებით არსებული რეალური
მდგომარეობის ანალიზი და შეფასება, რომელიც მომავალში გახდება ამ კუთხით გასატარებელი ღონისძიებების გზამკვლევი.

შრომის პირობების მონიტორინგს განახორციელებენ სპეციალურად შერჩეული პირები, რომლებიც გაივლიან შესაბამის მომზადებას. ტრენინგებს გაუძღვებიან ევროპის პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სააგენტოსა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ექსპერტები.

2015 წელს დასახელებული პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 1 მილიონ ლარს და მისი განხორციელება მოხდება საქართველოს კანონით „შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმირების პროგრამისთვის“ (პროგრამული კოდი 35 05) გათვალისწინებულ ასიგნებათა ფარგლებში.

ამასთანავე, საქართველოში დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების დანერგვის, სამუშაო ადგილებზე დისკრიმინაციული შემთხვევებისა და იძულებითი შრომის პრევენციის მიზნით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემადგენლობაში შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის სახით (2015 წლის 2 მარტის საქართველოს
მთავრობის დადგენილება N81), რომელიც მოამზადებს ნიადაგს ისნპექტირების სრულყოფილი მექანიზმის დანერგვისათვის.

დეპარტამენტის კომპეტენციებს განეკუთვნება: ორგანიზაცია-დაწესებულებებში შრომის დაცვის მიმართულებით არსებული პირობების გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შემუშავება/სრულყოფა, შრომის
უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობა, სამუშაოადგილებზე დისკრიმინაციული შემთხვევების ან იძულებითი შრომის პრევენციის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და სხვ.

2. განხოციელებული ცვლილებები

„სახელმწიფომ საერთაშორისო მხარდაჭერის პირობებში დაიწყო მედიაციის ინსტიტუტის განვითარება და მიიღო „შრომითი პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა“. თუმცა, პროგრამა აცდენილია რეალურ საჭიროებებს და არ გულისხმობს კონტროლის ეფექტური მექანიზმის შექმნს. „

კომენტარი: („შრომითი პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა“.) შრომითი მედიაციის მექანიზმის დანერვის მიზნით საქართველოს მთავრობამ 2013 წლის 25 ნოემბერს დაამტკიცა ,, კოლექტიური დავის შემათანხმებელი პროცედურებით განხილვისა და გადაწყვეტის წესი'' (მთავრობის დადგენილება #301). საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ორგანიზებითა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) წარმომადგენლების მონაწილეობით შეირჩა და მომზადდა კოლექტიური შრომითი დავების მედიატორობის 8 კანდიდატი (4 ძირითადი და 4 სარეზერვო). 2014 წელს განხორციელდა შრომითი მედიაციის 3 შემთხვევა (RMG Gold“/“RMG Copper“, სს „საქართველოს რკინიგზა“ და შპს „საქართველოს ფოსტა“. სამივე შემთხვევა დასრულდა შემათანხმებელი პროცედურების მეშვეობით.

18. საცხოვრისის უფლება: სოციალურად დაუცველ უსახლკარო პირთა უფლებრივი მდგომარეობა

1.2. საკანონმდებლო ჩარჩოს ხარვეზები

„უსახლკარო პირები, რომლებიც ქუჩაში ცხოვრობენ და უსახლკაროთა ჯგუფში ყველაზე მოწყვლად კატეგორიას წარმოადგენენ, სახელმწიფო სოციალურად დაუცველ პირთა ერთიან ბაზაში არ არეგისტრირებს. შესაბამისად, ეს პირები ვერ იღებენ სოციალურად დაუცველი პირის სტატუსთან დაკავშირებულ ბენეფიტებს;“

კომენატარი: სოციალური დაცვის დღეს არსებული სისტემა დაფუძნებულია კონკრეტულ საცხოვრებელ ფართში მცხოვრები კონკრეტული შინამეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებაზე, შესაბამისად, უსახლკარი პირები ამ სისტემაში არ ხვდებიან, თუმცა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები სარგებლობენ სახელმწიფოს მიერ შეტავაზებული სხვადასხვა სერვისებით (დღის ცენტრი, ტრანზიტული ცენტრი და სხვა), მომსახურებას იღებს 380 ბენეფიციარი.

3. **განცორციელებული ცვლილებები**

„საქართველომ 2013-2014 წლებში შექმნა მიუსაფართა პრობლემებზე მომუშავე უწყებათშორისი დროებითი კომისია, თუმცა ეს კომისია და მისი მუშაობა მხოლოდ უსახლკარობის ერთი კონკრეტული ფორმის - მიუსაფარ პირთა გადაუდებელი საჭიროებების დროებით მოგვარების მიზანს ემსახურებოდა.[25] ამ პირთა პრობლემების მოგვარების გრძელვადიანი სტრატეგია და ხედვა არ არსებობს. შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ თავად ეს კომისია აღარ ფუნქციონირებს, თავად კარავი მეორე წელია არსებობს და ამ დროებითი ზომის განგრძობითად გამოყენება ვერ აკმაყოფილებს სათანადო საცხოვრისის მინიმალურ სტანდარტებს. თბილისის მერიის წარმომადგენლების განცხადებით, არსებობს გეგმა, რომ მიუსაფარ პირთათვის აშენდეს თავშესაფარი."

კომენტარი: ეს განკარგულება გაუქმდა, თუმცა 2014 წლის 24 ოქტომბრის N1918 განკარგულებით თბილისის მერია უზრუნველყოფს მიუსაფარ პირებს შესაბამისი სერვისებით, ამასთან კომისიაში მონაწილეობენ სხვადასხვა სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები.

განხორციელებული ცვლილებები (ზოგადი ინფორმაცია)

შვეიცარიის განვითარებისა და თანაშრომლობის სააგენტოს (SDC) ფინანსური დახმარებით შემუშავდა კვლევა „სოციალური საცხოვრისის ქალაქთმშენებლობითი და არქიტექტურული დაპროექტების სტანდარტები" რაც ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალური ვებ გვერდიდან. დოკუმენტში ფართოდაა მიმოხილული სოციალური საცხოვრისის დაპროექტების, მშენებლობის, დაფინანსებისა და მენეჯმენტის მსოფლიო პრაქტიკა.

19. დევნილთა მდგომარეობა

არჩევნების შემდგომი ვითარება და გატარებული აქტივობები

1. 2014 წლის 30 ოქტომბერის საქართველოს მთავრობის განკარგულების #1944 მიხედვით დამტკიცდა „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის თაობაზე პროექტი". აღნიშნული პროექტის[1] პირველ ეტაპზე განხორციელდა დევნილთა მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ დევნილთა ჩასახლების (კოლექტიური ცენტრების) იდენტიფიკაცია (აღნიშნული სამუშაოების დროს მოხდა შემდეგი ობიექტების იდენტიფიცირება და დაჯგუფება - 1. ობიექტები, რომლებიც რეგისტრირებულია სახელმწიფო საკუთრებაში; 2. ობიექტები,

[25] იქვე, გვ. 68

რომლებიც საერთოდ არ არის რეგისტრირებული; 3. დაბოლოს, ობიექტები, რომლებიც რეგისტრირებულია კერძო საკუთრებაში), ხოლო მეორე ეტაპზე კი პრივატიზაციის პროცესის უშუალო დანერგვა/განხორციელება.

2. ასევე, სამინისტროში მოქმედ ცხელ ხაზს დაემატა პრივატიზების პროექტთან დაკავშირებით სპეციალური განყოფილება. აღნიშნული განყოფილება უზრუნველყოფს ბენეფიციარების მიერ დასმულ კითხვებზე ამომწურავი პასუხების გაცემას.

საჩივრის არსებობის შემთხვევაში, დევნილს შესაძლებლობა აქვს დაუკავშირდეს სამინისტროსა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ერთობლივი პროექტის ფარგლებში მოქმედ საჩივრების ცხელი ხაზის ოპერატორებს და მიაწოდოს ინფორმაცია მისთვის პრობლემურ საკითხზე. ოპერატორები მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში უზრუნველყოფენ საჩივრის დარეგისტრირებას, სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისგან ინფორმაციის მიღებასა და მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით დევნილის ყველა ეტაპზე ინფორმირებას. საბოლოო ეტაპზე, იდენტიფიცირებული სირთულეების ანალიზის საფუძველზე დგება ანალიტკური ანგარიში და შესაბამისი რეკომენდაციები კანონმდებლობასა თუ პრაქტიკაში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით წარედგინება სამინისტროს მენეჯერულ რგოლს.

3. ამას გარდა, 2014 წელს საქართველოს ოკუპირებლი ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის ბრძანების #500 საფუძველზე ჩამოყალიბდა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანია 2009-2012 წლებში პრივატიზაციის პროცესში დაშვებული ხარვეზების გასწორება.

აღნიშნულ ჯგუფში ერთიანედებიან იუსტიციის სამინისტროს მმართველობის მოქმედების სფეროში საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საქართველოს ოკუპირებლი ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.

4. ასვეე განსახლების მიმართულებით აღსანიშნავია სამინისტროს მიერ ადგილობრივ და უცხოელ სამშენებლო კომპანიებთან თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც იძულებით გადაადგილებული პირები გრძელვადიანი განსახლებით იქნებიან უზრუნველყოფილები, ძირითადად მათი განსახლება საქართველოს 8 ქალაქში მოხდება.

5. ცვლილებები შევიდა განსახლების გრძელვადიანი გადაწყვეტის სახელმძღვანელო პრინციპებში, კრიტერიუმებსა და პროცედურებში, კერძოდ - 1. დაზუსტდა განცხადების

წარდგენის ვადები; 2. განცხადების წარმოდგენიდან 15 დღის ვადაში დევნილს შესაძლებლობა აქვს წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია მინიჭებულ ქულებში მოდიფიცირების შეტანა; 3. შშმ პირებისა და მოწყვლადი კატეგორიის იძულებით გადაადგილებული პირების საჭიროებებიდან გამომდინარე მოხდა სპეციალური მექანიზმების იდენტიფიცირება; 4. დაბოლოს, დევნილები, რომლებიც ცხოვრობენ ნათესავის ბინაში (1), რომლებიც ცხოვრობენ ქირით (2), ასევე ომში დაღუპულთა ოჯახებს (3) და სამხედრო ჯილდოების მქონე პირებს (4) დამატებითი ქულები ემატებათ.

6. აქვე აღსანიშნავია სოფილად სახლის შეძენის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც 115 აპლიკანტს სამინისტრომ შეუძინა სოფლად სახლი საკარმიდამო ნაკვეთით.

7. ამას გარდა, აღნიშვნის ღირსია სამინისტროს დევნილთა საარსებო წყაროების ხელმისაწვდომობის შესაძლებლობების გაზრდის მიზნით სამინისტრომ შექმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი (შემდგომში „სსიპ“) „დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო“.

სსიპ-ი ჩამოყალიბდა 2014 წლის 7 აგვისტოს საქართველოს მთავრობის დადგენილებით N 34. სსიპ-ის მიზანია იძულებით გადაადგილებულპირთა – დევნილთა სოციალურ-ეკონომიკურ ინტეგრაცია, დასაქმების, მომსახურების, ინფრასტრუქტურისა და საცხოვრებელი პირობებისგაუმჯობესება.

„როგორც ბოლო დროის პრაქტიკა აჩვენებს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო როგორც წესი არ ახდენა საცხოვრებლით დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ წერილობითი გადაწყვეტილების დროულ გაგზავნას ადრესატ დევნილ ოჯახებთან. ასევე წერილობით გადაწყვეტილებებში არ ხდება გასჩივრების მექანიზმების შესახებ მითითება, რაც მნიშვნელოვან დაბრკოლებებს უქმნის დევნილებს პროცედურული უფლების (გასაჩივრების გზით დაიცვან და აღიდგინონ უფლებები) რეალიზებისას[26].

კომენტარი: აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ხსენებული პრაქტიკის არსებობა გამოწვეულია შესაბამისი კომისიის შეკრების სიხშირითა და შემოსული განცხადებების რაოდენობით. შესაბამისად, სირთულეებთან არის დაკავშირებული ყველა აპლიკანტისათვის ათასობით წერილობით შეტყობინების გაგზავნა. ამის საკომპენსაციოდ, სამინისტრო კომისიის

[26] იხ. საიას კვლევა ,,დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის სახელმწიფო პოლიტიკა“ 2014, გვ. 41-42 http://gyla.ge/uploads/publications/3.pdf;

შეხვედრის შესაბამისი ოქმის გაფორმებისთანავე, განხილულ განცხადებებზე პასუხებს (როგორც დადებითს, ასევე უარყოფითს) საკუთარი ვებ-გვერდის საშუალებით აქვეყნებს.

9. სამინისტროს აინტერესებს ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ანგარიშში მოცემული პასაჟის ზუსტი მნიშვნელობა და კონკრეტული მაგალითები - „დადებითად უნდა შეფასდეს დევნილთა საცხოვრებლით დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები, თუმცა სხვადასხვა მიმართულებით არსებული ხარვეზები აღნიშნულ პროცესს აფერხებს და უარყოფითად აისახება დევნილთა უფლებრივ მდგომარეობაზე“.

რეკომენდაციების ნაწილი

„არსებული გამოცდილების გაანალიზების საფუძველზე გადაიხედოს საცხოვრებელი ფართების განაწილების კრიტერიუმები და ქულათა სისტემა“

კომენტარი: 2014 წელს სამჯერ გადაიხედა საცხოვრებელი ფართების განაწილების კრიტერიუმები და ქულათა სისტემა. აღნიშნული პროცესი განგრძობადია და განახლებადი. ის მუდმივად მიმდინარეობს.

„სამინისტრომ შეასრულოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები წერილობ ითი გადაწყვეტილებების აღრესატ დევნილებთანგაგზავნის და გასაჩივრების მექანიზმების გან მარტებასთან დაკავშირებით“

კომენტარი: სამინისტრო ამ მიმართულებით არსებულ რეკომენდაციებს პროგრამული უზრუნველყოფით განახორციელებს, კერძოდ, დევნილს შესაძლებლობა აქვს შეამოწმოს სამინისტროს ვებ-გვერდზე სპეციალურ ოფციაში პირადი ნომრის მითითებით სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ამას გარდა, აღრესატისათვის შესაძლებელი იქნება მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნა. აღნიშნულ პროგრამულ უზრუნვეყოფას ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტი განახორციელებს.

20. მიგრაცია

არსებული მდგომაროება

„იმ ფაქტმა, რომ საქართველოს უკვე გააჩნდა მიგრაციის მართვის ინსტიტუციური მექანიზმი და ჰქონდა მიგრაციის მართვის ხედვა, დააჩქარა პროცესი და შედეგად, 2013 წლის 25

თებერვალს საქართველომ უკვე ოფიციალურად მიიღო ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა. მიგრაციის სამართლებრივი რეგულირების მიზნით შემუშავდა უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონი, რომელიც როგორც სამართლებრივი დებულებების, ესე მათი იმპლემენტაციის თვალსაზრისით პრობლემური აღმოჩნდა."

კომენტარი: ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პროცესში არსებული ხარვეზების აღმოჩენისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი მიგრაციის სამთავრობო კომისიის ფარგლებში. კანონში შეტანილი იქნა რამდენიმე ცვლილება შემოღებული იქნა საშეღავათო პირობები, რომელთა მოქმედების დროს უცხოელი ბინადრობის მოპოვების სურვილის შემთხვევაში გათავისუფლებულია საქართველოში ლეგალურად ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტისა წარმოდგენის ვალდებულებისაგან.

„მიგრაციის სამართლებრივი რეგულირების მიზნით შემუშავდა უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს ახალი კანონი, რომელიც როგორც სამართლებრივი დებულებების, ესე მათი იმპლემენტაციის თვალსაზრისით პრობლემური აღმოჩნდა."

კომენტარი: იმპლემენტაციის პროცესში არსებული ხარვეზების აღმოჩენისა და შესაბამისი რეაგირებიხს მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი მიგრაციის სამთავრობო კომისიის ფარგლებში. კანონში შეტანილი იქნა რამდენიმე ცვლილება

მიგრაციის სფეროში არსებული ძირითადი პრობლემები

„საქართველოს მოქალაქეების არაინფორმირებული მიგრაცია, რაც ტრეფიკინგის რისკებს აძლიერებს. პრობლემურია ისიც, რომ საზღვარგარეთ მყოფი ქართველი ემიგრანტების ინფორმირებულობის დონე დაბალია. მათ არ იციან, დახმარებისთვის ვის შეუძლიათ მიმართონ;

2014 წლის 1 სექტემბრის უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარების შესახებ საქართველოს კანონით გამოწვეული ძირითადი პრობლემები:

- ხდება კანონის არათანმიმდევრული და რიგ შემთხვევებში, დისკრიმინაციული გამოყენება;

- **უცხოელებს არ ჰქონდათ სათანადო ცოდნა ცვლილებების შესახებ, რამაც ისინი სამართლებრივი ვაკუუმში მოაქცია;**
- **უცხოელების მიერ დოკუმენტაციის წარდგენისას, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლები განსახვავებულ ინფორმაციას აწვდიდნენ უცხოელებს, რაც ინფორმაციისა და კოორდინაციის ნაკლებობით იყო გამოწვეული;"**

„პრობლემურია წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვება. ვიზებსა და ბინადრობებზე დიდი რაოდენობის უარყოფითი პასუხები წარმოაჩენს, რომ უმეტეს შემთხვევაში, უცხოელს უარს ეუბნებიან ინფორმაციის არქონის გამო, და არა იმიტომ, რომ მასზე არსებობს რაიმე ნეგატიური ინფორმაცია;"

კომენტარი: კანონის ძალაში შესვლამდე 6 თვით ადრე საგარეო, შინაგანი და იუსტიციის სამინისტროების ვებ–გვერდებზე აიტვირთა უცხოელთათვის 100 კითხვა–პასუხისგან შემდგარი განმარტებითი მარათი კანონზე. იგივე დოკუმენტი 1 თვეში დაურიგდა საქართველოში აკრედიტებულ დიპ–კორპუსს. კანონის მიღებიდან 1–ელ და მე–2 თვეს სამი სამინისტროს წარმომადგენლები შეხვდნენ საქართველოში მცხოვრებ უცხოელებს, რათა განემარტათ კანონის არსი. საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა 3 პრეს–ბრიფინგი კანონის ამოქმედებამდე.

უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებისას ხდება პირდაპირი მითითებით კანონის იმ პუნქტზე, რომლის საფუძველზეც ეთქვა უარი. ინფორმაციის არ ქონის გამო უარი, ასეთი დასკვნა არ არსებობს. უცხოელი სააგენტოში წარმოადგენს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბუთებს და ხდება შემოწმება რამდენად შეესაბამება მოწოდებულ დოკუმენტებში არსებული ინფორმაცია სინამდვილეს და აკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნებს. რაც შეეხება არასწორ კონსულტაციას, სსიპ იუსტიციის სახლის მიერ შეიქმნა სპეციალური სივრცე სადაც უცხოელებს ემსახურებიან და იქ მომუშავე ოპერატორებს ჩაუტარდათ ტრენინგები უცხოელთა კანონთან დაკავშირებით,
რაც შეეხება უცხოელთა ინფორმირებულობას, საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა შეხვედრები საქართველოში არსებულ დიპ. კორპუსის წარმომადგენლობებთან , გარდა ამისა სააგენტოს მიერ ახალი კანონის პრეზენტაცია, შესაბამისი კონსულტაციებით განხორციელდა რამდენიმე საელჩოში მათი თხოვნის საფუძველზე, ასევე ჩატარდა ფართო შეხვედრა უცხოელ სტუდენტებთან სადაც სააგენტოსა და საგარეოს წარმომადგენლებმა დეტალურად განმარტეს ახალი რეგულაციები.

„საქართველოს მოქალაქეების არაინფორმირებული მიგრაცია, რაც ტრეფიკინგის რისკებს აძლიერებს."

კომენტარი: ამ საკითხის მოსაგვარებლად (ლეგალურ შრომითი მიგრაციიაზეა საუბრაი) მიმდინარეობს საცდელი პროექტი გერმანელებთან იხ. ზემოთ. და მუშავდება კანონი შრომით მიგრაციაზე.

საცდელი პროექტის შედეგების მიღების შემდეგ ამგვარი ხელშეკრულების (ცირკულარული მიგრაციის შესახება საუბარი) ამუშავება ბევრად ეფექტიანად შეიძლება, რადგან გამომჟღავნდება ის მიმართულებები რაც ქვეყნის პრიორიტეტს წარმოადგენს და უზრუნველყოფს სამმხრივ (მიგრანტი, წარმოშობის ქვეყანა, მიმღები ქევყანა) მოგებას.

შეფასება ხდება ყოველი 3 თვის განმავლობაში (ს 2013-2015 წლის საქართველოს მიგრაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასებააზეა საუბარი) და სწორედ ამ შეფასების საფუძველზე მიმდინარეობს (დაგეგმილზე ადრე) მიგრაციის ახალი 2016–2020 სტრატეგიის შემუშავება.

მიგრაციის სფეროში საინფორმაციო კამპანია განსაზღვრული 2013–2016 წლებზე შემუშავდა კომისიაში საკონსულტაციო სტატუსის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად. 2016 წლის შემდგომი კამპანიაც მათთან ერთად შემუშავდება. ამავდროულად კომისიის სამდივნოს მიერ შემუშავდა უნივერსალური მიგრაციის მეგზური, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, როგორც პოტენციური ემიგრანტებისთვის ასევე იმიგრანტებისთვის. დოკუმენტი ერთი ფორმით იქნება ყველა იმ უწყებაში ვინც პასუხისმგებელია მიგრაციის სფეროზე. ამგვარად ინფორმაციის მოძიების მსურველი პირი არ იქნება დაბნეული სხვადასხვა სახის ერთი და იგივე თემაზე დაწერილი დოკუმენტების გაცნობისას.

დიასპორის საკითხებში სახ. მინისტრის აპარატი კომისიის წევრია. ომბუდსმენი პერმანენტულად არის ჩართული კომისიის მოწვევით სხვადასხვა მიგრაციის სფეროსი მიმდინარე აქტივობებში. ასევე შრომითი მიგრაციის შესახებ კანონპროექტის შემუშავებისას მაქსიმალურად იქნა ჩართული პროფკავშირები.

საქართველოში ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირების ინტეგრაციის ხელშესაწყობად სამინისტროს მიერ გატარდა ქმედითი ღონისძიებები:

1. თავშესაფრის მაძიებელთა მიღებისა და განსახლების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობისა (UNHCR) და სამინისტროს ურთიერთთანამშრომლობით, 2014 წლის 20 თებერვალს ამერიკის შეერთებული შტატების ევროპული სარდლობის (EUCOM) ხელმძღვანელობით, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის თანამშრომლობის ოფისს (ODC)

გამოეყო თანხა თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის დამატებითი შენობის მშენებლობისათვის (მარტყოფში). ახალი ცენტრი გათვლილი იქნება დაახლოებით 72 პირზე. 2014 წლის 7 აგვისტოს ხელი მოეწერა მემორანდუმს "ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტის ჰუმანიტარული დახმარების პროექტი: თავშესაფრის მაძიებელთა ცენტრი მარტყოფში". 2014 წელს დასრულდა წინასწარი საპროექტო სამუშაოები და ზამთარში დაიწყო სამშენებლო პროცესი;

2. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მხარდაჭერით, სამინისტროში გაიხსნა თავშესაფრის საკითხების ახალი მიმღები ცენტრი, სადაც ბენეფიციარებს შეუძლიათ, შეიტანონ განაცხადი ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნით. ამავე ცენტრში სამინისტროს თანამშრომლები თავშესაფრის მაძიებლებს აწვდიან სრულ და ამომწურავ ინფორმაციას პროცედურული საკითხებისა და მათი უფლებების შესახებ. ახალი მიმღები ცენტრი, რომელიც ემსახურება როგორც თავშესაფრის მაძიებლებს, ასევე თავშესაფრის მქონე პირებს, სრულადაა აღჭურვილი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოფილია თარჯიმანთა სერვისით;

3. 2014 წლიდან, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის #36 დადგენილებით დამტკიცებული "საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის" და "2014 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 2 დეკემბრის #650 დადგენილების შესაბამისად, სარგებლობენ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით და ე.წ. ჯანდაცვის „ვერტიკალური" პროგრამით. (2015 წლის პირველი იანვრიდან, პროგრამების მოსარგებლეებად განისაზღვრნენ საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი პირებიც);

4. 2014 წლის 1 მარტიდან ლტოლვილსა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირზე გასაცემი ყოველთვიური შემწეობა დევნილების მსგავსად განისაზღვრა 45 ლარით ("საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლი, მე-5 პუნქტის დ.ბ. ქვეპუნქტი);

5. 2015 წლის იანვარში მომზადდა მთავრობის დადგენილების პროექტი „საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე

პირთათვის განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“. თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე მოსწავლეთა მიმართ პროექტი ითვალისწინებს: ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებო პროგრამის განხორციელებას იმ დონეზე შესაძენად, რომელიც აუცილებელია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად; პროგრამის დაძლევის შემთხვავაში შესაბამის კლასში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას; ზოგადი განათლების მიღებისთვის აუცილებელი გრიფირებული სახელმძღვანელოს გამოყოფას. საკრებულოს დადგენილებით, თავშესაფრის მაძიებელ პირებს ხელი მიუწვდებათ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე.

გარდა ამისა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა ინტეგრაციის შესაძლებლობების გამოკვლევის მიზნით, სამინისტროს კოორდინირებით, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა და საქართველოს გაეროს ასოციაციამ გამოიკვლია დასაქმების, განსახლების, განათლებისა და ჯანდაცვის კუთხით არსებული სიტუაცია და გამოავლინა თავშესაფრის მქონე პირთა საჭიროებები. აღნიშნული კვლევის შედეგების ანალიზისა და შეფასების შედეგად სამინისტრო გეგმავს და ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს. სამინისტრომ, ასევე, მოამზადა თავშესაფრის მქონე პირთა ინტეგრაციის სახელმძღვანელოს სამუშაო ვერსია და რეკომენდაციებისთვის და წინადადებებისთვის გადაუგზავნა გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს და არასამთავრობო სექტორს.

ზოგადი კომენტარი: 2014 წლის იანვარში, სამინისტროში შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული - თავშესაფრის მაძიებელ პირთა წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების განყოფილება. აღნიშნულ განყოფილებაში ხორციელდება წარმოშობის ქვეყნების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, ანალიზი და განახლება.

2014 წლიდან, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის #36 დადგენილებით დამტკიცებული “საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის” და “2014 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2014 წლის 2 დეკემბრის #650 დადგენილების შესაბამისად, სარგებლობენ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით და ე.წ. ჯანდაცვის „ვერტიკალური“ პროგრამით. (2015 წლის პირველი იანვრიდან, პროგრამების მოსარგებლეებად განისაზღვრნენ საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი პირებიც);

2014 წლის 1 მარტიდან ლტოლვილსა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირზე გასაცემი ყოველთვიური შემწეობა დევნილების მსგავსად განისაზღვრა 45 ლარით ("საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლი, მე-5 პუნქტის დ.ბ. ქვეპუნქტი).

2015 წლის იანვარში მომზადდა მთავრობის დადგენილების პროექტი „საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ". თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე მოსწავლეთა მიმართ პროექტი ითვალისწინებს: ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებო პროგრამის განხორციელებას იმ დონეზე შესაძენად, რომელიც აუცილებელია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად; პროგრამის დაძლევის შემთხვავაში შესაბამის კლასში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას; ზოგადი განათლების მიღებისთვის აუცილებელი გრიფირებული სახელმძღვანელოს გამოყოფას.

2015 წლის ბიუჯეტში გამოიყო თანხა 400,000 ლარის ოდენობით სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის მხარდასაჭერად. სამინისტრომ „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების" პროგრამის ფარგლებში, გამოაცხადა საგრანტო კონკურსი არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რათა ერთი მხრივ, ხელი შეუწყოს დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეების ღირსეულ რეინტეგრაციას სამშობლოში, მეორე მხრივ, არასამთავრობო სექტორის განვითარებასა და გაძლიერებას მიგრაციის, კერძოდ, რეინტეგრაციის მიმართულებით. სამინისტროს მიზანია, არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, უზრუნველყოს სამინისტროს მხრიდან სარეინტეგრაციო პროცესის გამჭვირვალობა და ხელი შეუწყოს სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის გრძელვადიან თანამშრომლობას.

შენიშვნები

მიგრაციის სფეროში არსებული ძირითადი პრობლემები: ვერ ხორციელდება ლეგალურად მყოფ უცხოელთა ინტეგრაცია საქართველოში (მაგ. ლტოლვილის სტატუსი მქონე პირები) - ფრაზაში სიტყვა რეინტეგრაცია უნდა შეიცვალოს სიტყვით - ინტეგრაცია. აქვე, აღსანიშნავია, რომ საქართველოში ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირების ინტეგრაციის ხელშესაწყობად სამინისტროს მიერ ზემოთ მოცემულ ჩამონათვალზე დაყრდნობით, გატარდა ქმედითი ღონისძიებები.

21. კულტურული მემკვიდრეობა

,,2014 წლის მარტში საქართველოს მთავრობამ საზოგადოებას წარუდგინა „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია“ (2014 -2020), თუმცა ეს ვრცელი დოკუმენტი, საერთოდ არ ახსენებს კულტურის სოციალურ ღირებულებას და კულტურის, ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის ეკონომიკურ პოტენციალს.“

კომენტარი: „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2014-2020“ მიზნად ისახავდა ეკონომიკის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების გამოვლენას და შესაბამისი ქმედებების დაგეგმვას მათ აღმოსაფხვრელად. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ სტრატეგიაში არ არის ცალკე გამოყოფილი კულტურის განვითარების მიმართულებები, ეს საკითხები მკაფიოდ არის განსაზღვრული უფრო მაღალი იერარქიული დონის სტრატეგიულ დოკუმენტებში, კერძოდ „სამთავრობო პროგრამაში“ და „ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების“ დოკუმენტში. გარდა ამისა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო მუშაობს კულტურის პოლიტიკის გრაძელვადიანი სტრატეგიის შექმნაზე (იხ. ქვემოთ).

,,დღემდე არ მომხადარა სახელმწიფო სააღრიცხვო რეესტრში შეტანილი ძეგლებისა და ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტთა სიაში შეტანილი ობიექტების ხელახალი რეგისტრაცია. სამწუხაროდ, 2013 წელს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ „კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად ეს ვადა კიდევ ერთხელ, ამჯერად უკვე 2018 წლის 1 იანვრამდე გადაიწია.“

კომენტარი: ს.ს.ი.პ. „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ გეგმაზომიერად ახორციელებს ძეგლთა სახელმწიფო სააღრიცხვო რეესტრში შეტანილი ძეგლებისა და ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტთა სიაში შეტანილი ობიექტების ხელახალ რეგისტრაციას. აღნიშნული პროცესი მოითხოვს გარკვეული მატერიალური და ადამიანური რესურსის მობილიზებას. სამუშაოს ნაწილი უკვე შესრულებულია, ხოლო დასრულება, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, იგეგმება 2018 წლის 1 იანვრისთვის.

„პრაქტიკულად არ არსებობს შესაბამისი ხელშეკრულების ფორმა რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და კერძო საკუთრებაში არსებულ ძეგლის მესაკუთრეს (კანონიერ მფლობელს) შორის უნდა გაფორმდეს“

კომენტარი: სამინისტროსა და ძეგლის მესაკუთრეს (კანონიერ მფლობელს) შორის დასადები ხელშეკრულებისა და მესაკუთრის (კანონიერი მფლობელის) მიერ სამინისტროსათვის წარსადგენი ინფორმაციის ფორმა დამტკიცებულია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 5 მარტის N05/79 ბრძანებით, გამოქვეყნებულია

საკანონმდებლო მაცნეში. დადებულია ამ სახის არაერთი ხელშეკრულება ძეგლის მესაკუთრესთან (კანონიერ მფლობელთან).

,,2013 წლის 12 ნოემბერს საქართველოს მთავრობამ პარლამენტს განსახილველად წარუდგინა "კულტრული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები, რომლის მიზანია განსაკუთრებულ შემთხვევებში, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აუცილებლობის არსებობისას, ძეგლისთვის (გარდა ეროვნული კატეგორისს ძეგლებისა და მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლებისა) ძეგლის სტატუსის მოხსნის უფლებამოსილება მიეცეს საქართველოს მთავრობას, მის წინაშე სამართლებრივი აქტის პროექტის ინიცირების უფლების მქონე უწყების წარდგინებით, შესაბამისი დასაბუთებითა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან შეთახმებით. აღსანიშნავია, რომ "სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აუცილებლობა" საქართველოს კანონმდებლობაში განმარტებული არ არის, რაც თავისთავად ტოვებს კონკრეტული შემთხვევის გადაწყვეტილების მიმღების მხრიდან ინტერპრეტირების საშუალებას. მიუხედავად საზოგადოების მხრიდან სხვადასხვა ფორმით გამოხატული პროტესტისა, რამაც კანონპროექტის მიღება შეაჩერა, კანონპროექტი მაინც რჩება პარლამენტში და ნებისმიერ დროს შეიძლება იქცეს კანონად."

კომენტარი: „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები, რომელიც ითვალისწინებდა განსაკურებული საჭიროების შემთხვევაში ძეგლისათვის (გარდა ეროვნული და მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლებისა) სტატუსის მოხსნას, აღარ განიხილება, ვინაიდან აღნიშნული პროექტის გამოთხოვნის მიზნით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უკვე მიმართა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას.

,,2007 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ რაც ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ", არ მომხდარა კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა. ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა არც ახალი ხელისუფლების მიერ. პარალელურად, 2014 წლის აპრილის თვეში ცნობილი გახდა, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, კულტურულ მემკვდირეობასთან დაკავშირებული რიგი მნიშვნელოვანი უფლებამოსილების დელეგირება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოზე მოახდინა. დელეგირებული უფლებამოსილების შედეგს წარმოადგენს 2014 წლის 12 დეკემბერს სააააგენტოს სისტემაში შემავალი საბჭოს და თავად სააგენტოს გენერალური დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომელთა საფუძველზეც საეჭვო გარემოებებში საყდრისი-ყაჩაღიანს ძეგლის სტატუსი მოეხსნა. იმ პირობებში როდესაც სახელმწიფოს დღემდე არ გააჩნია კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი, უფლებამოსილებათა მასშტაბური დელეგირება

მოვლენების ქაოტურ განვითარებაზე უფრო მიანიშნებს, ვიდრე დარგში არსებულ სისტემურ ხედვაზე.“

კომენტარი: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით, მიმდინარეობს კულტურის პოლიტიკის სტრატეგიაზე მუშაობა, რომლის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია კულტურული მემკვიდრეობის საკითხები. დოკუმენტზე მუშაობა მიმდინარეობს ყველა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანიზაციის, დაინტერესებული პირისა და საზოგადოების ჩართულობით.

კერძოდ:

- ✓ სტრატეგიაზე მუშაობის პროცესის კოორდინაციის მიზნით, სამინისტროში შეიქმნა კულტურის პოლიტიკის სამმართველო;
- ✓ 30 იანვარს, თბილისში ჩატარდა კონფერენცია "საქართველოს კულტურის სტრატეგია: ადამიანები. პროცესები. პრიორიტეტები", სადაც სამინისტრომ წარმოადგინა კულტურის სტრატეგიის შემუშავების გზამკვლევი., რომელიც ქვეყნის მასშტაბით კულტურის სტრატეგიის შემუშავების პროცესის განმსაზღვრელი სამუშაო დოკუმენტია; გზამკვლევი შემუშავებულია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთვის, ევროკომისიის აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში;
- ✓ კულტურის სტრატეგიის შემუშავების პროცესში, საქართველოს რეგიონების ჩართულობის უზრუნველსაყოფად, შემუშავდა რეგიონული შეხვედრების კალენდარი, რომელიც 28 თებერვალს, ბათუმში გამართულ კონფერენციაზე წარედგინა და შეუთანხმდა ყველა რეგიონის რწმუნებულ-გუბერნატორს, ასევე, აფხაზეთის მთავრობასა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციას. მარტში დაიწყო რეგიონული შეხვედრები კულტურის სტრატეგიის პროცესთან დაკავშირებით. შეხვედრები უკვე ჩატარდა 9 რეგიონში და და დაგეგმილია კიდევ 2 შეხვედრა); სამუშაო შეხვედრები ღიაა და მასში მონაწილეობენ რეგიონების კულტურის სფეროსა და ფართო საზოგადოების წარმომადგენლები; პროცესის მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, შეხვედრების თაობაზე სრული ინფორმაცია, ოქმებითურთ, ხელმისაწვდომია კულტურის სტრატეგიის ვებგვერდზე, http://culturepolicy.ge/;
- ✓ ღია შერჩევის წესით, შეიქმნა სტრატეგიის გარე საკოორდინაციო ჯგუფი, რომლის ფუნქციაცაა კულტურის პოლიტიკის სამმართველოს კონსულტირება, სტრატეგიის შემუშავების პროცესში;
- ✓ მინისტრის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა სტრატეგიის შიდა საკოორდინაციო ჯგუფი;
- ✓ სამთავრობო უწყებებს დაეგზავნათ თხოვნა სტრატეგიის დოკუმენტზე უწყებათაშორისი ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით, წარმომადგენელთა დასახელების შესახებ;
- ✓ სტრატეგიის შემუშავების პროცესში ფართო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისი მიმართვები დაეგზავნა: პრეზიდენტის აპარატს, დიასპორის სამინისტროს, სახალხო დამცველს, რელიგიის საკითხთა დაცვის სააგენტოს, საპარლამენტო კომიტეტებს, ავტორიზებულ უმაღლეს სასწავლებლებს, პოლიტიკურ პარტიებს.

კულტურის პოლიტიკის სტრატეგიის დოკუმენტი, 2015 წლის დასასრულს, განსახილველად წარედგინება საქართველოს მთავრობას. დოკუმენტის შემუშავებაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დახმარებას უწევს ევროკავშირი.

შემუშავებულია და დამტკიცებულია კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა (საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2015 წლის 18 მარტის ბრძანება N03/73).

„2014 წლის 24 ივნისს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე დაკომპლექტთა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო, რომელიც თავისი შემადგენლობით უწყებათაშორის ხასიათს ატარებს. საბჭოს შემადგენლობაში შედიან: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითადების სამინისტროს წარმომადგენლები. თუმცა აღნიშნული საბჭო, დაკომპლექტების სპეციფიკის, საბჭოში წარმოდგენილი უწყებებისა და საბჭოსთვის მინიჭებული უფლებამოსლების გათვალისწინებით სერიოზული საფრთხის შემცველია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით.“

კომენტარი: აღნიშნული საბჭოს წევრები ინიშნებიან 6 თვის ვადით, მათი უფლებამოსილების ვადა გასულია. საბჭოსთვის წარსადგენ საკითხთა განხილვის უფლებამოსილება დელეგირებულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოზე, სადაც ფუნქციონირებს დარგში მოღვაწე სპეციალისტებისა და ექსპერტთაგან დაკომპლექტებული შესაბამისი საბჭო.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში იქმნება კულტურული მემკვიდრეობის სფეროში მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისია, სადაც გარდა სამთავრობო უწყებებისა, წარმოდგენილი იქნება ასევე: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი; სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“; საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი; საქართველოს საპატრიარქო; სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო; რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო; ქ. თბილისის მერია; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია. აღნიშნული კომისიის ძირითადი ფუნქციები და ამოცანები იქნება:

1. საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ, კულტურული მემკვიდრეობის სფეროს განვითარების, მისი ინსტიტუციური მოწყობისა და მართვის მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით, სტრატეგიული და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესების მქონე საკითხების თაობაზე შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება, ასევე მათი გადაწყვეტის მიზნით უწყებათაშორისი თანამშრომლობის კოორდინაცია;
2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული მაღალი საზოგადოებრივი ინტერესების მქონე საკითხების თაობაზე წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება;
3. საქართველოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში არსებული ძეგლების დაცვისა და განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის და მსოფლიო მემკვიდრეობის სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება;
4. იუნესკოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, საქართველოს შესახებ მიღებული გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შესრულების კოორდინაცია;
5. მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების ბუფერული (დამცავი) ზონების საზღვრების ცვლილებებისა და მათ ფარგლებში მნიშვნელოვანი ჩარევებისა და საკუთრების უფლების რეგულირების საკითხების განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება;
6. კულტურული მემკვიდრეობის სფეროში არსებული იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების და კონვენციების განხორციელების ხელშეწყობა, რომელთა მონაწილეც საქართველოა;
7. კომისიის ფუნქციებისა და ამოცანების განხორციელების შედეგად შემუშავებული პროექტების, წინადადებების, დასკვნებისა და ყოველწლიურად გაწეული საქმიანობის ანგარიშის საქართველოს მთავრობისათვის წარდგენა.

,,ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი პრეისტორიული სამთამადნო ძეგლის ირგვლივ განვითარებული მოვლენები და გადაწყვეტილებათა ის ჯაჭვი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოების მხრიდან 2013-2014 წლებში და დღემდე გრძელდება. აღნიშნული გადაწყვეტილებების მიღებისას, აშკარა იყო ინტერესთა კონფლიქტების არსებობა, ასევე მაღალი თანამდებობის პირთა მხრიდან უფლებამოსილებების გადამეტება და ზეწოლა. მიუხედავად სამოქალაქო საზოგადოების დიდი ნაწილის პროტესტისა 2014 წლის ბოლოს ხელისუფლებამ საეჭვო გარემოებში მისცა შპს "RMG Gold"-ს საყდრის-ყაჩაღიანის არქელოგიური ობიექტის დაშლა (აღების) უფლება, რომლის სახელითაც რეალურად კომპანიამ საყდრისში მსხვილმასშტაბიანი სამუშაოები განაახლა. მიუხედავად იმისა, რომ "RMG Gold"-ის მხრიდან საყდრისი-ყაჩაღიანში მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების განახლება ეწინააღმდეგება თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ განჩინებას, ხელისუფლებას მხდეველობაში არ მიუღია აღნიშნული გარემოება და კომპანია კვლავაც აგრძელებს მუშაობას."

კომენტარი: ინტერესთა კონფლიქტის არსებობა და უფლებამოსილების გადამეტება და ზეწოლა არც ერთ კომპეტენტურ ორგანოს არ დაუდასტურებია და არც დასტურდება არც ერთი მტკიცებულებით. მოსაზრება, რომ კომპანია ,,RMG Gold"-მა უკანონოდ განაახლა სამუშაოები საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტზე რაც თითქოს დღემდე აკრძალული აქვს თბილისის საქალაქო სასამართლოს გაჩინებით არ შეესაბამება სიმართლეს. ვინაიდან, თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით შეჩერდა სამთო სამუშაოების განხორციელებაზე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს თანხმობის (2014 წლის 13 მარტის N01/01-1227 ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი) მოქმედება, შესაბამისად ,,RMG Gold"-ს არ იყო უფლებამოსილი ამ აქტის საფუძველზე რაიმე ქმედება განეხორციელებინა, რაც თავის მხრივ არ გამორიცხავს სხვა აქტით (სსიპ ,,საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს" 2014 წლის 12 დეკემბრის აქტი) გაცემული თანხმობის ფარგლებში სამუშაოების ჩატარებას. მარტივად რომ ვთქვათ შეჩერდა აქტი და მის საფუძველზე განსახორციელებელი ქმედება და არა ზოგადად ნებისმიერი ქმედება, რომელიც განხორციელდა უკვე სხვა აქტების საფუძველზე.